

ქართული მწიგნობები

სალიტერატურო ჟურნალი

დაარსებულია
1926 წელს

აღდგენილია
1990 წელს

განახლებულია
2008 წელს

1

იანვარი
2011

რედაქტორი

ლევან ბრეგაძე

რედაქტორის მოადგილე

ზვიად კვარაცხელია

სარედაქციო ჯგუფი

მაია კუდავა

მეგი ობოლაშვილი

ოლიკო ჟღენტი

ნინო სადღობელაშვილი

გვანცა ჯობავა

კონცეფცია და დიზაინი:

© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.



გამომცემლობა ინტელექტი

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ

25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54

ფაქსი: 25-05-22, 91-22-83

www.intelekti.ge info@intelekti.ge

რედაქტორი: 8(99) 90-37-22

ISSN 1512 - 4444

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

„ქართული მწერლობის“ გამარჯვებულები

დაჯილდოება ლიტერატურის მუზეუმში **5**

პოეზია

ვახტანგ ჯავახიძე. მხოლოდ ერთი **7**

ქეთევან შენგელია. ლექსები **8**

ნიკა ჩერქეზიშვილი. ლექსები **10**

მსატკრული პროზა

ირმა მალაციძე. მინიატურები **12**

ზაზა ბიბილაშვილი. ნოველები **16**

დებიუტი

შორენა ტყეშელაშვილი. ეს უფრო ამბავია **20**

დრამატურგია

თამაზ ჭილაძე. დაკრძალვა სახელმწიფოს ხარჯით **23**
(კომედია)

ესეისტიკა/დოკუმენტური პროზა

სერგო წურწუშია. წერამწერალის **33**
ირონიაშეპარული ჩალიმება
(ანუ ლიტერატურული სიდიდე მცირე სახასიათო დეტალებით)

კრიტიკა

ნანა კუცია. დაუნერეღი პიესის ტკივილი **38**
(როსტომ ჩხეიძის „ლეგენდა ისკანდერისა“)

უკვდავი სახელები

დენიზა სუმბაძე. გიორგი მთაწმიდელი – **50**
წინასწარმეტყველი „ახალი ერისა“

ქართველები შინ და გარეთ

რუსუდან ნიშნიანიძე. უცნობი და თან „მოვლენა“ **55**

ორი ზინჯანი

- 61 „ვილაპარაკოთ სიყვარულზე“
(კატო ჯავახიშვილს ესაუბრება მარიამ ნიკლაური)

ასალი თარგმანები

- 64 ხორხე ლუის ბორხესი. დეტაებრივი კომედია
(ესპანურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ)
- 74 ჰექტორ ჰიუ მუნრო (საკი). ლუიზა
(ინგლისურიდან თარგმნეს მაკა ალანიამ და ემხვარ კახაძემ)

თეატრი

- 77 თამარ კიკნაველიძე. 17 საფესტივალო დღე
(ორნლიანი ისტორია და პარალელები)

წარწერიანი ეგზეგვლარები

- 82 მიხეილ კოპალეიშვილი. პოეტი – მოყვასი (გივი ძნელაძე)

პრეზენტაციები


- 83 „მარიამი მექია სახელად“...
83 გიორგი ზანგურის კიდევ ერთი პოეტური საღამო
84 „iratta.ru“ – ომი, რომელიც მოვიგეთ

წომრის თემა: კითხვები და პასუხები

- 15 თეა თოფურია. რა აფუჭებს ნანერს?
17 მარსიანი. ამირანი
21 ინგა მილორავა. ადამიანები და წიგნები ერთად
25 ია ანთაძე. „გაპლასტმასების“ საფრთხე
27 მარინე ტურავა. ისევ ვეფხისტყაოსანზე
35 მიხო მოსულიშვილი. საკუთარსა და მარადიულზე
37 დიანა ანფიმიადი. იმიტომ, რომ...
41 ლელა კოდალაშვილი. გადახტომა ჩრდილიდან... ჩრდილში
43 ვაჟა ხორნაული. მარადიული თანამგზავრები
45 ვლადიმერ კიკილაშვილი. ანბანზე და სხვაზეც
49 ნინო თარხნიშვილი. სხვა ნინოს მოთხრობები
51 გივი ალხაზიშვილი. მედიტაცია
53 ინა არჩუაშვილი. „რა-ღაც მინ-დო-და“
57 ჯემალ ქირია. ეჭვიანი კითხვები
63 ირაკლი ქასრაშვილი. მსხვერპლი კარგი წიგნებისათვის

„ქართული მწერლობის“ გამარჯვებულები

დაჯილდოება ლიტერატურის მუზეუმში



ლევან ბრეგაძე



მაია კუდავა და ნანა გოგოლაშვილი



ზვიად კვარაცხელია, ნინო სადღობელაშვილი, გვანცა ჯორჯაია



მარიკა ბაკურაძე (გამომცემლობა „ინტელექტი“), გვანცა ჯორჯაია და თამარ თოლორაია



გიორგი ზანგური




წურნალი „ქართული მწერლობა“ 3 წლისაა.

იუბილე წურნალმა გამორჩეულად აღნიშნა. 25 დეკემბერს ლიტერატურის მუზეუმში ავტორები და მკითხველები შეკრიბა და წლის განმავლობაში გამოცემული თორმეტივე ნომერი წარუდგინა. იქვე ჩაეყარა საფუძველი ახალ ტრადიციასაც – ყოველწლიურ დაჯილდოებას.

სალამო წურნალის რედაქტორმა ლევან ბრეგაძემ და რედაქტორის მოადგილემ ზვიად კვარაცხელიამ გახსნეს. მათ თავიანთ გამოსვლებში წურნალის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში განუული შრომა შეაჯამეს და შეკრებილ საზოგადოებას ახალი რუბრიკები და სხვა სიახლეები გააცნეს.

ლონისძიება დაჯილდოების ცერემონილით დასრულდა. „ქართული მწერლობის“ სარედაქციო ჯგუფისგან შემდგარმა ყიურომ 2010 წლის განმავლობაში წურნალის ფურცლებზე დაბეჭდილ ავტორებს შორის გამარჯვებულები ხუთ ნომინაციაში გამოავლინა: წლის საუკეთესო პოეტური პუბლიკაცია – გიორგი ზანგური, საუკეთესო პროზაული პუბლიკაცია – ირაკლი ლომოური (მოთხრობისთვის „შოკორთველოს ბორჯღალადი“), საუკეთესო თარ-



ნინო სანადირაძე (თუმანიშვილის თეატრი) და ნესტან ფიფია



გმანი – ნანა გოგოლაშვილი (ფრიდრიჰ დიურენმატის პიესის – „გვიანი შემოდგომის საღამოს“ თარგმანისთვის), საუკეთესო ესეისტიკა/დოკუმენტური პროზა – ნესტან ფიფია (ლიტერატურული წერილებისთვის ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაზე), საუკეთესო დებიუტი – თამარ თოლორაია (ნოველისთვის „კაპელა“). გამარჯვებულები სარედაქციო ჯგუფის წევრებმა გამოავლინეს და დააჯილდოვეს ჟურნალ „ქართული მწერლობის“ საპატიო სიგელებითა და სპეციალური პრიზებით, რომლებიც „თელიანმა ველმა“, კომპანია „ბილიანმა“, „ისი პარიმ“, თუმანიშვილის თეატრმა, „ლიტერატურულმა კაფემ“ და წიგნის მაღაზიებმა – „ლატერნამ“, „ბიბლუსმა“ და „ინტელექტმა“ დაანესეს.

ღონისძიებაზე მისულ საზოგადოებას საშუალება ჰქონდა ჟურნალ „ქართული მწერლობის“ 2010 წლის თორმეტეტივე ნომერი მნიშვნელოვანი ფასდაკლებით შეეძინა.

ჟურნალი „ქართული მწერლობა“ მკითხველს 2011 წლიდან კვლავაც უამრავ სიახლეს და კიდევ უფრო მრავალფეროვან და საინტერესო მასალებს პირდება.




მარიკა ბაკურაძე, გვანცა ჯობავა, ზვიად კვარაცხელია და ირაკლი ლომოური



პოეზია

ვახტანგ ჯავახიძე
მხოლოდ ერთი

ერთი ნაბიჯი დამაკლდა,
ორი დოლარი დამაკლდა:
ვალე დამედო მეზობელ სტილისტთან ანუ დალაქთან.
ქვეყანა ველარ დალაგდა: მაშინებს შავი მაგია:
შენი სასტიკი სიმართლე ჩიტის რძესავით მაკლია.
უეცრად გამომაფხიზლებს მიტინგის იერიქონი
და სუფთა ქალაქს უეცრად მომიშვივდება სტრიქონი.
მედავებიან: რამდენი კანდიდატი გყავს, თავადო?
ბევრი არიან: არ ვიცი, ხელი რომელს დავადო.
იქამც სუფევდნენ, თუმცაღა, რას იზამ, აქაც არიან,
შეხედავ: არაკაცია, არადა – ნაკაცარია.
ზოგი ლაქია-ბაქია და ზოგი ლანირაკია,
მოდი და ერთად ვიყვიროთ:
– ქვეყანას კაცი აკლია!



„ინტელექტი“ გთავაზობთ

ოტარ შულცა
სა მიწიან
ინცხა

ვახტანგ ჯავახიძე
გოლი შლას
ჩანაწარები

ტარიელ
შანტურია
ღმრთაპირიან
ღიწინამდე

მიხეილ
ჯავახიძე
უბის
წინაქვირნი

ოტარ
შულია
დროღარო

ვახტანგ
ჯავახიძე
ლეკსიან –
ლექსამდე

ლევან
ბამბაძე
გარბინალიანი

ინტელექტი

საგამომცემლო პროექტი „ჩანანანერები“ მიზნად ისახავს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დღიურების, უბის წიგნაკების გამოქვეყნებას, რაც მკითხველს განსხვავებული კუთხიდან დაანახებს უკვე ცნობილ პიროვნებას, გააცნობს მის შემოქმედებით ლაბორატორიას, შეხედულებებს ამა თუ იმ მოვლენისადმი, ყოველდღიურ შთაბეჭდილებებს.

თითოეული ჩანანერი განსაკუთრებით ძვირფასია, რადგან იგი აღადგენს არა მხოლოდ ერთი ადამიანის ცხოვრების ეპიზოდს, არამედ ეპოქას, ისტორიული ფონითა და მოქმედი პირებით.

მ ა ლ ე



ქეთევან შენგელია დაიბადა თბილისში. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. დაამთავრა კინოდრამატურგიის ფაკულტეტი.

1984 წლიდან მისი შემოქმედება იბეჭდება ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში. არის სამწერლო გაერთიანება „მნათობის“ გამგეობის წევრი, ქართულ-ესპანური კულტურის ცენტრისა და მწერალთა კავშირის წევრი. მისი ლექსები თარგმნილია რამდენიმე ენაზე. გამოცემული აქვს ლირიკული და ლიტერატურულ-ესეისტური კრებულები: „თოვლივით თეთრი მწუხარება“ (1997), „აკაციის ხეივანი“ (2002), „ქართველ მწერალთა მიმართებები ვაჟა-ფშაველასთან“ (2005), „მზისფერი ქუდი“ (2005), „ცეცხლი და მდინარე“ (2009), „მზე და ღრუბელი“ (2009).

ჰყავს მეუღლე და ერთი ვაჟი.

ქეთევან შენგელია

ლექსაზი

არასდროს არ გთხოვ
 არაფერს რადგან,
 სულაც არავინ არ მედგა გვერდით,
 მე საქართველოს თბილი
 მზე მათბობს,
 ჩემი ლამაზი, მონყალე ლმერთი.
 ვერც მე შევქელი ამ ნაკადულის,
 დაღმა კი არა, აღმა დინება,
 სადა ხარ ახლა? თუ დავიღუპეთ,
 მითხარი მაინც, მეცოდილება.

ცეცხლის ენები

ცეცხლი გადმოსკდა მეხის საშოდან,
 ელვამ თვალეზი მოსჭრა შევარდენს,
 მერე წითელი, მწველი ენები,
 უღრან ტყეშიაც სწრაფად შევარდენენ.
 ო, ასე იცის გულის შეგლეჯვაც,
 რას მოერევი ტრფობას ცად
 ამძვრალს?!
 და როგორც ცეცხლი, მინავლებული,
 კვალსაც არ ტოვებს, ტოვებს
 ნახანძრალს.
 გრგვინვის შემდეგაც ფიქრობ
 დაღლილი,
 რომ ეს მიდამო მტერივით გიტევს,
 მერე მდელივით უფლის მადლივით,
 თავიდან ამჩნევ ჭრელგულა ჩიტებს.
 თუ გინდა კიდევ რომ გაიოცო,
 დაიმეგობრო მთვარეც და მზეცა,
 ერთხელ უსაყდროდ უნდა ილოცო
 და უპატრონოდ ახვიდე ზეცად.
 თუ გინდა, გულში იმედი გედგას,
 ნუ გაიმარჯვებ „ტროას ცხენივით“,
 ვინ რას უწოდებს ძლიერს
 და მედგარს,
 ვისთვის ვინ არის პირშერცხვენილი?!
 თენდება. ლამეც მიიძურნება,
 ქოთნის ყვავილი ნებივრად ხარობს,
 ვერ გაიხარეს გულით ძუნებმა,
 ვერავინ უთხრა – პირიმზე-ხარო.
 ცეცხლი გადმოსკდა მეხის საშოდან,

ელვამ თვალეზი მოსჭრა შევარდენს
 და მერე, ცეცხლის მწველი ენები,
 უღრან ტყეშიაც სწრაფად შევარდენენ.

იქნებ დამტოვოთ,
 ჩემს სიმარტოვეს
 სულ არ უხდება უცხოთ ვალთვალთ.
 ო, რა სანდოა,
 ღვთისმშობელივით,
 ლექის ბნკარი და პურის თავთავი...
 ეს შემოდგომაც ხომ მიილია,
 მოიპარება ისევე ზამთარი,
 წევს მთანმინდაზე დიდი ილია,
 საქართველოსთან ცამდე მართალი.

მიიმიოს

სიბნელეშია დაგეშილი შენი ნერვები
 და კვერცხის გულეზს შეგაჩვიეს
 ხორცის მაგიერ,
 ტყავის თათმანზე შემომჯდარი
 გასცქერი სივრცეს,
 მრავალჟამიერ,
 მრავალჟამიერ!
 ო, რა თვალეზი – წყვილი შავი
 სწრაფი შურდული,
 არც გელოვანი, არც აფხაზი
 და არც ბურდული...
 და მაინც, ასე შემართული,
 ხარ ფრთაგაშლილი,
 მოინადირებ ამ სამყაროს
 ევას ვაშლივით.
 შენ და ხარ ჩემი,
 უარჰყავი კვერცხის გულეზი,
 მეც მხიბლავს სივრცე,
 არ მაშინებს დაკარგულები.
 მოდი, დავიძრაო, ვინ-ვის?!.. მიზანს
 არ ავაცილოთ;
 შენ სახლობ ჩემში და მე – შენში,
 ჩემო ნაწილო!
 ვიფრინოთ მზისკენ,

თუმცა მზემდე მიდის ვერავინ,
 მაგრამ გზად მაინც აგვცილდება
 მავნე მზვერავი.
 ვიფრინოთ მზეშიც, ქარშიც,
 თოვლშიც, უკუნ ღამეშიც...
 მთავარია, რომ ვერ გაგვაბან
 ვერსად მახეში
 და სწრაფად, თუნდაც გულის ძგერის
 ხმა ჰგავდეს ზარებს,
 ზრიალსაც ჰგავდეს, ჰგავდეს
 ზრიალს,
 თუნდაც წამიერს,
 მრავალჯამიერ... ჩემო დაო!
 მრავალჯამიერ!

ნანვიმარი ტყე

დაფენილია ოქრო მიწაზე,
 მივდივარ, ფოთლის ჩურჩული მესმის,
 აქედან ვიცი ძალზე შორია,
 ადამიანთა შური და გესლი.
 კვდება ფოთოლი, ღამაზად კვდება,
 მიაქვს სექტემბრის სითბო და მაღლი
 და ჩემი ჩუმი სევდის ნაწილი,
 სულ აღარ მახსოვს წვიმებით
 დაღლილს.

ქარიშხლის ტაში

გრიგალს ვებრძვი, ვებრძვი გრიგალს,
 ოლონდ ჩუმად, გულით ვებრძვი,
 ჩემს ნერვებზე იწერება მაჟორული
 სიმფონია...
 და ნოტები ჟღერიალებენ:
 არ გაგექცევს ოქროს ვერძი...
 არ დანებდე, არ დაიბნე, მოერიდე
 რია-რიას.
 რა ვქნა? ტაძარს ხშირად ვსტუმრობ,
 ვსტუმრობ გელათს და სამთავროს,
 მაგრამ, რომ ვერ დაგიჩოქე,
 სიბრძნის ღმერთო, არ დამჩაგრო!
 ალუბლები სკდება გულში,
 გრიგალს ვებრძვი, მომეხმარე!
 თან საჭრეთლის ღრჭიალივით,

ჭრიჭინებმა მომახალეს:
 შენ ბულბული არ გიგალობს,
 არ გიმარგლავს გნოლი ყანას!
 ქარიშხალმა დაჰკრა ტაში:
 ნანა, ჩემო შვილო, ნანა.
 ტყვიამ მომინათლოს სიტყვა,
 ჩემი გული სარანგია,
 ჩამეხუტე ქარიშხალო!
 მარტო ტაში რას მარგია?!
 არ გავხდები არავისი,
 არც მონა და აღარც კერძი.
 გრიგალს ვებრძვი, ვებრძვი
 გრიგალს,
 ოლონდ, ჩუმად, გულით ვებრძვი.

თამარს

ძლევა გალობისა, იცი, დიდებულ არს!
 სული უნუგეშოდ აღარ გაინირვის,
 უკვე ცოდვა-მაღლი სასწორს
 დადებულა,
 აი, ხმები ლოცვის, აი, ხმები წირვის.
 „მსხვერპლი ღვთისა არის ხმები
 შემუსვრილი“,
 დიდება მამასა და ძესა,
 წმინდა სულსა,
 უკვე დაუნთია ყველგან ფიჭა-ცვილი,
 ქართველის დედოფალსა, ლოცვად
 ცად ასულსა.

ხარკი

რალადროს ჩემი გაოცებაა?
 დიდი ხანია სიკვდილთან დავრჩი,
 ღრუბელი ისე მოიზღაზნება,
 როგორც ტყის პირთან ბებერი მარჯი.
 გალეულია ბურუსი ოდნავ,
 ცამ თითქოს სხვიც გამოაჩინა...
 მე ვერ ვიგრძენი ამ სოფლის სითბო,
 ახლა კი არა, მგონი მაშინაც:
 როცა მზე ოქროს ჰამაკში სვამდა
 მავანს და მავანს, ენთო თიბათვე...
 მე რას მომკითხავ ჟამო გრძნეულო,
 ხარკიც დაადე ისევ იმათვე.



„...ქეთევან შენგელიას ლექსები თითქოს სიტყვებად ქცეული ოცნებების ნაფლეთებია, და, ამავე დროს, მათი მოგროვების, გაერთიანების აშკარა ნიჭიერებითა და თავისთავადობით აღბეჭდილი გზა. თითქოს მეოცნებე ადამიანის სულის ორი ლებანი – ერთი, ყველასთვის ნაცნობი და მეორე, ასევე ყველასთვის, თვით პოეტისთვისაც კი გამოუცნობი, ცდილობს გაერთიანებასა და ერთმანეთში განსხეულებას განუცდელი ბედნიერების მოლოდინით გაბრუნებული...“

თამაზ ჭილაძე

„...მიუხედავად მასშტაბური, ყოვლისმომცველი მზერისა, სიყვარულის, ტკივილის, უფალთან მიმართების, სიცოცხლის არსის გარკვევის სურვილისა და მძლავრი ფერწერული მონასმებისა, თუ მოქანდაკის საჭრეთლით ნაკვეთი სიტყვა-კლდეებისა, ქეთევან შენგელიას პოეზია ყოველთვის ინარჩუნებს რბილ ლირიზმს, სევდიან კდემამოსილებას, ისეთ სულიერ სიმადლეს, რომელიც სპობს კდნიერებისა და პატივმოყვარეობის მკრთალ კვალსაც კი და საშუალებას აძლევს სულ ცოტაში ჩაატოს მთელი სიცოცხლე და არსებობის არსი...“

ინგა მილორავა



დავიბადე 1981 წელს თბილისში. ლექსებს ბავშვობიდან ვწერ. ვარ ლაურეატი სხვადასხვა ლიტერატურული კონკურსისა. 2010 წელს გავიმარჯვე ბათუმის მერიის მიერ ორგანიზებულ ლიტერატურულ კონკურსში – „ლექსების გამოფენა“. გამოცემული მაქვს ლექსების კრებული „მივტრიალდეთ“, ჩემი ახალი წიგნი „დღენაკლულთა“ კი ამჟამად ლონდონში იბეჭდება. ხშირად ვიღებ მონაწილეობას სხვადასხვა პოეზიის საღამოებში. ვანთავსებ ჩემს ლექსებს ლიტერატურულ საიტებზე.

ნიკა ჩერქეზიშვილი

ლექსები

ხასიათი – სკაბრეზი

ახლა დღეები ღამდებიან უფრო მარტივად,
გაუფერულდა დედამინა და თავს მახეზრებს,
არც მისთვისაა ჩემი ყოფნა დიდი პატივი,
ბარიბარში ვართ და ცხოვრება –
ნაღდი სკაბრეზი –
გვაბიბრებს.
სხვა – ყველაფერი ძველებურად არის ურიგოდ,
გამიცვდა პალტო,
სად ვიშოვი ახლა გაბარდინს,
გულამოსკენილი დაეძებენ ისევ სულიკოს
ქუჩაში ხმები და ამ ხალხის მოთქმა,
ლაღადი –
წერვებს მიბურავს.
ვწერ ჩვეულებრივ,
არეულად,
მაგრამ მულამით,
ამ ნაჯღაბნებშიც ბოლთასა ვცემ სტრიქონ და სტრიქონ,
გდია კუთხეში გაჭვარტლული ძველი ბუხარი
და ყველაფერი ისევეა,
შარშან რომ იყო,
ქარია გარეთ.
და სიცვივა,
ტკივილია,
დროა მახინჯი,
ლამემ მინებზე გაანვრილა ცეკვა – გავოტი,
რა ჭკუა ყრია იმაში, რომ – ვთქვათ, გავისარჯო,
სანამ სიკვდილი გასასვლელში ფეხებს გაბოტავს –
გავალო კარი?

შემოდგომა სიკვდილის შემდეგ

ჩამოეკიდა რეალობა შიშველ ხეებზე,
ილუზიურად ჩამოეხრჩო – ყოველთვის ნაღდი...
მოვალ, ჩავიცვამ გაყვითლებულ ფოთლებს ხელებზე
და ტკივილს გაგხდი.
დღეს ყველა ჩემს გზას შენს კარებთან უნდა მოდგომა,
ვხედავ – ყოველწამს ერთი სუნთქვით როგორ ვმოკლდები,
სამარადისოდ გაგრძელება ეს შემოდგომა,
როცა მოვკვდები.

ინსულტი

საფეხური. თითები. იხლარება. თარიღი.
 სიმარტოვე. სურათი. თმენა. მაჯა. გავხაზე.
 მე ბელურა ჩიტებმა ნისკარტებით ნამიღეს
 და დამტოვეს (სულ მარტო) მისი ფანჯრის რაფაზე.
 ვილაცისთვის ეს ლექსი მხოლოდ პათეტიკაა,
 ჩემთვის – სისხლის ჩაქცევა ტვინში, კვდომა ნერვებში.
 სადაც წვიმა იწვიმებს, ჩემი სისხლიც იქაა
 დაღვრილი და არ ახლოთ ხელი! არა! შეეშვით!
 მინდა – ასე დაქცეულს არიდებდეთ ნაბიჯებს,
 ლოცვა რალა ლოცვაა – ცამდე თუ ვერ ავიდა.
 ბინდი. ნავსი. არევა. გარინდება. მახინჯი.
 ხორცი. დამლა. მონამვლა. უკან. დარდი. თავიდან.
 ძველებურად. ინთება. იხატება და მიღრენს
 სიმარტოვის სურათი – მოგლეჯილი ანფასი.
 მე ბელურა ჩიტებმა ნისკარტებით ნამიღეს
 და დამტოვეს (სულ მარტო) მისი ფანჯრის რაფაზე.



დოდეს-კადენ

ბექა აბუთიძეს

შენ თქვი,
 რომ მგავხარ,
 რომ ქურაზე,
 ჰო,
 სუიციდის,
 ჰო,
 სუიციდის ქურაზე ხარ ახლა
 და ორ ხიდს
 შუაა შენი ქურა,
 შენ ჩემი ძმა ხარ,
 ცრიდეს –
 მინდა,
 რომ ცრიდეს წვიმა,
 ჩვენ გუშინ მოვკვდით,
 და ორ ხიდს შუა არის ქურა –
 შენი...
 და რელსებს,
 რელსებს არა აქვთ ხმა – დაგან და
 დაგან და დაგან,
 ჩვენ სხვანაირად დაგვანწყვეტენ
 ნერვებს და მყესებს
 და გულსებს გვწყვეტენ სხვანაირად,
 და მტკივა მაგრად,
 რომ ორ ხიდს შუა,
 რომ ქურაა –
 შენია –
 მარტო,
 რომ სუიციდის ქურა ჰქვია,

რომ დრო სისხლს გადენს,
 რომ თებერვალი დამთავრდება,
 დადგება მარტი,
 და დოდეს-კადენ,
 დაგან-დაგან,
 და დოდეს-კადენ,
 აქ ხმა არა აქვთ,
 როგორც ყველგან,
 ისეთი ბორბლებს
 რკინის და დგახარ,
 დღეებს გიჭამს ათასი მახრა,
 დიდი ხანია წვიმის ნაცვლად ცას
 გასდის დორბლი,
 და აქ და ახლა,
 აქ და ახლა,
 და აქ და ახლა,
 მე მოვალ შენთან,
 მოგიყვები ორი ძმის იგავს,
 და ორ ხიდს შუა,
 შენს ქურაზე,
 ჰო,
 სუიციდის,
 ჰო,
 სუიციდის ქურაზეა რელსების რიგი,
 და ვდგავართ ორნი,
 და გვინდა,
 რომ ცრიდეს და ცრიდეს –
 წვიმა...

მხატვრული პროზა



ირმა მალაცძე

მინიატურები

საუბამე ოდრისთან

დაიბადა ხაშურში 1968 წელს; დაამთავრა ხაშურის მე-3 საშუალო სკოლა. 2002 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის კინოჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

ავტორია საქველმოქმედო პროექტისა – „ზღაპრები ირმა მალაცძისაგან“ (10 ზღაპრის აუდიოჩანაწერი, რომლის გამრეცხაც ახმოვანებენ ცნობილი პოლიტიკოსები). აუდიო-კასეტები უფასოდ გადაეცემა უსინათლო ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს.

მონაწილეობდა ლიტერატურულ კონკურსში „პენ-მართონი-2003“. კონკურსზე შექმნილი მოთხრობა „სოლომონა“ შესულია საუკეთესო ათეულში.

2003 წელს საბავშვო ჟურნალ „დილის“ მიერ ორგანიზებულ კონკურსში „ახალი სახელები ქართულ საბავშვო მწერლობაში“ მიენიჭა პირველი პრემია (ზღაპრისათვის „ლოკოკინა სახელად ქერამუჭა“).

გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ მიერ ორგანიზებულ ლიტერატურულ კონკურსში „ლუარსაბ თათქარიძე“ საუკეთესო ოცეულში შევიდა ირმა მალაცძის მოთხრობა „ტორტი“.

ოთახში ობობა მოგონებების ახალ ბადეს აბამს. პატარა სარკმლიდან შემოვარდნილი სხივი ძველი როიალის პრიალა ზედაპირზე დარბის...
ცელქი ბავშვივით.

სახურავი რომ არა, ალბათ გაზაფხულის მელოდიას ააჟღერებს. მოხუცს ისედაც განუწყვეტელი ჩაქისმის ეს მელოდია და დროის შეგრძობას უკარგავს. ოთახი დიდა. იმდენად დიდი, რომ თითქმის ოთხმოცწლიანი მოგონებებიც ვერ ავსებს. ანტურაჟი მისი პატრონის ხასიათსა და ფიქრებს ისე ესადაგება, როგორც პირიქით, პატრონი – ნივთებს. ოთახის შუაგულში ჭერიდან ჩამოშვებული აბაჟური გულმოდგინედ მალავს მასში ძლივს მზუჭავ ნათურას და გარინდულ ოთახს იდუმალებაში ძირავს. ძველი კარადა ძველ ნივთებს საგულდაგულოდ ინახავს, ძველი საწოლის სასთუმალზე კი ყოვლად უცნაურ და დაუჯერებელ სიზმრებს სძინავთ. ჰაერში სიძველის სუნი დგას. ცოცხალი არსებები აქ თითქოს აღარც ცხოვრობენ...

...ის დღე არ ჰგავდა სხვა სამოცდათექვსმეტჯერ სამასსამოცდახუთ დღეს. ამ დღეს ყველაზე უფრო მეტად გამუქდა ცა, ვიდრე მზის ნებისმიერი დაბნელებისას. იმ დღეს მისი ოცნება მოკვდა. ასე თქვეს... ტელევიზორში...

თაროსთან მიდგმულ კიბეზე რის ვაივაგლახით აძვრა. მუხლი აღარ ემორჩილებოდა. ერთთავად უკანკალედა და ეკეცებოდა. როგორც იქნა, მესამე თარომდე ააღწია... დაჭმუჭნული, აკანკალებული ხელებით მოძებნა სადღაც, ზედა თაროზე შემოდებული რკინის ყუთი, ფრთხილად ჩამოაცოცა და ნელა, ფაქიზად გადაუსვა აკანკალებული ხელისგული. საკუჭნაოში შუქი არ ენთო და შედებული კარის ღრიჭოდან ძლივს შემოსულ შუქზე დაუნყო ყუთს დათვალაიერება. მტვრით იყო დაფარული. ძველი პიჯაკის სახელო მუჭში მოიმწყვდია და იდაყვი გადაუსვა დაბურულ ზედაპირს. ქსოვილმა უცებ აიკრო მტვერი და ყუთი სარკესავით აპრიალდა. შუაგულში და-

კრულ ქალაღზე კი ოდესღაც გაკეთებული წარწერა გამოჩნდა, რომელზეც ბავშვური ხელით საგულდაგულოდ იყო გამოყვანილი: „ოდრი“.

მერე აპარატი გამართა. რამდენი ხანია, ხელი არ უხლია. განგებ წელავდა დროს – ემინოდა მისი დიდი, ბავშვური, სიალალით და სინრფელით სავსე თვალბისათვის თვალი არ შეეჩვია. ისე უნდოდა, მონატრებოდა, როგორც ბავშვობაში, შუა იანვარში – მარწყვის გემო.

ახლა ყველაფერი გაიოლდა. პატარა, შავი კოლოფი იტევს მისთვის სათავყვანებელი არსების უამრავ, მილიონობით კადრს, ღიმოლს, მოძრაობას, გრაციოზულსა და იმადროულად ბავშვურ, რიტმულ, მოხდენილ მოძრაობას... მაგრამ ეს მას არ სჭირდება. ძველი კინოფირი უფრო საიმედოდ ინახავს ყველა კადრს, თვალთ ხილულ ნეგატივებს, თეთრი ყელის შავად არეკლილ სილუეტს. საკმარისია, კოლოფს თავი ახადოს, ფირის ერთი ბოლო მარცხენა ხელით ზემოთ ასწიოს, მეორე ქვემოთ – მკერდისაკენ მოზიდოს და მოჭუტული თვალებით დიდხანს უმზიროს ამ არამინიერ სილამაზეს.

ფირი დაამაგრა. ობიექტივში გაატარა. მერე კედელზე ჩამოკიდულ დაგრაგნილ ეკრანზე ჩამოკონიალებულ თოქს ხელი ჩამოჰკრა და ჩამოშალა. შავი ჩამრთველი ტკაცანით გამორთო. ოთახში დაბნელება. მოხუცი სკამზე ჩამოჯდა, ხელები მუხლებზე დაინყო და ეკრანს მიაშტერდა. ეკრანი განათდა. გაირბინა შავმა ლაქებმა, უსწორმანორო ხაზებმა, ციფრებმა, მოლოდინის მაგიურმა წამებმა – საუკუნემ.

და აი, ისიც...

...ესაა საზღაური მარტოობაში გატარებული უამრავი წლისათვის? მარტოობაში, ოდრისთან ერთად;

მოხუცმა ხელებში ჩარგო სახე და ჩუმად, ყრუდ აჩურჩულდა. ისე, როგორც წინათ, მასთან გააბა ბაასი.

„ხომ მოხვალ ჩემთან... ხომ დაბრუნდები? შენ თუ არა, მე მოვალ. დედამინაზე თუ ვერ მოგიახლოვდი, იქ მაინც მოგაგნებ. გიპოვი შენი ღი-

მილით, გაცისკროვნებულ, ნოტიო თვალელებში ჩარჩენილი ბავშვობით... ჩემო ფერიაჟ! შეუძლებელია, ასეთი სილამაზე გაქრეს ასე უკვალოდ... ბუნებაც კი უძღურია მშვენიერების წინაშე. ჩემო ანგელოზო! განა სილამაზის გარდაცვალება და გადასხვაფერება შესაძლებელია? ბოდავა... სისულელეა... გახსოვს, პირველად რომ დაგინახე? ჯიხურში ვიჯექი და არაფერი მესმოდა, არც დარბაზის ჩუმი ხმაური – ალაგ-ალაგ ხველება და შეყვარებულების ჩურჩული. არც დაგვიანებული მაყურებელის გამაღიზიანებელი მოძრაობა. მხოლოდ შენ გხედავდი. დიდრონ თვალელებში ჩაცქეროდი და გესაუბრებოდი. დღეში სამი სეანსი... მალე ყველა დიალოგი დავიზებოდა.

შენი სახე იმ ეკრანზე თეთრი იყო. ჩაბნელებულ დარბაზს შენი თვალელების შუქი და ყვრიმალეების სითეთრე ანათებდა. ამ თვალელებს ჩაცქეროდი მთელი სიცოცხლე, ამ დიდრონ, ყოვლისდამტვევ, ტკივილიან-სიხარულიან თვალელებს. ჩაცქეროდი, ვიძირებოდი და მათში ვრჩებოდი. არასოდეს მილაღატია შენთვის, არც სულით, არც ხორციტ, მხოლოდ შენ ერთადერთი მიყვარდი, შემოვებრდი კიდევ ამ სიყვარულს. ახლა კი უნდათ დამაჯერონ, რომ ეს სილამაზე აღარ არსებობს. უნდათ, რომ ღმერთის სიკვდილი ვინამო?

მთელი ცხოვრება ჩემს ჯიხურში გავატარე. ჩემს თვალწინ იბადებოდნენ და კვდებოდნენ, ცრემლს ღვრიდნენ და უყვარდათ, ჩემს თვალწინ უამრავი ადამიანის ცხოვრება მიედინებოდა. მეც ვუმზერდი, მათთან ერთად ვტიროდი, ვბრაზობდი, მიყვარდა და მტკიოდა. სხვათა თვალწარმტაცია თუ უბედური ცხოვრებით ვცხოვრობდი და საკუთარი აღარ მინდოდა. შენც აქ, ამ სამყაროში დაგინახე, თვალი მოგკარი და იმ დღის შემდეგ სხვა ქალისკენ, არც არსებულისა და არც გამოგონებულისაკენ, არც თვალი გამქცევია, არც გონება. შენ ერთი მიყვარდი, შენ ერთი – ყველაზე სათნო, ყველაზე კეთილი, ყველაზე ლამაზი“.

მოხუცმა აკანკალებული ხელებით გადაღვარა პატარა, მინის ჩაიდნიდან ობზიდული ჩაის ნაყენი. ახალი ჩაყარა. მდულარე დასახა. მერე ტილო ოთხად მოკეცა და საგულდაგულოდ შეფუთა.

„აი, ასე. როგორც შენ გიყვარს. ახლა შენს საყვარელ ფინჯანს მოვიტან“... –

კარადისაკენ წაჩანჩალდა, თან კედლიდან მომღიმარ სახეს გახედა და გაულიმა.

„რა სისულელეა. არასდროს მიყვარდა ტელევიზორი. ამ სიბერეში მივეჩვიე და აჰა! ღირსი ვარ. რას უსმენ, რას უყურებ. თავს ისეთი სისულელით გამოგითენიან“...

დიდრონი თვალელები კი ისევ მისკენ იმზირებოდა. ბავშვურად, მიამიტად უღიმიან.

ფინჯანში წინასწარ ჩაყრილი ორი კოვზი შაქარი თითქმის დადნა. მდულარე წყალმა დააჩქარა დნობა და წამში სითხედ აქცია კრისტალი. ხელი აუკანკალდა, როცა ფინჯანს დასწვდა, ასე თრთოლვით მიიტანა ტურნეტთან და სული შეუბერა. სვამდა ნელა, მიპარვით, სიამოვნებას იხანგრძლივებდა. თვალი ერთი წერტილისაკენ ჰქონდა მიმართული. მისი თვალელებისკენ. დიდრონი, მეტყველი, სისუფთავით სავსე თვალელებისკენ. ყოველ დღით მასთან ერთად საუბრობდა. უღიმოდა ლამაზი თვალელებით. საითაც არ უნდა გაეხედა, ყველა კუთხიდან უმზერდა.

მოხუცმა ოდრის ფოტოს ფრთხილად შეახო თითი. ღანგებს ფაქიზად გადაუსვა, მოეფერა, ბაგეებისკენ მიაცოცა აკანკალებული ხელი. თითქოს ფოტოს ნაცვლად ხორცმეხსმულ, ცოცხალი არსებას ეხებოდა, გრძობდა მის სითბოს და სურნელს, სილამაზე იღვრებოდა მის ჩამქრალ თვალელებში.

„ჩვენ ყოველთვის ერთად ვიქნებით. მე ავალ ცაში და წვიმად დავედვრები შენს საფლაგზე ამოსულ ყვავილებს, ჩემი სული კი შენს სულს მოძებნის. იქ, სადაც სივრცე ერთია, სადაც ყველა ერთ ენაზე მეტყველებს და ყველას შეუძლია ის მოძებნოს, ვინც ამ ცხოვრებაში მიუწვდომელი იყო. და ჩვენ ვისაუბრებთ ბევრს, მე მოგიყვები ყველაფერს, რაც ჩემს წინა ცხოვრებაში თავს გადამხდომია, შენზე უგონოდ შეყვარებულს. როგორი იყო ჩემი სიცოცხლე, სავსე შენი არსებობით.“

აი, განვიმდა. აქ, ჩვენთან, ჩვენს სამყაროში. ეს ზაფხულის წვიმაა. თბილი წვიმა. მინას ეღვრება. იმისათვის, რომ ის მინა გააფხვიეროს, რომელიც შენს სუსტ და სათუთ სხეულს უზიდავ ტვირთად აწევს. მე მუდამ შენთან ვიქნები. შენი ფიქრები ვიქნები... შენი ოცნება... შენი სუნთქვა...

...მომავალ შეხვედრამდე, ძვირფასო“.



არის ავტორი წიგნებისა: „სატკბილეთის ქვეყანა“; „ქერამუჭას სკოლა“; „სამშვენიეროს ლამაზმანები“; „ონავარი ლუკი დროთა ქვეყანაში“. პროზაული კრებული „ფატია“ ნომინირებული იყო ლიტერატურულ პრემიაზე „საბა“, ნომინაციაში „საუკეთესო პროზაული კრებული“.

თარგმნილი აქვს ვლადიმერ ვისოცკის პროზაული კრებული „ვენური არდადეგები“.

ირმა მალაციძის მოთხრობები შესულია სხვადასხვა კრებულში – „წლის 15 საუკეთესო მოთხრობა“ (2005 წ.), „ქალი – სახე და პრობლემა“, „დილა-100“, „ხიდი“ და სხვ.

არის საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი და ერთ-ერთი დამფუძნებელი. ფონდი 2010 წლის ოქტომბერში შევიდა ასტრიდ ლინდგრენის პრემიის ნომინანტთა სიაში.

იბეჭდებოდა ლიტერატურულ გამოცემებში: „არილი“, „პარნასი“, „ჩვენი მწერლობა“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ალტერნატივა“, საბავშვო პერიოდულ გამოცემებში – „დილა“, „ჯეჯილი“, „ციცი-ნათელა“, „12 მტრედი“, „12-მდე“, „ნაკადული“, „ანო და ვანო“ და სხვ. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ჩემი დედამისა



ნომრის თემა: კითხვები და პასუხები

გასული წლის დასაწყისში, ლიტერატორებმა, მწერლებმა, თავიანთ საფოსტო ყუთებში ორკითხვიანი გზავნილი აღმოაჩინეს. კითხვები ასეთი იყო:

ა) რას ეკითხებით ყველაზე ხშირად საკუთარ თავს მწერლობის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ პასუხობთ?

ბ) რომელ კითხვაზე გაქვთ ზუსტი პასუხი?

კითხვების ავტორი გიორგი კილაძე გახლდათ. მათ, ვისაც უყვარს ლიტერატურა და მეტ-ნაკლებად ადევნებს თვალს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს, ამ სახელის შესახებაც კარგად უწყიან. გიორგი კილაძე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელია და უამრავი ლიტერატურული პროექტის ავტორი.

ეს პროექტიც – „2 კითხვა ლიტერატურის მოყვარულებს“, გიორგი კილაძის მორიგი განხორციელებული იდეაა. მისი ადრესატების რაოდენობა თავდაპირველად 50 იყო, შემდეგ კი, 99-მდე გაიზარდა.

ნომრის თემადაც, ამჯერად, სწორედ ეს კითხვა-პასუხი ავირჩიეთ, მის მიმართ მზარდი ინტერესის და მრავალფეროვანი შინაარსის გამო.

99-ვე ავტორისას ვერა, მაგრამ, ჟურნალის ამ ნომერში რამდენიმე ძალიან საინტერესო პასუხს შემოგთავაზებთ.

მამ ასე: უპასუხო და პასუხგაცემული კითხვები მწერლობის შესახებ!



...ადიოზ, ჩემო კეთილო, ბებიაჩემის გამომცხვარი ალაღებებით ტკბილო და ჩემს თავზე, თუმცა ოზონის ხვრელგაფართოებულო, მაგრამ მაინც ნათელი ცასავით წმინდა წარსულო!

...ადიოზ! არივედერჩი! გუღბაი! ჩემს მეხსიერებაში ალაგ-ალაგ მიმოფანტულო, გაურკვეველი სიზმარივით ჩაღეკილო, ტკივილწარვეო მოგონებებო.

...ძველ ალბომში, შიგადაშიგ სიძველისაგან გაყვითლებულ ფოტოებში საიმედოდ თავშეფარებულო, შავ-თეთრ სამყაროში, მოდაგადასულ ტანსაცმელში და გულუბრყვილო ღიმილში ჩარჩენილო მონატრებავ...

...ობიექტივის წინ საგანგებოდ დადგმულ სავარძელში ყელმოღერებულო, ნაოჭებასხმული ფარდების ფონზე გაღიმებულო, უნაოჭო და ოცნებით განათებულო თვალეო...

...მშვიდობით, ჩემი მუხლებგადატყავებული, მოუსვენარი ბავშვობის უიმედო მონატრებავ... ხანდახან ქარწამობერილი ღრუბლებივით რომ აიშლები და სად გაგექცე, რომელ ნავსაყუდელს შევაფარო თავი, არ ვიცი...

...მეც ისე მომენიჭე, როგორც ყველა დანარჩენ, ამ ქვეყნად მოსულ ადამიანს. ჩინივით, წოდებასავით. იქიდან მოყოლებული ვიდაცის შვილი, შვილიშვილი, და, მეგობარი, ცოლი, დედა და კიდევ უამრავი ვინმე უნდა ვყოფილიყავი ერთდროულად. იმაზე არავის უფიქრია, ერთი ადამიანი ამდენს როგორ გაწვდებოდი. ამდენი სიყვარული როგორ უნდა მეზიდა გულით. მაგრამ ესეც შევძელი. უმძიმესი ტვირთი წამოვიკიდე და შევუდექი აღმართს.

გოლგოთას!

ყველაფერი როგორღაც თავისდაუნებურად მოხდა. უფრო სწორად, ხდებოდა. დიიდი ხნის, მთელი ბავშვობის განმავლობაში და ცოტა მოგვიანებით, ანუ ყმანვილქალობისას, როგორც იტყვიან. მაშინ არაფერი მაშინებდა. არც მინისძვრა, არც წყალდიდობა, არც ომი. თითქოს არც ხდებოდა ეს ყველაფერი. ან ხდებოდა, მაგრამ არა იმ სამყაროში, სადაც მე ვარსებობდი, არამედ პარალელურში, აბსტრაქტულში.

მე ჩემი საკუთარი, ინდივიდუალური დედამისა, მზე და მთვარე მქონდა. ატმოსფეროც კი ჩემი იყო. მხოლოდ მე

მანვდიდა ჟანგბადს, რათა ჩემს ტვინს უკეთ ემუშავა, უკეთ ეფიქრა, უკეთ ეოცნება, ხანდახან დაეძინა კიდეც, ისიც იმისათვის, რომ სიზმრები ენახა – ლამაზი, ფერადი, იმედიანი სიზმრები. ისეთი, რომელიც ახალ ოცნებას შეასხამდა ფრთებს, ახალ ზღაპარს დაუდებდა საწყისს და მერე მიუშვებდა, თავისი სვლით, ინერციით, თავვევ დაუშვებდა სიჩქარის ასაკრეფად და არც კი გააფრთხილებდა:

– ემანდ კისერი არ მოიტეხო, საქე მართე, საქეეე!!!

ჰო, იყო ეს დრო... ის სამყაროც იყო... ნამდვილად... არსებობდა... არაფერს ვიგონებ. იმ სამყაროში მხოლოდ მზე ანათებდა, მხოლოდ გაზაფხული იდგა და ურცხვად შიშვლდებოდნენ ნუშის მრუში კვირტები, იძრობდნენ სამოსს და მაცდურად იღიმებოდნენ. ვის მოტყუებას ცდილობდნენ? ვის უხვევდნენ თვალს თავისი ნაზი ფურცლებით? ვის აბრუებდნენ გაზაფხულის მათრობელა სურნელით? მე? ისედაც მიმნდობს... ისედაც მეოცნებეს... იმ ჩემს უმინისძვრო დედამისაზე ეულად შემორჩენილს?

რისთვის? ამისხენით ერთი, რისთვის სჩადიოდა ამას? იმისათვის, რომ მერე ასე სასტიკად მომქცეოდა? დაუნდობლად რომ ჩამოეგლიჯა ვარდისფერი სათვალე და ასე სამარცხვინოდ გამოვეძვევებინე ჩემი დედამინიდან? იქ დავებრუნებინე, სადაც იმედგაცრუება არსებობის ერთადერთი და აუცილებელი პირობაა? სადაც შიში მშვიერი მგელივით მუდამ გვერდით დაძრნის, არ მასვენებს, არც ოცნებას მაცლის, არც ფიქრს, არც სიზმრების ნახვას... იმ ჩემი ვარდისფერი, მათრობელა სიზმრების...

...ჰო, სწორედ ასე – უბოდიშოდ, უცერემონიოდ გამომეცხადა, ცხვირწინ ამეტუზა პირზე აკრული ცრუ ღიმილით, ცრუ სიყვარულით მთვრალი და მეც ძალით მასვა სიცრუის შარბათი. ჩემს სამყაროში მსურდა მისთვის ადგილის გაყოფა, ის კი იქით მიბიძგებდა. იქით... მისი ყალბი დედამინისკენ... ცრუ იმედების, მისი იმედების მიწაზე. არავის არ მიუსჯია მისთვის აქ ცხოვრება. არც მიამიტობით მოსდიოდა – სიცრუეში ცხოვრებას იყო მიჩვეული და სხვაგვარად ვერ წარმოედგინა.

...მეც დავყაბულდი. ჩათრევას ჩაყ-

ოლა ვამჯობინე, ვეცადე მოვრგებოდი ახალ წესებს, მაგრამ ვერ შევძელი. დიდხანს, დიდხანს ვცდილობდი, ხარბად ჩამესუნთქა ის ჰაერი, რომლითაც ის სუნთქავდა, მაგრამ ჩემი ფილტვები უარს აცხადებდნენ მის მიღებაზე.

...ვცდილობდი, დავმტკბარიყავი მისი პლანეტის ბუნების მაცდური ხიბლით და... თვალები ამიჯანყდნენ. არ იყვნენ მიჩვეულნი ყალბი სილამაზის ჭვრეტას. სმენაც ამიხედრდა – არ სურდა იმ სიტყვების მოსმენა, რომელთა წარმოთქმას გულთან შეუთანხმებლად მხოლოდ ენას მიანდობდა. გრძნობის ყველა ორგანო ამიჯანყდა.

ავჯანყდი!

...მხოლოდ გული ინევდა იქით. მოლა-ლატე, ორგული გული... მხოლოდ ის ცდილობდა იმ დედამინაზე დაბრუნებას, მაგრამ არ იყო იქ ჩემი ადგილი და წამოვედი.

...მივხვდი – ბედნიერება ყოველთვის იქ არაა, საითაც გული მიგიწევს. სადაც გგონია, რომ იმას იპოვი, რასაც დაეძებ, ჯერ კიდევ შეუცნობელს, მაგრამ უსაშველოდ სასურველს, სანუკვარს.

...ჩემს სამყაროს დავუბრუნდი. ჩემს მხეს, ჩემს ცას, ჩემს მთვარესა და ვარსკვლავებს, მაგრამ აღარ მიმიღეს. მოლალატისათვის ჩემს მშვენიერ სამყოფელში ადგილი აღარ მოიძებნა. საბოლოოდ დავკარგე სამოთხე და დავრჩი ასე, უსასრულობაში გაფანტული. არც იქით, არც აქეთ. არც სიყვარულით, არცა უსიყვარულოდ. ახირების, თვითმიზანის მსხვერპლად ქცეული, განშორების ტკივილით გათანგული, ღალატით დამცირებული, გაურკვევლობის ეჭვით შეპყრობილი.

გულნატკენი!

ის კი შერჩა იმ ყალბ, ტყუილით შეთითხნილ ქვეყანას. საკადრისად ბედნიერი, გულთამპყრობელი, ამაყი, მიზანსწრაფული.

თვითკმაყოფილი!

ახლა მხოლოდ სიზმარში ვაძლევ მოახლოების უფლებას. სიზმარში, რომელიც ისევე ყალბია, როგორც მზერა, ღიმილი იმ სიზმარში, რომელშიც ყოველთვის მტოვებს ბავშვობა – მეთავედ, მეთავედ მტოვებს და მრავალგზის კიდევ დამტოვებს. და მეც მეთავედ, მეთავედ ისევე ისე მეტკინება სული, როგორც პირველად.

ადიოზ! ჩემო მშვენიერო ოცნებებო.

არივერდერჩი! გუდბაი! აუფ ვიდერზენ! ვარდის სურნელით შეზავებული, არარსებული იმედის მინავე! ერთხ-

ელაც იქნება, კვლავ დამიბრუნდები – სიზმარში, ოცნებაში, ფიქრებში, შემთხვევით ან მიზანმიმართულად, ნებით თუ უნებლიეთ, მოგებზრდება ძველ ფოტოალბომში ყურყუტი და მოხვალ. მაშინ მოხვალ, როცა ხელს ჩავიქნევ, იმედს დავკარგავ, როცა თითქმის დამავინყდება შენი არსებობა.

...მოხვალ, თავს შემახსენებ და ამ გადარეული სამყაროს უკვე გახუნებულ ფერებს ისევ გამივარდისფერებ, ისევ დამინისლაგ გონებას საოცნებო მომავალზე ფიქრით.

...ისე ჩუმად, ფეხაკრეფით მოხვალ, ჩემს გარდა ვერავინ რომ ვერ შენიშნავს შენს დაბრუნებას და ისევე შეამსუბუქებ ჩემს, დროით დამძიმებულ სხეულს, ამიჩქარებ ძარღვებში სისხლს... ზაფხულის წვიმად მოხვალ და გამლუპავ... ციციანათელებად მოფრინდები და გამინათებ დარჩენილ წუთებსა და დღეებს... მოგონებების ნიაღვრით წამლევავ და თავდაყირა დამიყენებ მათემატიკური სიზუსტით თანამიმდევრულად გავლილ დღეებსა და წლებს.

...მოხვალ, აბა, რას იზამ... ხომ არ მიმაგდებ ასე უპატრონოდ და ეულად შენს გაზრდილ, ცოტა არ იყოს და, სიბერემეპარულ მომავალს, ხომ არ მიუგდებ საჯიჯგნად დროის სასიტკიკ, სწრაფ დინებას და შენში, ანუ იმ ვარდისფერ ბავშვობაში ჩარჩენას ხომ არ ანატრებინებ?

არა, რა თქმა უნდა!

შენი სუფთა ფურცელივით კრიალა სული ამას არ იკადრებს. იმ წლების ხათრით, იმ მოპარული, მარილმოყრილი მჭავე ვაშლის ხათრით, სოფლის მდინარიდან წამოსულს, ნაჭყუმპალავებს, მოშიებულს და მზით გათანგულს „ანტონოვკაზე“ გემრიელი რომ გვეჩვენებოდა.

...გამხდარ კანჭებზე მოხვედრილი წკეპლის სიმწრის ხსოვნით არ გამწირავ, მეზობლის ბაღში ახლად შემოსული ბლის მოსაპარად გადასულს რომ მხვდებოდა ზედიზედ ოთხი წელი, წელიწადის ერთსა და იმავე დროს, მაინცდამაინც მაისში, და მაინცდამაინც მის მიწურულს.

...ვიცი, როცა იქნება, მაპატიებ, დამაბრუნებ, ისევე მიმიღებ და გულში ჩამიკრავ შენს გზაბნეულ შვილს. მიმიღებ, აბა რას იზამ. ხომ არ გამწირავ სიცრუის, შეთხზული ბედნიერების მსხვერპლს.

მთავარია, მწამდეს შენი არსებობის!



რა აფუჭებს ნაწერს?

ხშირად ხდება, რალაც იდეა, თემა მაქვს და იმაზე ვფიქრობ, ახლა ლექსად დავწერო თუ პროზად. ეს პრაქტიკული კითხვაა და თითქმის ყოველთვის მეზადება.

ზუსტად ვიცი ის, რომ ნაწერს ყველაზე ადვილად ბოღმა და სენტიმენტალიზმი აფუჭებს. თუმცა, ამისგან დაზღვეული არავინაა, არც მე. ისიც ზუსტად ვიცი, რომ ნიჭი სიყვარულივითაა, მოფრთხილება სჭირდება, უფრთხილდები კი იმით, რომ თავად ხარ კარგადადამიანი, ყოველ შემთხვევაში, ცდილობ, რალაც ფასეულობები შეინარჩუნო. თუ როგორც პიროვნება მოკვდი, ერთხელაც დაგიდგება დღე, როცა ვედარაფერს დანერ. ისიც კი გაგიკვირდება, ადრე როგორ წერდი, ან უბრალოდ იტყვი, რომ ეს ყველაფერი სისულელე იყო და ასეც მარტივად იცხოვრებ. ეს ადამიანის არჩევანია.

თაა თოფურია



ზაზა ბიბილაშვილი ნოველები

ერთი საჭოჭმანო პასაჟისათვის

ჩვენი ოფისის განსაკუთრებულ საქმეთა განყოფილებამ გაშიფრა საიდუმლო საოქმო ჩანანერი, რომელიც ირწმუნება, რომ მონინავე სამარი და საკოსმოსე აპარატების შექმნა სულაც არ ყოფილა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა ზღვარი; ხოლო უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ჯერ კიდევ სტალინის მმართველობის ხანაში წარმატებით დაგეგმილა და განხორციელებულა დროის მანქანის გამოგონება. სხვათა შორის, აღნიშნული განყოფილების ექსპერტები იმასაც ვარაუდობენ, სტალინს რომ დასცლოდა, ახლა ასანთი, საპონი და დროის მანქანით მგზავრობა უფასო იქნებოდაო; თუმცა აშკარაა, ამის დამტკიცებას დიდი დავიდარაბა დასჭირდება. ამიტომ ჯობია, მაგეებს თავი დავანებოთ და პირდაპირ ის ჩანანერი შემოგთავაზოთ, ზემოთ რომ ვახსენეთ, ცოტა უფრო ადრე კი საგანგებოდ შეგიმხატვრულეთ.

– ამხანაგო იოსებ ბესარიონის ძე!
– ლამის წელში გადატყდა მეხლისი,
– თქვენი 123456789-ე ბრძანების საფუძველზე შექმნილი დროის მანქანის გამოცდა დასრულებულია!

– როგორ, მეხლის? – ჩიბუხს ჰკითხა სტალინმა, თან გაიფიქრა, დროის მანქანა შევაქმნევენ და პატაკის მოხსენება ვერ ვასწავლე ამ ჩემისებსო.

– რა თქმა უნდა, წარმატებით!.. დიახ, ჩვენ წარმატებით დავლაშქრეთ 21-ე საუკუნის დასაწყისი და ფრიად საინტერესო მასალებიც ჩამოვიტანეთ!..

– საქართველოში რაო... – სტალინს საკუთარი თავშეუკავებლობა თვითონვე გაუკვირდა, ამიტომ უცნაური აქცენტით დაამატა, – მაგალ'ითად? – აქაოდა, ეს სიტყვა (და პრინციპში – ფრაზაც) ბერიას გამოჯავრებით

ვთქვიო.

– რა და... – მეხლისის ხმას შფოთი მიეძალა, – თქვენი... თქვენი ორეული გამოჩნდა!..

– მაგალითად? – ჩიბუხიდან თავი ასწია სტალინმა. ბერია აღარც ახსოვდა.

– მაგალითად... ისიც თქვენსავით 21 დეკემბერს არის დაბადებული (თუმცა – თქვენზე 88 წლით გვიან)... თქვენსავით თამამია, შემტევი, ფიცხი, მტკიცე და მიზანსწრაფული... რაც მთავარია, თქვენსავით ქვეყნის მეთაურია და აპირებს, თქვენსავით ძლიერი მეთაური იყოს... ზოგიერთი ადგილობრივი ყოფილი მშრომელი პირდაპირაც კი ამბობს – ახალი... ახალი სტალინი მოვიდაო...

– ქვეყნის მეთაური როგორ გახდა? – ჩიბუხი გვერდით გადადო ძველმა სტალინმა.

– ენძელები... დიახ, ენძელებით ხელში მხარდამჭერებთან ერთად საკანონმდებლო ორგანოში შეიჭრა და რევოლუცია მოახდინა... – და მეხლისმა 21-ე საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის მოყოლა დაიწყო. დაახლოებით ოთხოსან მონაფეს ჰგავდა.

სტალინმა ერთი კი გაიფიქრა, ეს ენძელები რაღა იყო, რომ საკუთარი ლექსი გაახსენდა, ბიჭობაში დაწერილი:

„ენძელას კობტა კოკორი გადაჰხვეოდა ისა...“

„ეს უკვე მეტისმეტია! – გულში გაბრაზდა ლექსის ავტორი. საერთოდ, გულში ბრაზდებოდა ხოლმე, – რევოლუცია და თანაც – ენძელების! აი, რისი ბრალია, რაღაც ნახევარ საუკუნეში ერთადერთი და განუმეორებელი რომ აღარ მერქმევა (თურმე)!.. ამ პიროვნების კულტის შექმნას მაინც არ გადავყოლოდი ზედ, ბიჯოს!“

სტალინი გამჭრიახი კაცი იყო. ასე რომ, მალე დაასკვნა, ახალი თავსა-

ტეხის გასაღები თუ სადმე მოინახე-
ბა, ისევ – დროის მანქანის, ბარბა-
რიზმისთვის ბოდიში და, ზამოკშიო.

– კმარა, მეხლის! – ეგრე, 2007 წლის
ლანდებიდან გამოიხმო ოთხოსანი
მონაფე გულშივე დამშვიდებულმა
ბელადმა და მასწავლებელმა, – შენ
ის მითხარი, მომავალში, ან წარსულ-
ში მაინც, ცვლილებების შეტანა თუ
შეგვიძლია!

– ჩვენს ხელთ არსებული ტექნოლო-
გიები მხოლოდ წარსულში ჩარევის
საშუალებას იძლევა, ამხანაგო იოსებ
ბესარიონის ძვე, ისიც – ეპიზოდუ-
რად... – რა დასამალია და, კიდევ
უფრო შეშინდა მეხლისი.

– ძალიან კარგი. მაშინ, სასწრაფოდ
– დროის მანქანაში!

– სად? როდის? – იკითხა მეხლისმა,
როცა მესამე მოჯახუნებით, როგორც
იქნა, მჭიდროდ მოკეტა სალონის
კარი.

– ტფილისი, გაზეთ „ივერიის“ რე-
დაქცია, 1895 წელი..!

სიყვარულის ახსნა

ბამბარბიას ჯუნგლების უკიდურეს
ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში
მოხინადრე ქერგუდუს ტომის ჰოროს-
კოპის მიხედვით, კენგურუს ჩანთის
სარჩული ვარ.

არა, როგორ არ მესმის თქვენი.

თავიდან მეც ეჭვის თვალთ ვუყ-
ურებდი ამ ამბავს, მაგრამ როცა ჩემმა
ცხოვრებამ აღნიშნული ჰოროსკოპის
პროგნოზები (იხ. ყოველდღიური
გაზეთი „სიყვარულზე რას გვეტყვით,
ვარსკვლავებო, ჰაა?“) ასორმოცდა-
მეჩვიდმეტედ გაიმეორა, ფარ-ხმალი
დავყარე.

ადვილი მისახვედრია, საკაცობრიო
ურთიერთობათა რომელი განხრა
დამაინტერესებდა ყველაზე მეტად
ახალგაზრდა და უცოლო კაცს. და
სწორედ ეგ იყო საოცარი, კენგურუს
ჩანთის სარჩულელთა სიყვარულის
აბდაუბდის ყოველი ხლართი რუ-
დუნებით რომ გამოეკვლიათ ძველ
ქერგუდუსებს. არ ვაჭარბებ: ეს წინას-
წარმეტყველებები ერთად რომ ამე-
კინდა, ჩემი ქრონიკული და უიღბლო
ტრფიალის პირუთენელ ისტორიას მი-
ვიღებდი (ნუ, მომავალი დროის ფორმ-
იანი ზმნებით დანერვილს).

სამწუხაროდ, არ წამომცდენია,

*
იოსებ ჯ-შვილის, იმავე სოსელოს
მარჯვენამ „ენძელას კობტა კოკორი“
ასე გადაასწორა:

„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გა-
დაჰხვეოდა იასა“.

– შემდეგ – როგორც ტექსტშია! –
გაიღიმა სოსელომ და რედაქციიდან
გამოვიდა.

– კი ილაპარაკებენ ახლა, იისა და
ვარდის ერთად ყვავილობა ვინ გაი-
გონაო, მაგრამ, სამაგიეროდ, როგორი
მსუყე პარალელი გავაბათილეთ! –
გაიღიმა სტალინმაც და მოშორებით
მოთუხთუხე ლითონის საფრთხობელა
ხელით მოიხმო.

**ჩანანერი, სამწუხაროდ, აქ
თავდება, თუმცა განსაკუთრებულ
საქმეთა განყოფილება იმედოვნებს,
რომ სხვა, მონათესავე ოქმებსაც
მოიპოვებს და, რალა თქმა უნდა,
თქვენც შეგატყობინებთ, შემდეგ რა
მოხდა.**

უიღბლო ტრფიალი რომ ვახსენე. ნამ-
დვილად ასე იყო ჰოროსკოპშიც და
ცხოვრებაშიც...


თუმცა, ალბათ, ასორმოცდამეთე-
ქვსმეტე ჯერზე მაინც შევწყვეტიდი
აღნიშნული ყოველდღიური გაზეთის
(სახელწოდება იხ. ზემოთ) შექენას,
გულისმომკვლელ სტრიქონებს შორის
ზოგჯერ ასეთი ფრაზებიც რომ არ
გამოჭიატებულიყო: „ეგეც გათხოვ-
და? – ჯანდაბას – გასათხოვარი ბევ-
რია!“ „გულს ნუ გაიტეხთ, ჩანთის
სარჩულეებო, თქვენ ეგ არ შეგშენით!“
„ნუ გეშინიათ, მუხა კვლავაც შეი-
მოსება!“ და ა. შ.

მოკლედ, ქერგუდუს ტომის ას-
ტროლოგები ნართაულად მიმანიშ-
ნებდნენ, – ნანინანატრი დღე ადრე თუ
გვიან უთუოდ დაგიდგება და, აბა, შენ
იცო, მზად დახვდით.

მეც მზად ვიყავი:

იმ დროისთვის შესაძლო თვრამეტი
კანდიდატიდან ყველაზე საიმედო,
ანუ ყველაზე უპრეტენზიო წარმო-
მავლობის, ქონებისა და გარეგნობის
პატრონი ნათელა მყავდა ამოჩემებუ-
ლი და დღესა და ღამეს ვასწორებდი
მასზე ფიქრითა და ოცნებით.

ნართაულად შეპირებული დღე კი



ამირანი

ალბათ ორი ათეული წელი მაინც
იქნება, „ამირანი“ მინდა დავწერო:
სულ ამას ვეკითხები ჩემს თავს
– როგორ დავწერო? რამდენიმე
ვარიანტი მიტრიალებს თავში: 1.
ეპიკური პოემა, ანუ თავიდან ბო-
ლომდე თხრობითი, კლასიკურ
სტილში გალექსილი ნანარმოები;
2. რომანი, ანუ მოსე ხონელისებუ-
რად, მაგრამ აუცილებლად უფრო
მაღალმხატვრულ და მაღალი-
დურ დონეზე, ისე რა აზრი აქვს;
3. ლექსპერეული პროზა, ანუ
როგორც ხალხურ ვერსიებშია,
ოღონდ, რა თქმა უნდა, ბევრად
უფრო ვრცელი და მონუმენტური;
4. პროზასთან და ლექსთან შერეუ-
ლი ფსევდომეტრიული განსჯე-
ბი, რეფლექსია ამირანის მითის
შესახებ, ირონიულ-პაროდიული,
ანუ რაც იგივეა, პოსტმოდერნის-
ტული ვარიანტი. 5. ლირიკული, ან
ლირიკეპიკური პოემა.

სულ ვეკითხები ჩემს თავს,
რომელი ვარიანტი ვარჩიო, რომ-
ელი უფრო დროგამძლე იქნება? არ
ვიცი, ჯერჯერობით ამაზე პასუხი
არ მაქვს.

II. დავწერ „ამირანს“ უსათუოდ,
ღვთის შეწევნით!

მარსიანი



პირველად, მგონი, ორშაბათს დადგა. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ორშაბათის ჰოროსკოპი იყო, თეთრიდან შავად რომ შემომლალა: „შანსი გაქვთ, თქვენს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგათ!“-ო.

წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა... თუმცა, ალბათ, გაგიჭირდებოდა. აკი ისეთ დღეში ჩავვარდი, უმნიშვნელოვანესი კი არა, ერთი ჩვეულებრივი ნაბიჯი არ გადამიდგამს მეორე დილაზე.

მეორე დილით გადადგმული პირველი ნაბიჯები კი ისევ იმ საგაზეთო დახლ-სტენდისკენ მიმაქანებდა, რომლის ფაშფაშა განმგებლის ცნობიერებაში, კარგა ხანი იყო, შემოსავლის ყველაზე სტაბილურ წყაროდ აღვიქმებოდი. მივიჩქაროდი, მაგრამ, ალბათ, უფრო – ჩვეულების ინერციით, ვინაიდან ეს მორიგი სიყვარულიც, კაცმა რომ თქვას, უკვე გამოტირებული მქონდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა – სულ ტყუილად: „სამშაბათი: თქვენი გრძნობების რეალიზაციის დღე!“-აო, მიმტკიცებდა ჩემი გაზეთი.

ისე პატივცემულ მკითხველს არაფერი ეტკინოს, როგორც მე სამშაბათს გრძნობების რეალიზება ვერ მოვახერხე. მხოლოდ იმ ხანების თვრამეტი კანდიდატურის მონაცემებს გადავხედე თავიდან და ნათელას ყველაზე უფრო საიმედოობაში დავრწმუნდი კიდევ ერთხელ. ეგ იყო და ეგ.

მაგრამ: „რატომ გინდათ, რომ პირველი ნაბიჯი მან გადმოდგას?“-ო, – ოთხშაბათსაც არ მეშვებოდნენ ქერგუდუები.

მეც სხვა რა გზა მქონდა: ავდექი და მთელი ოთხშაბათი ისე თეთრად დავალამე, ჩემი საყვარელი შუადლის ძილიც არ გამხსნენია. ერთხელ კი, მგონი, ისიც გავიფიქრე, მართალია, ალკოჰოლურ სასმელს დასანახავად ვერ ვიტან, მაგრამ, ასეთ დროს იციან და, რამე ხომ არ დამელია-მეთქი.

„ვადა ინურება!“ – გამაფრთხილა ხუთშაბათის გაზეთმა.

ბოლოს და ბოლოს, ქვა ხომ არ ვიყავი: გარეთ გამოვედი და ახლო-მახლო ქუჩები დავიარე. თან გულში ვფიქრობდი, კიდევ კარგი, ნათელას მისამართი არ ვიცი, თორემ ისეთ ხასიათზე ვარ, ვაითუ მიმეკითხებინა კიდევ-მეთქი.

„მეტს ნულარ დაიგვიანებთ!“ – ჩემი

ტანჯვა განაგრძო პარასკევის ჰოროსკოპმაც და იქამდე მიმიყვანა, რომ ლამის ოთხის ნახევარზე სატრფოს სახლში დამარეკინა. სხვათა შორის, ერთ საათში მიპასუხეს კიდევ, მაგრამ გული ისე მიბაგუნებდა, კარგად ვერ გავარჩიე, ხაზის მეორე ბოლოში ნათელამ დაიღრიალა თუ მამამისმა. ამიტომ ყურმილი სწრაფად დავდე და, რომ ავწონ-დავწონე ჩემი საქციელი, კმაყოფილიც დავრჩი. მართლაც, უხერხული იქნებოდა, ტელეფონით(,) ლამის ოთხ საათზე(,) მამაჩემის ტოლი კაცისთვის(,) სიყვარული ამეხსნა.

აი, შაბათს კი ქერგუდუები უკვე შენობითზე, აშკარა ნაქეზებაზე და, პრინციპში, შეურაცხყოფაზეც გადმოვიდნენ: „დღეს მაინც უთხარი, შე ბოთე!“-ო!

ამას სიყვარულისგან (და, კაცმა რომ თქვას, არა მარტო მისგან) ისეთი დაბეჩავებულიც ვერ მოითმენდა, მე რომ ვიყავი. ამიტომ, ჯერ სისხლი ამიდულდა, მერე კი თავგზაც დავკარგე.

ეტყობა, ამანაც დააჩქარა მოვლენები:

სულ რამდენიმე საათში უკვე დაზუსტებული მქონდა ნათელას საუიკენდო დისლოკაციის ადგილი და მისთვის სათქმელი ტექსტის დეტალები. გარდა ამისა, თავიც მოვიწესრიგე: ხომ უნდა შემტყობოდა, სიყვარულის ახსნას რომ ვაპირებდი და არა – ბოლოკის ყიდვას.

თუმცა ბოლო წამს აღმოვაჩინე, რომ წინასასიყვარულისაქსნო განწყობას თუ ვითარებას კიდევ რაღაც აკლდა. საბედნიეროდ, ორიოდ საათში მივხვდი, რა: ქერგუდუებს მინასთანაც რომ გავესწორებინე, ფხიზელი მაინც ვერაფრით ვეტყოდი...

მეორე დილით მეეზოვემ გამადვიდა. ჰო, მეეზოვე ერქვა, სკვერის დასუფთავებისას კი მიპოვა სკამის ქვეშ ნებიერად გაშლართული. დილაც პირობითად ვთქვი, როგორც მეეზოვესთან ზოგადად დაკავშირებული ცნება. სინამდვილეში, იმ მიდამოების მეეზოვე-მესკვერეები, კვირაობით მაინც, ადგილობრივ მოსახლეებზე, ანუ შუადლის 3 საათზე ადრე როდი იღვიძებდნენ. ყოველ შემთხვევაში, დაახლოებით ეს დრო იქნებოდა, ჩემს სამოთხეულ სიზმრებში შავმა არონამ ტარტაროზივით რომ შემოიხედა. მისი მეგობრული ღიმილი კი იმის ნიშანი

უნდა ყოფილიყო, რომ წინა დღით თუ ღამით ორიოდე ჭიქა მასთან ერთადაც გადამეკრა.

თუმცა რა დროს არონა და იმისი სა-დღეგრძელოების გახსენება იყო! მე ხომ სულის, აგერ, უკვე ერთკვირიანი კანკანით მელოდა ჩემი სიცოცხლე!

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, სულ რაღაც საათისა და ორმოცდათექვსმეტი წუთის შემდეგ ჩემს აღნიშნულ სიცოცხლეს სამყოფლის კარი შევევლიჯე, თაიგული ვესროლე და მივაძახე: აჰა, რაკი არ იშლი, გეტყვი, მიყვარხარ-მეთქი!

სატრფომ ერთი ხელით ყურიდან ვარდის ტოტი გამოიღო, მეორე კი სისხლიან ლოყაზე ნაზად ჩამოისვა, ვიდრე სიფათში საშინელი ძალით მღენავდა და ზედმიწევნით შესაბამისი ტონით დაინივლებდა, აქედან გაეთრიე, შე საცოდავო, ჩემმა თვალებმა არ დაგინახოსო.

ძველი რაინდის ერთგულებით დავყვევი მიჯნურის ნებას. მოვეთრეო-

დი და ვფიქრობდი, ნეტავ, დამესიზმრა თუ მართლა მოხდა-მეთქი ეს ყოველგვარ კანონზომიერებას მოკლებული ამბავი.

მანამდე ვიმარჩიე, ვიდრე ნაცნობ დახლ-სტენდს არ გაფუსნორდი და ფაშფაშა დახლიდარ-მესტენდურ-მაც საყვედურიანი მზერით (სად ხარ ამდენ ხანსო!) „სიყვარულზე რას გვეტყვით, ვარსკვლავებო, ჰაას“ იმდილანდელი ნომერი არ მომაჩეჩა. ეგ არის, ჩემს თვალებში გაცილებით უფრო მეტყველი რამ ემოცია ამოიკითხა უთუოდ, რაკი მაშინვე და საფასურის გამოურთმევლად ამოეფარა თავის დახლ-სტენდ-ციხე-სიმაგრეს.

ალბათ, ჩვეულების ინერციით ჩავხედე გაზეთის ბოლო, მშობლიურ გვერდს. იქ კი, როგორც ყოველთვის – შავით თეთრზე, აი, ეს ეწერა:

„კვირა: ბოთე იყავი და ბოთედ დარჩები. იმას კი სათოფეზე აღარ გაეკარო, თორემ საშინელი დღე დაგადგება. გაიგე, ბიჭო?!?!?!“

„100 ლექსის ქვეყანა“ – ასე ჰქვია პროექტს, რომელიც „ინტელექტის“ საგამომცემლო სერიის, „100 ლექსის“ ფარგლებში ხორციელდება და მიზნად ისახავს ქართული პოეზიის პოპულარიზაციას, მკითხველთან შეხვედრას, ორიგინალურ პოეტურ საღამოებსა და წარმოდგენებს.

პირველი შეხვედრა უკვე შედგა – „100 ლექსის“ ერთ-ერთ კრებულში შესული ახალგაზრდა პოეტები ლიტერატურული ექსპრესიით გაემგზავრნენ თბილისიდან ბათუმში. მატარებელში გამართული პერფორმანსის შემდეგ ისინი ბათუმის „ლიტერატურულ კაფეში“ შეხვედნენ მკითხველს.

მსგავსი ღონისძიებები საქართველოს ყველა რეგიონში იგეგმება.

„ინტელექტი“ ბთავაზოვთ



დებიუტი

შორენა ტყეშელაშვილი

ეს უფრო ამბავია



დავობადე 1986 წლის 29 ოქტომბერს ქუთაისში. 2007 წელს დავამთავრე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ჟურნალისტიკის სპეციალობით. 2007 წლიდან ვმუშაობდი რადიო „ივერიონში“ და შემდეგ რადიო „ძველ ქალაქში“, სადაც მიმყავდა სხვადასხვა მუსიკალურ-შემეცნიებითი გადაცემები, ლიტერატურული გადაცემა და ახალგაზრდული გადაცემა „ფორთოხალი“. 2007 წელს გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ ჩემი პუბლიკაცია „ადამიანი ფუტკრები“ წლის საუკეთესო გვერდად აღიარა. 2009 წლიდან მაქვს საკუთარი ბლოგი ინტერნეტში, რომელსაც ყოველდღიურად ვანახლებ, ვწერ რეცენზიებს წიგნებზე და ასევე სხვა აქტუალურ საკითხებზე. 2010 წელს რამდენიმე თვე ვმუშაობდი მასწავლებელთა პროფკავშირში ჟურნალისტად და საინფორმაციო უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კოორდინატორად. სამი წელია მყავს უტა.

ეს ამბავი ჩემზეა, კიდევ ერთ ჭორ-ფლიან გოგოზე, ბიჭზე, კაცზე, ბავშვზე და მაიმუნ კატაზე, რომელმაც მრავალი წლის წინ შემიჭამა თეთრი ზაზუნა და იმ დროს მაგრად დამწყვიტა გული. დღესაც იგივე რომ განმეორებულებოდა, ისე ძალიან ალბათ აღარ დამწყვიტებოდა გული, რადგან 24 წლის გოგონები ზაზუნებს აღარ ყიდულობენ და გულისწყვეტაც ნაკლებია ასეთ დროს. ეს უფრო ამბავია, რომელიც ვერაფრით გახდა რეცენზია, რადგან ბავშვობაში, რამდენიმე საათის წინ ნაყიდ თეთრ ზაზუნას რომ უმოტივაციოდ შეგიჭამენ, ადვილად ვერ დაივიწყებ და ამას არც სჭირდება დიდი ფსიქოლოგიური ანალიზი, ლიტერატურული ქვეტექსტების ძიება, რეცენზიისთვის დამახასიათებელი სტილის მოძებნა, მალაღფარდოვანი წინადადებები.

ხოდა ასე, თავიდან იმ გოგოზე, რომელსაც მონითალო თმები და დაჭორფლილი, ბრტყელი სახე ჰქონდა, სახელი მეორე დღესვე დამავიწყდა. ამ გოგოს ძმაც ჰყავდა, ზუსტად თავისნაირი, მომღიმარი და ისიც ჭორ-ფლიანი. ის თავისთვის იყო და გვიყურებდა. გოგომ ძლიერად ჩამკიდა თავისი ფართო და ბრტყელგულიანი ხელი და ფუტკრის სახლების სანახავად წამიყვანა. ეს გაზაფხულზე იყო, მივდიოდით დიდ ბალახში და მე საშინლად მემინოდა გველების, ღია ფეხსაცმელი მეცვა და იმიტომ. მერე მივედით ფუტკრის სახლებთან და მან მითხრა: „ეს ჩვენი ფუტკრების სახლებია“. იქ რამდენიმე სკა იდგა, საღამო იყო და სულ სხვანაირი ჰაერი ქროდა. სკებთან ცოტა ხანს გაეჩერდით და მერე ისევე გამოვბრუნდით. მას ისევე ძლიერად ვყავდი ჩაბლუჯული, როგორც თავიდან, მერე კი მკითხა, ხომ არ მიდიხარო. მე ვუთხარი, რომ მეორე დღეს ვაპირებდი ნასვლას, არ ნახვიდე, აქ დარჩიო და მაგრად ჩამიხუტა მკერდში. ჩახუტებებზე ვფრთხები. მისი სახელი არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს – სხვამ გაგვაშველა, ისიც გოგო იყო და ისიც

ითხოვდა, არ ნახვიდეო. მე კი ერთი სული მქონდა, როდის ნავიდოდი და სადმე თავისუფალ ზონაში ჩემს ბიჭს ჩავეხუტებოდი. მეორე დღით ჩვენ ადრე წამოვედით სამსახურების გამო და გზაში ისევე სამსახურებზე და ხელფასზე ჩამოვარდა ლაპარაკი, იმ ბიჭმა, ვის გვერდითაც მეძინა, მითხრა, ნეტა იმდენი ფული მოგვცა, რომ არსად მუშაობა არ გვჭირდებოდეს, ასეთ ადგილებში დავდიოდეთ და ამ ბავშვებს ვასწავლიდეთ, ხომ კარგი იქნებოდაო. ჩემი საპასუხო ემოცია ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ ახლა კი ვგებულობ, რომ ჩვენგან ისინი მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ 46 ქრომოსომის ნაცვლად 47 ქრომოსომა აქვთ. დილეთანტური შედარებაა, ისედაც ვიცი, მაგრამ დიდი განსხვავება ჩვენს შორის ნამდვილად არ არის. ყველანაირად ვცდილობ, თავიდან ავირიდო ის სიტყვა, რომლითაც იმ ჭორფლიან გოგოს ნაირებს მოიხსენიებენ.

მანამდე კი, ადრე, ბავშვობაში, როცა ვერაფრით ვხვდებოდი, რატომ იკრიბებოდნენ ჩემი მშობლები ერთი ძალიან ბნელი შენობის, ყველაფერი ტუალეტის სუნით რომ ყარდა, ერთ ოთახში, სადაც ერთი კაცი შიშველ ქალებს, ფაფარაშლილ ლომებს და საშინელ კობრებს ხატავდა. იქ მე დაეკარგე სულ რამდენიმე საათის წინ ნაყიდი ზაზუნა. უბრალოდ, ხელი გამეშვა, მან ოთახში გაირბინა და მერე გაქრა. ვერსად ვერ ვნახეთ, თუმცა კი ყველა მონადინებით მეხმარებოდა, მაინც ვერ მოვძებნეთ ჩემი თეთრი ზაზუნა. მათ თქვეს – კატა შეჭამდაო, მაგრამ ვერაფრით მივხვდი, ისე სწრაფად როგორ შეჭამდა კატა.

არა! არ უნდა იყიდებოდეს ასეთი თეთრი ზაზუნები, თუ ერთ ნუთში შეჭამს მათ კატა!!!

ახლა კი თეთრ თავუნაზე, რომელიც არასდროს მეყოლება, რადგან დარწმუნებული არ ვარ, ისიც თუ არ ადგება და უმოტივაციოდ არ შეაჭმევინებს კატას თავს, როგორც ადრე, ჩემს ბავშვობაში. ეს ამბავი ისე ჩამყვა გულში,

როგორც ტროლეიბუსში დარჩენილი, ლამაზად ნაქსოვი ლურჯი ქუდი. ისიც ბევრი ვეძებთ და ისიც ვერ ვნახეთ. მოკლედ, ჩემი ბავშვობა სულ დანაკარგებზეა. ახლა კი აზრი არა აქვს ნაცნობი ტროლეიბუსების ძებნას, დაკარგული ნივთის დასაბრუნებლად.

ხოდა ახლა პირველ აბზაცში ნახსენებ კაცზე. მას ჩარლი ჰქვია და 37 წლისაა, დენიელ ქიზის მოთხრობაში ცხოვრობს და ძალიან სურს, გახედეს ჭკვიანი. თავიდანვე იფიქრებთ, რომ უცნაურია რამეა, თუ ამისთვის უნდა ჩაუტარდეს ქირურგიული ოპერაცია, რომლის დახმარებითაც მას ინტელექტი გაეზრდება. ოპერაციის შემდეგ ჩარლის შანსი აქვს, მოუგოს თეთრ თავგს, სახელად ელჯერნონს და სწორად გამოაღწიოს ლაბირინთიდან. ელჯერნონი უნიკალური თავგია, რომელსაც ასევე ჩაუტარეს ქირურგიული ოპერაცია. ისიც ამ მოთხრობაშია.

გონებაჩლუნგი (იგი ასე უწოდებს საკუთარ თავს. სიტყვა, რომელიც არ მინდოდა მენოდებინა) ჩარლი ფაბრიკაში მუშაობს და ფეხსაცმელების საწყობ ადგილს წმინდავს, მას იქ მეგობრები ჰყავს, უფრო სწორად მას ჰგონია, რომ ისინი მისი მეგობრები არიან, სინამდვილეში კი ისინი დასცინიან ჩარლის მისი გონებაზე ლუღლუღობის გამო, ის კი ვერაფერს ხვდება. სამაგიეროდ, ჩარლი უყვარს საღამოს სკოლის მასწავლებელ მის კინიენს, იგი აფასებს მის გულმოდგინებას, რომლითაც ის წერაკითხვას სწავლობს. ოპერაცია ტვინზე წარმატებით ჩაივლის, ახლა უკვე ჩარლის კორექტივები შეაქვს თავის ეპისტოლარულ დღიურებში (დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩარლი დღიურებსაც წერს), იგი იწყებს ფიქრის სწავლას და ფიქრიც ბუნებრივად მოდის: უკვე სწორად სვამს მძიმეებს, კითხვის ნიშნებს, იცის როგორ უნდა გამოიყენოს სასვენი ნიშნები, დაწეროს საქმიანი წერილები, როდის უნდა თქვას სიტყვა „ძვირფასო“. ამ ყველაფერს მას მის კინიენი ასწავლის, ჩარლი გორდონის აზრით კი სასაცილო რამეა ეს სასვენი ნიშნები. მართალია, ვერც კი შეედავები.

ცოტა ხანში ინტელექტუალურად განვითარებული ჩარლი მის კინიენტან ვახშობისას აღმოაჩენს, რომ მის კინიენი თურმე ძალიან ლამაზია, ნუშისებრი თვალები და ფაფუკი ნაბლისფერი თმა აქვს. გონებრივად მონიჭული

ჩარლისთვის მის კინიენი უკვე აღარაა წარმოდგენილად მიუწვდომელი და მოხუცი, იგი მის თვალში დღითიდღე ახალგაზრდავდება, მაგრამ დღითიდღე ჩარლის ინტელექტიც იზრდება, იგი უკვე თავად ატარებს ცდებს ლაბორატორიაში, თავად წერს სამეცნიერო ნაშრომებს, უკვე შეამჩნია, რომ დოქტორი ნემიური სულაც არ არის გენიოსი, რომ მის ცოლს ისეთი ხასიათი აქვს, ბულბულსაც კი დააჩხავლებს, რომ დოქტორმა შტრაუსმა მკვდარი ენებიდან მხოლოდ ლათინური იცის, რომ მისი მეგობრები ფრენკ რელი და ჯო შარპი, სულაც არ არიან მეგობრები და მას სასტიკად დასცინიან, იგი უპკმ ხვდება, რომ საზოგადოება სასტიკია, ეს კარგად ჩანს მის ერთ-ერთ ჩანანერში, როდესაც რესტორანში სავახშმოდ შესული ჩარლი, ერთ უსიამო შემთხვევას გადააწყდება. მასავით გონებაჩლუნგ ბიჭს რესტორანში მყოფი საზოგადოება სასტიკად დასცინის და ისევე ჩარლია ის ადამიანი, რომელიც ხმას ამოიღებს ადამიანური სისასტიკის წინაშე და ხმამაღლა იღრიალებს: „გეყოთ, დაანებეთ თავი! რა მისი ბრალია, თუ ვერაფერს ხვდება... ღვთის გულისათვის, ისიც ხომ ადამიანია!..“ და მალე ჩარლის ხელოვნური ინტელექტი გაუვალ კედლად აღიმართება არა მარტო ფაბრიკის მუშებთან, არამედ მის კინიენტანაც, რომელთანაც უკვე სასაუბრო თემას ველარ გამოიხატავს.

ჩარლის ეს მტკივნეული შემთხვევა უკეთ დანახებს საზოგადოების სისასტიკეს ისეთი ადამიანების წინაშე, როგორც, მაგალითად, თავადაა, უმცარი ჩარლი გორდონი, რომელსაც ჭურჭლის მრეცხავი ბიჭის ერთი სულეური ღიმილი მიახვედრებს, რომ მან ძველი ჩარლი გორდონი საკუთარ თავს გადაუშალა. ეს ფაქტი ჩარლის აიძულებს, უფრო მეტი მონდომებით მოეკიდოს ხელოვნური ინტელექტის გაზრდის პრობლემას. „ხშირად თვალს გადავავლებ ჩემს ანგარიშებს და ვხედავ უნიგურ, ბავშვურად გულუბრყვილო, საწყალობელ, თითქოსდა ბნელ ოთახში გამომწყვდეულ ინტელექტს, გასაღების ჭურჭლუხიდან ხარბად რომ მისჩერებია გარემომცველ ნათელს. გონების სიჩლუნგის მიუხედავად, მაინც ვგრძნობდი საკუთარ არასრულფასოვნებას. ჩემს გარდა, ხომ არავის



ადამიანები და წიგნები ერთად

1. წიგნი და ადამიანი ერთმანეთისთვის დაბადებული მეგონა ყოველთვის, ლიტერატურა, ხელოვნება, საერთოდ, ყველა სახის სულიერი ინტენსივობა აქცევს ადამიანს ადამიანად, ანიჭებს მას დროზე და სივრცეზე ძალაუფლებას, მათი დაძლევის შესაძლებლობას. დღეს კი უკვე ძალიან ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს, შეუძლია კი წიგნს, მხატვრულ ქსოვილს იყოს ისეთივე ძლევაგამოსილი, ისე შეცვალოს თანამედროვე ადამიანის შინაგანი სამყარო, რომ გადაარჩინოს იგი წარმოსახვის გაქრობას, სიტყვიერ ფერთა სიმწირეს, სულიერ სიცარიელეს, მხოლოდ მწარმოებელ და მომხმარებელ მექანიკურ სათამაშოდ ქცევას, ან თუნდაც იმ კომმარს, რომელიც რეი ბრედბერს აქვს აღწერილი რომანში „451“ ფარენჰეიტით“. სულ უფრო და უფრო მანუხებს კითხვა, შეძლებენ კი ადამიანები და წიგნები ერთად აღუდგენენ წინ „მეხანძრეთა რაზმს“, რომელიც წიგნის დასანვავად მიდის. შეუძლია კი წიგნს ისევე ისეთი საყვარელი, ახლობელი, განუყოფელი იყოს ადამიანისაგან, როგორც ათასწლეულების მანძილზე იყო? ვეკითხები ჩემს თავს ამას და პასუხი არა მაქვს. სურვილი, ოცნება, იმედი მაქვს, მაგრამ პასუხი – კი ან არა – ჯერ ვერ ვიპოვე.

2. ზუსტად ვიცი პასუხი კითხვაზე – რა მიყვარს; მათ შორისაა ლიტერატურის ის ძეგლები, რომელთაგანაც ნაწილი ეკუთვნის ჩემი ერის სულიერ საგანძურს და ნაწილიც დანარჩენ კაცობრიობას. ზუსტად ვიცი, რატომ მიყვარს „ვეფხისტყაოსანი“, იმიტომ, რომ მასში არის ადამიანისა და მთელი სამყაროს ურღვევი ჰარმონია. ასევე შემიძლია ვთქვა დანარჩენზე, რაც მიყვარს, რატომ მიყვარს. მოკლედ, ერთადერთ კითხვაზე მაქვს მგონი ურყევი პასუხი: მე მიყვარს წიგნი და ვაღიარებ მის ღვთაებრივ ბუნებას, წარმომავლობას.

ინგა მილორაჰა



უცხოვრია გონების ნათლისა და ბნელის ორივე მხარეს“ – წერს ჩარლი თავის დღიურებში. განა ეს ჩვენც არავართ, ვითომდა გონებაშეუზღუდავნი, ჩვენი გონებაც ასე ჭუჭრუტანიდან არ მისჩერებია ხარბად გარემომცველ ნათელსა თუ ბნელს?!

დასასრული სევდიანია და კლასიკური მოდელის მიხედვით ვითარდება. კვდება ელჯერნონი და კვდება ხელოვნური ინტელექტიც. ტრაგიკულია ჩარლის ბოლო ჩანაწერებიც, სადაც იგი დათრგუნულია თავისი ბედით, იგი კვლავ გონებაშეუზღუდული ხდება, წყვეტს კავშირს საზოგადოებასთან, რომელიც ბოლო დროს შემორჩა და გულდანყვეტილი მიდის სადღაც. არავინ იცის, ჩარლი სად წავა, როგორი იქნება ის ადგილი, სადაც მას ბევრი მეგობარი ეყოლება, სადაც შეიძლება დასცინონ კიდევაც, მაგრამ მერე რა... ჩარლიმ იცის, რომ იყო დრო, როცა ის ძალიან ჭკვიანი იყო. ბოლო ჩანაწერში ჩარლი მის კინიენს სთხოვს, რომ იქნებ ყვავილები მიიტანოს ელჯერნონის საფლავზე. თეთრი თავისი სიკვდილის შემდეგ ხომ თავად ჩარლის არასოდეს ავინყდებოდა ყვავილები მიეტანა უკანა ეზოში. ჩარლი მიდის. მე კი ფეისბუქზე ვტოვებ სტატუსს: „დაბოლოება იყო, როგორც სულის ამოხდომა“.

კრილი კი ბიჭია, რომელსაც მე ლაქად აღვიქვამ, ძალიან ვეცადე აღმექვა ულამაზეს ბიჭუნად, რომელსაც ლექუნა ეფერება ძილის წინ, მაგრამ არაფერი გამომივიდა. კრილი ჭერზე ცხოვრობს და წვიმა ჩამოსული ჭერის ლაქაა. ლექუნას კრილი უყვარს... პერანგიანი ლექუნა ძილის წინ დგება სანოლზე და გრძელი

თითებით ნაზად ეფერება ლაქას. – რას ეფერები, ლექუნა? – კრილის. – კრილი ვინაა? – კრილი ბიჭია. სევდიანი სიყვარულია, რეალური სიყვარულის ისტორიაა. დედაჩემი მეუბნება, ხელი არ ახლო, ეს ჩემი სამომავლო თემააო. თუმცა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ კრილი ნამდვილად არ არის ნამდვილი ბიჭი. ლაქების ეპიზოდი დენიელ ქიზთანაცაა, როცა ჩარლი ვერაფრით აღიქვამს სურათებს და მისთვის ისინი ლაქებია, უნებურად გადაბნილი. იმ დროს ჩარლი მართალი იყო და არავის ატყუებდა, როცა ამბობდა, რომ ლაქა ლაქაა და მასში კაცები და ქალები, ან სხვა რამე ვერ ამოიცნო, ვერ წარმოისახა. აბა ტყუილს ხომ არ იტყოდა?

კი, ნამდვილები არიან სხვადასხვა ნაწარმოებებიდან: სტარბაქსში მომუშავე სემ დოუსონი, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვედრილი მაკმერფი, ვარდისფერი ქალბატონი, რომელიც ავადმყოფ ბიჭს – ოსკარს უვლის, პატარა ბიჭუნა, რომელიც სიკეთის გავრცელების სქემას დახაზავს, ჩარლი გორდონი, რომელიც ცოტა ხნით იყო ჭკვიანი, ამიტომ მათ არ მინდა ვუწოდო ასეთი დაშტამპული სახელი – პერსონაჟი.

კიდევ კარგი, რომ რეცენზიის წერა არ ვიცი, თორემ სადმე აუცილებლად მომიწევდა გადამლაშებები, საზოგადოებისა და პიროვნების კონფლიქტზე წერა, ადამიანების კატეგორიებად დაყოფა, რეკომენდაციები იმაზე, რომ „ყვავილები ელჯერნონისთვის“ აუცილებლად წასაკითხი წიგნია და კიდევ მრავალი სხვა.

ძალიანაც კარგი, თუ რეცენზიის წერა არ ვიცი, ეს ხომ უფრო ამბავია.



„ქართული მწერლობა“ გთავაზობთ

მნიშვნელოვანი ფასდაკლება ჟურნალის ხელმოწერაზე!
„ქართული მწერლობის“ გამომწერის მსურველები დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე: +995 32 25 05 22 ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით info@intelekti.ge და გამოგვიგზავნეთ თქვენი მისამართი, მიუთითეთ გამომწერის ხანგრძლივობა (3-დან 12 თვემდე) და პირადობის მოწმობის ასლი. ჩვენ დაგიკავშირდებით და ჟურნალს ადგილზე მოგაწვდით.
ჟურნალის ძველ ნომრებზე ასევე ვრცელდება ფასდაკლება და მათი შეძენა შესაძლებელია მხოლოდ 1 ლარად გამომცემლობა „ინტელექტის“ მაღაზიაში (ილია ჭავჭავაძის გამზირი №173).

დრამატურგია

თამაზ ჭილაძე

დაკრძალვა სახელმწიფოს ხარჯით
(კომედია)

პერსონაჟები:

ქეთინო
ირაკლი
დათო
ავთო – სახანძრო რაზმის უფროსი
კატო
ექვთიმე

ირაკლის აგარაკი. მოჩანს აივანიანი სახლის პატარა, უმოაჯირო კიბე, ხე, ხის ძირას მაგიდა და რამდენიმე სკამი.

ეზოში შემორბის ირაკლი, დახვეული თოკი უჭირავს. სკამზე ჩამოჯდება. რალაცას ბუტბუტებს. თანდათანობით მისი სიტყვები ჩვენთვისაც გასაგები ხდება.

ირაკლი – მე ქეთინოს მომკვლელი ვარ? გაგიჟდი? კიდევ კარგი, ჩამეძინა! არადა, არ არიან მოსაკლავები? (ხელს სახლისკენ იშვერს) სძინავთ! არა, არა, არა-მეთქი, თავიდან ნუ გადაირევი. მაგას სჯობს, მე მოვიკლა თავი. კი, ნამდვილად ასე აჯობებს. მერე ნახეთ, რა დღეში ჩავარდება ქეთინო! მაგრამ ვერ მივართვით, გვიან იქნება, გვიან! ყველაფერს კი მიხვდება, ჭკვიანია, იკივლებს, მაგრამ რას იკივლებს... მკვდარს ხომ ვერ გამაცოცხლებს! დროზე უნდა გაფრთხილება ქმარს, დროზე! ღმერთო, ხომ ვცხოვრობდით ტკბილად, ნორმალურად. ეს სიტყვა უყვარდა ძალიან, როგორა ხარ, ქეთინო, ვკითხავდი, ნორმალურადო. დილით, მძინარეს ყურში ჩავჭურჩულედი, ფრთხილად, მორიდებით: ყიყლიყო, ყიყლიყო-მეთქი. ასე ვალვიძებდი. ბუზლუნ-ბუზლუნით წამოდგებოდა. მე კი ისევ ძილს შევიბრუნებდი, სად მეჩქარებოდა, სამსახური არ მანუხებდა და არაფერი. ბედნიერი ვიყავი. ნამდვილი ოჯახური ბედნიერება გემრიელი ძილია, მეტი არაფერი. ჩემი ხელით ჩავდგი ეს სკამი, ეს მაგიდა და ა, ბატონო, თურმე ჩემი ეშაფოტი დამიდგამს. ძალიანაც კარგი. რას ერჩი, წინასწარ დამიჭერია თადარიგი – შევხტები ახლა ამ მაგიდაზე და ჩამოვეკიდები აგე იმ

ტოტზე, საგანგებოდაა თითქოს გადმოშვერილი. დილით გამოვა და დამინახავს ჩამოკონწიალებულს.

მაგიდაზე შეხტება. მერე ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც ამბობს.

– ამ თოკს ტოტზე გამოვბამ, არა. ჯერ ყულფს გავაკეთებ. როგორ გაუჩახახახებიათ აქაურობა! რა ხდება, ნეტა? აი, ასე. აი, რად მინდოდა თურმე თოკი, ბავშვს მივეხმარები-მეთქი და ვიყიდე. თურმე ანგელოზისგან მიყიდე, ანგელოზი ყოფილა ის ბიჭი, ანგელოზი! ახლა მთავარია, არ წახდე, ირაკლი, მოლაღატეებში მაინც აღარ გეცხოვრება. ნადი, გაეცალე შენით, შენ თვითონ. არავის აღარ უყვარხარ. ღირს კი აქ დარჩენა? ერთი ნაბიჯი და დამთავრდება წამში. გაგიჟდება ქეთინო. გაგიჟდეს, ჩემი გაგიჟება არაფერია? აბა, ირაკლი, დახუჭე თვალი და ერთი... ორი... ორნახევარი...

პაუზა.

– რას უცდი?

პაუზა.

– (ყივის) – ყიყლიყო!

პაუზა.

– (უფრო ხმამაღლა) – ყიყლიყო!

კიბეზე ჩამორბიან ქეთინო და დათო. ცოტახნის მერე გამოჩნდებიან მეზობლები – კატო და ექვთიმე.

კატო – რა ხდება, რა ამბავია?!

ექვთიმე – მთვრალია, ეტყობა, ვიღაცა! აიღო აქაურობა!

კატო – ყიყლიყო!

ექვთიმე – ხულიგანი იქნება.

კატო – აღარაა საშველი, ბატონო!

დათო – ქეთინო, მომკალი, ეგ თუ ირაკლი არ იყოს!

ქეთინო – ველარ შევიკარი ეს ოხერი ხალათი. დამიდუნდა ხელები. ო, ეს თუ ირაკლია! ო, ეს თუ ჩემი ქმარია! დამაცადოს მაგან! ოოო! ოოო!





კატო – უპატრონოსავით კი ყვირს, ვინცაა!

ქეთინო – რატომაა ვითომ უპატრონო? (ახლოს მიდის) კი, ირაკლი ყოფილა! რა დაგემართა, ბიჭო, გაგიჟდი?

ირაკლი – გაგაღვიძეთ, არა?

ქეთინო – რა გაყვილებს-მეთქი, გეკითხები?

ირაკლი (ყვირს) – ყიყლიყო!

ღათო – შენ რა, ვითომ მამალი ხარ? განდიდების მანიაც დაგვირტყავს! მაგიდაზე რამ შეგახტუნა, შე ქათმის გრიზს გადაარჩენილო?

ირაკლი – ყიყლიყო! გამაჩუმეთ, ხალხო, გამაჩუმეთ!

ღათო – დაიცა, ახლავე გაგაჩუმებ! (მაგიდაზე შესტება) აუ, ამას რა უქნია, კაცო!

ქეთინო – რა იყო, რა?

ღათო (ირაკლის) – თავს იკლავდი, შე იდიოტო? აბა, ჩაინი ცოტა. ნუ გეშინია, ახლავე გიშველი. აჰა, ნაშველი ხარ! ეგ ყულოფი გქონდეს, გალსტუხივით. გიხდება. ვინ იკლავს ახლა თავს?

(ჩამოხტება მაგიდიდან)

ქეთინო – უზრდელის მეტი!

ირაკლი – თავის მოკვლა უზრდელობაა? მართლა გამაგიჟებს ეს ხალხი. კი, იდიოტი ვარ ნამდვილად.

ქეთინო – მიხვდი ბოლოს და ბოლოს?

კატო – ჩვენც გაგვაგებინეთ, რა ხდება, რა ამბავია, ვინ არის ეს კაცი?

ქეთინო – არაფერი არ ხდება, ქალბატონო, არაფერი. ქმარი დაგვადგა მოულოდნელად თავზე მე და ჩემს სტუმარს. მეტი არაფერი.

კატო – მერე, დაგხოცათ?

ქეთინო – აჰ, არა, არა!

კატო – რაღას უცდის?

ირაკლი – ქეთინო, ვის ელაპარაკები?

ქეთინო – ამათი მაინც შეგრცხვეს! დავაფეთეთ მეზობლები.

ირაკლი – როდის მერე გახდენი ეგენი ჩვენი მეზობლები? რაღაც არ მახსოვს?

ქეთინო – დრამატურგის აგარაკი იყიდეს. ქალბატონი კატოა და ბატონი ექვთიმე.

ირაკლი (ყვირს) – ყიყლიყო!

ქეთინო – აი, კიდევ!

ღათო – მართლა იკლავდი, ბიჭო, თავს?

ქეთინო – შენ გაჩუმდი. მაცალე ქმართან ლაპარაკი!

ირაკლი – გახსოვს, ქმარი რომ

გყავს?

ქეთინო – კარგი, გვეყოფა. საკმარისია. მოვუხადოთ მეზობლებს ბოდიში და შევიდეთ შინ, იქ ვილაპარაკოთ.

ირაკლი – არა, არ ნამოვალ. (მეზობლებს) უკაცრავად, ბატონებო, ძილი დაგიფრთხეთ.

კატო (სიცილით) – ყიყლიყო!

ქეთინო – ყიყლიყოს ვჩივით?!

ქეთინო – რას ჰქვია არ ნამოხვალ! აქ დგომა და ყიყლიყოს ძახილი გირჩევნია, ვითომ? კი, ბატონო, შენი ნებაა, ოღონდ, გამაგებინე, ბოლოს და ბოლოს, რა გინდა ამ ყიყლიყოთი თქვა?

ირაკლი – ნუთუ მართლა ალარაფერი გახსოვს, ყველაფერი დაგავინწყდა?

ქეთინო – მაინც, რა უნდა მახსოვდეს?

ირაკლი – არც ის გახსოვს, როგორ გაღვიძებდი?

ქეთინო (განჩხლებული) – გვეყოფა-მეთქი! ჩამოდი ახლავე ძირს!

ირაკლი – ხომ გითხარით, არ ჩამოვალ-მეთქი. ვთქვი და დავამთავრე!

ქეთინო – შენ ახლა რომელი საათი გგონია?

ირაკლი – რა ვიცი, ორია, ალბათ.

ქეთინო – ორი კი არა, სამი ხდება, სამი!

ირაკლი – კარგი, კაცო! ამდენ ხანს მეძინა?

ქეთინო – რა თქვი? გეძინა?

ირაკლი (არ პასუხობს) – აბა, ჩვენებურად, მართლაც, ორი ყოფილა!..

ქეთინო – რა თქვი? შენ გეკითხები!

ირაკლი (არ პასუხობს, თავისას განაგრძობს) – ჩვენი დრო, ჩემო ქეთინო, ერთი საათით უკან რჩება, ფეხს ითრევს, მოსწონს, არ ეთმობა აქაურობა, პლანეტა თავისთვის მიდის, ჩვენ უკან მივჩანჩხლებთ.

ღათო – აუ, შეუბერა თავისებურად!

ირაკლი – ოო, დათოს ვახლავარ!

ღათო – ვითომ ახლა დამინახე?

ირაკლი – მოჩვენება მეგონე – ამ დროს აქ როგორ წარმოგიდგენდი!

ქეთინო – მოჩვენება კი არა, ნამდვილად დათოა. სალამოს ამოვიდა, გიცადა, გიცადა...

ირაკლი – დღეს რომ არ ამოვიდოდი, არ იცოდით?

ქეთინო – მე კი, მაგრამ მაგან ხომ არ იცოდა?

ირაკლი – ვერ უთხარი?

ქეთინო – სტუმარს ხომ არ გავადებდი? თანაც, შენს მეგობარს. ღამით სიარულს ვერიდებო. დაეტოვე. ღვთის

წყალობით, ადგილი ბევრი გვაქვს.

დათო – ვერც შინ დავრეკე, იკლავს სოფო ალბათ თავს!

ირაკლი – რა, ტელეფონი არ მუშაობს?

დათო – მობილურიც არ ნამომიღია!

ირაკლი – ქეთინოს ვერ თხოვე?

ქეთინო – მობილური არ გამაგონო, შენ არ მითხარი? ხომ დაგვჭირდა?

ირაკლი – რისთვის დაგვჭირდა, დათოს რომ დაერეკა სოფოსთვის, ნუ შეგეშინდება, ამაღამ ქეთინოსთან დავრჩები? თბილისში ჩემი ტელეფონი, მაგალითად, მუშაობს!

ქეთინო – მერე, შე კარგო ადამიანი, ვერ დამირეკე, მოვდივარო, ხალხის სამასხარაოდ რომ გამხადე! ამას ვერ გაპატიებ, ვერა!

ირაკლი – აკი ტელეფონი არ მუშაობსო?

ქეთინო – მარტო გარედან ირეკება.

ირაკლი – ასეა ზუსტად ჩემი ტელეფონიც.

ქეთინო – ეგ თოკი ასე კობტად რომ შეგებამს ყელზე, სად იშოვე?

ირაკლი – ძროხას მოვხსენი, აშვებულიყო და მძინარეს თავზე დამდგომოდა. ამ სიგრძე ენა ჰქონდა – ა! სახე ამილოკა.

ექვთიმე – ძალი ყოფილა!

ირაკლი – ძროხა იყო-მეთქი, ძროხა!

ექვთიმე – დარწმუნებული ხართ?

ირაკლი – როგორ, ძროხასა და ძალს ვერ ვარჩევ? რქიანი ძალი გინახავთ სადმე?

პატო – ყმანვილო, მარტო ძროხაა რქიანი?

ირაკლი – მაგით რის თქმა გინდათ, ქალბატონო?

ქეთინო – მოიხედე აქეთ! ძილში ტიროდი ალბათ, შე უბედურო. ცრემლია მარილიანი. თოკი რატომ მოხსენი?

ირაკლი – მე თვითონ მიკვირს. ეტყობა, გულმა მიგრძნო, დაგჭირდებაო.

ქეთინო – ღმერთო ჩემო, მომადგა ყელზე თოკშებმული, მართლაც, აშვებულ ძროხასავით. ჭკუა მოეკითხება ესლა ამას?

ირაკლი – ამხელა ენა ჰქონდა – ა! მერე პატრონი გამოუჩნდა, ათი წლის ანგელოზი. ხუთ ლარს ფეხი არ მოუცვალა.

დათო – ძროხას, კაცო?

ირაკლი – არა, თოკს.

ქეთინო – თოკი რად გინდოდა?

ირაკლი – ხომ გითხარი!

ქეთინო – რა მითხარი, რა?

ირაკლი – არ ვიცი-მეთქი. მართლა არ ვიცი, ღმერთმანი. ანგელოზის თვალები ჰქონდა იმ ბიჭს.

დათო – ხულიგანი ყოფილა.

ირაკლი – ვითომ რატომ?

დათო – ფრთები ჰქონდა?

ირაკლი – ფრთები რატომ უნდა ჰქონოდა?

დათო – ხოდა, ხულიგანი ყოფილა, მაგათა აქვთ კრიალა, ანგელოზური თვალები.

ქეთინო – ასეთი ამოთხვრილი პერანგით რომ დადიხარ, რა ჩამოისხი, რა ჭამე ასეთი?

ირაკლი – სხვათაშორის, მეც ახლა შევამჩნიე, გაგიჩახჩახებით აქაურობა. არ მითხრათ, შენ გელოდებითო. ჭამით რა უნდა მეჭამა, არაფერი.

ქეთინო – აბა, რა არის ეს, რა გარეცხავს ამას?

ირაკლი – ფუნა!

ქეთინო – ფუნა?

ირაკლი – ფუნაში ვნოლილვარ თურმე და არ კი ვიცოდი.

ქეთინო – გეძინა შენთვის, გემრიელად, ფუნაში!

ირაკლი – სულ ფუნაში არ ვენვართ?

დათო – შემახედე! ძროხას უჭამია ნამეტანი ბევრი.

პატო – კი ყოფილა დასაბმელი.

ქეთინო – შენ კი თოკი მოხსენი, უსირცხვილო!

დათო – იქნებ ჩეჩმაში მიდიოდა...

ირაკლი – ვინ, ძროხა?

ქეთინო – ხო, ძროხა, ძროხა! შენ არა თქვი, ძროხა იყო?

ირაკლი – ეჰ, რას იზამ, მეტის ღირსი ვარ, ყველაფერი ჩვენი ბრალია, რაც დაგვემართა, ახია ჩვენზე.

პატო – რა დაგვემართა, ჩემო ბატონო, მაინც ასეთი?

ექვთიმე – ყველას რომ გვადანაშაულებ!

ირაკლი – ყველაფერი, ყველაფერი, რასაც ხედავთ, ყველაფერი დაგვემართა.

ქეთინო – ვერ ატყობ, ბავშვივით რომ ლაპარაკობ, ირაკლი? მიტინგზე ხომ არა ვართ. ჩამოდი მაქედან და გვითხარი ადამიანურად, რატომ ინეჭი ფუნაში?

ირაკლი – ბავშვი რომ ვიყო, რა მიჭირდა!

ქეთინო – რას იზამდი მაინც?

ირაკლი – თოკებს გავყიდდი. ძალიან პერსპექტიული საქონელია,




„გაპლასტმასეზის“ საფრთხე

...ჯერ იმაზე უნდა დავფიქრდე, ვეკითხები თუ არა საკუთარ თავს რამეს ლიტერატურასთან დაკავშირებით. ადრე ვთქვი და ვიმეორებ, მთავარი კითხვა ისაა, სად მოვნახო დრო ნიგნების წასაკითხად და დავაღწე თუ ვერა თავს „გაპლასტმასეზის“ მხატვრული ლიტერატურის კითხვის გარეშე. დროის ფაქტორზე დავფიქრებულვარ ხშირად – როგორ ავანყო დროის მენეჯმენტი ისე, რომ არ მოგწყდეს საკუთარ თავს. ლიტერატურა, პოეზია სწორედ ამაში მესმარებოდა ყოველთვის – რომ საკუთარ თავთან ახლოს ვყოფილიყავი. ახლა კი, აი, ხომ ხედავთ, თქვენც როგორ გაგანვალეთ ამ ორი აზვაცის დანერაზე – რაც გულისხმიერი ადამიანის საქციელი ნამდვილად არ არის. გულისხმიერება კი პასუხისმგებლობასთან მჭიდრო კავშირშია. „გაპლასტმასეზი“ პრიორიტეტების არასწორი დალაგებაა. დღეს ჩემს რეალურ პრიორიტეტებში ლიტერატურა ძალიან უკან არის და ამიტომაც არ მომწონს ჩემივე პრიორიტეტები. მაგრამ არ ვიცი, როგორ შევცვალო ისინი. ცხოვრების წესზე ვსაუბრობ, რომელიც სულიერებისგან სულ უფრო და უფრო მეტად იცლება. მოკლედ, სრულიად არალიტერატურული პასუხი გამომივიდა.

კითხვა, რომლის პასუხი ზუსტად ვიცი: „რომელია ჩემი უსაყვარლესი ნიგნი?“

პასუხი: „ვეფხისტყაოსანი“.

ია ანთაძე



გული მიგრძნობს. ჩემისთანა ბედნიერებით საგსეა ქვეყანა.

ქატიინო – ხო, ხო, ხო, არ დაგვხოცა სიცილით!

ირაკლი – მაგრამ სადღაა ბავშობა, ნავიდა და გაფრინდა!

ღათო (სიმღერით) – „თვალის ვერ მივატანე“!

ირაკლი – კი, მეც მაგას ვამბობ. სათვალის ბავშობას როგორ დაინახავ! სად ნავიდა, სად? რაღაც ხომ უნდა იყოს ამ ქვეყნად კარგი!

ქატიინო – ეჰ, ფული იყოს, თორემ...

ირაკლი – ფული გაკლია, ხომ?

ქატიინო – ქალს ფული ყოველთვის აკლია. ქვეყანას გლეჯენ, ჩვენ კი მობილური ტელეფონიც ვერ გვიყიდია. ეს აგარაკი გვაქვს მამაშენის დანატოვარი და ამას შევცქერით, ესღა დაგვრჩა გაუყიდავი. ეს არის, რომ გრილა, ღამით საბანი მახურავს.

ირაკლი – დათო, მართლა ახურავს საბანი?

ქატიინო – დათომ რა იცის, მე საბანი მახურავს თუ არა?

ირაკლი – იქნებ მატყუებ, არ ვიდელო, არ ვინერვიულო. მოკლედ, დათო, უყურე, ძილში არ გადაიხადოს, შენ გაბარებ, როგორც ჩემს უახლოეს მეგობარს!

ქატიინო – კარგი, კარგი, გვეყოფა მასხრობა, დავიძინოთ. ეს ხალხიც შევანუხეთ.

პატო – პირიქით, გენაცვალე, პირიქით. მე მიყვარს ცოლ-ქმრის ჩხუბის ყურება.

ირაკლი – ჩვენ არ ვჩხუბობთ, ქალბატონო!

პატო – რა დაგიმალოთ და მეც ეს მიკვირს სწორედ, ბატონო!

ქატიინო – ვიფიქრე, დახოცავენ-მეთქი ერთმანეთს, პატრულს გამოვიძახებ-მეთქი, ან სასწრაფოს, შენც არ მომიკვდე, დგანან და ლაპარაკობენ!

ღათო – აქ სანამ ამოვიდოდი, ჩამოვიღე ტელეფონი, ვერაფრით დაგიკავშირდი.

ირაკლი – კი, გარედან არ ირეკება.

ქატიინო – აკი შინიდან არ ირეკებაო?

ირაკლი – ასე ვთქვი? ველარ ვარჩევ, რომელია გარედან და რომელი – შინიდან. ამერია ყველაფერი.

ღათო – მერე ვიფიქრე, ჯანდაბას, ავალ-მეთქი. აქ მეგონე. შენ აქ ამოსვლა ადვილი გგონია? სოფომ ჩამისხა ბენზინი, ჩემმა პრივატიზირებულმა ცოლმა.

ირაკლი – ო, სოფო მაგარია!

ღათო – რა ქნას, ჩალიჩობს რაღაცას.

ირაკლი – კი, ასეა, კი არ ცვხოვრობთ, ვჩალიჩობთ.

ღათო – ის გვინახავს ყველას. ბიჭი ამერიკაში გვყავს, გოგო გერმანიაშია.

ირაკლი – რატომ?

ღათო – რა ვიცი... ყველა ასე არაა? მოკლედ, სოფოს შესანახი გავხდი.

ირაკლი – პარლამენტში ვერ შეხვედი?

ღათო – თავის დროზე არ გამახსენდა, მერე გვიან იყო უკვე. მოკლედ, დიდხანს გელოდი. მე და ქეთინომ ერთი-ორი ხელი „დურაჩკაც“ ვითამაშეთ. მერე დაგვიღამდა. ქეთინომ დარჩიო, სხვა ხომ არა ხარო და მეც დავრჩი. რომ არ ამოსულიყავი, ძალიან მენწყინებოდა.

ირაკლი – დროზე რომ ამოვსულიყავი, „დურაჩკას“ ვითამაშებდით, არა?

ღათო – რა, სამს არ ვითამაშნია „დურაჩკა“?

ირაკლი – როგორ არა, ჩემო დათო, სამს კი არა, მთელი ქვეყანა „დურაჩკას“ არ ეთამაშება ერთმანეთს? დამიგდე ყური – რამდენჯერ დაურეკავს შენს ცოლს, სოფოს, მარტო ვარ, ბიჭი, ანუ შენ, დილაზე არ მოვარო, მაგრამ კი არ გავვარდნილვარ, შენსავით „დურაჩკა“ კი არ მითამაშნია სოფოსთან!

ღათო – სოფო მაგას არ გეტყოდა, უგონებ რაღაცას!

ქატიინო – ჩემო დათო, სოფოს ნუ დაუფიცებ!

ღათო – ნუ შემშალეთ ახლა, როგორ თუ ნუ დავუფიცებ?

ქატიინო – ირაკლი, ტელეფონი გარედან არ ირეკებაო, არ თქვი?

ირაკლი – კი, ნამდვილად ასეა. ეს თუ ტელეფონია და რა ვუთხარი მაგათ.

ქატიინო – მამ, სოფომ როგორ დაგირეკა?

ღათო – ეგ კი მჯერა, სოფოს თუ დაჭირდა, კედელში გავა!

ირაკლი – სოფო ხომ იცი!

ქატიინო – როგორ არ ვიცი!

ირაკლი – სხვათაშორის დღესაც დამირეკა!

ქატიინო – რაო?

ირაკლი – დათო წყნეთში ნავიდაო!

ქატიინო – მერე?

ირაკლი – რა მერე, მეტი რაღა მერეა!

ქატიინო – შენ ის მითხარი, რომელ საათზე დაგირეკა, თუ გახსოვს?

ირაკლი – ალბათ ათზე. კი, ათი იყო

ნამდვილად.

ქატიინო – და შენც გამოვარდი, არა?

ირაკლი – რა გამაჩერებდა?

ქატიინო – გიჟივით?

ირაკლი – გიჟივით არ მითქვამს!

ქატიინო – მერე, სადა ხარ აქამდე? აქ ამოსვლას ჰა ჰა ნახევარი საათი უნდა. სავსეა ტაქსები. ავტობუსები. დაიცა, დაიცა, რა თქვი, მეძინაო? სად გეძინა მაინც, სად დაგადგა ძროხა თავზე?

ირაკლი – სახანძრო რაზმის ეზოში.

დათო – სად, კაცო?

ქატიინო – დათო, ხომ გითხარი, დაგვაცადე ცოლ-ქმარს ლაპარაკი-მეთქი.

დათო – კი, ბატონო... რა ვიცი, სოფო, ესაო, ისაო...

ქატიინო – ხოდა, გაჩუმდი!

ირაკლი – აქ, სოფელში...

ქატიინო – გაიმეორე, რა თქვი?

ირაკლი – შეიძლება მკვდარიც კი ვეგონე ხალხს.

ქატიინო – ღმერთო ჩემო!

ირაკლი – ჩამავლო ოთხმა მეხანძრემ ხელი და გამომაბრძანეს გარეთ.

პატო – ქალბატონო, თქვენი ქმარი მეხანძრეა?

ქატიინო – არა, მწერალია.

პატო – აბა, დიდი პატივი უციათ. მაგას ჰქვია სწორედ დაკრძალვა სახელმწიფოს ხარჯით. ეს დიდი ბედნიერებაა! ჩვენ განცხადებას განცხადებაზე ვწერთ მინისტრის სახელზე, ექვთიმე გვინდა ასე დავკრძალოთ. მთელი ცხოვრება თანამშრომელი იყო, არ ეკუთვნის?

ქატიინო – კი მაგრამ, ქალბატონო კატო, ბატონი ექვთიმე აგერ არ დგას?

პატო – რიგს ვიჭერთ. იცით, რამდენია მსურველი? ამდენი თანამშრომელი თუ იყო, არ ვიცოდით.

ირაკლი – ეგ როგორ არ იცოდით, ქალბატონო, არ გეკადრებათ!

ქატიინო – მოიხედე აქეთ! პირდაპირ სახლში რატომ არ მოხვედი, რას უცდიდი?

ირაკლი – ფეხები წამერთვა... რა ვიცი...

ქატიინო – შეგეშინდა, შე ლაჩარო, შენა?

ირაკლი – მე უნდა შემშინებოდა თუ...

ქატიინო – თქვი, დაამთავრე!

ირაკლი – ყველაფერი აირია ამ ქვეყანაზე!

ქატიინო – ჩვენ რატომ უნდა შეგვშინებოდა, რატომ იფიქრე?

ირაკლი – რა ვიცი...

ქატიინო – აი, ხომ ხედავ, არ იცი! არ

იცი და მაინც ამბობ!

ირაკლი – ავტობუსიდან სახლამდე არმოსული ჩამოვედი. სახანძროს ეზოში შევედი. ბალახში ჩავეჯექი, რალაც-ნაირად ტკბილი და გრილი ბალახი იყო, აი, შენ რომ ლოგინს მიშლი, ისეთი. მოდი, მოვიფიქრებ, როგორ მოვიქცემეთქი.

ქატიინო – აქ რა ამბავიც დაგვებოდა, უკვე იცოდით?

ირაკლი – სოფომ ისეთი ხმით მითხრა, ბიჭი თქვენთან აპირებდა სტუმრობასო, რომ მაგას რალა ცოდნა უნდოდა! ისე ჩამძინებოდა, არც გამიგია. ეტყობა ნერვიულობისგან.

ქატიინო – ნერვიულობისგან უძილობა გამიგია, ბატონო, ეგ რალაც ახალია, ხომ იცი!

დათო – ახლა უკუღმა ყველაფერი.

ქატიინო – შენ გაჩუმდი! (ფეხს დაუბაკუნებს).

დათო – კი, ბატონო...

ირაკლი – მოკლედ, გავიღვიძე თუ არა...

ქატიინო – თუ გაგაღვიძეს?

ირაკლი – როგორც იყო. გეგმაც მზად მქონდა. კიდევ კარგი, რომ არ ვიჩქარე, ცხელ გულზე ვინ იცის, რა საშინელებას ჩავიდენდი.

ქატიინო – ანუ ვაშლი დაგეცა თავზე, არა?

ირაკლი – არ ვიცი, ვაშლი იყო თუ რა... მართლა, ამ გახსენებაზე – შეჭამა თუ არა ის ვაშლი ნიუტონმა?

ქატიინო – ახლა ეგ მადარდე!

ირაკლი – გადავწვავ-მეთქი იქაურობას!

ქატიინო – აჰ!

ირაკლი – აბაა!

ქატიინო – ცხელ გულზე მეტი რალა უნდა გექნა, მკლავედი, ბიჭო?

დათო – რაო, რაო სოფომ, დანვი ჩემი ქმარი ჯორდანო ბრუნოსავითო?

ირაკლი – ჯორდანო ბრუნო არ უხსენებია.

ქატიინო – სოფოს ჯორდანო ბრუნო არც გაუგია ალბათ.

დათო – კარგი რა, ქეთინო, შეეშვი იმ საცოდავს! შენ კი, ძმაო, მომისმინე, რას გეტყვი, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, არ მეგონა, ასეთი ბნელი თუ იყავი. ვინ კლავს ახლა ამის გულისთვის ცოლს, რალა დროს ეგ არი!

ირაკლი – ეტყობა, სოფო დღეს ამიტომაც არის ცოცხალი! ქეთინო, რა გატირებს?

ქატიინო – როგორ გამწირე, შე მოლაღატევე, შენა!



ნანა ვაშნისტყაოსანა

არაერთი კითხვა მანუხებდა ჩემი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე: მაინტერესებდა, როგორ ვერ შეძლო გურამიშვილმა უკრაინიდან საქართველოში დაბრუნება და რატომ გაატარა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი სამშობლოდან შორს, უცხო ქვეყანაში?

როგორები იქნებოდნენ მოხუცი ბარათაშვილი, ლადო ასათიანი, არტურ რემბო?

როგორ მოხიბლა თითქმის შეუხედავმა, წერა-კითხვის უცოდინარმა, სოფელელმა გოგონამ, სოფია კიუნმა, ადრინდელი გერმანული რომანტიზმის ცნობილი წარმომადგენელი და „ერთ-ერთი ყველაზე ილუმინალი სული“ ნოვალისი?

გახდებოდა თუ არა ფრანც კაუკა ასეთი სახელგანთქმული მწერალი სხვა გარემოში, სხვა ოჯახში, რომ დაბადებულიყო და მამის, ჰერმან კაუკას, ზეგავლენისაგან გასანთავისუფლებლად, გასაქცევად არ ეწერა?

მართლა მოეწონა ბარათაშვილს ფრანგი კონდიტერის ქალიშვილი – დელფინა ლაბიელი, თუ ეკატერინეს გასაბრაზებლად ან დასაჯინებლად გააკეთა ეს?

როგორი ლექსი იყო დელფინასადმი მიძღვნილი „ასტრა“?

რას ფიქრობდა უკვე მხცოვანი, ერთ დროს დავით გარეჯის მამათა მონასტერში ბერად აღკვეცილი სულხან-საბა, როცა კათოლიკობას იღებდა?

ნიკო ლორთქიფანიძე რომ ფრანგი ყოფილიყო ან ინგლისელი, ხომ იქნებოდა საყოველთაოდ ცნობილი პროზაიკოსი, ოთარ ჭილაძე კი ნობელის პრემიის ლაურეატი?

კითხვა ბევრი იყო და იცვლებოდა ასაკის, ინტერესების მიხედვით, ბევრ მათგანს ვუპასუხე, ბევრის

დასასრული 29-ე გვერდზე



ირაკლი – მე ვარ მოლაღატე?
 ქატიინო – წამოდი, დათო, წამოდი, ხომ ხედავ, როგორი ბარბაროსია, ველური, ეგ თავს არ დაიჩაგრავს.
 ირაკლი – ხო, წადით, წადით!
 კატო – მეზობელო, სად მიდიხარ, რომ მიდიხარ, მოიხედეთ აქეთ!
 ქატიინო – ქალბატონო, სად მივდივარ და ჩვენს სახლში, აბა, აქ ხომ არ გავათენებთ!
 კატო – კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ამას ჩვენ გვიტოვებთ, ასე უნდა იყოს შესკუპებული ქანდარაზე, მამალივით? ყიყლიყოს აქ ტოვებთ?
 დათო – ქალბატონო, ეს მაგის ეზოა და, რასაც უნდა, იმას დაიცივლებს. მოგეხსენებათ, მამლის ყივილზე ცენზურა არ არსებობს ჯერ.
 კატო – მამალია ვითომ ეს?
 დათო – ეგ სხვა საკითხია, ამას ასე უცებ ვერ დავადგენთ. მამალივით კი ყივის, მაგრამ კანონი არ ირღვევა. უფლება აქვს და ყივის. **(საჩვენებელ თითს შემართავს)** დემოკრატია!
 კატო – დაუშვათ, აქვს უფლება, ჩვენ თუ გვაქვს მაგის ნერვები, ამას აღარ კითხულობთ?
 დათო – სხვათაშორის, მაგიდაც მაგისია, გინდა შეხტება ზედ და გინდა ჩამოხტება.
 კატო – მერე ახტი-ჩამოხტია დემოკრატია? ახია თქვენზე, ახი!
 ქატიინო – მაშინ თქვენ მითხარით, როგორ მოვიქცე, აი, თქვენ, ქალბატონო კატო, მირჩიეთ, რა ვქნა?
 კატო – რა ვქნათ და ვუშველოთ ამ ადამიანს!
 ქატიინო – ამას საშველი რა სჭირს?
 კატო – კაცი რომ მამალივით დაიცივლებს, არ არის ვითომ საშველი?
 ქატიინო – არ მომყვება და რა ვქნა, ასე მირჩევნიაო!
 კატო – ჩვენ ჩვენი ვცადოთ, ხელს ნუ ჩავიქნევთ.
 ქატიინო – მიბრძანეთ-მეთქი, ქალბატონო, როგორ მოვიქცე, ხომ ხედავთ, არ მიჯერებს!
 კატო – შენ, ჭირიმე, ცოლი ხარ, შენთვის ქმრის მიტოვება ადვილია, შეიძლება ითქვას, ნორმალურიც კია, გარკვეული თვალსაზრისით, პირველი შემთხვევა ხომ არ იქნება, ბოლოს და ბოლოს? ჩვენ კი, ანუ მეზობლებს, ამის უფლება არა გვაქვს.
 ქატიინო – ხოდა, ვუშველოთ ერთად, ჩვენებურად, ძველებურად!
 ირაკლი **(შემკრთალი)** – რას მიპირებთ, რა გინდათ ჩემგან?

დათო – ხომ ყიოდი, ძმაო, თუ მომეჩვენა? ჰა? იქნებ მართლაც მომეჩვენა?
 ირაკლი – შენ გგონია, მინდოდა? ნერვები, ნერვები! ვერ მოვკუმე ეს ოხერი პირი ვერაფრით!
 ქატიინო – ჩემს მოკვლას ხომ აპირებდი? არ თქვა, არაო, მენწყინება.
 ირაკლი **(ჩუმად)** – კი, ვაპირებდი...
 ქატიინო – დათოსიც!
 ირაკლი – მაგის უფრო!
 ქატიინო – მერე, შე კარგო ადამიანო, თუ გაგიგია სადმე, ყური მაინც თუ მოგიკრავს, მოსაკლავად მოვარდნილ ქმარს ცოლი ეხვეწებოდეს, შინ შემობრძანდიო, გაგიგია?
 ირაკლი – მეც მაგას არ ვამბობ, რაღაც უბედურება მჭირსო?! ვერ გავაგებინე ამ ხალხს, **(ყივის)** ყიყლიყოო!!!
 დათო – მოკლედ, ერთობი, ხასიათს ისწორებ, არა?
 ირაკლი – რა ვქნა, ველარ ვჩუმდები, ველარ!
 ქატიინო – ხოდა, ამხანაგო ირაკლი, ჩვენც როგორმე უნდა გიშველოთ!
 კატო – მთავარია, მაგიდიდან ჩამოვიყვანოთ! თავსაც ისულელებს და ჩვენც გვასულელებს.
 ქატიინო – კი, ეტყობა, რაც ზევითაა, იმდენი მინაშია!
 ირაკლი – მინაში რა მინდა, ხალხო, რა?
 დათო – ნუ გეშინია, შე ჯიბგირო, ერთი წამის საქმეა!
 ირაკლი – ვაიმე, ესენი მართლა მიპირებენ რაღაცას! დამანებეთ თავი, რა გინდათ ჩემგან? მომეშვით!
 კატო – ტოტს არის ჩაფრენილი, უნდა გავაშვებინოთ როგორმე.
 დათო – ჩამო, ბიჭო, გეხვეწები. არ ამომიყვანო მანდ!
 ირაკლი – ამოხვალ და მიიღებ კიდევც!
 დათო – არ ჩამოდის და რა ვქნა!
 ქატიინო – ა, ხომ დაგჭირდით ბებრები ახალგაზრდებს! რა უნდა ქნა, შვილო, და შემოჰკარი რამე ფეხებზე და ჩამოხტება ლამაზად, დამიჯერე!
 ქატიინო – ცოდოა, ხალხო, ცოდო!
 ქატიინო – მეზობელო, ცოდო ჩვენა ვართ, მაგას რა უჭირს, მიშველეთო და ვშველით.
 ქატიინო – მიშველეთ კი არა, ყიყლიყოო!
 ქატიინო – ეს ერთი და იგივეა, ქალბატონო.
 კატო – სიკეთე ვის დაუნახავს, მაგან რომ დაინახოს! ყმანვილო, დათო

გკვიათ თქვენ, არა?

დათო – დიას, ქალბატონო, დავითი.

პატო – მერე ესეც ჩვენ უნდა გასწავლოთ? მიდი და ფეხებში ჩაავლე ხელი!

დათო – არ მიშვებს და რა ვქნა, ფეხბურთს მეთამაშება უბურთოდ!

ქეთინო – ირაკლი, ნუ მომჭერი თავი, ჩამოდი ეხლავე!

ქეთინო – ჯოხი არა გაქვთ სახლში? ნოხს რითი ბერტყავთ? ეჰ, კაუჭი გქონდათ, კარგი იყო, მაგრამ...

ირაკლი – კაუჭი ციხეში მოიკითხეთ!

ქეთინო – ნახე, ცოდნია! ციხეში რომ მყოლოდი, ამდენ ხანს გაგაჩერებდი მანდ?!

პატო – ნაეალ, ჩვენს ბარს მოვიტან.

ქეთინო – ბარი რად გინდათ, რად?

დათო – შენს ქმარს ვშველით, შენს ქმარს!

ქეთინო – ბარი ჩვენც გვაქვს, მასე კი არაა საქმე. ეგერ ღობეზეა მიყუდებული. ირაკლიც ადამიანია, ბოლოს და ბოლოს! კეტი, ბარი, ნამეტანი ხომ არაა?!

ქეთინო – ქალბატონო, ბარი რომ ადამიანის მეგობარია, არ იცოდით?

დათო – აბა, ბარი ჩემი კოლეგა ყოფილა!

ქეთინო – ხოდა, თუ ნამდვილი მეგობარი ხარ, შემოჰკარი ფეხებში ბარი!

პატო – აი, კომბლები მოვიტანე. ექვთიმეს უყვარს კომბლების თლა.

ქეთინო – ხოდა, ყველამ აიღეთ რაღაცა, კომბალი იქნება თუ ბარი. აბა, შევუტით ერთად, კოლექტიურად. თქვენც, ქალბატონო, თქვენც, თქვენს ქმარს შველით, სხვას ხომ არა!

პატო – აჰა, გამომართვი კომბალი!

ქეთინო – არა, არა!..

პატო – რას ჰქვია „არა“? აბა, ჩვენ დაქირავებულები კი არა ვართ! გამომართვი-მეთქი!

ქეთინო (ართმევს კომბალს) – ცოდოა...

ირაკლი – ქეთინო, შენც?!

ქეთინო – ხო, მეც! მეც! ჩამოდი ახლავე! ნუ გამამწარე!

ქეთინო – აბა, ერთად! შემოჰკარით-მეთქი!

პატო – ფეხებში, ფეხებში!

ირაკლი – ვაიმე დედა! არ დამართყავთ, არ გაგიჟდეთ!

დათო – ჭკუას ისწავლი, ჭკუას! აბა, მოვიდა ბარი, ირაკლის მეგობარი!

ამ დროს სახანძრო მანქანის სირენა გააყრუებს იქაურობას.

ირაკლი (ყვირის) – მიშველეთ! აქეთ! აქეთ!

მანქანის პროექტორი ეზოში შემოანათებს.

ირაკლი – მიქელგაბრიელი მობრძანდა! გადავრჩი!

ქეთინო – ეს სახანძრო მანქანაა, რა გიხარია, ბიჭო?

პატო – სად ხედავთ ხანძარს?

ქეთინო – ეგენი, მგონი, ხანძარს არ უნდა ეძებდნენ...

პატო – აბა, რა უნდათ, რა?

ქეთინო – ხანძარს რა ძებნა უნდა, ხანძარი თვითონ ეძებს მეხანძრეს.

ქეთინო – ახლავე გაფარკვევ ყველაფერს.

ქეთინო – გაგიგიათ სადმე, მეხანძრე ხანძრის ჩასაქრობად ჩქარობდეს?

ცეცხლს ასე არ ეძებენ, ცეცხლმა დამალობანას თამაში არ იცის.

პატო (სიცილით) – ჩვენს ყიყიყოს ხომ არ ეძებენ, შემთხვევით?

ქეთინო (ფიქრიანად) – შეიძლება...

ირაკლი – გაგიჟდი?! მე რატომ უნდა მეძებონ მეხანძრეებმა?

ქეთინო – შეიძლება-მეთქი... შენ ნანილობრივ იმათაც ეკუთვნი, ჩემო ირაკლი.

ირაკლი – რაო, რა თქვი, რაღაც ვერ გავიგე, ხომ იცი!

ქეთინო – ბოლოს და ბოლოს, იმათი მკვდარიცა ხარ.

ირაკლი – რას ჰქვია, მკვდარი ვარ, რას ამბობ?

ქეთინო – დაფუშვით, ცოცხალი, რა მნიშვნელობა აქვს?

ირაკლი – როგორ, მკვდარი და ცოცხალი სულერთია? არ შემშალოთ!

ქეთინო – მოკლედ, მალე გაირკვევა ყველაფერი.

ირაკლი – არ დაიჯეროთ, ჩემი გულისთვის ასეთი ამბავი ამტყდარიყო.

ქეთინო – რატომ, მეხანძრეებიც ადამიანები არიან, მაგათაც აქვთ გული. ადამიანებისა უნდა გჯეროდეს, ირაკლი!

პატო – თუ ჩვენს ყიყიყოს ეძებენ, რაღას ვუცდით, ჩავაბაროთ პატრონს!

ირაკლი – დამშვიდდით, ქალბატონო, ჩემი პატრონი მე ვარ!

პატო – ეს, მართლა, უპატრონო ყოფილა!

ქეთინო – აშვებულნი რომ არის, ნამდვილად ეტყობა.

დათო – მოაშორეთ ეს პროექტორი, დაგბრმავდი კაცი!

შემოდის სახანძრო რაზმის უფროსი.



პასუხი საკუთარ თავში ვიპოვე, მაგრამ დარჩა რამდენიმე კითხვა, რომლებიც დღემდე მანუხებს და რომლებიც, ალბათ, რიტორიკულ კითხვათა რიცხვს მიეკუთვნება.

უმთავრესი აქედან ერთია: როგორ შეძლო ერთმა ადამიანმა, უფლის მიერ ბოძებული, თუნდაც ერთი ცხოვრების მანძილზე ისეთი სრულყოფილი ქმნილების შექმნა როგორც „ვეფხისტყაოსანია“? აღარაფერს ვამბობ სათქმელზე, აზრის სიღრმესა და სინატიფზე, ყველაზე საოცარი აზრის ამ მხატვრულ ფაქტურაში, მხატვრულ ქსოვილში მოქცევა: მაღალი და დაბალი შაირის შეუმცდარი, უნაკლო მონაცვლეობა, რითმა რითმაში, გამომსახველობითი ხერხების, მხატვრული სახეების დახვეწილობა, საოცარი მოქნილობა. კლასიკური ლექსი და მკაცრი კანონიკა არასოდეს ხდება სათქმელის არტახი ან მუხრუჭი, პირიქით, ერთი მეორეს აადვილებს, ხელს უწყობს. ლექსი მდინარესავით მორაკრავებს, მოედინება, მოიმღერის. არსად ჩავარდნა ან სისუსტე, „ლექსის მადანის“ მონატრება ან სიმწირე.

ერთმა ადამიანმა, ერთი თუნდაც ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე როგორ შეძლო „ვეფხისტყაოსნის“ შექმნა?

მარიამ ტურავა



რუსთაველის თეატრი

მის.: რუსთაველის გამზ. 17
ტელ.: 72 68 68
www.rustavelitheatre.ge

3, 4, 5, 6, 7, 23 იანვარი
არჩილ სულაკაური
სალამურა

რეჟ.: რობერტ სტურუა, რევაზ ჩხაიძე,
დავით კვიციანი
დას.: 15:00, დიდი სცენა.
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი

4 იანვარი
ვაჟა-ფშაველა
სტუმარ-მასპინძელი

რეჟ.: გომა გორგოშიძე
დას.: 19:45, მცირე სცენა.
ფასი: 8, 10 ლარი

5 იანვარი
ამელი ნოტოში
მტრის ნიღაბი

რეჟ.: რობერტ სტურუა
დას.: 19:45, მცირე სცენა.
ფასი: 8, 10 ლარი

6 იანვარი
ნელიალო იორდანოვი
ბონაპარტის მკვლელობა

რეჟ.: ვაგა გოშაძე
დას.: 19:45, მცირე სცენა.
ფასი: 8, 10 ლარი

8, 18 იანვარი
რადოსლავ შარბა
გამნაგინი

რეჟ.: ტომას ლეშჩინსკი, ირაკლი გოგია
დას.: 19:45, ექსპერიმენტული სცენა.
ფასი: 6, 7 ლარი

8 იანვარი
ჩრდილების თეატრი
რა საოცარი დღეა

რეჟ.: გელა კანდელაკი
დას.: 19:45, მცირე სცენა.
ფასი: 7, 8 ლარი

9, 10, 11, 12, 13, 14, 30 იანვარი
ოსკარ უაილდი
მარსკვლაზებიძუნა

რეჟ.: რობერტ სტურუა, დათო მღებრიშვილი
დას.: 15:00, დიდი სცენა.
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი

9 იანვარი
ზურაბ ანტონოვი
მზის დაბნელება
საქართველოში

რეჟ.: გომა კაპანაძე
დას.: 19:45, მცირე სცენა.
ფასი: 8, 10 ლარი

ავთო – ღამე მშვიდობისა, ბატონე-
ბო! მე ავთანდილ იმნაძე გახლავართ,
რაზმის უფროსი.

ირაკლი – მობრძანდით! მობრძან-
დით! სადა ხართ აქამდე?

ავთო – რა ბრძანეთ, ბატონო?

ირაკლი – სულზე მომისწარით!

ავთო – არ მესმის?

ირაკლი – სწორედ მოხვედით-
მეთქი!

ავთო – მადლობა ღმერთს!

ღათო – ჩააქრობინე, თუ ძმა ხარ, ეს
პროექტორი.

ავთო ხელით ანიშნებს მანქანაში
მსხდომთ. პროექტორი ქრება.

ავთო – ეტყობა, ნვეულება გაქვთ,
ასე გვიან რომ გღვიძავთ!

ქეთინო – დიახ, აი, ამ პატარა ბი-
ჭუნას დაბადების დღეა, აგერ მაგიდ-
აზე რომ შემხატარა. ლექსს ამბობს. აბა,
თქვი, იკუნა: „ყაყაჩოსა სინითლითა“
...აბა, დაანახე ბიძიას, ხომ ამბობდი,
მეხანძრე უნდა გამოვიდო?

ავთო – აჰ, არ ჰქნა ეგ, ბიძია!
ამოიგდე თავიდან. გაძალღებული
მაქვს ცხოვრება. აგერ ორმოცდაათი
წლისა ვხდები და ერთი ძროხის მეტი
ვერაფერი ვიყიდე ოჯახში. გაბითურე-
ბა და გამასხარავება კიდევ ცალკე-
რამდენი გვირეკავს ტყუულად, გას-
ართობად, არიქა ვინვითო! გავვარდ-
ნილვართ და დავრჩენილვართ ხახამშ-
რალი.

ქეთინო – არა, ჩვენ არ დავგირე-
კავს!

ავთო – არა, ქალბატონო, როგორ
დავგირეკავდით, ჩვენი ტელეფონი
ერთი თვეა არ მუშაობს.

ქეთინო – ისე, გირჩევნიათ, ხანძარი
დაგხვდეთ, ხომ?

ავთო – რასაკვირველია! ჩვენი საქმე
ეს არის. მეხანძრე უნდა გამოვიდო!
რას არ გაიგებს კაცი! თოკი რად გინდა,
ყელზე რომ შეგიბავს, ჩამოხრჩობანო-
ბას თამაშობ?

ქეთინო – დიახ, უყვარს ეგ თამა-
ში. ჩამოეკიდება და ჩამოგხსნით,
ჩამოეკიდება და ჩამოგხსნით.

ავთო – ხოდა, მაგასაც დაანებე
თავი, ბიჭუნავ, არც მაგაში ყრია რამე.

ქეთინო – იკუნა, ხომ გესმის, რას
გეუბნება ბიძია? ხომ დაუჯერებ? რა
უნდა მიპასუხო?

ირაკლი – დიახ.

ქეთინო – ყოჩაღ!

ავთო – გაიზარდე დიდი ბიჭი!

ქეთინო – რა უნდა უთხრა, რა უნდა

უთხრა, ხომ გასწავლე!

ირაკლი – მადლობთ, დიდი მად-
ლობა.

ავთო – ეჰ, ყველა ბავშვი ასეთი წეს-
იერი რომ იყოს!.. ძროხას რამდენჯერ-
აც თოკი შევები, იმდენჯერ მოხსნეს და
გაყიდეს აქაურმა ბაცნებმა. ეჰ, კარგია
კარგ ხალხთან საუბარი, ვიხუმრეთ,
გავიციინეთ კიდევ, მაგრამ სასაცილოდ
მცალია ახლა ვითომ მე? აბა, სად არის
ის სამგლე, ისა?

ირაკლი – აგერ ვარ, ბატონო!

ავთო – თამაში გვეყოფა-მეთქი,
ხომ ვთქვი! ისედაც ამდენ ხანს მო-
გაცდინეთ. დაიცა, დაიცა... (ახლოს
მიდის) მაჩვენე ეგ თოკი! ეს ხომ ჩემი
ძროხისაა! რა უნდა აქ ჩემი ძროხის
თოკს?

ირაკლი – გავგიჟდი, თოკი იცნო,
ხალხნო!

ქეთინო – ირაკლი, აღიარე ყვე-
ლაფერი. დამიჯერე, აჯობებს.

ირაკლი – რა უნდა ვაღიარო, გეს-
მის, რას ამბობ?

თოკს იხსნის და აწვდის ავთოს.

ქეთინო – გულწრფელი აღიარება
განაჩენს ამსუბუქებს, ხომ მართალია,
ბატონო ავთო?

ირაკლი – რა ვაღიარო, ადამიანო,
რა?

ქეთინო – ამ სიგრძე ენა ჰქონდა,
ა-ო, რომ იძახდი, მოუყევი ბატონ ავ-
თოსაც, როგორ დაგადგა ძროხა თავზე.
მე, პირადად დიდი მადლობელი ვარ
თქვენი, ბატონო ავთანდილ, ასეთი პა-
ტივი რომ გიციათ ჩემი მეუღლისთვის.

ავთო – არ მესმის, ქალბატონო, რას
მეუბნებით, რა პატივი გვიცია, ვერ
გავიგე.

ქეთინო – უთხარი, ირაკლი, როგორ
დაგასაფლავებს?

ავთო – დავასაფლავებ? ჩვენ?

ქეთინო – ყველაფერი უთხარი, ნუ
დაუმალავ. ოღონდ, მე ნუ გამრევ მაგ
საქმეში. მე ჩემთვის მეძინა ტკბილად.
კიდევ კარგი მონმე მყავს, შენი ძმაკა-
ცი.

ირაკლი – მოლაღატე!

ქეთინო – მე ვარ მოლაღატე? შე
მართლა უსვინდისო. მაგ თოკივით
მოიპარე ჩემი სიყვარული, უმანკოება,
ჩემი სიყვარული ეზო-ეზო განიავე,
ჩემს უღელს ძროხის თოკი ამჯობინე,
ცოლ-ქმრული სარეცელი ფუნაში გაც-
ვალე!

ღათო – შენს ქელებში ხომ არ დაკ-
ლეს, ბიჭო, ის ძროხა?

ავთომ – სადაა ძროხა, ძროხა სად არის-მეთქი, მოქალაქევე?! (ამათ) – უკაცრავად, ბატონებო, ავლელდი უცებ.

ირაკლი – კი, ბატონო, მე რა მაქვს დასამალი, ყველაფერს გეტყვით. ამ სიგრძე ენა ჰქონდა, ა!

ავთომ – ვის?

ირაკლი – ვის და ძროხას!

ავთომ (შეეჭვებული) – ძალი იქნებოდა...

ირაკლი – ძროხა იყო, ძროხა! ძალს და ძროხას კი ვარჩევ ჯერჯერობით. რქიანი ძალი არ გამიგია მე!

ავთომ – მარტო ძროხაა რქიანი?

ირაკლი – აუ, ახლა ამან დამინყო იტალიური!

ქატიონი – ხოდა, წადი, იკუნა, წაყევი ბიძიას, მიეხმარე ძროხის პოვნაში. ხომ ხედავ, როგორი შეწუხებულია კაცი. აჩვენე ის ადგილი, ამხელა ენა რომ აგისვა სახეზე, ა!

ირაკლი – კი, ქეტიონო, მართალი ხარ. ყველანი მართლები ხართ, დათოც კი.

დათომ – რაო, მართალი ხარო? მიგონებს რაღაცას!

ირაკლი – მე ვარ მარტო მტყუანი და ამიტომაც დავისაჯე ასე, ამიტომაც მაბია თოკი ძროხასავით და ძროხაც მართალია ჩემთან!

ვილაცას გასძახის სივრცეში

– ეი, ეი, უუუ! უუუ!

კატომ – გაგიჟდა?!

ქატიონი – როგორ გეკადრებათ, ქალბატონო?

კატომ – აბა, ვის ეძახის?

ქატიონი – დანამდვილებით ვერ გეტყვით, მგონი, აქაურ ანგელოზებს, ქალბატონო!

ირაკლი (გასძახის სივრცეში) – ჩამკიდე ხელი, პატარა ანგელოზო, წამიყვანე სადმე, ოღონდ აქედან წამიყვანე, შორს, სულერთია, სადაც გინდა!

ავთომ – მარტო ძროხა ხომ არ არის რქიანი-მეთქი, სხვა რა ვუთხარი, რა ენყინა? ვერ გავიგე, რა ხდება!

ირაკლი (ჩამოხტება მაგიდიდან) – მოკლედ, ბოდიში მინდა მოგიხადო, ჩემო ბატონო, ჩემო ახალო მეგობარო!

ავთომ – ბოდიშს რატომ მიხდით, ბატონო?

ირაკლი – დამნაშავე ვარ და იმიტომ.

ავთომ – კი მაგრამ...

ირაკლი – არა მარტო შენთან, არამედ ღმერთის წინაშეც, აქ რომ

აგუზგუზებული ცეცხლი არ დაგახვედრე, დიდი, მაგარი ხანძარი, რომ არ გადაგწვი აქაურობა. კი იყო დასანვაგი, დამიჯერე. მაპატიეთ ყველამ, როგორმე. რაც შეეხება რქიან ძალს, ეგ ზოოლოგიური პრობლემა გზაში გავარკვიოთ. (ქეტიონს ფებს დაუბაკუნებს) – არ მითხრა, დარჩიო, თორემ მართლა არ ვიცი, რას ვიზამ.

(ავთოს) – ძროხის მაგივრობას ვერ გაგიწევ, მაგრამ, რა ვიცი, თავს არ დავიშურებ, შეშას დავაპობ, წყალს მოგიზიდავ, ჭადრაკს გეთამაშები, გაზეთს წაგიკითხავ სმამალა, კროსვორდს შეგივსებ, დამავალე, რაც გინდა!

ავთომ – როგორ გეკადრებათ, ბატონო, მე უნდა მოგიხადოთ ბოდიში!

ირაკლი – ხოდა, დრო რომ მომივა, თქვენი ეზოს ბოლოში ჩამანვინებ ბალახში. ღმერთო, რა გრილი იყო! ანგელოზების გუნდმა მიმღეროს...

ქატიონი (ტირილით) – ირაკლი!

ირაკლი (ყურადღებას არ აქცევს).

ავთოს) – წამოდი-მეთქი, ვის ვეუბნები! მოხალისე მეხანძრედ ჩამწერე, ერთად ვეძებოთ ძროხა. ბოლოს და ბოლოს, მთელი ქვეყანა მენველ ძროხას არ დაეძებს? ეს არის და ეს, მეტი არაფერი. ბავშობაში მეხანძრეობაზე ვოცნებობდი და აი, ამისრულდა კიდეც. მწერალი მეგონა თავი, წარმოგიდგენია?! რა იდიოტი ვარ, რა იდიოტი ვარ! წამოდი-მეთქი.

ქატიონი – ჩემო ავთანდილ, მოიხედეთ აქეთ! რადგან გეუბნება, წამიყვანეო, თქვენც ხატრს ნუ გაუტეხთ. მე იმაზე ვწუხვარ, რომ პირველად ხართ ჩემს ოჯახში და ასე უპატივცემულოდ გიშვებთ ასეთ იშვიათ სტუმრებს.

ავთომ – რას ბრძანებთ, ქალბატონო, ახლა სტუმარი თქვენს მტერს!

ქატიონი – ასე რომ, ნახვამდის, ნახვამდის, გამოიარეთ ხოლმე!

ირაკლი – ნახვამდის კი არა, მშვიდობით-თქო, შე სულელო, მეხანძრეს „ნახვამდისო“ ვინ ეუბნება?

ქატიონი – შენ კი მშვიდობით, ჩემო იკუნა. აბა, შენ იცი. არაფერს მიბარებ? ირაკლი – ბეე!

ავთო და ირაკლი მიდიან. მანქანაც მიდის.

ქატიონი – როგორი სიპაითური კაცი იყო. კარგია, როცა უფროსობა გეტყობა, სულერთია რისი უფროსი ხარ.

კატომ – აბა, ჩვენც წავალთ ახლა! ყველაფერი გაირკვა!

ქატიონი – წამო, დედიკო, ალა-



წესთაველის თიატრი

11, 19 იანვარი
ალეკი ბლაიტი
„მზამართი ახლა ჩემი ლტოლვილივარ?“
რეჟ.: ალეკი ბლაიტი
დას.: 19:45, ექსპერიმენტული სცენა.
ფასი: 6, 7 ლარი

12 იანვარი
გიო მგელაძე
ბაილიმთ, ჩიტი
ბამოფრინდვა
რეჟ.: გიო მგელაძე
დას.: 19:45, ექსპერიმენტული სცენა.
ფასი: 6, 7 ლარი

13, 20 იანვარი
მურმან ჯინორია
„ქარი მყურია მი პირდაპირი“
რეჟ.: მურმან ჯინორია
დას.: 19:45, ექსპერიმენტული სცენა.
ფასი: 6, 7 ლარი

16, 22 იანვარი
უილიამ შექსპირი
შოპის მითორამმა ლამი,
ანუ რობორტ გინეპოტი
რეჟ.: რობერტ სტურუა
დას.: 19:45, დიდი სცენა.
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი


21, 28 იანვარი
ირაკლი სამსონაძე, გიორგი თავაძე
დაბოლილი მთვარე
რეჟ.: გიორგი თავაძე
დას.: 19:45, დიდი სცენა.
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი

25, 26, 30 იანვარი (პრემიერა)
როლანდ შიშელაფენიგი
ქალი წარსულიდან
რეჟ.: მაკა ნაცვლიშვილი
დას.: 19:45, მცირე სცენა.
ფასი: 8, 10 ლარი

27 იანვარი
მაქს ფრიში
ბილმარანი და
ცმცხლის წაგვიდგამენი
რეჟ.: რობერტ სტურუა
დას.: 19:45, დიდი სცენა.
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი

29 იანვარი
უილიამ შექსპირი
ჰამლეტი
რეჟ.: რობერტ სტურუა
დას.: 19:45, დიდი სცენა.
ფასი: 6, 7, 8, 10, 12 ლარი

29 იანვარი
ჩრდილების თეატრი
წელიწადის ოთხი დრო
რეჟ.: გელა კანდელაკი
დას.: 19:45, მცირე სცენა.
ფასი: 7, 8 ლარი



რაფერია აქ საყურებელი.

ქეტიმო – დიდი მადლობა, შეგანუხეთ ძალიან!

ქეტიმო – ერთ მწკრივად მოენყვით. მარჯვნივსაქენ! ნაბიჯით იარ!

მიდიან.

ქეტიმო (მთქნარებით) – რა ვქნათ ახლა? **(ხელის ზურგს პირზე აიფარებს)** – უკაცრავად.

დათო – რა ვიცი.

ქეტიმო – არავინ არაფერი არ იცის.

დათო – ძნელია, ძილი რომ გაგიტყდება.

ქეტიმო – მეხანძრეებს „ნახვამდის“ ვინ ეუბნებაო!

დათო – კარგი, გეყოფა. მაგას არაფერი უჭირს, შენს თავს მიხედე.

ქეტიმო – მგონი, სამუდამოდ გამიტყდა ძილი. არადა, რა ლამეა! რა ჰაერია! შეხედე, დათო, რა ვარსკვლავებია!

დათო – ნანახი მაქვს!

ქეტიმო – რას ამბობ, დათო?

დათო – რას ვამბობ და ნანახი მაქვს-მეთქი!

ქეტიმო – ღმერთო ჩემო. ცა ყოველ ღამე ახალია!

დათო – აუ, დამინყო ამანაც პოეტობა! ერთი ხომ ნახე, სად ნაიყვანეს!

ქეტიმო (ფიქრიანად) – ეზოს ბოლოსო, გრილ ბალახშიო...

დათო – რა გატირებს, გოგო, გააფრინეთ ორივემ?

ქეტიმო – ვინ მოგახსენა, რომ ვტირი? კარტი ხომ არ გვეთამაშა?

დათო – რაო? ვერ გავიგე? კარტო?

ქეტიმო – აგერ ხალათის ჯიბეში მიდევს. ხო, დავესხდეთ აგერ. ირაკლის ჩადგმულია ეს მაგიდა. ჩემი საცოდავი ირაკლის.

დათო – გეყოფა, ქალო, ნუ ამოიჭამ დარდით თავს, ასე როგორ შეიძლება!

მაგიდასთან სხდებიან.

ქეტიმო – დაარიგე.

თამაშობენ.

ქეტიმო (მჯიღს ჩაირტყამს მკერდში) – ოოო, თეთქვამენ, იცოცხლე, გემოზე!

დათო (კარტს ჩასცქერის) – ვის?

ქეტიმო – გაჭრილია!

თამაშობენ.

ქეტიმო – როგორ მოხდა, დღეს შუქი რომ არ ჩააქრეს?

დათო – ამას მე მივიღებ. არჩვენებია, ალბათ.

ქეტიმო – ბარემ ესეც მიიღე! არჩვენები?

დათო – ახლა მე მოვდივარ, ხომ? **(ნაიმღერებს)** არჩვენები... არჩვენები... **(ჩვეულებრივად)** ეჰ, წავიდოდი ანი მეც შინ.

ქეტიმო (კარტში იხედება, ცალყბად) – დარჩენილიყავი... რა ვიცი... გათენდება საცაა...

დათო – მაგრამ მეშინია და რა ვქნა!

ქეტიმო (ფიქრობს, რა კარტი ჩამოვიდეს. იმეორებს) – გეშინია, გეშინია... **(უცებ, დაინტერესებული)** – გეშინია? რისი გეშინია?

დათო – რა ვიცი... მეც ძროხის საძებნელად თუ გამიშვეს...

ქეტიმო – ო, რა ხარ, დათო, რა ხარ! ძროხის საძებნელადო!

იცინიან.

ქეტიმო (სერიოზულად) – ტყუილად გეშინია. სოფო ფრთხილი გოგოა. თადარიგს დაიჭერდა. უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაგაგდებს. ქმრის პატივისცემა იცის. კარგი ცოლი გყავს, კარგი... შენ რა გითხრა, ძროხის საძებნელადო! **(შეცვლილი ხმით, მკაცრად)** – ჩამოდი, რაღას უტყდი!

დათო – ა, ბატონო, ჯერ ეს იყოს.

ქეტიმო – კოზირს ჩამოდიხარ?

დათო – ეგ მე ვიცი.

ისმის მამლის ყვილი.

დათო – გესმის?

ქეტიმო – რა?

დათო – ყიყლიყო!

ქეტიმო – არა, ეგ ნამდვილი მამალია!...

თამაშობენ.

მამლების ყვილი თანდათან მატულობს.

დასასრული

ესეისტიკა / დოკუმენტური პროზა

სერგო წურნუშია

წერამწერალის ირონიაშეპარული ჩაღიშება

ანუ ლიტერატურული სიდიდე მცირე სახასიათო დეტალებით

ლიტერატურულ რუკაზე მოსანიშნ მონაცემულად ამა თუ იმ გეოგრაფიული პუნქტის აღზევება მხოლოდ ორ მოვლენას შეუძლია: ან დიდი პოეტის (მწერლის) დაბადებას იმ პუნქტში, ან ისეთ ღირსშესანიშნავ მოვლენას, როგორც უკვე სახელმწიფოებრივი შემოქმედის სტუმრობა...

ასე გააუკვდავა ტერენტი გრანელისა და ლეო ქიაჩელის დაბადებამ მანამდე ყოველად შეუმჩნეველი დასახლება, რომლის სახელი ნაღწევიცა ახლა უკვე ლიტერატურის ნებისმიერმა მოყვარულმა იცის...

გალაკტიონისა და ტიცინანისამ – ჭყვიში...

აკაკისამ – სხვიტორი...

ვაჟასამ – ჩარგალი...

სხვისამ კიდეც – სხვა!..

ზუგდიდს რომ არც ერთი წონადი შემოქმედი არ ეშვა... არც სულმნათი აკაკი იყოს ნამყოფი ან არც დიდებულ რაფიელ ერისთავს ემოღვანოს იქ, ლიტერატურულ სიდიდედ მას იოსებ გრიშაშვილის წვევა და სასტუმროს აივნიდან ჩვეული ცეცხლოვანი პათოსით წაკითხული ლექსის სტრიქონებიც აქცევდა...

ხოლო, ის მანდილოსანი, ვისაც ეს სტრიქონები მისძღვნია, ჩემი წაღწევის კარის მეზობელი, უამრავი წლის განმავლობაში ჩემს თვალწინ ერთ ჩვეულებრივ ზემოლაკადურ ოჯახში მოფუსფუსე, ერთი ჩვეულებრივი ბიცოლა – მარგო ჩხეტიაკვარაცხელია თუ აღმოჩნდება, ვერაფრით წარმოვიდგენდი და ეს ამბავი ჯერ კიდევ ლიტერატურული მისტიკის ბუნდოვანი პლასტიკებიდან გამოჟონილ ირონიაშეპარულ ჩაღიშებად მეჩვენება წერამწერალისა, ამ ნაგვიანევი აღმოჩენით ასერინად გაოგნებულს...

არსებობს ერთი ასეთი რუსული გამოთქმა: ხელის ჩამორთმევის რანგში ნაცნობი. საინტერესოა, რამდენ უკვდავ შემოქმედს ვიცნობთ ჩვენ ხელის ჩამორთმევის შუამავლობით?!

პირადად მე ვიცნობდი ადამიანებს,

ხელის ჩამორთმევით მივსალმებივარ ორიოდ ადამიანს, ვისაც ტერენტისთვის ჩამორთმევიან ხელი, და არამარტო ხელი ჩამორთმევიან, ამაგიც გაუწევიან მისთვის და შეშველებია უმძიმეს ცხოვრებისეულ გზაზე მოარულ პოეტს...

ჩემი ძვირფასი მარგო ბიცოლა თუ იმათ რიგებში იყო, ვისაც მეოცე საუკუნის ქართული კულტურის მოღვაწეთა შორის გამორჩეულებთან მეგობრობა არგუნა იღბალმა, ჩემთვის და ახლა უკვე მკითხველისთვისაც უცნობი დარჩებოდა, რომ არა ჩვენი სრულიად შემთხვევითი დიალოგი, ნაღწევისაში ერთ-ერთი დროებითი ჩასვლისას რომ გაიმართა და ჩემი ცხოველი დაინტერესება გამოიწვია.

ასე მაქცია ამ დაუფინყარ შემოქმედთა ნაცნობად ხელის ჩამორთმევის შუამავლობამ!..


ძვირფას წინაპართა ხელისგულების სითბო მოიტანა თითქოს ჩემს მარჯვენამდე ქალბატონი მარგოს ხელისგულმა...

ქალბატონი მარგოს მამა ალექსანდრე (სანდრო) ჩხეტიაკ, ზუგდიდედ ჩხეტიაკთა ცნობილი ოჯახის შთამომავალი, რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე, წლების განმავლობაში საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი, პედა-

სხედან პირველ რიგში მარცხნიდან: სოლომონ ცაიშვილი, სანდრო ჩხეტიაკ, იოსებ გრიშაშვილი, როდიონ ქორქია, არჩილ ჩაჩიბაია.

დგანან მარცხნიდან: შალვა შენგელი, მამია გვათუა, მარგო ჩხეტიაკ, დავით კალანდია, ტატინა გრიგოლია, ლეილა ჩხეტიაკ (ქალბატონი მარგოს და), უცნობი პიროვნება (გვარად გვიღავა უნდა იყოს).





იოსებ გრიშაშვილის ლია ბარათი მარგო ჩხეტიასადმი.

გოგი, რომელსაც ღვანლი მიუძღვის როგორც ზუგდიდის, ასევე ქუთაისის ახალგაზრდობის მრავალი თაობის აღზრდაში, ყოფილა თავისი დროის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და სწორედ მასთან და მის გამო მის ოჯახთან უმეგობრია ჩვენი კულტურის არაერთ სახელოვან მოღვაწეს... მათ შორის ლეო ქიაჩელის, შალვა დადიანის, იოსებ გრიშაშვილის, ალიო მაშაშვილის, სოლომონ ცაიშვილის სახელების ჩამოთვლაც იკმარებდა...

თუმცა ალექსანდრე ჩხეტიას საზოგადოებრივ-კულტურული თუ რევოლუციური მოღვაწეობა ცალკე მასალის თემაა და საჭურნალო ესეში ვერაფრით ჩაეტევა, მე ამჯერად მხოლოდ ერთ ფოტოსურათთან და ალექსანდრეს ქალიშვილების, მარგო და ლალი ჩხეტიებისადმი მიძღვნილი იოსებ გრიშაშვილის პატარა ლექსის ისტორია მინდა გადაგიშალოთ, და ამ მეგობრობის დასტურად ქალბატონი მარგოს პირად არქივს შემორჩენილი ორიოდ ბარათთან დაკავშირებული ისტორია მოგიტხროთ, მით უფრო, რომ ეს ბარათები იოსებ გრიშაშვილის ისეთ ავტოგრაფებს ინახავენ, აქამდე რომ არსად გამოქვეყნებულა. ეს კი ნამდვილად არის ლიტერატურული ფაქტი, რომელიც ნებისმიერი სალიტერატურო ჟურნალისთვის იქნებოდა ყურადსაღები და სასურველი მასალა.

ჩხეტიების ოჯახისა და იმ პერიოდისათვის დიდად პოპულარული პოეტის იოსებ გრიშაშვილის დამეგობრებას უფრო ადრე ჩაყრია საფუძველი და

იქნებ მაშინაც კი, როცა ალექსანდრე ჩხეტია, ხონის სასწავლებლის კურსდამთავრებული, ქუთაისში, თავდაპირველად პედაგოგად, შემდგომში კი კერძო გიმნაზიის დირექტორად მოღვაწეობდა. ქალბატონი მარგოს ცნობით, ეს სასწავლებელი თავად ალექსანდრე ჩხეტიას დაუარსებია და განთავსებული ყოფილა მისი ახლო მეგობრების, ნიკო ნიკოლაძის დების – ანასა და ეკატერინეს კუთვნილ სახლში, რომელიც ამ დიდ ქალბატონებს თბილისში საცხოვრებლად გადასვლის დროს უსასყიდლოდ გადაუციათ აღნიშნული სასწავლებლისათვის.

ვინ არ ყოფილა ამ სასწავლებლის სტუმარი, მაგრამ განსაკუთრებით დაუვინყარი მანაც სულმნათი აკაკის სტუმრობა იქნებოდა, ბატონი ალექსანდრეს ინიციატივითა და ორგანიზებით რომ მომხდარა...

ბატონი ალექსანდრეს ქუთაისში მრავალწლიან პედაგოგობას, რასაც იატაკქვეშა თუ გამჟღავნებული რევოლუციური მოღვაწეობა ახლდა თან, მოჰყოლია დაპატიმრება და გადასახლება ციმბირის კატორღაში. მხოლოდ რუსეთის თებერვლის რევოლუციის წყალობით გათავისუფლებულ და სამშობლოში დაბრუნებულ ალექსანდრე ჩხეტიას საბოლოოდ უთქვამს უარი რევოლუციურ მოღვაწეობაზე და გადაუწყვეტია ზუგდიდში დამკვიდრებულიყო, რათა საკუთარი კუთხის ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებლისათვის მიეძღვნა სიცოცხლე...

ზუგდიდში დამკვიდრებულს ცოლად ეკატერინე (კატინკას ეძახდა თურმე) დადიანი შეურთავს, ჯვარში დამკვიდრებული სენაკელი დადიანების შთამომავალი, შალვა დადიანის ახლო ნათესავი, იმდენად ახლო, რომ ცნობილი მწერალი მათი ოჯახის ხშირი სტუმარი გამხდარა. „მთელი ცხოვრება დადიანებს ვებრძოდი და მეუღლედ დადიანი არ შემახვედრა ბედმაო“ – იტყოდა თურმე სიცილით.

...ეს უკვე ორმოციანი წლების მეორე ნახევრის დასაწყისია. ზუგდიდს სწევია შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილთან და ალიო მაშაშვილთან ერთად. ბინად მოწყობილან სასტუმროში, რომელიც მოგვიანებით აშენებული სასტუმრო „ოდიშის“ ადგილზე მდგარა. მწერლების ჩამოსვლის მიზანი იოსებ გრიშაშვილის პოეზიის საღამოს მოწყობა ყოფილა.

ჩვენთვის საინტერესო ფოტოსურ-

რატიც სწორედ ამ ძვირფასი სტუმრების ჩამობრძანების დროს არის გადაღებული.

თავმასპინძლობა, როგორც ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდებოდა, ალექსანდრე ჩხეტიას უკისრია.

სალამო შესანიშნავად ჩატარებულა, როგორც თავად პოეტი აღნიშნავს – ზუგდიდის ძველ თეატრში.

ჩატარდებოდა!..

ჩატარდებოდა – კაცს გალაკტიონს ატოლებდნენ და მასზე მაღლაც აყენებდნენ მავანნი და მავანნი – ერთი პოეზიის სალამო გაუჭირდებოდა?! თუმცა, შემდგომში დრომ ყველას თავის თავისი ადგილი მიუჩინა და მათ შორისაც უცთომლად გაარკვია, ვინ რა რანგის შემოქმედება დატოვა, მაგრამ მაშინ ასეთი აზრი სუფევდა და იყვნენ პოეზიის ისეთი დამფასებლებიც, გალაკტიონზე აღმატებულ ნიშნულად რომ გრიშაშვილი ეჩვენებოდათ.

ჩატარდებოდა... თუმცა, ამჟამად ეს ამბავი როდია ჩვენი ინტერესის ობიექტი. ჩვენ სხვა თარგს მივსდევთ და სხვა წვრილმანები გვაქვს მოსახელთებელი და მოსანიშნი, სათანადო შტრიხები რომ სწორად მოვხაზოთ პოეტის პორტრეტზე...

მეგობრის ოჯახში გამიღილ პურმარილზე, რაკი თავად მასპინძელი შერყეული ჯანმრთელობის გამო სასმელს ერიდებოდა, თამაძობა ზუგდიდში მჭევრმეტყველებით განთქმულ მამია გვათუას რგებია. სპეციალობით აგრონომ მამიას ფართო განათლება ჰქონია და ქალაქში დაფასებული პიროვნება ყოფილა. მისი და, სახელგანთქმული მომღერალი, მოსკოვში მოღვაწეობდა და ესეც მატებდა წონას ამ პიროვნების პროვინციულ რენომეს.

შეხვედრას დასწრებიან სოლომონ ცაიშვილი (რომლის მეუღლე ფატი ჯაყელი გახლდათ ოჯახის ახლო ნათესავი), როდიონ ქორქია და არჩილ ჩაჩიბაია. ზუგდიდის ინტელიგენციის ფართო წარმომადგენლობა კი, რიგი მიზეზების გამო, ამ შეხვედრას ვერ დაესწრებოდა, ეს იყო სერობა, ასე ვთქვათ, ვინრო, სამეგობრო წრეში...

მოლხენის შემდეგ, როცა საპატიო სტუმრები გააცილეს, დარჩენილებს, თამაძის, მამია გვათუას ინიციატივით დაუთქვამთ, სტუმართა სურვილი, მასპინძლის ოჯახის წევრებთან ერთად სამახსოვრო ფოტო გადაეღო, გაეთვალისწინებინათ, სასტუმროში გაეცლოთ და იქიდან ყველანი ერთად სტუ-

დიაში ნასულიყვნენ.

ვერ გეტყვით, რა მიზეზით არის, რომ ფოტოზე ასახულთა შორის შალვა დადიანი და ალიო მამაშვილი არ ჩანან. შემატებით კი ადგილობრივი ინტელიგენციის რამდენიმე წარმომადგენელი, ვინც სანდრო ჩხეტიას ოჯახში გამართულ ტრაპეზზე არ ყოფილა ნანვევი...

ქალბატონმა მარგომ ზუსტად ვერ გაიხსენა ამ შეხვედრის თარიღი, მაგრამ მის ხელთ არსებული ღია ბარათებიდან ცხადი ხდება, რომ მოვლენები 1946 წელს უნდა ხდებოდეს.

სწორედ ზემოთ ნახსენები სასტუმროს აივანიდან მიუმართავს იოსებ გრიშაშვილს ლექსით სანდრო ჩხეტიას ორი ულამაზესი ასულისათვის – მარგოსა და ლეილასათვის. ხოლო, როცა სასტუმროსკენ მიმავალი ქალიშვილები შენობაში შესულან, შალვა შენველს, რომელიც სტუმართან იმყოფებოდა, ძახილით: „ნახეთ, რა ლექსი დაგიწერათ გრიშაშვილმაო“, ფრიალით უჩვენებია დებისთვის ქალაღდის ფურცელი, რომელზეც ლექსი ყოფილა წაწერილი. აი, თავად ლექსიც, რომელიც, მართალია დიდი მხატვრულობით არ გამოირჩევა, მაგრამ პოეტის ალტაცებას და მიუჩქმალავ ამსუბუქებას ნამდვილად გამოხატავს და ამასთან, ძვირფასია, როგორც ლიტერატურული ფაქტიც:

„აივნიდან დავინახე მე ჩხეტიას გოგონები, ნავალ თბილისს და დავტკბები ამ ძვირფასი მოგონებით“.

იოსებ გრიშაშვილს ნაუკითხავს!..

ნაუკითხავს სასტუმროს აივნიდან!..

და მერე როგორ ნაიკითხავდა?!.

ვისაც გრიშაშვილისეული ლექსის ნამღერებით კითხვა არ მოუსმენია, ფირზე აღბეჭდილი მაინც, იმისთვის ძნელი წარმოსადგენი იქნება, ის მგზნებარება და განუმეორებელი ინტონაცია, რომელსაც პოეტი სტრიქონების უკანასკნელ მარცვალთა ამომღერებაში აქსოვდა. სრულიად განსხვავებულთ თანამოკალმეთა ნაწერებისგან, სავსებით განსხვავებულად კითხულობდა კიდეც საკუთარ სტრიქონებს.

მე მახსოვს ეს კითხვის მანერა. სრულიად ყმანვილი ნალენჯიხის კულტურის სახლში დავესწარი ღონისძიებას, სადაც იოსებ გრიშაშვილმა ნაიკითხა ლექსები. იმ ასაკში ვიყავი, როცა შინაარსზე მეტი მნიშვნელობა ფორმას ეძლევა და გარეგანი უფრო აღგებ-



საკუთარსა და მარადიულზე

რა გინდა, რას უკაკუნებ ამ კლავიატურას და რას ფხაჭნი სუფთა ფურცლებს, ვილა ნაიკითხავს ამ ნაჯღაბნებს, შენ რო აღარ იქნები, იმის მერე მეთქი? – ამას ვეკითხები ხოლმე საკუთარ თავს და, – მიუხედავად იმისა, რომ პასუხი არ არის და არც იქნება, მაინც რომ ვაგრძელებ ჩემთვის და არა მალმალე გამოსაქვეყნებლად წერას, საკვირველი ეს არის.

სამაგიეროდ, კიდეც რას ნაიკითხავენ მეთქი, გინდაც რამდენიმე საუკუნე გავიდეს? და ამისი პასუხი ზუსტად ვიცი – უფროსები ვაჟა-ფშაველას სამ შედევრს: „ალუდა ქეთელაურს“, „სტუმარ-მასპინძელს“ და „გველისმჭამელს“, ბავშვები კიდეც – „შვლის ნუკრის ნაამბობს“ – აუცილებლად ნაიკითხავენ.

აიხო მოსულიშვილი



მარგო ჩხეტია

ჭდება გონებაში, ვიდრე მისი შიგა არსი და, რა თქმა უნდა, ვერ გავიხსენებ, რომელ ლექსებს კითხულობდა იმ დღეს პოეტი ნალენჯიხელი პოეზიის მოყვარულებისთვის, მაგრამ აქამდე მაქვს ყურში ჩარჩენილი მისი სიმძაფრისგან დაჭიმული ხმა, შეუდარებელი და განუმეორებელი ჟღერა ლექსისა...

ერთადერთხელ ერთადერთს – ზუგდიდელ პოეტ ისაკ ქორთუას ნაუკითხავს იოსების ლექსი მისეულივე წამლერებით და ამ მიბაძვით დიდად გაუკვირვებია იგი. „როგორ მოახერხე ასე ზუსტად ჩემი ინტონაციის დაჭერა?“ – ჩაეძიებოდა თურმე ამ მოულოდნელობით ნასიამოვნები.

ნაიკითხავდა...

ნაიკითხავდა აივნიდან...

მთრთოლვარე ეთერს შეაფრქვევდა დაუოკებელ ემოციას და გაამარადისებდა იმ წამს, რა წამსაც ლექსად გადმოღვრიდა საკუთარ სულს...

იმ ქალიშვილებს, ვისაც მიუძღვნოდა ასე სადა, მაგრამ ასე ძვირფას სტრიქონებს...

იმ ქალაქს, რომლის სივრცეშიც გაიმქვრეოდა ამ სტრიქონების თბილისურ-აშულურად აქვითინებული მელოდია...

ვის არ აუძკერებდა პოეტისადმი თავყვანისცემითა და მეგობრული სიყვარულით გულს ამგვარი სილაღე შემოქმედისა?!

როგორ არ დაიმკვიდრებდა სამუდამო ადგილს უკვე ასაკშემდგარი პოეტი ახალაკოკრებული ასულების ყმანვილქალური რომანტიკით საოცნებოდ აღვზნებულ სულში და გონებაში?!

და რომ სწორედ ეგ ასაკში დიდი სხვაობა არა, იქნებ...

იქნებ შეჰყვარებოდა კიდევ რომელიმე დათავანს ასე ამაღლებული და ამღერებული მგოსანი, პროვინციელი ასულების გულუბრყვილო და უზაკველი სიყვარულით?!

ქალბატონი მარგო და მისი და ლეილა გამხდარან პოეტის შთაგონების წყარო და მათ ოჯახში მიღებული შთაბეჭდილება მართლაც ძვირფას საგზლად გაჰყოლია თბილისის ნაბრძანების შემდეგაც...

ამის დასტურია ღია ბარათი, რომელიც მალევე, წერილის საპასუხოდ მოუწერია პოეტს ახალგაზრდა მეგობრისთვის. ბარათის გარეყდაზე ადრესატის მისამართია დაფიქსირებული: ქ. ზუგდიდი, ლუქსემბურგის შეს. 2. აქვეა

გამომგზავნისაც (კომინტერნის ქ. 5) და პოეტის ხელმოწერაც, ხოლო მეორე გვერდი გვაუწყებს: „თქვენი ბარათი, ქ-ნო მარგო, მივიღე. დიდი, დიდი მადლობა, რომ არ ივიწყებთ ბებერ (სიტყვა „ბებერი“ ავტორს შემდგომ ჩაუმატებია) პოეტს და ხანდახან გაახარებთ ხოლმე ჩემს გულს; თქვენგან რომ ბარათს ვიღებ, თავი ზუგდიდში მგონია. მაგონდება თქვენი ოჯახი, თქვენი კარგი დედ-მამა, თქვენი დიასახლისობა, ჩემი სალამო, წვიმა... ძველი თეატრი და სხვ... კიდევ მადლობას გწირავთ მოგონებისთვის. მოკითხვა მამას, დედას, ლილას და ყველას, ვისაც ვახსოვარ. შ. შენგელისა დეპეშა მივიღე. თქვენს მშვენიერ პოეტებს ჩემი სალამი! ი. გრიშაშვილი“.

ამ ბარათს თარიღი არ აქვს დასმული, თუმცა, ძნელი არ უნდა იყოს იმაში დარწმუნება, რომ ზუგდიდში ჩატარებული ლიტერატურული სალამოდან და ჩხეტიების ოჯახში სტუმრობიდან მალევე უნდა იყოს დაწერილი, რამდენადაც აშკარაა, რომ პოეტს ჯერაც არ განელებია იქ მიღებული შთაბეჭდილება, თუმცა, გარკვეული დრო კი უნდა იყოს გასული, რაკი პოეტისთვის მეგობარ ქალიშვილსაც მოუსწრია რამდენიმე წერილის მიწერა და მანამდე შ. შენგელისგანაც (რომლის გვარსაც შემოკლების გარეშე, სრული ფორმით აღადგენს გრიშაშვილი) მიუღია დეპეშა.

ფოტოზე აღბეჭდილთა ჩაცმულობით თუ ვიმსჯელებთ, ცივი ამინდები დგას, მაგრამ, ეტყობა არც იმდენად ცივი, რომ ფოტოს გადაღება სტუდიაში გადაეწყვიტათ. და, რადგან ფოტოზე ასახული და ბარათებით გადმოცემული მოვლენები ერთიანი იმავე 1946 წელს უნდა ვითარდებოდეს, ბარათთაგან ერთ-ერთი კი 46-ის 20 ივნისით არის დათარიღებული, სავარაუდოდ, ფოტო იმავე წლის ადრე გაზაფხულზე უნდა იყოს გადაღებული.

სამწუხაროდ, ქალბატონი მარგოს არქივს ლექსის ხელნაწერი არ შემორჩენია, ვერ მოუნახავს იგი დის ოჯახში თუ სანათესაოშიც, თუმცა ძებნით კარგა ხანს უძებნია, კი. „რედაქციებს, მუზეუმებს მიჰქონდათ მასალები და შესაძლოა, სადმე შემონახული იყოს ისიც და სხვა დოკუმენტებიც, ჩემი ოჯახის ქართველ მოღვაწეებთან ურთიერთობას რომ ასახავსო“, – იმედოვნებს ქალბატონი მარგო და მართლაც, იქნებ, ასეა! იქნებ არქივებსა თუ

მუზეუმებში, მტკვრნაყრილ ფოლი-
ანტთა შორის დაუვანებია ჩვენი ლიტ-
ერატურული მატინის საინტერესო და
უტყუარ მაცნეებს და მაღლიანი ხელის
შეხებასლა მოელიან, რომ ახალი, აქა-
მდე დაფარული დეტალები გაგვიცხა-
დონ ამ ჯერაც ბოლომდე შეუცნობელი
ისტორიისა?!

მეორე ბარათი კი, როგორც უკვე
აღვნიშნეთ, თავად პოეტის მიერ არის
თარიღდასმული. მის ყუასაც ადრესა-
ტის, ამჯერად სამსახურებრივი მისა-
მართი – ჯანმრთელობის განყოფილე-
ბა და მიმღების სახელი და გვარი
მარგო ჩხეტია აქვს მითითებული.
ხოლო მეორე მხარეს პოეტის მსხვილი,
გაკრული ხელით ნაწერი ტექსტი ავ-
ტორის გულისწყრომას გადმოგვცემს
იმის გამო, რომ მამა-შვილი ჩხეტიები
თბილისს ყოფილან და ისე გაბრუნებ-
ულან ზუგდიდს, რომ მეგობარი პო-
ეტი (ბარათის კატეგორიულობის გამო
გვევარაუდება – მათთან სავარაუდო
შეხვედრების მოლოდინში მუდმივად
მყოფი) არ მოუნახულებიათ.

ქალბატონი მარგოს მოგონების
მიხედვით, იმ ჯერზე ის და მამამისი,
ოჯახის ახლობლის ავტომობილით
ყოფილან ჩასული თბილისს და იმის
გამო, რომ ავტოს მფლობელს სადღაც
მიეჩქარებოდა, ვეღარ მოუხერხებიათ
მათთვისაც ასე სასურველი აუდიენცია
ძვირფას მეგობარ პოეტთან.

„ეს კი არ მომეწონა! თბილისში ჰყო-
ფილხართ თქვენი მშვენიერი მამით
და არ შემესიტიყვეთ. რატომ?“ ი. გრი-
შაშვილი, 1946. 20/VI – წერს გულდან-
ყვეტილი პოეტი, რომლისთვისაც
მიუღებელი ჩანს ნებისმიერი თავის
მართლება ამა თუ იმ მიზეზით, იმ-
დენად სურს ყველა შესაძლო შემთხ-
ვევაში ნახოს ძვირფასი მეგობრები და
მათთან ურთიერთობითა და ბაასით
გაილამაზოს მარტოსული კაცის ერთ-
ფეროვანი ცხოვრება.

ქალბატონ მარგოს საპასუხო წერი-
ლი კი მიუწერია, დამაჯერებლად რომ
ხსნიდა მიუსვლელობის მიზეზს, მა-
გრამ ეს დიდი შეღავათი ვერ იქნებოდა
გულსდაკლებული პოეტისთვის...

ზუგდიდში ვოიაჟსა და ამ „საყვე-
დურის ბარათს“ შორის რამდენიმე
შეხვედრა ყოფილა და წერილებისა და
ბარათების გაცვლა-გამოცვლაც...

ამ შეხვედრათაგან განსაკუთრებით
დასამახსოვრებელი თბილისში შემდ-
გარა. ოპერის თეატრში ალიო მაშაშ-
ვილის პოეზიის დაგეგმილი საღამო

ჩატარებულა, რომელიც იოსებ გრი-
შაშვილს ნაუყვანია და, მაშაშვილის
საღამო, ფაქტობრივად, გრიშაშვი-
ლისად ქცეულა, იმდენად ელვარე და
შეუდარებელი ყოფილა იმ ღონისძიე-
ბაზე იოსები. ქალბატონი მარგო და
თავისი მეუღლე ფატი ჯაყელი სოლო-
მონ ცაიშვილს გაუგზავნია საღამოზე.
პირველ რიგში მსხდარნი ჯერ კიდევ
ტრიბუნიდან შეუმჩნევია გრიშაშვილს.
საღამოს დასრულების შემდეგ სცენი-
დან ჩამოსულა, ქალბატონებთან დამ-
ჯვარა და დიდხანს გულითადად უსაუ-
ბრია მათთან...

იოსებ გრიშაშვილს ძალიან ჰყვა-
რებია სანდრო ჩხეტია და მეგობრის
ქალიშვილებსაც დიდი მგრძობიარე
გულის სიტბოს უწილადებდა, სადაც
ნახავდა, დიდი სიყვარულით ხვდებოდა
და აცილებდა ხოლმე. ესენიც ჩადიოდ-
ნენ და თავადაც, ამ პირველი შეხვე-
დრის შემდეგ, კიდევ ორჯერ წვევია
ჩხეტიების ოჯახს ზუგდიდში.

მეგობრობა კი, დიდხანს, ბატონი
სანდროს გარდაცვალების შემდე-
გაც, თავად პოეტის აღსრულებამდე
გაგრძელებულა. „პოეტი ბოლო წლებ-
ში ერთბო დაძაბუნდა, იოსების ლან-
დიც კი არ დარჩა, მაგრამ ურთიერ-
თობა უკანასკნელამდე შევინარჩუნეთ,
მინერ-მონერაც ბოლომდე გაგრძელდა
და უამრავი წერილი დამრჩა, თუმცა,
სამწუხაროდ, ახლა ხელთ აღარა მაქვს
ისინი“, – სინანულით ამბობს ქალბა-
ტონი მარგო და ვგრძნობ, რომ არაერ-
თი დაუვიწყარი ფურცელი აღამაზებს
ამ ურთიერთობას, რომელთა გახსენე-
ბა და ჩაწერა, დოკუმენტების მოძიება
და გამომზეურება საშური საქმეა. და
მეც ვცდილობ, ყოველ ჩასვლაზე რა-
ღაც მცირედი მაინც შევმატო ჩემს
ჩანაწერებს, კიდევ რამდენიმე მონას-
მით გავამდიდრო პოეტის ბიოგრაფიის
ფართო და ფერადებით საკმარისად
დატვირთული ტილო.

და განა მარტო პოეტის ბიო-
გრაფიისა, ეს ხომ ზუგდიდის ისტო-
რიის და საერთოდ, ჩვენი ლიტერატუ-
რული მატინის დეტალებიცაა!..

და როგორც ესეის დასაწყისში
მოგახსენეთ, ეს ფაქტიც შეიქმდა ზუგ-
დიდს ლიტერატურულ სიდიდედ...

თუნდაც არც ერთი წონადი შემოქ-
მედი არ ეშვა...

არც სულმნათი აკაკი იყოს ნამყო-
ფი...

ან არც დიდებულ რაფიელ ერისთავს
ემოღვანოს იქ...



ნიიტომა, რომა...


სულ კითხვებს ვსვამ, საკუთარ
თავთანაც და სხვებთანაც, და რო-
გორც წვიმის წვეთის იდენტიფი-
კაცია ვერ ხერხდება ამ წვეთების
სიმრავლის გამო, ასევე ვერ ვას-
წრებ საკუთარი კითხვების მოხ-
ელთებას. პატარა ბავშვივით ვარ,
ყველაფერზე რომ შეიძლება კითხ-
ვა დასვას – ლატო? მერე ლატო
იმიტო? ლატო იმიტომ ლომ იმი-
ტომ? და ა. შ.

ზუსტად მართლა არაფერი ვი-
ცი, არცერთ კითხვას, მითუმეტეს
ლიტერატურულს, არ აქვს ზუსტი
პასუხი ჩემთვის, იმიტომ რომ
ლიტერატურა სუბიექტურია, მე-
ტისმეტად სუბიექტური.

თუმცა ეჭვმიუტანელი ჭეშმა-
რიტებებიც არსებობს, მაგალითად
ის, რომ ბესიკ ხარანაული გენიო-
სია.

ლიანა ანწიშიაი

კრიტიკა



ნანა კუცია

დაუნერეალი პიესის ტკივილი

(როსტომ ჩხეიძის „ლეგენდა ისკანდერიისა“)

„გულგატეხილი ადამიანზე, ვებლაუჭები ტატოს მერანსლა“. მუხრან მაჭავარიანი

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ „თეატრი“ ამგვარადაა განმარტებული:

„სახედველი, ზღუდემოვლებული შუა ადგილი სამღერელად მროკავთა და მოშითათათვის, მორკინალთა და მხეცთათვის საბრძოლველად. მუნ სტანჯვიდიან წმიდათა მონამეთა ყოველთა დასანახველად“ [ლექსიკონი ქართული].

ქართული ენის მესაიდუმლის კატეგორიულობას ეკლესიის უდიდეს ავტორიტეტთა მრწამსი ესაძირკვლება.

მათეს სახარების „თარგმანებაში“ („სწავლაი ვ“ – „ვითარმედ კეთილ არს საღმრთოი იგი გლოაი და ბოროტ არს სიცილი და ვითარმედ ფრიად მავნებელ არს ხედვაი თეატრონთა და სახიობათაი“) წმიდა იოანე ოქროპირი წერს: „არა ჩვენი საქმე არს განცხრომასა და სიცილსა და სახიობასა შინა ყოფაი და მარადლე შუეზაი ხორცთაი. არამედ საქმე არს ესე მეძავთა და მემღერეთაი და მოკიცხართაი. არა არს ესე საქმე ზეცისა იერუსალიმს აღწერილთაი, არა არს ესე საგზალი სასუფეველად ცათა წოდებულთაი, არა არს ესე საჭურველი სულიერსა მას საგრობასა განწესებულთაი, არამედ საქმე არს ესე მსახურთა ეშმაკისათაი. იგი არს მომპოვნებელი ამათ ხელოვნებათაი, რაითამცა დაჰხსნნა მხედარნი ქრისტესნი და შეუჭრნა მათ ძარღვნი ახოვნებისა მათისანი. ამისთვისცა თეატრონი აღაშენნა ქალაქთა შინა და სახიობანი შეჰმზადნა საფრ(თ)ხედ სულთა მათთვის ქრისტეანეთასა... დიდ ვნებაი არს და წარწყმედაი მისლვაი თეატრონად და ხედვაი საქმეთა საძაგელთაი: დედათა მროკველთაი, აღრეულთაი მამათა თანა, რომელთა განაგდიან ბუნებითი იგი სირცხვილი და შიშუელნი უმღერდიან. რაიმცა იყო უძვირეს მუნ მისლვისა? უმჯობის არს მწუიროთა დასურაი პირისაი, ვიდრელა ესევეთარისა უსჯუ-

ლოებისა ხედვაი, რამეთუ არა ავენებს მწუირეი ესრეთ თუალთა, ვითარ ავენებს ესევეთარისა ბოროტისა ხედვაი“.

ოქროპირი, თავის მხრივ, როგორც თავადვე აღნიშნავს, ეყრდნობა პავლე მოციქულის აზრს: „არანმიდებაი ყოველი, გინა ანგჰარებაი, ნუცა სახელედებინ თქუენ შორის, ვითარცა-იგი შეჰგავს წმიდათა, და საძაგელეზაი და სიტყუაი სიცოფისაი და ლალობისაი, რომელი არა ჯერ არს“ [ეფესელთა მიმართ 5, 3-4].

ქრისტიანული მსოფლმხედველობა თეატრს წარმართული სამყაროს მსოფლალქმის ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ანარეკლად მოიაზრებდა.

„ანტიკურობის ლექსიკონის“ განმარტებით, «ià÷èiàÿ ñ èiíòà Ñ-ái àáèà ài iàòáé ÿðù á Àðèiàð áæá-áiáii ñòààèèèèñù òðàáááèèè, èiíáàèè è ñàòèðíñèèè àðàìù. Á èð iñííá èáæàèè èóéùòíñù iáðÿáù, ñíááð-òááòèáñÿ ài áðáÿ ÿðàçáíèèíá á ÷áñòù áíáá Áèiíèñá».

თეატრალური წარმოდგენის რიტუალური წანამძღვრები, „ღმერთ“ დიონისოს კულტიდან მომდინარეობა პირველი მცნების არსს უპირისპირდება („მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე“) და „სახიობის“ შეფასებისას ამადაც მკაცრნი და კატეგორიულნი არიან მოციქულიცა და ეკლესიის მამაც.

იმავედროულად, ქართული ენციკლოპედიის განმარტებით, „ესქილეს, სოფოკლესა და ევროპიდეს ტრაგედიებში მოქმედებდნენ ლეგენდარული გმირები და ღმერთები, რომლებიც მაღალ მოქალაქეობრიობას, სოციალურ და პოლიტიკურ იდეალებს ქადაგებდნენ“.

რენესანსის ეპოქის ჰუმანისტურმა კულტურამ აღადგინა ანტიკური თეატრის ტრადიციები. შექსპირის, სერვანტესის, ლოპე დე ვეგას, კალდერონის

შემოქმედებაში აისახა ეპოქის იდეალე-ბი. რენესანსის დრამას ახასიათებს ფილოსოფიური სიღრმე, პოეტურობა, ჰუმანიზმი.

კლასიციზტური თეატრი მიზნად ისახავდა, შეექმნა გმირი, რომელიც, რთული შინაგანი ბრძოლის შემდეგ, საზოგადოებრივ ინტერესებს პირად ინტერესებზე მაღლა დააყენებდა.

ეპოქის ამაღლებული, მონუმენტური, განყენებული ხასიათი განსაზღვრავდა სპექტაკლის ფორმასაც – ფერწერული, პერსპექტიული დეკორაციის ფონზე მოჩანდა მკაცრი, სიმეტრიული მიზან-სცენები.

ეროვნული თვითმყოფობისა და პიროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა აისახა რომანტიზმის ეპოქის თეატრში (ბაირონი, შელი, ჰიუგო, მიცკე-ევიჩი, ჰოფმანი, ლერმონტოვი), რეალისტურმა და, მოგვიანებით, სიმბოლისტურმა სკოლებმა თემა მხოლოდ გააღრმავეს“ [ქსე, ტ. IV].

რაც შეეხება საკუთრივ ქართულ თეატრს, თემა ფაქიზია და მოკრძალებულ დამოკიდებულებას მოითხოვს, რადგან, თუკი **გალაკტიონის** ფრაზის („პოეტი იყო არა მარტო პოეტი, პოეტი იყო ბედუნი და მეომარი, პოეტი იყო მოსამართლე და უფრო მეტი“ („პოემა ვეფხისა“)) პერიფრაზირებას მოვახდენთ, საქართველოში, „მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა“, „თეატრი იყო არა მხოლოდ თეატრი“.

„მცირერიცხოვანი ერი უფრო მძაფრად გრძნობს ერადყოფნის მისტერიასო“, – წერდა **კონსტანტინე გამსახურდია**.

ქართული თეატრი ვერ იქნებოდა „სახიობა“ ცნების ტრადიციული გაგებით. უფრო – აკრძალული ქართული სიტყვის საფიხვნო...

„ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი“ საქართველოს უკეთეს ჭირისუფალთა უპირველეს საფიქრალს წარმოადგენდა ოდიტგან.

თუმც საბანისძე საკუთრივ თეატრ-სახიობას არსად ახსენებს, „ჰაბოს წამებაში“ კონსტატირებულია გარდაგულარძნილთა დამოკიდებულება ჭეშმარიტ-წარუვალისა და ჟამიერ-ეფემერულისადმი – დავიწყებულია პირველი, გაფეტიშებულია უკანასკნელი.

ეროვნული ყოფიერების „მაჯაშისა შემტყვებარი“, იოანე საბანისძე კატეგორიულია: „ჟამსა მეშვიდესა დარსა ზედა ვდგათ, რომლისა ჟამისათვისცა

უფალი იტყვის, ვითარმედ: „მრავალნი სცთებოდიან და მრავალთა აცთუნებდენ“ და მოციქული პავლე მისწერს ტიმოთესა, ვითარმედ: „მოვალს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღვრებასა არა თავს-იდებენ, არამედ გულისთქმისაებრ თვისისა თავით თვისით შეიკრებდენ მოძღვრებასა ქავილითა ყურთათა და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი გარე-მიიქცინეს და ზღაპრებსა მიექცენ“, რომელიცა ესე ან ჟამსა აღესრულების ჩუენ შორის“ [ჰაბოს წამება, „ქართული მწერლობა“, I, თბ., 1987, 444].

თანამედროვე ქართველი მწერალი, **დავით ქართველიშვილი**, რომანის „ახალი ნიგნი“ ეპიგრაფად წმიდა ბასილი დიდის სიტყვებს, ტრაგიკულის ტრაგიკულ კონსტატირებას გაიტანს: „იქ, სადაც აღარ არის სრულყოფილების იმედი, განცხრომა ნებადართულია“.

საცნაურად ეხმიანება ჟამი ჟამს, ჟამიანობა – ჟამიანობას.

თეატრისადმი, როგორც ეროვნული სიტყვის საფიხვნოსადმი დამოკიდებულების წანამძღვრები, იქნებ სულაც ყვენობასა და ბერიკაობაში იძებნებოდეს, აღლაღებული უცხოტომელის (ყანის) გაქილიკებით, გაშარჟებით მიყურსული ეროვნული ძარღვის შერხვის სურვილით აიხსნებოდეს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ (ირაკლი თოიძის ნახატი)





ალექსანდრე ბატონიშვილი

ილიას პუბლიცისტიკა უზუსტესად განმარტავს ქართული თეატრის „დანიშნულებასა და საღმრთო ვალს“: „სამართლიანად ჰნატრულობენ ბევრნი ჩვენგანნი, რომ ჩვენმა ქართულმა სცენამ რაც შეიძლება ხშირად გაგვიტაროს თვალწინ ჩვენის ცხოვრების ხატი და ამ ხატში გაგვიხორციელოს საგანი ნუთისოფლისა“ [ილია ჭავჭავაძე, ქართული თეატრი].

წერილში „ახალი დრამების გამო“ ილია განმარტავს: „დრამის დამწერს წინ უნდა უძღოდეს დიდი ცოდნა ისტორიისა, დიდი გონებაგახსნილობა, დიდი განათლება, ღვთივმომადლებულ ნიჭის გარდა... დრამა სულისა და გულის ცხოვრებაა, სულისა და გულის დიდს ძვრაზეა ასაგებელი“.

„სამშობლოს“ ეროვნულმა და კატკოვისეულმა რეზონანსმა ილიას სულაც ქრესტომათიული „კატკოვის პასუხად“ დააწერინა...

ყაზბეგის თეატრალური შტუდიები, აკაკის მეცადინეობა ქართული თეატრის ზეობისათვის, რომ არაფერი ვთქვათ მეოცე საუკუნის ქართული თეატრის მსოფლიოში აღიარებულ ფენომენზე, ნათლად წარმოაჩენს, როგორ შეიძლება, „შეფარვით ითქვას“ მთავარი, ტაძართა წვრთვების აპოკალიფსურ ჟამს ამბიონს ემსგავსოს სცენა.

ილიასავე მრწამსით, „ქვეყნად ცა-სა ღვთად მოუცია მარტო მამული“ და თეატრიც ისევე, როგორც ხელოვნების ყოველი დარგი, სწორედ საღმრთო მიზანს უნდა მსახურებდეს.

იქნებ, სნობურმა ცნობიერებამ თეატრის არსად სხვა რამ მოინიშნოს, შეიგულლოს, მაგრამ საქართველოს უკეთესი მოაზროვნენი, თუკი ბასილი დიდის ზემომოყვანილი სიტყვების მრწამსს გავიზიარებთ, განცხრომისათვის ვერ განირავდნენ ერს, სრულყოფილების მომედენი.

თეატრისადმი, სცენური სიტყვისადმი როსტომ ჩხეიძის დამოკიდებულება ილიასეულის იდენტურია და ეს უზუსტესად დასტურდება მწერალი-ბიოგრაფოსის პიესაში „ლეგენდა ისკანდერისა“ [2010, რედაქტორი – მაკა ჯოხაძე].

აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო „მწერლის გადანაცვლება ერთი ჟანრიდან მეორეში“ (როგორც განმარტებულია პიესის წინასიტყვაობაში) – „დრამის დამწერს“ აკი (გავიმეორებთ ზემოთქმულს, ილიასეულს) „წინ უძღვის

დიდი ცოდნა ისტორიისა, გონებაგახსნილობა, დიდი განათლება, ღვთივმომადლებული ნიჭის გარდა“.

ავტორი მოკრძალებულია – თხზულებას პირველ გვერდზე ახლავს მინანური-განმარტება: „მონტაჟი ორ მოქმედებად და ათ სურათად დაუნერელები პიესის ტრაგედიაზე“.

ტერმინ „მონტაჟის“ ჟანრის განსაზღვრებად გატანა მხოლოდ პატივს სდებს ავტორს, თითქოს სასკოლო ღონისძიების სცენარს სთავაზობდეს მოლოდინით გატვრენილ მკითხველს („გვითესავ მარგალიტს, მკითხველიც იმას მკისაო“ – მოგავგონდება ქრესტომათიული).

დასკვნით მინანურში ჟანრი დაკონკრეტებულია, თავად მწერალი განმარტავს: „პოლიტიკური პიესის ნიმუში – პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელი უზვი ციტაციის სტილისტიკით, რისთვისაც არც მიცდია თავის არიდება და, ძალიანაც რომ მომენდომებინა, ვერც ავარიდებდი, რადგანაც ვინ ჩვენა და მხატვრული ფანტაზია ვინა?!

ძალიან ამეკვივათა იმ დაუნერელები პიესის ტკივილი, პოლიტიკურმა რეჟიმმა რომ შეინირა. ეს განცდა იმთავითვე გამიჩნდა, როცა პირველად მოვისმინე მამაჩემისაგან მთელი ეს ამბები, მაგრამ ახლა სულ სხვაგვარად გამიარა გულსა და გონებაში და ძალდაუტანებლად წამომიტივტივდა მოდერნისტული ხანისა და სტილისტიკისათვის ნიშანდობლივი მიდრეკილება – პიესა პიესაში“.

რასაც და რაზეც არ უნდა წერდეს როსტომ ჩხეიძე („მონტაჟსაც“ კი!) მკითხველმა უწყის, რომ ნაწარმოების არსი ყოველთვის ქვეყნის „წყევლაკრულვიანი საკითხავი“ იქნება.

პანია, მაგრამ დიდი ტკივილის (დიდი სინათლის) დამმარხველი წიგნის ვიზუალური მხარეც სიმბოლურია [მხატვარი ნინო ზაალიშვილი] – გარეკანის ფერები ფერთა რობაქიძისეული, ნამდვილქართული პალიტრისაკენ მიგვახედებს: „სილისფერი, ხავსისფერი, ღვინისფერი“ – დაყურსული, შავით (სევდით) განელებული ფერები, აყურული სილუეტი კი თეთრი ცხენისა თითქოს თვითმკმარი ტილოა [ნუგზარ შატაიძის უნატიფესი მოთხრობაც მოგვაგონდება, როსტომ ჩხეიძის პიესის ერთი პერსონაჟის – ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი მიძღვნილი ოდა – „თეთრი ცხენი“, ტატოს მერანიც, ალექსანდრე



ქაქუცა ჩოლოყაშვილი

ბატონიშვილის მფრინავი რაშიც... – მარადი, ნაღვლიანი, ამაღლებული პარადიმები].

მაია ჯალიაშვილის ულამაზეს წიგნს, „გულის ბარძიშ“ ვკითხულობდი ის-კანდერის ლეგენდამდის. იქაც ფერთა იგივე პალიტრაა (რადგან საფიქრალ-სატყვივარი და მზერა-აქცია იდენტური – „მზერა ქართულია სივრცის დაუნჯებით“):

„ტაო-კლარჯეთი... რას ნიშნავს მშრალი რიცხვების უდაბნო სულისათვის?! საქართველოს მესამედი შთანთქმულა საუკუნეთა უფსკრულში...“

ოქტომბერია, მწიფე ოქტომბრის შუაგული, როცა ფერებს ეტყობათ ღვთის ხელი, თითქოს ახლახან დაუსვა მხატვარმა ფუნჯი ტილოზე და სისველე არ შეშრობია ნახატს, ამიტომაც ასეთი ნოყიერი და მსუყეა ზურმუხტი და ლაჟვარდი, ჩალა და ბროწეული...

ოქტომბრის ამ ჯადოსნურ პალიტრაზე ყოველი ფერი შემოუკრებია შემოქმედს: მწიფე ქლიავი და ყვითელი ქარვა, გაცრეცილი სადაფი და ბრდღვი-ალა შვინდი, ბროწეული და მბჟუტავი ნაკვერჩხლები, მელნისფერი მაცვავი და მოლისფერი...

სურნელოვანი და გამრეილი ფერებით პურდება სული“ [მაია ჯალიაშვილი, გულის ბარძიში].

„საქართველოს მესამედი შთანთქმულა საუკუნეთა უფსკრულში“ – ტკივილი აჯერებს მაია ჯალიაშვილის „გულის ბარძიშ“.

ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის უთქმელი სევდით იქსოვება როსტომ ჩხეიძის „დაუნერე-ლი პიესის ტრაგედია“.

„სულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში?!“ – ლოგიკურია და, სამწუხაროდ, რიტორიკული ვაჟას სანათას ტრაგიკული კითხვა.

„სულისა და გულის ცხოვრებაა დრამა“, – გავიმეორებთ ჟანრის ილიასეულ განსაზღვრებას, – „სულისა და გულის დიდს ძვრაზეა ასაგებელი“.

აგებს კიდეც მწერალი-დრამატურგი. „ბავშვობიდანვე მიყვარდა ალექსანდრე ბატონიშვილი. მისი სახელით მზრდიდნენ, მაგრამ ქაქუცას შემდეგ უფრო გამიმძაფრდა სიყვარული მის მიმართ. ქაქუცაში ალექსანდრე დავინახე ხელშესახებად და ალექსანდრეში – ქაქუცა. ერთიან სიმბოლოდ და იდეალად წარმოგება ორივე და, ასე მგონია, ალექსანდრესაც პირადად ვიცნობდი“

– სანდრო ახმეტელის აღსარება ზოგადქართულ გულისთქმას იმარხავს.

ციტატის დასაწყისი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდი იოსების“ ფრაზას მაგონებს: „ბავშვობიდანვე მიყვარდა რაჭველი მეკურტნეები. მხოლოდ ესენი არ თაკილობდნენ ერთ დროს ტფილისის ქუჩებში რუსთაველის ენაზე ლაპარაკს. ყოველ კუთხეში დაბანაკებული, თუ-შურქუდიანი მეკურტნეები ქართულ იერს აძლევდნენ ჩვენს დედაქალაქს“.

„დიდოსტატის მარჯვენაშიც“ მსგავსი კონსტრუქციაა: „ბაღლობიდანვე მიყვარდა და მაცოცება აფხაზთა მეფე გიორგი პირველი, სიჭაბუკეში მომემატა პატივისცემა მისდამი, როცა გავიგე, თუ რამოდენა ვეშაპს შებმია ეს შესანიშნავი რაინდი“.


ვეშაპს შებმოდა შესანიშნავი რაინდი ალექსანდრე ბატონიშვილი, შესანიშნავი რაინდი ქაქუცა ჩოლოყაშვილი. „ბავშვობიდანვე მიყვარდა“ – კონსტრუქცია ბუნებრივია, მოსალოდნელი – იდეალი არქეტიპულ დონეზე განისაზღვრება.

ყოველი ქართველისათვის ბავშვობიდანვე ნაცნობ, საკრალურ სახელებს აირჩევს როსტომ ჩხეიძე პიესის პერსონაჟებად: ნიკოლოზ ბარათაშვილს, სანდრო ახმეტელს, პავლე ინგოროვას, კოტე მარჯანიშვილს, მიხეილ ჯავახიშვილს, გიორგი შატერაშვილს, ოთარ ჩხეიძეს, სხვათა – „ღმრთისა მტერთ“ (ამგვარად მოიხსენიებს „შუშანიკის წამება“ და „ვეფხისტყაოსანი“ უარსო ბოროტის პერსონიფიკაციას), „დიდთა და წვრილთა“: ლაერენტი ბერიას, პლატონ ქიქოძეს, ვინმე გამომძიებელსა და ბადრავს – უსახელოებს (ასე გველს უხმობს ქართული სიტყვის თაურმდგენი).

წარმოჩნდება ქართული სულის ორი პოლუსი.

„დრამატურგიული ჟანრის მოსინჯვა ერთგვარად პოსტმოდერნისტულ სტილში“ ეპოქალურ სულისძვრათა, მარადიული ქართული „წყევლაკრულიანი საკითხავის“ წარმოსაჩენად სჭირდება მწერალს.

აბსოლუტურად განსხვავებულ ეპოქათა (ბარათაშვილის ტრაგიკული ჟამი, XX საუკუნის 20-იანი-30-იანი წლების სისხლიანი კალო, მერე – 40-იანი წლები) შეთანადებით, ერთი ტექსტის მხატვრულ ქსოვილში მოქცევით კონსტატირდება ფაქტი, რომ არაფერია ახალი „მინცივ მბრუნავი“ ცის ქვეშ, რომ „რა-




ბადანტომა ჩრდილიდან... ჩრდილში

ვფიქრობ, რომ ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურის განვითარება კარგა ხნის წინ შეფერხდა და მხოლოდ ამ ფონზე დაიწყო კანტი-კუნტი გამოცოცხლება, რამაც დღეს უფრო აქტიური სახე მიიღო. საბოლოო ჯამში კი მივიღეთ საერთო კონცენტრაციის მასა, რომელიც დიდ ვერაფერ ფასეულობას წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოსთვის. ხშირად მანუხებს კითხვა, რომელსაც ვერ ვპასუხობ – აუცილებელია კანონზომიერების დაცვა? ანუ ჩამორჩენილი პროცესი აუცილებლად უნდა გადიოდეს ყველა საფეხურს? ასეთ შემთხვევაში ხომ კიდეც კარგა ხანს მოგვიწევს ჩრდილში ყოფნა. არ ვიცი, არ ვიცი...

შეიძლება ბევრს ეწყინოს, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ის, ვინც დღეს ლიტერატურულ არენაზე აქტიურობს, მხოლოდ გარდამავალი პროცესის მონაწილეა. დიდი მწერალი ჯერ ჩრდილშია და წერს.

ლელა კოდალაშვილი



ნიკოლოზ ბარათაშვილი
(ლევან ჭოლოშვილის ნახატი)

ლაც დალბა დანიის სამეფოში“ და რომ „დანიას ელის რალაც უბედურება“.

შექსპირის სტრიქონთა ალეგორიული საფანელი ყველას „თავისი დანიისაკენ“ მიახედებს, „თავისი დანიის“ ბედზე დააფიქრებს.

ინგლისელი შექსპირი „დანიისას“ ჰყვება, ქართველი რუსთველი – „ინდოეთ-არაბეთისას“ და იგავის ჭრელი ქსოვილი უგამჭვირვალესად წარმოაჩენს ტრაგიკულ სათქმელს, „მართლად გვიტხრობს, არა-ჭრელად“.

ეპოქათა, „საუკუნეთა მღვრიე მრავლობის“ ჯაჭვის წარმოჩენით მწერალი-დრამატურგი ისტორიის უწყვეტობასაც არეკლავს და პიროვნული არჩევანის ზნეობრივ არსსაც.

სანდრო ახმეტელის, მიხეილ ჯავახიშვილის, პავლე ინგოროყვას, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ეროვნული მრწამსი, ერთი მხრივ, და ლავრენტი ბერიას კომუნისტური „კრედო“ – მეორე მხრივ, ალექსანდრე ბატონიშვილის „განწირულის სულისკვეთება“ და ილიკო ორბელიანის კონფორმისტული მოშურნეობა ის ზნეობრივი არჩევანია, რაც, ზოგადად, ქმნის ხოლმე ეპოქალურ ოქსიმორონს და ნათელ-ბნელის მარადიულ ჭიდილში, ზნეობრივთა წმინდანის შარავანდს არგუნებს.

ამ პერსონაჟთაგან მრავალი (პავლე ინგოროყვა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ალექსანდრე ორბელიანი...) როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანთა და ესეთა მოქმედი პირია.

რაც დეტალურადაა მოთხრობილი რომანებში, პიესაში (ყანრის კანონთა შესაბამისად) ხშირად რეპლიკით, კონტექსტით, ნიუანსითაა წარმოჩენილი.

ავტორის აკადემიზმიდან გამომდინარე, რომანებშიც და პიესაშიც (ტექსტთა მოცულობისა და ჟანრული სპეციფიკის მიუხედავად) პერსონაჟთა აბსოლუტურად თვითმკმარი აბრისი ჩნდება – ხშირად რეპლიკა, ან მოკლე მონოლოგი რომანის ვრცელ პასაჟებზე არანაკლებ ტევადია და მრავლისმთქმელი.

პიესის არქიტექტონიკა საინტერესოა – დასაწყისსა და დასასრულში ოთარ ჩხეიძისა და გიორგი შატბერაშვილის დიალოგია წარმოდგენილი. ტექსტი ლოგიკურად იკვრება – „დასაწყისში დგას დასასრული“ (გოდერძი ჩოხელი). მსგავსია „სამოსელი პირველის“ არქიტექტონიკაც.

„ლამისმთევლები“ (ოთარ ჩხეიძის

ტერმინია) „პუშკინის ძეგლის გადასწვრივ“ სარდაფში სხედან. რესტორნის კედლებზე ნიკო ფიროსმანის სურათები ჰკიდია, კუთხეში მეთარე ზის და აღმოსავლურ ბაიათს უკრავს.

განდობილთა სუფრაა, პურისმტეებს ერთმანეთისა უსიტყვოდ ესმით, ამიტომაც მომჭირნეა და ძუნნი პასაჟის სიტყვიერი ქსოვილი.

აღმოსავლური „ბაიათი, სევდასავით გრძელი“ გულისმომწყვლელი, შემადონებელი მელიოდით თითქოს გამოუვალობის შეგრძნებას ამძაფრებდეს (აბსოლუტურად განსხვავებულია სხვა ეპიზოდთა აკომპანიმენტი, ქართული, „კავკასიური“ მუსიკა – თავისი ცეცხლოვანი რიტმით, ზეიმურობით, სასონარკვეთასაც რომ ღირსეულად დაგაძლევინებს – რწმენით).

უზუსტესია ნიკალას რეპროდუქციების (კონკრეტულად, ალბათ, ქართული ტრადიციული ტრაპეზის რეფლექსიის) მოხსენიებაც – განდობილთა სუფრა ჩუმია, დარდიანი, აბსოლუტურად განსხვავებული „სიცოცხლის ჰომეოფელი“ (მოსე გოგიბერიძე), „ლალი და უკადრი“ ლხინისაგან, „გველის პერანგში“ რომ აღტაცებითა და სიამაყით ხატავს გრიგოლ რობაქიძე.

იქვე სხვა სუფრაც მოაგონდეს, იქნებ, ქართველს – ბერი ხუედიოსისა და ახალგაზრდა გრიგოლ ხანძთელის მოკრძალებული პურობა: „აკურთხეს მაღლობით და იწყეს ჭამად მარადის მეტყველთა სულისა საზრდელსა მას სიტყვასა: „უფალო იესუ ქრისტე, შეგვიწყალებს ჩვენ“ და კინითა მით საშვებლითა ფრიად იშვებდეს, ვითარცა დიდძალითა სანოვაგითა, რამეთუ ღმერთი იყო შორის წმიდათა მათ, სიხარული დაუსრულებელი, კეთილი მოუკლებელი“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

განდობილთა სუფრაზე ნახევარტონებით, მინიშნებებით ითქმება ართქმული, ძნელადსათქმელი.

ოთარ ჩხეიძე, 26-27 წლის ახალგაზრდა (ესე იგი, მოქმედება 40-იანი წლების მიწურულს ხდება), გიორგი შატბერაშვილს მონიშნებითა და სიყვარულით უამბობს ლევანდას, თავად გიორგი შატბერაშვილზე რომ შეუთხზავთ საქართველოში: „სანდრო ახმეტელი აღტაცებულიყო მისი გამოჩენით და მონიდომებდა, სულაც თეატრისათვის დაებეგებინა ეს ახალგაზრდა კაცი, სთხოვდა, „მერანისებური ტრაგედიის“ დადგმა



სანდრო ახმეტელი



გიორგი შატბერაშვილი

მინდა და, იქნებ, შენ მოგეკიდა ხელიო... გვაინტერესებდა, რა უნდა ყოფილიყო ის „მერანისებური“ ტრაგედია“.

„მერანისებური ტრაგედია“ არსის გასარკვევად ქართული კრიტიკის ანალებს დავესესხებით.

მოსე გოგიბერიძე ბარათაშვილის უმნიშვნელოვანესი ლექსისადმი მიძღვნილ წერილში აღნიშნავდა (ვრცელ ამონარიდს დავიმოწმებთ): „პოეტიკიზონიერი, მოგვი და ბრძენი ერთმანეთს ეცილებიან პირველობაში. უიმედობის ტონი იქცევა მარადისობის ხილვის იმედად და ლექსის [„მერანის“ – ნ.კ.] პესიმისტური დასაწყისი მთავრდება სიცოცხლის ჰომოფილი რწმენით.

გენიალურმა პოეტმა განსაზღვრა უსასრულობა და დაამკვიდრა ქართველური განცდა. დანერგილი საქართველოს სახელმწიფოებრივი მეობის შერყევის ეპოქაში, თავისი შინაარსით ეს ლექსი არის ფილოსოფიური ტრაქედიკი. ერთი შეხედვით, ინდიფერენტული სამშობლოს სიყვარულისა და მამა-პაპათა საფლავების მყუდროების მიმართ, პოეტი დაინტერესებულია ინდივიდის ბედითა და არსებობის აზრით.

ლექსის არსი არის პანთეისტური კოსმოპოლიტიური ქორალი, რომლის ჰარმონიით დამძიმებულსა და დაბანგულს, ადამიანს ელვიძება თავისი ნაციონალური მეობისა და თვითცნობიერების სიმალღეზე... შთაგონების პროცესში სასონარკვეთილება ქრება, ბრძოლის წყურვილი იბადება, უიმედობის ადგილს იჭერს იმედი.

ძველი საქართველოს უკანასკნელი დიდი ნაშიერი [ნიკოლოზ ბარათაშვილი – ნ. კ.] ნალველში ამონებული კალმით წერდა „მერანის“ სტრიქონებს.

ბარათაშვილის პოეზიის ამოსავალი პრობლემა არის ბედი ქართლისა. ამ იდეის გადმოცემისათვის ავტორი ხატავს წარმტაც სახეს. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოტრფიალე ფანტაზია ტიტანური პიროვნებისა უგზოუკვლოდ მიფრინავს უკიდევანო სივრცეში. ადამიანს სწყურია, გადალახოს საწუთროება, შეუერთდეს მარადისობას ჟამის და უსასრულობას სივრცის... ინდივიდუალური ბრძოლა თავის ბედისწერასთან ყოფის უნივერსალური არსობის შეგნებით დასრულდა.

ბარათაშვილის პოეზია ინსპირირებულია საქართველოს ეროვნული ტრაგედიით XVIII საუკუნის დასასრულს. ბარათაშვილი იდეოლოგი და

მესიტყვევა იმ ქართველთა, რომელთაც, სახელმწიფოს დაკარგვასთან ერთად, ქართველი ერის პატივი არ დაუკარგავთ, ქართველი ერის ანმყო და მომავალი პირად ნეტარებაზე, რუსთ მეფის მიერ ნაბოძებ ორდენებზე არ გადაუცვლიათ.

თავისი პოზიცია და პოლიტიკური სახე ერთხელ და სამუდამოდ დადგინა უკვდავი ლექსით: „რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული?! – გალიაშია დატყვევებული!“


როცა საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა, მაშინ მოვიდა ბარათაშვილის გენია, შავი ცრემლებით იტირა წარსული, იტირა განუმეორებელი მინორით, მაგრამ, ამავე დროს, დაქუცმაცებული, დაჩაჩანაკებული ქართული სული იდეურად შეკრიბა. ნათელი გახდა ინტუიტიურად, რომ ერი, რომლის შვილსაც შეუძლია, დაწეროს „მერანი“, არ უნდა დაიღუპოს“ [მ. გოგიბერიძე, რუსთველი, პეტრინი, პრელუდიები].

საცნაურია იმპერატივი – „არ შეიძლება დაიღუპოს“ კი არა, „არ უნდა დაიღუპოს“ – იმპერატივი რწმენასაც გულისხმობს და რობაქიძისეულ „შესახებუბასაც“.

ვრცელი ამონარიდი მოსე გოგიბერიძის ესეიდან იმისთვის დავიდასტურეთ, წარმოგვეჩინა, ქართველ მოაზროვნეთა „ზრუნვის საგანი“ ქართული ლიტერატურის უკეთეს ქმნილებათა მაღალ „შინა-არსში“(არსში) წვდომა რომ იყო.

ბარათაშვილის პირველადმომჩენის, ილიას ჟამიდან მოყოლებული, „მერანი“ ქართული სულის, ქართული სულიერების ერთ უკეთეს ანარეკლად აღიქმება – „ხორუმით“, „ჩაკრულოსავით“, „მრავალჟამიერით“, „გალობანი სინანულისანის“ საღმრთოზე „დამაფიქრველი“ ტექსტივით, ავთანდილის ლოცვასავით („ავთანდილი თითქოს რუსთაველის პოემიდან პირდაპირ „მერანში“ გადმოსულა და ეს ქვეშეცნეულად კი არ ხდება, ბარათაშვილი შეგნებულად დასესხებია „ვეფხისტყაოსანს“ და ხიდი გაუდევს თავის სულიერ წინაპართან“ – პავლე ინგოროყვას ათქმევინებს პიესაში როსტომ ჩხეიძე)...

ალბათ, შემთხვევითი როდია, გალაკტიონიც ავთანდილისა და ტატოს მერანს ერთად რომ იხსენიებს – ერთიან ლიტერატურულ თუ ტროპულ კონტექსტში, რათა აზრი განავრცოს: „ორი მერანია – მერანი ავთანდილის,



მარადიული თანამგზავრები


კაცობრიობის მარადიული თანამგზავრები (ხშირად მეგზურებიც) არიან მრავალჯერ პასუხგაცემული და მაინც ბოლომდე აუხსნელი კითხვები, რომლებიც გენეტიკურად გადმოეცემიან თაობებს. ისინი (სამყაროსთან ერთად შობილი) ჩვენში არსებობენ და მოუსვენრობენ. მათგან რომელიმეს გამოცალკეება, როგორც ერთადერთისა, ძნელი წარმოსადგენია – თუნდაც იმიტომ, რომ ნებისმიერი ლამაზი პასუხის შემდეგ ეს კითხვები უფრო მიმზიდველნი ხდებიან.

არსებობენ ისეთი კითხვებიც, რომლებიც ამა თუ იმ მოვლენასთან ერთად იბადებიან და არცთუ იშვიათად ცნობიერებაში რჩებიან ჭრილობებად:


„როდის განიკურნება ქვეყანა თათქარიძეობის დამღუპველი სენისაგან?“

„როდის დაუბრუნდება მონატრებულ სამშობლოს ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გადაკარგული ათასობით თანამემამულე?“

ვაჟა სორნაული



პავლე ინგოროყვა



ოთარ ჩხეიძე

მერანი ბარათაშვილის. საჭირო იყო მათი შეერთება და ეს მოვახერხე მე. რუსთველის რიტმის დაცვა, ბარათაშვილის რიტმის გამოყენება, აზრის გაღრმავება – აი, „ლურჯა ცხენები“.

თუმცა გალაკტიონს აქცენტი ტექსტთა ფორმალურ მხარეზე გადააქვს (შეგნებულად!), კონტექსტი გამჭვირვალეა – ავთანდილის, ბარათაშვილის მერანის, გალაკტიონის ლურჯა ცხენების პარადიგმები (რაც, არსებითად, ერთი ტროპული სახეა) ალგორითულ დონეზე იმარხავს მთავარს, უზუსტესად რომ გამოხატა **გიორგი გაჩეჩილაძემ**: „საქართველოში ბარათაშვილამდეც იყო ნაგრძნობი და შემჩნეული, რომ ცხოვრება გახსნილი ჭეშმარიტება კი არა, ამოუხსნელი საიდუმლოებაა, ადამიანის მისია კი არის არა მხოლოდ, ამ საიდუმლოს ცალკეული ნახნაგების აღმოჩენით მოგვრილი სიხარულით ტკბობა, არამედ მუდმივი ძიება.“

აბსოლუტური ჭეშმარიტება თავისი ტრანსცენდენტური ბუნების გამო არ ესადაგება რეალობას.

ბარათაშვილი არის ქართული პოლიტიკური ცნობიერების ის წინასწარმეტყველი, რომელმაც ანდერძად დაგვიტოვა გაფრთხილება: „სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არა რას არგებს, ოდეს თვისება ერთა მათ შორის სხვადასხვაობდეს!“

თანამედროვე ტერმინოლოგიით ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს პოლიტიკური „ბედი“ ეყრდნობა არა რომელიმე ქვეყანასთან იდეოლოგიურ ნათესაობას, არამედ და მხოლოდ ინტერესთა ერთიანობის პრინციპს. არც ერთი, თუნდაც ჭეშმარიტი სარწმუნოების აღმსარებელი ქვეყანა, არც ერთი იდეოლოგიური დოქტრინა არ შეიძლება დადგეს ერის რეალურ ინტერესებზე მაღლა [ქართული ცნობიერების ახალი ადამი და მოციქული, „ლიტერატურული საქართველო“, 8 იანვარი, 1998].

სწორედ „ერის რეალურ ინტერესებზე“ ფიქრის, დაფიქრების გამოა, როსტომ ჩხეიძე ჯერ ესეში [„მერანის“ მრწამსი“, „ლიტერატურული საქართველო“, 29 ოქტომბერი, 1993] რომ განმარტავს „მერანის“ ჭეშმარიტ სათქმელს, წარმოაჩენს ტექსტის ლირიკული გმირის (იმავედროულად, მთხრობელის) ჭეშმარიტ პროტოტიპს (ალექსანდრე ბატონიშვილსა და არა ილიკო ორბელიანს), შემდეგ კი, უკვე პიესაში, სულაც ცალკე პერსონაჟად

გამოკვეთს ტატოს – პიესის ფინალურ სცენაში (რემარკაში):

„უეცრად ყველაფერი ქვაფეხება. ერთხანს სიჩუმეა. სცენაზე კოჭლობით შემოდის ნიკოლოზ ბარათაშვილი. დგება შუაგულში. აქეთ-იქით იხედება. ყრუდ მოისმის ქართული ცეკვის მელოდია ზაქარია ფალიაშვილის „დაისიდან“, ძლიერდება. ძლიერდება.“

ბარათაშვილი ნელ-ნელა აპყვება მელოდიას, უმატებს ტემპს, უმატებს, და იწყებს თავბრუდამხვევ ცეკვას ქალთან ერთად, მსახიობთა ანსამბლს რომ გამოეყოფა.

გაქვავებული სცენა კვლავ უნდა ამოძრავდეს, აჩქამდეს, ახმაურდეს, ფრენაც გაგრძელდეს მთიდან მთაზე, კავკასიონის მწვერვალები რომ შედგმიან ერთმანეთს“ [ალექსანდრე ჭავჭავაძის „კავკასის“ ციტატა მოგაგონდება – „იგი, ზურგით მზიდველი მთებზედ შემდგარ მთებისა“ – ხორუმის ზეაღმტაცია ნახაზიც გაილანდება თითქოს].

პიესის პასაჟი, ერთი მხრივ, ბარათაშვილისეული ტრაგიკული ირონიით გაჯერებულ ციტატას მომაგონებს [„ჩემმა მშობლებმა მიზეზად ეს მომიდეს, კოჭლი ხარო და, თუ არ ინვალიდების კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო, მაშინ, როდესაც ფერხი უკეთ მქონდა და კარგადაც მაქვს, ასე რომ, ჩემებურად კიდევ ვჰხტი და კიდევ ვტანცაობ“ (წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, 1837 წლის თებერვალი)].

მეორე მხრივ, კი ხევსური გარსიას ბედისწერული ცეკვა მაგონდება გოდერძი ჩოხელის დიდებული ნოველიდან „გარსია ხევსურული სახელია“ (კონტექსტი სხვაა, მაგრამ ფონი (კავკასიონი) და ბედისწერულობის, ამდლებული ტრაგიზმის განცდაა საერთო): „ხვალე გაასახლებენ.“

დღეს უნდა იცეკვოს გარსია ოჩიაურმა. შეიძლება, ველარასოდეს ამოვიდეს აქ. ცეკვავს. ფეხისგულებიდან სისხლი მოსდის. ჯერ წვეთ-წვეთად, მერე – თქრიალით. ტკივილს არ იმჩნევს გარსია – უნდა გაძღეს არხოტის მთებში ცეკვით. სისხლი და მინა ერთმანეთში ირევა. გარსია ვერ გრძნობს, რომ სისხლმა ბანი აატალახა. ვერაფერს ველარ გრძნობს. იღევა ღამე. თანდათან სისხლად იცლება მოხუცი. მაინც ცეკვავს. ვერავინ ბედავს ახლოს მისვლას, რომ გააჩერონ. თენდება თანდათან. ერთხელაც გასძახებს მთებს და მზეს შეამრება იმისი სული“.

შემთხვევითი როდია, რომ ბარათაშვილი სწორედ ფინალურ ეპიზოდში ჩნდება, თუმც მისი მყოფობა პიესაში ყოველთვის, იმთავითვე იგულისხმებოდა – ის, რის („მერანისებური ტრაგედიის“) დანერასაც „სხვა საუკუნის მგზავრ(ნი) გვიან(ნი)“ – სხვა საუკუნის „ლამისმთევლები“ კრძალვით ცდილობენ, ბარათაშვილმა, დიდი ხანია, დანერა – „მერანი“.

იქნებ, სწორედ რომ „ტრაგედიად“ უნდა განისაზღვროს „მერანის“ ჟანრიც – განა, „განწირულის სულისკვეთება“ ტრაგედიათაგან ყველაზე მაღალი არ არის?!

სცენას თავისი კანონები აქვს და „მავრი უნდა წავიდეს“, მაგრამ „მავრი“ ყოველთვის იგულისხმება – ის მთავარია.

ბარათაშვილმა ყველაზე ადრე და ყველაზე უკეთ შეიგრძნო საფრთხე. გავიმეორებთ ზემოთქმულს: „როცა საქართველომ დაჰკარგა დამოუკიდებლობა, მაშინ მოვიდა ბარათაშვილის გენია“ (მოსე გოგიბერიძე), რათა აჯანყებებისა და შეთქმულების მარცხით სასონარკვეთილი ერისათვის მთავარი ეთქვა, „ცუდათ ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის-კვეთება“, გმირი შორეული წარსულიდან, ანალებიდან კი არ გამოეხმო, თანამედროვეთა შორის ეპოვება – ალექსანდრე ბატონიშვილის ხატება დაესახა ზნეობის, ღირსების, ქართველობის მაგალითად.

ერთგვარი საყვედურით, ტკივილით წერდა **ტიციან ტაბიძე**: „ლევ ტოლსტოიმ მშვენივრად ამოაჭრა კავკასიის ეპოპეას „ჰაჯი-მურატი“. ჩვენთან უფრო ახლოს იყო ომის მოქმედების თეატრი, მაგრამ ამის შესახებ ქართულ მწერლობაში ერთი ხმაც არ დაძრულა“.

როსტომ ჩხეიძის აზრი საპირისპიროა [ესეი „მერანის“ მრწამსი“, პიესა „ლეგენდა ისკანდერისა“] – ნიკოლოზ ბარათაშვილმაც „ამოაჭრა“ კავკასიის ეპოპეას „მერანი“ – ალექსანდრე ბატონიშვილის ტრაგიკული ფიქრი (შეიძლება ასეც გავიზნოთ ლექსის მხატვრული ქსოვილი) თუ თავგანწირული მამულიშვილისადმი მიძღვნილი დიდებული საგალობელი.

პავლე ინგოროყვას ათქმევინებს მწერალი-დრამატურგი არსებითს:

„მერანის“ – თავისუფლების ამ დიადი ჰიმნის შთამაგონებელი და ლირიკული გმირი განა შეიძლება, გაორებული გმირი განა შეიძლება, გაორებული პიროვნება (ილიკო ორბელიანი) იყოს,

ვინც თავს სწირავს რუსეთის იმპერატორს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ლეკ-ჩეჩენთა დაკაბალებაში და არა სულ სხვა, მშობელი ერისათვის თავდადებული (ალექსანდრე ბატონიშვილი), რათა სიცოცხლის გაღებით მოძმესა თვისსა სიძნელე გზისა გაუადვილოს?! „მერანის“ ნამდვილი სულისკვეთების შესაფარებლად ილიკო ორბელიანის სახელი სწორედ მისწრება იყო – რუსეთის არმიის ოფიცრის მიმართ სახოცხო სიტყვების გამოთქმა გზას გაუხსნიდა ამ ლექსს საზოგადოებაში გასაფრცვლებლად... დაუფკვირდეთ იმ რუსულ ფრაზას: «Вот, что поэт думает за Илико», განა, ძნელი სათარგმნელია, თუ რას ნიშნავს «за Илико»? არა „შესახებ“, არამედ „მაგივრად“. მთელი ფრაზა კი ასე გაიმართება – „აი, რას ფიქრობს პოეტი ილიკოს მაგივრად“. განა აშკარა არ არის, რომ ილიკო ორბელიანი ფიქრობს ერთს, პოეტი კი ფიქრობს სხვას, სრულიად საპირისპიროს ილიკოს მრწამსისა, ანუ „მერანი“ სინამდვილეში „ანტიილიკოს“ სულისკვეთებაა. გინდა „ანტიილიკო“ გითქვამს ადამიანს და გინდა – „ანტიიანიჩარი“.

ილიას „იანიჩარი“ სწორედ ილიკოსნაირ პიროვნებებზეა დაწერილი, ილიკოსნაირ გაორებულ ადამიანთა ხვედრს გვისურათხატებს – თან საკუთარი მამული უყვართ, თან მის დამპყრობელსაც ერთგულად ემსახურებიან...

ერთი ლექური თქმულება მოვისმინე ალექსანდრეზე, ისკანდერად რომ იხსენიებენ მუსულმანურ კვალობაზე – ისევე აღიარებენ თავიანთ გმირად, როგორც ჩვენ – ჩვენად. საერთოკავკასიური მოვლენა და იმიტომ. არ ვიცი, **შამილი** მართლა ალექსანდრეს შვილი იყო თუ არა, მაგრამ სულიერი მემკვიდრე რომ არის და მისი ჰეროიკული წამოწყების უშუალო გამგრძელებელი, არა მგონია, საკამათოდ გახადოს ვინმემ.

მფრინავი ცხენი ჰყოლია, იმ ცხენით დაჰქროდა, უცებ გაჩნდებოდა, სადაც საჭირო იყო, უცბადვე გაჰქრებოდა, ღრუბლებს გაეკვროდა, გადაიღვებდა. აჰა, ესეც „მერანის“ ზოგადი ქარგა და კომპოზიცია“.

მითოსურ გმირამდე აუმაღლებიათო, პავლე ინგოროყვას ეთანხმება სანდრო ახმეტელიც.

„მერანისებური ტრაგედია“ – ამბები ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქა-



ანბანზე და სხვაზე

რას ვეკითხები საკუთარ თავს და პასუხის გაცემა მიჭირს:

ნეტა ვინ მოიგონა წერა? ეგ რომ არ მოევგონათ, კანონებსაც ხომ ვერ დანერდნენ და ატესტაციასაც ვერ მოიგონებდნენ და არ გვექნებოდა გასაველელი!

ნეტავ რატომ შეგვიქმნეს სომხებმა ასეთი ლამაზი და ნაირგვარი ანბანი ჩვენ, იმიტომ ხომ არა, რომ დავბნეულიყავით და ვერ შეგვექმნა ასეთი ბრწყინვალე ლიტერატურა?

რატომ გადაწყვიტა რუსთაველმა ქართულად დაენერა „ვეფხისტყაოსანი“ და არა სომხურად, თავის მშობლიურ ენაზე და მშობლიური ანბანით, თუ იფიქრა – მაინც მამტოცის შექმნილია, და სულ ერთი არააო?

ეს დალოცვილი ქართული ანბანი, სომხებმა რომ შეგვიქმნეს ქართველებს, როგორღა წავართვით აფხაზებს, თანაც ისე, რომ ერთი ასოც კი არ დავეუტოვეთ ამის დასამტკიცებლად. ალბანელებს ხომ დავეუტოვეთ?

საერთოდ, რატომ წერს ადამიანი? რატომ ინვალებს თავსა და გონებას და სხვასაც რატომ აწვალავს?

რატომ არ არსებობს ისეთი მხატვრული ნაწარმოები, ქალზე, სექსზე, საჭმელზე რომ არ იყოს ლაპარაკი? თუნდაც დაიწყოთ ჩვენი პირველი ნაწარმოებიდან – შუშანიკის ნამებიდან.

რატომ არის ყველა ხევსური ვაჟა-ფშაველა, ყველა იმერელი – აკაკი წერეთელი და ა.შ.?

რატომ წერს ყველა, ვისაც არ ეზარება?

რატომ „ირწვიან“ მწერლები და პოეტები „ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“ და არქმევენ ამერიკულ ბროდვეის ლენინის ქუჩას, და არ იღებენ ხმას, როდესაც კახეთის ქუჩას არქმევენ ბუშის ქუჩას, ეხლა ის აღარაა პრეზიდენტი და რატომ არ გადაარქმევენ – ნაბუშარ ქუჩად?

დასასრული 47-ე გვერდზე



ილია ორბელიანი



ლავრენტი ბერია

ქუცა ჩოლოყაშვილისა (ეს ერთი, ერთი და იგივე ამბავია – „განწირულის სულის-კვეთების“ მშვენიერ-ტრაგიკული ამბავი) სანდრო ახმეტელსა და პავლე ინგოროყვას შეუძრავს სულს, გრიგოლ რობაქიძის „ლამარაც“ ხომ 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის „განწირულის სულისკვეთების“ ქარგაზე ამოიხვევა, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯავაყს ხიზნებიც“, კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაც“... დიდი, მაღალი ტრაგედია დიდ მხატვრულ ტილოებზე დაილვენთება სიტყვად, ფერად, ცრემლად...

როსტომ ჩხეიძე ფაქიზად აღადგენს ჟამიან ჟამს.

„მაჯაშისა შემტყვებართა“ განდობილ საუბრებში ცოცხლდება ჟამი.

განსხვავებულია ერის ჭირისუფალთა მშვიდი, დარბაისლური (ჟამით-ჟამ – ექსპრესიული, მღელვარე) ტონი, საფიქრალი და ჟამისაგან ჟამიერ აღლაღებულთა ცქაფი „მიმოდარუნვა“ (თითქოს თენგიზ აბულაძის „მონანიების“ პასაჟებიც ცოცხლდებოდეს, სანდრო ბარათელისა და ვარლამ არავიძის ანტიპოდური წყვილი კიდევ ერთხელ უპირისპირდებოდეს ერთმანეთს – ჟამიერადაც („იქ“ და „მაშინ“) და მუდამაც (განსაკუთრებით მძაფრდება ასოციაცია ახმეტელისა და ბერიას საუბრების არსის გაცნობიერებისას).

ყველა დროის ყველა პილატე (სახელებს რა მნიშვნელობა აქვს) ერთნაირად აზროვნებს (უფრო სწორი, ალბათ, იქნებოდა კონსტრუქცია „ვერ აზროვნებს“). იცის (ან, ჰგონია, რომ იცის), როგორ აქციოს ხალხი ბრბოდ.

არავიძისა და დოქსოპულოს დიალოგი მაგონდება ბერიასა და მისი ორი მხლებლის „საუბრისას“ (რაც, ბუნებრივია, ბერიას მონოლოგი უფროა). სარკასტულია და სასტიკი „ხელისუფალი“ (არა „ლამისმთეველი“): „გმირის ნაცვლად, სახელგატყვილი დამნაშავე უნდა შევთავაზოთ ხალხს და ნახავთ, თანდათან რას დაემსგავსება საზოგადოებაა, თუ რაც არის“.

აბსოლუტურად განსხვავებულია „ლამისმთევის“ – სანდრო ახმეტელის პოზიცია: „ფიქრსაც აღარ გვიტოვებენ თავშესაფრად, სევდასა და ტკივილსაც აღარ განებებენ, გაიძულებენ, სიცრუეს ჭეშმარიტება დაარქვა და ჭეშმარიტებას – სიცრუე, გმირს – ყაჩაღი და ყაჩაღს – გმირი, ქვეყნის მოზარეს – ხალხის მტერი, ხალხის მტერს კი – ქვეყნის

მოზარე. აღარ მინდა აქ გაჩერება, მაგრამ სად წავიდე, ჩემს ქვეყანას სად გავექცე, ჩემს ხალხს რაღაც სანუგეშო და საიმედო როგორ არ მივანიშნო?!“.

„მაღალთა და მაღლად მხედთა“ ტკივილი ყოველთვის და ყოველგან ერთია.

მაგონდება დიდებული ფილმის, „მეფისტოს“ პერსონაჟი (კლაუს მარია ბრანდაუერის გმირი), ფაშისტური გერმანიიდან ამერიკაში წასვლას რომ ურჩევენ, უკიჟინებენ, გადარჩენა სხვაგვარად შეუძლებელიაო, ის კი სასონარკვეთით ამბობს, გერმანული ენის გარეშე არარა ვარ, ფიზიკურად რომც გადავრჩე, სულიერად რაღა ვქნაო.

ემიგრაციის დამღალავი წლებით განზიღებული ცვეტაევის ტრაგიკული დასკვნაც იმავე ტკივილს იტყვის: «*Однó ý íâ íráxià, dàì ý – íâíçíæxià*».

ბარათაშვილის ეპოქაშიც „სახელგატყვილ დამნაშავეებს“ სთავაზობდნენ ერს „გმირად“, ჭეშმარიტი გმირის ნაცვლად, XX საუკუნის ოციან წლებშიც (1924-ის შემდეგ), ქაქუცა მტრად შეერაცხათ, მთანმინდაზე იჭრებოდა უსამშობლო კონდოტიერთა საფლავები.

მეტყველი პასაჟი – გიორგი შატბერაშვილი გამომძიებლის კაბინეტში – „მაგიდასთან მჯდომი გამომძიებელი სიბნელეში რჩება და მხოლოდ მისი ხმა ისმის“ თენგიზ აბულაძის ცნობილ მხატვრულ ხერხსაც გვაგონებს („მონანიებასა“ და „ვედრებაში“ კადრში ჩანს მხოლოდ მაცთურის ბაგენი, დანარჩენი ბნელს მოუცავს) და ბიბლიის ტევად ფრაზასაც: „ბნელის და წყვილიდის მეუფება“.

მხატვრული სიტყვა ბნელშიც კი დაიმარხავდა მთავარს.

„მერანი“ – ნამდვილი გმირის სახელს – ისკანდერს (აღექსანდრეს ბატონიშვილის სახელის აღმოსავლურ (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჩრდილოკავკასიურ) ტრანსკრიფციას პირველი ვასილ ბარნოვი ამოამზევებდა ამავე სათაურის მქონე მოთხრობაში.

ოთარ ჩხეიძე ბიოგრაფიულ რომანში „ვასილ ბარნოვი“ აღნიშნულ მოთხრობას თავად ბარნოვის ეპოპეისა და, საერთოდ, „ქართლის ცხოვრების“ ეპილოგად იხსენიებს.

„ვისზე შეჩერებულიყო [ბარნოვი]?! ბატონიშვილები რუსეთს წაასხეს, სალიტერატურო თუ მეცნიერული შრომებით დაკავებულიყვნენ, ამტანობისთვის სწავლობდნენ სამართლისა და რესპუბლიკური წყობის ისტორიას. ახლოს

იყვნენ, ჯერ ლეგენდებში არ გადასულიყვნენ. რუსეთს წასულები სიცივეში წასულიყვნენ და ხალხსაც გული გასციებოდა. მითოსი მათ არ შეხებოდა“.

კონსტანტინე გამსახურდია **პლატონ იოსელიანის** თხზულების („ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“) ანალიზისას გულისტკივილით წერდა, რომ „მრავალი ქართველის პოლიტიკური კონცეფცია რეაქციული იყო – ამაოდ ცდილობდნენ „ქართული პატრიოტიზმისა“ და „რუსული მონარქიზმის“ ჰარმონიულად შერწყმას“.

ვასილ ბარნოვის „ისკანდერი“ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის უკანასკნელ ცდებს ირეკლავს. ალექსანდრე ბატონიშვილის მეხოტბეა მწერალი, მზის სხივებით გაბრწყინებულს, მზის რჩეულად ხატავს გმირს: „ჩრდილოეთისკენ მოსწანდა შავი რამ ნისლი, მოზრდილიყო, უფრო ჩამუქებულიყო.“

– ჩემს რჩეულ საქართველოს დასტანებია ქუფრი ბოროტი! – წარმოსთქვა მზემ, – მებრძოლი!“.

თავის რჩეულ რაინდს – ალექსანდრე-ისკანდერს იარაღს აულაპლაპებს და უკურთხებს მზე.

ოთარ ჩხეიძე სწორედ გიორგი შატბერაშვილის მოსაზრებად იხსენიებს შეხედულებას, რომ „მერანის“ ადრესატიცა და ლირიკული გმირიც სწორედ ალექსანდრე ბატონიშვილია (გავიუმოვრებთ ზემოთქმულს) – ჩრდილოეთ კავკასიაში „მფრინავ ისკანდერად“ სახელდებული, ზოგი ვარაუდით, მამა შამილისა.

სწორედ გიორგი შატბერაშვილი ჩნდება ოთარ ჩხეიძის თანამოსაუბრედ და სანდრო ახმეტელის მიერ „მერანისეზური ტრაგედიის“ შექმნის შემძლედ როსტომ ჩხეიძის პიესაშიც შვილმა იცის, „სად და რაზედ გაჩერდა მამა“. მინანქრშიც განმარტებულია, რომ პიესის წყაროდ გამოყენებულია ოთარ ჩხეიძის რომანი „ცხრაწყარო“, ესეი გიორგი შატბერაშვილზე, **გრიგოლ აბაშიძის** მოგონება „მკვდრის მზის“ ავტორზე.

„ეპოქის საქაჯავმა“ დაღალა შატბერაშვილი, ოთარ ჩხეიძეს გამოუტყდება პიესაში, „ამის [დანერის] ძალ-ღონე მერე ველარ ვიპოვნე ჩემს თავში“.

განა გასაკვირია ეს „ვერშემძლებლობა“ საზარელი, იქედნური დაკითხვის შემდეგ, ლექს „დასანყისს განთიადისა“ (ალუზია „ოთარაანთ ქვრივი-

სა“) **თამარ ჩოლოყაშვილს** (ქაქუცას ასულს) კი არა, თავად ჩოლოყაშვილს უძღვნიო, რომ უკიჟინებდნენ მუქარით?!. სკრუპულოზურად „გაუანალიზებს“ მწერალს ლექსს უნიგნური გამოძიებელი:

დავსცქერი კახეთს. გეძებდი გუმინ, ნეტავი როდის, ან საით ნახველ?!
შენი კახეთის ყოველ სადგურში მე ვახსენებდი შენს ძვირფას სახელს.
ვერ შეგაშინებს ყორანის ყეფა, მოისხამ მხრებზე ამ საუკუნეს.
გნამდეს, დასტოვებს გზებზე ნატერფალს შენი ტორებზე შემდგარი ჰუნე.

სარკასტულია გამოძიებელი: „მამ სატრფო მოისხამს, არა, მხრებზე ამ საუკუნეს?! ეს ყორანი ვინღაა, ხომ ვერ აგვისხნიდი?! ჰუნე თურმე ცხენი ყოფილა ძველ ენაზე [აქ უკვე თავად პიესის ავტორია სარკასტული – ნ.კ.] და მისი ნატერფალის დატოვება სატრფი-ალო გრძნობების გამჟღავნებაა თუ პოლიტიკური მოწოდება?!“.

„აღმოსავლელ ჰამლეტად“ უხმობს ალექსანდრე ბატონიშვილს სანდრო ახმეტელი (როსტომ ჩხეიძე). [განსხვავებულია მოსე გოგიბერიძის მოსაზრება: „მხედარი ბარათიშვილის „მერანისა“ არის ფაუსტური ტიპის ტიტანი და არა ჰამლეტის ტიპის ინდივიდუუმი, ქართული ორეული გოეთეს ფაუსტის“].

ალეგორიულად მოჰყვებოდა ტრაგიკულ სათქმელს ბარათაშვილი.

ტრაგიკულ სათქმელს დაიმარხავდა რობაქიძის „ლამარა“ (ახმეტელის დადგმას ისეთივე გამოხმაურება მოჰყვებოდა, როგორც, თავის დროზე, „სამშობლოს“ გასცენურებას – „გარეთ თუ ყველას ობი მოგვკიდებია და ხავსი მოგვდებია, მის სპექტაკლებზე ვემსგავსებით აგორებულ ქვებს“), გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, ჯავახიშვილის „ჯავახის ხიზნები“...

დაყუდებული შიო მღვიმელივით იცდიდა თეიმურაზ ხევისთავი (შიომღვიმეში იკრიბებოდნენ აგვისტოს შეთქმულნი).

სანდრო ახმეტელის სიტყვებში განივთდება ეპოქის სათქმელი, ლეგენდააო ქაქუცა ჩოლოყაშვილი (ისკანდერიც ლეგენდაა – ნ.კ.):

„პირადად რომ ვიცნობდი, ლამის აღარც მჯერა. თითქოს ზღაპარში ვყოფილიყავი, ისე წამომემლება ხოლმე მაშინდელი დღეები. ეგ რომ არ გვყოლოდა, ქვეყანა ნელში გადატყდებ-



რატომ მიისწრაფოდნენ ბელადისადმი მიძღვნილ ანთოლოგიაში მოსახვედრად და მერე სულ არ წუხდნენ ამაზე?

რატომ იგონებენ კრიტიკოსები იმას, რაზეც მწერალს არ უფიქრია და რასაც აკრიტიკებენ? ო, როგორ ვერ იტანდა მათ ეკზიუპერი!!!

მოკლედ, ბევრ რამეზე ვფიქრობ, და მეშინია, მეც იმ მწერლებს არ დავემსგავსო, ზემოთ რომ ვახასიათებდი.

ზუსტად ვიცი:

რატომ ვკითხულობ ერთსა და იმავე ნაწარმოებს მრავალჯერ – იმიტომ, რომ მასში ჩემი გუნება-განწყობის შესაბამისად ვპოულობ იმას, რაც მანუხებს, ან მახარებს.

რომ კარგი მწერალი არც თუ ისე ცოტაა.

რომ ყველა მწერალს მოეძებნება რაღაც განსაკუთრებული, რომ ზოგჯერ – პოეტი მხოლოდ ერთი ლექსია,

რომ ტანკა ქართველების მოგონილია. როგორ? ყველა ქართველი პოეტი არის „ტანკისტიც“ და ამავე დროს თავისი ლექსის დამსამარებელი: ხშირად ორ ბრწყინვალე შედევრ-სტრიქონს აფუჭებს, წყალ-ღვინოსავით ხდის იმის გამო, რომ ჰონორარი შედგება – სტრიქონი-ფულზე.

ვიცი, რომ წიგნს კომპიუტერი ვერ შეცვლის, იმის გამო, რომ წიგნი – ინტიმია, რომ კომპიუტერს ტახტზე წამოწოლილი ვერ წაიკითხავ, და რომ დაიღვები, გულალმა ვერ დანევი და თვალეზე გადაშლილი წიგნივით ვერ დაიფარებ...
ვლადიმერ კიკილაშვილი



სცენა სპექტაკლიდან „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“. (რეჟისორი ლევან წულაძე)

ბოდა სამუდამოდ. ახლა აქეთ-იქით რომ ვაწყდებით და დაშოშმინებას არ ვაპირებთ, მხოლოდ მაგიტომ, ქაქუცამ რომ მოგვევლინა სამწლიანი რაინდული ხანა. ჰეროიკა ეს იყო, თუ იყო. დამოუკიდებლობის წლებიც კი გადაფარა ხალხის თვალში სულიერი სიმხნევით და სახელმწიფოებრივი აზროვნებით. ილია ჭავჭავაძესა და არჩილ ჯორჯაძეს ეგ გამოუჩნდა მემკვიდრედ და მათი დროშაც შეუბღალავად ატარა.

კონსტანტინე გამსახურდია სულ ნოე უორდანიას ძრახვაშია, ეს ნაცარქექია ბაგრატიონთა ტახტს ნაეპოტინა და დაიდრიკა მისი სიმძიმის ქვეშ, განა არ უნდა სცოდნოდა, რომ ბაგრატიონთა ტვირთი ადვილი სატარებელი არ იყო? ეს სამნი ვერ დადრიკა ბაგრატიონთა ტვირთმა – ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე და ქაქუცა ჩოლოყაშვილი – ეგ დიდი სამეფულია, მამა, შვილი, შვილიშვილი, ოლონდ – პირწმინდად სულიერ პლანში. კიდევ მოიხადეს ბაგრატიონთა ვალი“.

მაღალი ლიტერატურა, მაღალი დრამატურგია უთქმელ ტკივილს დაიმარხავს.

„ჰაი, რა ფრენა იქნება კავკასიონზე“ – პიესის რემარკათა რეფრენია, სხვაგან, სხვა რემარკაში სათქმელი უფრო დანურულია: „ყიყინა. მუსიკა. ფრენა.“

ახმეტელის ბრალდებების აბსურდულ, სისხლისგამყინავ კასკადში უარსებობს „ბრალდებად“ „კავკასიური იდეა“ გამოიკვეთება: „[ახმეტელი] ამტკიცებს, რომ ყოველ ერს აქვს თავისი რიტმი, რომელიც არა ჰგავს არავისას და რომ არის საერთო რამ კავკასიელთა რიტმებში. თეატრში შექმნა ჩეჩენ-ინგუშთა და ოსთა ჯგუფები. მიაჩნია, რომ ქართველებს უნდა ჰქონდეთ ჰეგემონია კავკასიაში. ახმეტელის რიტმის თეორია გამომდინარეობს რასობრივი თეორიიდან, რითაც იგი წარმოგვიდგება ფაშიზმის აპოლოგეტად. ოცნებობდა კავკასიურ სახელმწიფოზე, რათა არავის შესძლებოდა მისი დაპყრობა“.

ოცნება იმჟამინდელია, **ვახტანგ მეფემ** რომ „იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“, აღმაშენებლისა და თამარის ეპოქაში რეალობად ქცეული, მერე – ილიასთან გამხეილი:

ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა,
ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა
ერთს ფიქრსა ფიქრობს

და ეგ ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ „დიდი საქართველოს ჩვენება“ განვაცხადეო, რომანის ბოლოსიტყვაობაში დანერს კონსტანტინე გამსახურდია.

„ალტკინებული ხმები“ ახმეტელის „გასამართლებისას“: „სიკვდილი აგენტებს, სიკვდილი მოლალატეებს, სიკვდილი გამცემებს“ ისე ჰგავს ჯვარცმასთან შეყრილი ეგ ზალტირებული ბრბოს დუჟიან ყიყინას!

პიესის უკანასკნელი, მეხუთე სურათი, ისევე, როგორც პირველი, ბაიათის სევდით გაიჟღინთება.

გიორგი შატბერაშვილი ანუგეშებს ახალგაზრდას, ოთარ ჩხეიძეს, შეიკვრება ამბავი, სამომავლო გეზიც მოინიშნება („სამშობლო ერთი დღით არავის მოუბარებია ჩვენთვის“ **(ოთარ ჭილაძე)**: „ყველაფერი გადაივლის (მეფე სოლომონის ბეჭდის წარწერა მოგაგონდება – ნ.კ.), დაბნეულობაც, ავთა სიავეც. მოეძებნება ყველაფერს ადგილი, კეთილს – კეთილი, ბოროტს – ბოროტი, მხოლოდ ესაა, გაძლება უნდა. გამძლება უნდა გაძლება თქვას, გაძლებს მაინც ხელოვანი, ხელოვნება მაინც გაიტანს... ხელოვნება თავისას გაიტანს“.

ეს ზნეობრივი, ღირსეული, ბრძენი ადამიანების დამოკიდებულებაა ყოფისადმი, მარადიულისადმი. აქ არც შფოთვაა, არც დრტინვა ტანჯვისას – მხოლოდ – უფლის მაღალი ნების ბრძნული მორჩილება („მრისხანებამან კაცისამან სიმართლე ღმრთისაი არა ქმნის“), სიკეთის დაუმარცხებლობის, ბოროტის უარსობის რწმენა.

ოთარ ჩხეიძე ტრაგიკულ ნოველაში „ზლაპარი“ ერის სულიერ არსზე მსჯელობისას წერდა: „ერი ადამიანებია. ადამიანები თავისებურნი ბრძანდებიან, განლაგებულან თავთავიანთი თავისებურებებითა სიკეთისა და სიავის შუა (მდრ. **შერვუდ ანდერსონის** „გროტესკული ადამიანები“ – ნ. კ.). ზოგი უფრო ახლოს მოხვედრილა სიკეთესთან, მშვენიერთანა, ზოგი სიავეს მიახლებია, სიმახინჯეს. სიავე მათზე უფრო მოქმედებს, სიკეთის სხივი ვერა სწვდება იმ ძალოვნებითა [კონებაში გახმიანდება ფსევდო-დიონისე არეოპაგელისეული: „რომელი რაი ვერა მიიღებს ნათელსა, ესე არა უძღურებისაი არს, არცა სიმცირისაი ნათელ-მიმცემელობისაი მისისაი, არამედ უმარჯობის-

აგან ნათელმიმღებელთაისა, რომელთა ვერ განიმარტეს მიღებად ნათლისა“.

სიავე სწვდება, სიავე იპყრობს, მაგრამ შეიძლება განკურნება მისი, რადგან [ერი] არაა სიავისა, სიავისა მაინც არ არის, სიკეთისაა. შემობრუნება შეიძლება, ოღონდ სიავე არ უნდა გაგრძელდეს, უბედურება ხანგრძლივობაა, ტრაგედია ხანგრძლივობაა.

სიავეს არ უნდა მიეცეს დროი.

სიავე ეროვნული არ არის, ერი ერთია და ეროვნულიც ისაა, რაც ერთია. ერი ესაა – სიკეთე და თავისებური. მშვენიერი. უსახო არაა მშვენიერი. ეროვნულიც ესაა – მარად აღდგენა და მარად კურნება მშვენიერისა“.

ეროვნულის, ანუ „მშვენიერის აღდგენისა და კურნებისათვის“ ინერება ისეთი პიესები, როგორცაა „ლეგენდა ისკანდერისა“ (დარწმუნებული ვარ, მაყურებელი (განსაკუთრებით ახალგაზრდა, ყველაზე „ჰეროიკული ასაკისა“) სცენაზე წარმოდგენილს ისეთივე სიყვარულით მიიღებს, როგორც მარჯანიშვილელთა „ქაქუცა ჩოლოყაშვილს“, რადგან აქ „ჭეშმარიტებას ჭეშმარიტება ჰქვია, ქვეყნის მოზარეს – ქვეყნის მოზარე, გმირს – გმირი“ (და არა პირიქით).

მაღალი ლიტერატურა ყოველთვის პარადიგმულია.

„შეფარვით მითქვამს“, – იტყვის რუსთველი.

„ან ეგ, რაცა ვჰსთქვი, რადა ვჰსთქვი, თუ, რაც მინდოდა, ვერა ვჰსთქვი?!“, – ვარამით შეესიტყვება გრიგოლ ორბელიანი.

ვარამითვე ბრძანებს ილია, „მიგისვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტრითა ხარ ნაჩხვლეთიო.“

ილიას ქრესტომათიული ნაწარმოები ქრესტომათიულივე ფრაზით მთავრდება:

ბა: „როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ჩემო საყვარელო მინა-წყალო, მომეც ამის პასუხი!“

„მშვენიერის აღდგენისა და კურნებისათვის“ თხზული „ლეგენდა ისკანდერისა“ სალბუნია, „საყვარელი მინა-წყლის პასუხი“ – ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის მშობელი მინა-წყლისა...

P.S. „მუნ სტანჯვიდიან ნმიდათა მონამეთა ყოველთა დასანახავად“ – თეატრის საბასეული განმარტება ამ კონკრეტულ შემთხვევას არ მიესადაგება.

„ლეგენდა ისკანდერისა“ წინაპართა წმინდა სახელებს იმისთვის გამოიხმობს, „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვაი“ რომ შეახსენოს ქართველთ.

კითხვისას უცნაურად ამეკვიატა კონსტანტინე გამსახურდიასეული ფრაზა, უზუსტესად რომ ეთანადება როსტომ ჩხეიძის გულისთქმას:

„მიჩქმალული გმირის აპოლოგიას ვუძღვნი დიდი მღულარება ჩემი სულისა.

„აპოლოგია“ ამ შემთხვევაში უხეირო სიტყვაა. მე არ ვენევი ხელალებით აპოლოგიას ნაციონალური ისტორიისა, რადგანაც საამისოდ საკმაოდ მომნიჭებულ მსოფლიო მოქალაქედ წარმომიდგენია თავი და ეგეც ვიცი, არაფერი ნაციონალური საყურადღებო არაა, რასაც უნივერსალური მნიშვნელობა არ მიეწყება“.

სწორედ „უნივერსალური მნიშვნელობის ნაციონალურზე“ ჰყვება „ლეგენდა ისკანდერისა“ – „ჩემ შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს...“

„დაუნერელი პიესაც“ დაინერება...



სხვა ნინოს მოთხრობები

რატომ ვწერ? ან ასე რატომ ვწერ? ის, რასაც ვწერ, სრულიად განსხვავდება ჩემი რეალური ცხოვრებისგან. სრულიად სხვა ფერები, სხვა შეგრძნებები, სხვა ემოციები. რამდენიმე ხნის წინ, ჩემი მეორე ნიგნი გადმოვიღე თაროდან და ჩანთაში ჩავიგდე. ერთმა ნაცნობმა მთხოვა, იქნება ნამაკითხოო (ერთი ცუდი ჩვევა მაქვს, რასაც ვწერ, მერე იმას აღარ ვკითხულობ). სამსახურამდე ავტობუსით მისვლას დაახლოებით 25 წუთს ვანდომებ. ყურსასმენები გავიკეთე, გადავმაღე ნიგნი და კითხვა დაიწყო. დაიწყო კითხვა სხვისი თვალთ, აი თუნდაც იმ ჩემი ნაცნობის თვალთ, რომელსაც საკმაოდ გაურკვეველი ლიტერატურული გემოვნება აქვს და ვერ გაარკვევ, რა შეიძლება მოენოს და რა არა. კითხვისას ვერაფრით მივხვდი, როდესაც ამ მოთხრობებს ვწერდი, იმ დროს რას ვგრძნობდი, რაზე ვფიქრობდი. მეგონა სხვა ადამიანის დაწერილ ამბებს ვკითხულობდი. და სამსახურთან მისულმა დავასკვენი, რომ ეს მოთხრობები ჩემი, ნინოს დაწერილი არ არის. ანუ ისეთი ნინოს დაწერილი არ არის, როგორიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვარ. ჰოდა, ვეკითხები ჩემ თავს, რატომ ვწერ? ან ასე რატომ ვწერ?

ზუსტად ვიცი, რომ წერას ვავგრძელებ. შეიძლება წელიწადში ერთი მოთხრობა ან მინიატურა დავწერო, მაგრამ აუცილებლად დავწერ.

ნინო თარხნიშვილი

უკვდავი სახელები

დენიზა სუმბაძე

**გიორგი მთაწმიდელი –
წინასწარმეტყველი „ახალი ერისა“**



სიტყვა, წარმოქმნილი თბილისის წმ. სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდობის სულიერი განვითარების ცენტრში, გიორგი მთაწმიდელის დაბადებიდან 1000 წლისთავის აღსანიშნავ სხდომაზე, 2010 წლის 9 აპრილს.

ჩემო ძვირფასო ხალხო!
სანამ გიორგი მთაწმიდელზე ვიტყვოდე ორიოდ სიტყვას, დღევანდელი დღის წინაშე მინდა ვალი მოვიხადო და 9 აპრილთან განუყრელად დაკავშირებული ჩემი უახლოესი მეგობრების სახელები მოვიხსენიო თქვენთან ერთად: დიდი მხატვრის, ჩემი სულიერი დის – იდა თვარაძის, ჩვენი ეროვნული გმირის – მერაბ კოსტავას, საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას სახელები...

1989 წლის 9 აპრილს, იდა თვარაძე საავადმყოფოში იწვა. გულის ოპერაცია გაკეთებული ჰქონდა და ნაღვლის ბუშტის საოპერაციოდ ემზადებოდა. 9 აპრილის ღამეს, საავადმყოფოდან გამოიპარა, რათა მომიტინგეებს შეერთებოდა. უწმინდესისგან საიდუმლოდ იღებდა კურთხევას და საპატრიარქოდან კილოობით ეზიდებოდა სანთელს. მომიტინგეებს ურიგებდა. 9 აპრილის ღამეს მართლაც სანთლებით იყო აბრიალებული მიტინგი. ბოევიკებმა მლოცველი მომიტინგეები დაარბიეს ტანკებითა და ხელკეტებით. იდა დახოცილთა შორის აღმოჩნდა. საბედნიეროდ ერთ-ერთ მილიციონერს შეემჩნია, რომ ცოცხალი იყო და სასწრაფო დახმარების ექიმი მიეყვანა. როგორც კი გონს მოსულა, ჩემი ტელეფონი უთქვამს ექიმისთვის. დილის ხუთ საათზე რესპუბლიკური საავადმყოფოდან დამირეკეს და მაცნობეს: თქვენი მეგობარი გადარჩა და რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფებაო...

გარდაცვალების წინ მერაბ კოსტავამ ჩემთან შემოიარა, სახლში, კვირა დღეს. ხუთშაბათს კი ავტოკატასტროფაში მოყვა. თბილისიდან გასული ვიყავი. სახლში მერაბს უცნობი ქალი დახვდა. მერაბის შეკითხვაზე: ვინა ხარ, აქამდე რომ არ მინახიხარო, ქალს ეპასუხა: – ერთი ობოლი და უპატრონო ქალი ვარ, ქ-ნმა დენიზამ

შემიფარაო.
მერაბს გულში ჩაუკრავს მასპინძელი და უთქვამს: „სანამ მერაბ კოსტავა ცოცხალია, საქართველოში ობოლი და უპატრონო არავინ არის“-ო... მახსენდება მერაბის სიტყვები და ვფიქრობ: „როგორ მოხდა, რომ მერაბ კოსტავას სიცოცხლეში ეს ერთი კაცი მართლა იყო მთელი საქართველოს პატრონი და საქართველოს პატრონი მართლა ჰყავდა და ახლა, როდესაც თავისუფლები და დამოუკიდებლები ვართ ვითომ, და ისეთი დიდი ზე-სახელმწიფო გვპატრონობს, როგორც არის აშშ, მთელი საქართველოც და სათითაოდ ყველანიც უპატრონონი აღმოვჩნდით... რა იყო ის ძალა, რომელიც მერაბ კოსტავას ჰქონდა და არა აქვს აშშ-ს? როგორ დავიბრუნოთ ის საქართველო?! იდა თვარაძის, მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას საქართველო და როგორ წავიდეთ ჩვენი ახალი და საკუთარი გზით?! ეს არის დღეს ჩვენი მთავარი ამოცანა!

ნება მომეცით ახლა ჩვენს დიდ წინაპარს – გიორგი მთაწმიდელს დავუბრუნდეთ. უდიდესია ღვაწლი გიორგი მთაწმიდელისა. მისი დაბადებიდან 1000 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ ამ საზოგადოებრივ თავყრილობაზე, ჩვენს დიდებულ წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, მინდა შევეხო მისი ცხოვრების ერთს ულამაზეს ეპიზოდსა და მისი სანუკვარი შემოქმედების ერთს ბრწყინვალე სტრიქონს.

მოგეხსენებათ, ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიაში საქართველოს უფლისწულები და დიდებულთა მთამომავალნი, არაერთნი იყვნენ მძევლებად წაყვანილნი ბიზანტიის საიმპერატორო კარზე, ბიზანტიის ტახტისადმი საქართველოს ერთგულების დასტურად. მძევლები იყვნენ საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფის – მირიანის ვაჟიშვილი,

მძევალი იყო დიდი ფილოსოფოსი და მისტიკოსი – პეტრე იბერი, მძევალი იყო ქართული ეკლესიის დიდი მამა – ექვთიმე ათონელი და სხვანი. ერთ-ერთი ასეთი მძევალი იყო თავის დროზე მარიამ დედოფალიც – დედოფალი ბიზანტიისა, საქართველოს მეფის – ბაგრატ მეოთხის ასული, დაბადების სახელით: – მართა, შემდეგში მარიამი.

გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში, რომელიც გიორგი მცირედ ნოდებულმა მისმა მოწაფემ, გიორგი ხუცესმონაზონმა აღწერა, განსაკუთრებულ ღვთიურ მადლად გიორგი მთაწმიდელისად, მისივე ცხოვრების აღმწერის მიერ, წარმოჩენილია მადლი მისი წინასწარმეტყველებისა:

„ხოლო რამეთუ წინასწარმეტყველებისადაცა მადლი აქვდა წმიდისა ამას, რომელი-ესე დღესამომდე ვითარცა ნათელი მზისა ბრწყინავს და ღმრთივშვენიერად აღსრულებულად იხილვების. რამეთუ ჟამსა მას, ოდეს-იგი თეოდორა დედოფალსა ეპყრა ბერძენთა მეფობა, ითხოვდა ბაგრატ აფხაზთა მეფისაგან, რათა მოსცეს ასული მისი მართა და შვილად თვისად აღზარდოს. ხოლო მეფემან ბაგრატ სიხარულითა დიდითა წარმოგზავნა შვილი თვისი მართა კაცთა თანა საკუთართა თვისთა. ხოლო მათ დღეთა შინა განგებთა საღმრთოთა თეოდორა დედოფალი აღესრულა და მასვე ჟამსა მარიამ დედოფალი, დედა ბაგრატ მეფისა, მუნ იყო, და წმიდაცა ესე მამა ჩვენი მუნვე იყო მიზეზითა რომელთამე საქმეთათა.

ხოლო ვითარცა ვთქუთ, მი-რაცვალა თეოდორა დედოფალი, მეყსეულად მართა, ასული ბაგრატისი, სამეუფოდ შემოიყვანეს და ვითარცა იხილა წმიდამან ამან მართა, სასმენლად ყოველთა წინასწარმეტყველთა და თქუა ვითარმედ: – უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა“.

პატარა მართა, რომელიც 6-7 წლისა იყო, შემდეგში „მართა ყოფილი“ და მარიამად ნოდებული, ქრისტიანული მსოფლიოს წინამძღოლი ქვეყნის – ბიზანტიის ყველაზე ლამაზ და ყველაზე განსწავლულ დედოფლად იქნა აღიარებული. მართა-მარიამ დედოფალი ბიზანტიისა, კონსტანტინე პორფიროგენეტის დედა და დავით აღმაშენებლის მამიდა, რომელმაც უდიდესი

როლი შეასრულა ქართულ-ბიზანტიური ინტელექტუალური ურთიერთობების საქმეში, როდესაც დედოფალი გახდა და გიორგი მთაწმიდელს შეხვდა, ასე მიმართა მას:


„– მამაო, აღესრულა წინასწარმეტყველება შენი, რომელიც-იგი ოდესმე წინასწარმეტყველე მართასთვის“. – ასე გადმოგვცემს ამ შეხვედრას გიორგი მცირე-აღმწერელი გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებისა.

გიორგი მთაწმიდელის ამ დახასიათების ფონზე, მისი წინასწარმეტყველური ხედვის დამადასტურებელი ეპიზოდის ფონზე, მინდა თავს ნება მივცე და თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ მის სტრიქონს პავლე მოციქულისადმი მიძღვნილი სავედრებლიდან, რომელიც ერთ ჩემს წერილს, 1989 წელს, 9 აპრილის მეორმოცე დღეს წარვუძღვარე სათაურად, 9 აპრილს მოყენებული მწარე ეროვნული ჭრილობების მოსაშუშებლად, ჩვენი ერის გასავლელი გოლგოთის გზისა და ყოველივე მომხდარის განსამართლებლად და სასწრაფო კვებითი აღსაკვეთად დიდი ათონელი მამის სიტყვებით. ეს სიტყვები გახლდათ: „ახალსა ამას ერსა საღმრთოსა“, რომლითაც გიორგი მთაწმიდელი თავის მშობლიურ ერს ავედრებდა პავლე მოციქულს და ავედრებდა, როგორც „ახალ ღვთაებრივ ერს“.

ნება მომეცით მთლიანად წაგიკითხოთ გიორგი მთაწმიდელის ეს სავედრებელი:

„დიდებულო ქრისტეს მოციქულთა თაო! ახალსა ამას ერსა საღმრთოსა, ეკლესიისა ნესტუად მატკილად, საღმრთოი შჯული დაგვიმტკიცე, ნეტარო, რამეთუ ძირი უღმრთოებისა განპუხუარ უმაღლეს უფროს ცათა მაღალთა, ლირნება ჰურიათა დაანთქ ქუესკნელთა, აპკედ სამ ცამდე, ღმრთივ სწავლულ იქმენ, პირნი ბრძენთა მათ ზუაფთანი დაჰშენ, აცხოვნენ კაცნი, იქსენ სოფელი, ვითარცა მზე რა აღავსე სოფლით, ლოცვით მადლობა ღმრთისა მოგუმაღლე, ეშმაკთა მტერთა საბრკენი დაჰსწენ“.

გიორგი მთაწმიდელის ამ სავედრებელში სახეზეა ბიზანტიის იმპერიის მთელი სამონასტრო წიაღიდან წამოსული ერთიანი საიდუმლო ცნება, რომელიც გიორგი მთაწმიდელის ერს



მედიტაცია

არასოდეს კონკრეტულ კითხვებს არ ვუსვამ საკუთარ თავს. უფრო მედიტაციურია ჩემი დამოკიდებულება ყოფიერებასთან და კითხვების დახვავება ნამდვილად არ მიწევს.

ყოველდღიურ საკითხავს დროულად ვითვისებ დილაობით და მერე ერთხანს განვჭვრეტ, ვიაზრებ წერილობით ტექსტს.

თუ დაფიქრდები ამ თემებზე, რასაც შენ შეკითხები, გეტყვი, რომ ლიტერატურული პრობლემებითაც ვარ დაინტერესებული და არაერთი შეკითხვა მიჩნდება ჩემთვის, რომლის პასუხსაც პრაქტიკულად ვეძებ წერის პროცესში, დაწერამდეც.

ბოლო დროს, ერთი, ძალიან უცნაური შეკითხვა ამეკვიტა: ხომ არ შევეშვა ლექსების, საერთოდ სხვა ჟანრისაც, გამოქვეყნებას და ვწერო ჩემთვის. ეს ფიქრი დღემდე არ მასვენებს და არ ვიცი, რამდენად შეეძლება.

თუ მოვახერხებ და დაბეჭდვაზე ვთქვი უარი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვწერ. დაწვერ ჩემთვის და მერე თუ ვინმეს დააინტერესებს, იქნებ მოძებნონ კიდეც. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, ასე რომ მოხდეს.

გივი ალხაიშვილი



დავით აღმაშენებელი

წარმოგვიდგენს „ახალ ღვთაებრივ ერად“, ანუ „ახალ საღმრთო ერად“:

„დიდებულო ქრისტეს მოციქულთა თაო! ახალსა ამას ერსა საღმრთოსა, ეკლესიისა ნესტუად მატკილად, საღმრთოი შჯული დაგვიმტკიცე, ნეტარო!

გიორგი მთაწმიდელი, როგორც მისი ბიოგრაფიიდან არის ცნობილი, სირიიდან მივიდა საბერძნეთში, შავი მთიდან მივიდა ათონის მთაზე, რაც იმაზედ მიგვანიშნებს, რომ აზრი ახალი ღვთაებრივი ერისა ქართული საიდუმლო ქრისტიანობის მთავარი ცნება იყო: მთელ ქრისტიანულ სამყაროში იდეა-ღერძი, რომლის გარშემოც ბრუნავდა საქრისტიანო მსოფლიოში ქართული მონასტრული ცხოვრების ეროვნული თვითშემეცნება და სულიკვეთება მომავლის ხედვისა. გიორგი მთაწმიდელისეულ ამ ცნებასთან ერთიანდება იოანე-ზოსიმეს სახელით ცნობილი „ქება და დიდება ქართულისა ენისა“, რომლითაც ყოველი საიდუმლო დამარხულია ქართულ ენაში და, რომ „უამსა მეორედ მოსვლისასა უფალი ილაპარაკებს ქართული ენით“. ამ ორ ნაწარმოებში: გიორგი მთაწმიდელის საგალობელ-სავედრებელში პავლე მოციქულისადმი და იოანე-ზოსიმეს საგალობელში ქართული ენისადმი („ქება და დიდება ქართულისა ენისა“) მთელი მოძღვრებაა მოცემული ქართველი ერის შესახებ, მისი დამარხული ვინაობისა და სამომავლო სულიერი მისიის შესახებ. ეს მოძღვრება ქრისტიანულ საუკუნეთა გრძლიობაში ყალიბდებოდა და როგორც საიდუმლო ცოდნა ერისა, ერის რჩეულთა და ხელთდასხმულთა კუთვნილი მხოლოდ, ვლინდებოდა ძუნწად არა მხოლოდ ლიტერატურულ ნყაროებში, არამედ ქართველი ერის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაშიც. ამ აზრის ილუსტრაციად და დასტურად მიმაჩნია დავით აღმაშენებლის მიერ დასახული ამოცანა: აშენებულიყო გელათის თეოლოგიურ-ფილოსოფიური აკადემია „სხვად ათინად“ და „მეორედ იერუსალიმად“. ამ აზრის დასტურად და ილუსტრაციად მიგვაჩნია ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მიერ მიღებაც წოდებისა: დავით წინასწარმეტყველისაგან შთამომავლობის, რადგან შუასაუკუნებრივი კანონიერებით ქრისტიანული მსოფლიოს

წინამძღოლი და ქრისტიანობის მხსნელი ერი, ისევე, როგორც პიროვნული მხსნელი კაცობრიობისა – იესო ქრისტე – დავითის შთამომავალთაგან უნდა ყოფილიყო წარმომდგარი.

მემკვიდრის მიერ შემონახული იდეა დავით აღმაშენებლისა გელათის აკადემიის მიზანდასახულებაში ჩადებული, როგორც იდეა ახალი ათენისა და ახალი იერუსალიმის შექმნისა საქართველოში, ცხადია იმ ფილოსოფიური და რელიგიური მისიების ახალ ეპოქალურ სტადიაში გადასვლას გულისხმობდა კაცობრიული ისტორიისას, რომელიც მან, კაცობრიობამ იერუსალიმისა და ათენის წიაღში უკვე გაიარა. დავით აღმაშენებლის დიდი მხრები იტანდა ამ ეროვნული მისიის რთული და მძიმე ჯვრის ზიდვას. მისი გონება და რწმენის სიდიადე ბუნებრივად და მსუბუქად ეტოქებოდა მისსავე თანამედროვე მსოფლიოს იდეალებს.

მოგეხსენებათ, საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში დავით აღმაშენებლამდე კუროპალატობა იყო საამაყო წოდება საქართველოს მეფისა და ისინი სიამაყით ატარებდნენ ამ წოდებასაც და მოვალეობასაც ბიზანტიის სარდლისას. მხოლოდ დავით აღმაშენებლისთვის იყო სათაკილო ის, რაც საამაყო იყო მისი წინამორბედი ტახტოსნებისთვის. მხოლოდ დავით აღმაშენებელი, შემოქმედი ახალი ათენისა და მეორე იერუსალიმის იდეალისა, ამბობს კატეგორიულ უარს კუროპალატობაზე, და ამ უარით ხდება გაცხადება ყველა იმ უარისა, რომელიც საქართველოს ბიზანტიისადმი დაქვემდებარებაზე შეიძლება მეტყველებდეს, დანყებული საომარი და სამხედრო საქმიდან და დამთავრებული უმაღლესი ინტელექტუალური შემეცნებითა და სულიერებით. ამკარაა, რომ დავით აღმაშენებელი საქართველოს სულიერ მისიას ქრისტიანული მსოფლიოს წინამძღოლ ქვეყნად ყოფნაში ხედავს. ამ ჭრილში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი სინანულის სტრიქონები, გამომხატველნი მისი პიროვნული დამოკიდებულებისა ისრაელის ბიბლიურ მეფეთადმი. დავით აღმაშენებელს – საქართველოს მეფეს თავისი ცხოვრების ჭაბუკურ ცოდვად მიაჩნია გაიდეალება ისრაელის მეფეთა და ბაძვა მათი პიროვნული ფენომენები-

სადმი“. „ვაცოდვე ერი ჩემი, ვითარცა მეფეთა მათ მისთა – ისრაელი“, წერს იგი თავის პოეტურ შედეგში „გალობანი სინანულისანი“ და როგორც მოსანანიებელ ცოდვას თვისას დასძენს: „ისრაელისა მეფეთა ვბაძევედ, გარნა ურჯულოთა“. „გალობანი სინანულისანი“ ამ სტრიქონებით უშუალოდ დავით აღმაშენებლის პიროვნულსა და ისტორიულ პოზიციასაც ავლენს დავითის კუთვნილ წოდებისადმი, რომელიც ისტორიულ-ეპოქალურმა სულისკვეთებამ იმ დინასტიას მიანიჭა: ბაგრატიონთა დინასტიას. „დავითიან-სოლომონიანობა“ ამ სტრიქონებით დავით აღმაშენებელმა ბიზანტიურ „კუროპალატობასთან“ ერთად ჩამოიცილა და მოგვევლინა სრულიად დამოუკიდებელი საქართველოს მეფედ, სულიერად და პოლიტიკურად დამოუკიდებელი ქვეყნის მმართველად და წინამძღოლად. განსაკუთრებულად უნდა დავაკვირდეთ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ასახულ წოდებას ბაგრატიონებისას, როგორც წოდებას და არა რეალურ გენეტიკურ მოცემულობას ფაქტისას. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რომელიც გიორგი მერჩულეს, ანუ იურიდიულად განსწავლული პიროვნების მიერ არის დაწერილი, და ამასთან განსაკუთრებული თავყვანის-ცემით გამსჭვალული პიროვნების მიერ ბიბლიურ მეფეთა და წინასწარმეტყველთა მიმართ, პირველ ისტორიულ ძეგლად მიიჩნევა, რომლითაც ქართველ ბაგრატიონთა დავითიან-სოლომონიანობა აღნიშნული და დადასტურებული. თავად გრიგოლ ხანძთელზე გიორგი მერჩულე ამბობს, რომ როდესაც იგი აფხაზთა მეფეს – დემეტრეს ეწვია, მისი სახე ღვთისაგან ისე იყო გაბრწყინებული, როგორც მოსე, წინასწარმეტყველისაო („ვითარცა პირი მოსე წინასწარმეტყველისა იყო დიდებულ ამის ნეტარისაცა ხატი მადლითა ღმრთისათა“). ქართველი მეფენი ბიბლიური იდეალებით იყვნენ განმსჭვალულნი. გიორგი მერჩულე ასე აღაპარაკებს აშოტ კუროპალატს, როდესაც იგი სახელგანთქმულ მოძღვარს გრიგოლ ხანძთელს ხვდება.

„მეფეთა ისრაელისათა ჟამად-ჟამს წინასწარმეტყველი აღუდგინოს ღმერთმან სიქადულად მათა და ზღუდედ შჯულისა, და შესანევენლად მორწმუნეთა, და სამხილებლად ურწმუნოთა, ეგრეთვე ჟამთა ჩუენთა შენ გამოგაჩინა ღმერთმან ქრისტიანთა სიქადულად, და რათა მარადის ილუნვიდე ჩვენთვის წმიდითა ლოცვითა შენითა წინაშე ქრისტესა და წმიდათა მისთა“. ხოლო მან (გრიგოლ ხანძთელმა) პრქუა:

„დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობა და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისათვისცა ამას მოგახსენებ:

არა მოაკლდეს მთავრობა შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქუეყანათა ამით უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროს კლდეთა მყართა და მათთა საუკუნეთა, და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე“. (გიორგი მერჩულე – „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ – პავლე ინგოროყვას მიერ დადგენილი ტექსტი. თბ., 1949 წ. გვ. 40).

ვიმეორებ: წინამდებარე ცნობაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ავტორის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ბიბლიურ მეფეთადმი. საქართველოს მეფე – აშოტ კუროპალატი თავის თავსაც ადარებს ბიბლიურ მეფეებს, როდესაც გრიგოლ ხანძთელს ადრის ბიბლიურ წინასწარმეტყველთ: „ისევე, როგორც ღმერთი ისრაელის მეფეებს გამოუჩინდა ხოლმეო დროდადრო წინასწარმეტყველებს, ისევე გამოგვიჩინაო შენი თავი ღმერთმა ქრისტიანთა სიქადულად და ქრისტეს წინაშე ჩვენთვის მლოცვარედო“. სწორედ ამ კონტექსტში უნოდებს გრიგოლ ხანძთელი ქართველთა მეფეს – აშოტ კუროპალატს – ისრაელიანთა ბიბლიური მეფის – დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულის შვილად წოდებულ ხელმწიფეს. „შვილად წოდებულსა“ და არა შვილსა და შთამომავალს.

არ უნდა დავგავიწყდეს, რომ ეს არის ეპოქა, როდესაც „შვილად“ უფლისად, ანუ „ქედ ღვთისად“ იწოდება თავად ღმერთი ქართველთა – იესო ქრისტე, რაც იმას ნიშნავს რომ მეფე ვეღარ იქნება „ქე ღვთისა“, ისე როგორც მაგალითად კოლხეთის მეფე აიეტი – იყო პირდაპირ ქე ღმერთისა. უფრო მაღალი წოდება მეფეთათვის, ვინემ „ღვთის ძეობა“ (და ეს მაღალი წოდება ეკუთვნის იესო ქრისტეს) იმ



„რა-ღაც მინ-დო-და“

ჩემი დისშვილი ირაკლი, პატარა რომ იყო, გამუდმებით რაღაცას ეძებდა და თან ერთ ამოჩემებულ ფრაზას იმეორებდა დამარცვლით: რა-ღა-ცა მინ-დო-და, რა-ღა-ცა მინ-დო-და-ო. რომ ვკითხავდით, რას ეძებ, იქნებ ჩვენ დაგეხმართოთ, თავს გაიქნევედა და ისევ ჯიუტად აგრძელებდა ძებნას.

მას შემდეგ წლები გავიდა, მე კი სულ ვფიქრობ, ნეტავ რას ეძებდა თავის ბავშვურ სამყაროში 4-5 წლის პატარა ბიჭი და თუ იპოვა-მეთქი.

ჩემი დამოკიდებულება ლიტერატურის მიმართ ირაკლის საქციელს ჰგავს. ყოველი ახალი წიგნის კითხვისას მეც მასავით დაბნეული დავდივარ და ვიცი, რომ რაღაცას ვეძებ, „რაღაცა მინდოდა“, მაგრამ რა? – ჯერჯერობით არც მე მაქვს პასუხი ამ კითხვაზე და, ირაკლისი არ იყოს, არც ის ვიცი, რას ვეძებ, არც ის, ოდესმე ვიპოვი თუ არა და არც არავისი დახმარება მინდა.

ზუსტად მხოლოდ ის ვიცი, რომ მომწონს ამ გაურკვევლობაში ყოფნა, თანაც ძალიან.

ინა არჩუაშვილი



ამოტ კურაპალატი.
ოპიზის ბარელიეფი

რელიგიურ ცნობიერებაში, რომლის დროსაც ბაგრატიონები ადიან საქართველოს ტახტზე, არ არსებობს. როდესაც ალექსანდრე მაკედონელს ეგვიპტის ქურუმთა კრებამ მიანიჭა ეგვიპტელთა ღმერთის – ამონის შვილობა – ეს არ ნიშნავს იმას, რომ ალექსანდრე მაკედონელი – გენეტიკურად ეგვიპტელი გახდა. ალექსანდრე მთელი სიცოცხლე სიამაყით ატარებდა ამ წოდებას: „ძეს ამონისას“. ასევე პოლიტიკურმა და რელიგიურმა გარემომ, უფრო ზუსტად ეკლესიურმა სულისკვეთებამ, მთელს საქრისტიანო მსოფლიოში ბაგრატიონთა დინასტიის აღზევების ჟამს, შექმნა ქართველი ერის სულიერი მისიის აღსანიშნავი ცნება „დავითის ძეობისა“,

როგორც წოდება და ტიტული ქართველთა მეფისა. ეს წოდება იგივეობრივი იყო თავად იესო ქრისტეს წოდებისა „ძედ დავითისად“, რომელსაც არ ეთანხმებოდა თავად იესო ქრისტე – „ძე უფლისა“, მაგრამ აზროვნებამ ეპოქისამ მაინც დაუტოვა მას ეს წოდება და მათე მახარობლის პირველივე სტრიქონით აღმოჩნდა მოხსენიებული, როგორც „ძე დავითისა“.

ასეთივე როლშია დავით აღმაშენებელი – ბაგრატიონთა დიდი წარმომადგენელი და ახალი ქართველი ერის წინამძღოლი: დავით აღმაშენებლისათვის მთავარია თვითმყოფადობა ქართველი ერისა, რომელიც სულიერი და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ დავით აღმაშენებლისათვის ჩამოსაცილებელია „კუროპალატობის“ ტიტული საქართველოს მეფისა, რომელიც ბიზანტიის დაქვემდებარებაში აყენებს საქართველოს და „დავითიან-სოლომონიანობაც“, რომელიც ისრაელიანთა ბიბლიურ მეფეებს ქართველთა მეფეთათვის იდეალებად წარმოსახავს და ამიტომაც იტყვის სინანულით:

„ისრაელისა მეფეთა ვჰბაძევდ, გარნა ურჯულოთა“. დავით აღმაშენებელმა იცის ფასი ქრისტიული აღვსებისა და პრიორიტეტი ქრისტიანობისა ისრაელიანთა მიმართ. დავით აღმაშენებელმა იცის, რომ ყველაზე მისაბაძი ბიბლიური მეფენიც კი ისრაელიანებისა „ურჯულონი“ არიან და ცოდვილნი, და ეს მიბაძვა მან უნდა მოინანიოს თავისი ერისა და კაცობრიული ახალი იდეალების სახელით. მოინანიოს და განიწმინდოს. სხვა შემთხვევაში იგი ვერ დასახავს იდეას „ახალი ათენისას და მეორე იერუსალიმისას“. დავით აღმაშენებელი საფუძველს უყრის სწორედ იმ საქართველოს, რომელსაც გიორგი მთაწმიდელი უწოდებს „ახალ ერს“ და რომელსაც იგი ავედრებს იესო ქრისტეს ყველაზე ცეცხლოვან მოციქულს – პავლე მოციქულს.

ქართველები შინ და გარეთ

რუსუდან ნიშნინიძე
უცნობი და თან „მოვლენა“

60-იანი წლებია. პოლიტიკაში ახალი ტენდენციები იგრძნობა, გარეგნულად მაინც. მოგვიანებით, ეს პერიოდი კულტურაშიც (მწერლობაში, კინემატოგრაფიაში...) საგანგებოდ გამოიკვეთება. „ფარდა“, რომელიც საბჭოთა სივრცის არსებობის მთელ პერიოდში უცხოეთთან ყოველგვარ ურთიერთობას გამოორიცხავდა, ნელ-ნელა იხსნება.

...და ერთი საინტერესო ფაქტი: საქართველოს ცნობილი ამერიკელი მწერალი უნდა ეწვიოს. მოლოდინი დიდია, არც სიფრთხილეა გამოორიცხული და არც ცნობისმოყვარეობა ცხრება. ამერიკელი, მაგრამ ქართული წარმომავლობის მწერალი. ისიც საგულსხმოა, თვითონ რას ფიქრობს, როგორი შთაბეჭდილებით დაბრუნდება უკან; რა თემებზე და რა ენაზე დაელაპარაკება კოლეგებს. უცხოეთში მცხოვრები მწერლისთვის, როგორც ჩანს, მაინც სხვა რამაა მნიშვნელოვანი. ხმამაღლა აღნიშნავს კიდევ:

„– დიდად გამახარა იმ ამბავმა, რომ ამგვარად შეცვლილ ქალაქში ხალხს შეუნარჩუნებია ქართული ცხოვრებისა და კულტურის საუკეთესო ნიშნები და უძველესი ქართული ტრადიციები კვლავ ჰყვავის“.

ერთი წინადადება და ორგზის გამოყენებული სიტყვა: „ქართული“.

გიორგი პაპაშვილის ბიოგრაფიაში რამდენიმე მნიშვნელოვანი თარიღია:

- 1) კობიანთკარში დაბადება.
- 2) „გზას“ რომ დაადგა – წარმატების, თუმცა უჩვეულო გზას: მწერლის, მოქანდაკის... ბედნიერი კაცის გზას...
- 3) პირველი ნამუშევარი და პირველი დიდი წარმატება!
- 4) პირველი ნაწარმოების გამოქვეყნება და სხვადასხვა სახელმწიფოს მილიონობით მკითხველი...
- 5) საქართველოში ჩამოსვლის შესაძლებლობა. არა პრობლემებით, მალულად, საბჭოთა ხელისუფლებისადმი შიშითა და სიფრთხილით, არამედ როგორც ოფიციალურად მონვეული ცნობილი ამერიკელი მწერალი: შეხვედრებით, ნათესავების მონახულებით,

დილის გაზეთებში გაშუქებული ახალი ამბებით.

ერთი მთავარი შტრიხი, რომელიც მთელ მის „გზას“ – განვლილ ცხოვრებისეულ გზას ვგულისხმობ, განსაზღვრავს: ვფიქრობ ისაა, რომ გიორგი პაპაშვილმა შეცვალა „ტრაგიკულის განცდა“. სწორედაც შეცვალა! ის ყოველდღიური კეთილი მადლიერებით, „ყოფნის“, გახარების უნარით ჩაანაცვლა. ყოველი წვრილმანიდან, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალიდან, ცდილობდა სიამოვნების მიღებას, სხვასაც ამას ურჩევდა. მისი ცხოვრება კი მართლაც ზღაპრულს დაემსგავსა.

თარიღები გამოყავი. ამჯერად მხოლოდ ერთზე ვისაუბრებ.

1 აპრილი – სიცილის, ხუმრობის, „სკანდალური“ თუ უწყინარი ტყუილების (ლამის) ოფიციალურად დაწესებული დღე. მის სამშობლოდ საფრანგეთს მიიჩნევენ, თუმცა პარალელურად მაშინვე იხსენებენ ძველი რომაელების „სულელების დღესასწაულსაც“. თავისმართლების ფრაზაც ცნობილია: „დღეს პირველი აპრილია“. ოხუნჯობა, ოინები – დაშვებულია!

სალალობო-სახუმარო განწყობაც იქნებოდა და ერთი პირი – არდაჯერების ეჭვიც, მაგრამ რეალობა რეალობად რჩებოდა: საქართველოს მწერალთა კავშირში სტუმრად მოდიოდა ამერიკიდან ჩამოსული მწერალი, ამერიკაში ცნობილი მწერალი, არადა, ქართველი მწერალი.

„– პირველ აპრილს ვენვიე თბილისს“, – გაიხსენებს თავადაც.

1 აპრილი დაიწყო. სწორედ ისე, როგორც ამ დღისთვის იყო მიღებული:

„– თბილისი პირველად ვერც ვიცანი და თავი სიზმარში მეგონა“, – იტყვის გაკვირვებული. თითქმის ოთხი ათეული წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ზუსტად აღიდგენს: „მტკვრის გასწვრივ, ჭაობებში, სადაც ნაგვის მეტი არაფერი ეყარა, ახლა საუცხოო სანაპიროა. ვინრო ქუჩები ფართო პროსპექტებს შეუცვლია, ყოველ ნაბიჯზე სკოლები, სახალხო დაწესებულებები, საცხოვრებელი სახლები



გიორგი პაპაშვილი

აუშენებიათ და აშენებენ“.

ყოველივე ეს აოცებს და ახარებს კიდეც. საქართველოში თითქმის ერთი თვე რჩება... ამერიკაში დიდი შთაბეჭდილებებით, ალტაცებული დაბრუნდება:

„– მე არ ვიცოდი, რევოლუციამ რამდენად მართებულად შეცვალა ვითარებანი, ანდა თუ მე უნდა მიმემართა ვინმესათვის „ამხანაგო“; მაგრამ მე ვნახე, რომ თვით რევოლუციამაც კი ვერ შეცვალა კარგი მანერები“.

ეტყობა, ბევრად უარესს ელოდა... შტატებში დაბრუნებული უახლოეს მეგობრებს ესტუმრა, უნდოდა, თავისი ალტაცება გაეზიარებინა. გაცემული და აღფრთოვანებული უამბობდა, რომ მის სოფელში სკოლაც გახსნილიყო, კლუბიც, ბიბლიოთეკაცა და კოოპერატივიც. კონტრასტები შთაბეჭდილებად დალაგდა: უარესისა და უკეთესის ამორჩევით, შედარებებითაც. პირველივე მკვეთრი წინადადებიდან გაირკვა – მეგობრები „სხვადასხვა ნაპირზე“ აღმოჩნდნენ.

ერთი ფრაგმენტი პოლემიკიდან: **გიორგი პაპაშვილი:** „წინათ კობიანთკარს სასმელი წყალი არ ჰქონდა, ხალხი შორს დადიოდა, ახლა კომუნისტებს მიღებით ჩამოუყვანიათ წყაროს წყალი ზედ შუა სოფელში... რატომ მენშევიკებმა არ გააკეთეს ეს?“

თამარ კვარაცხელია: „ვინ დააცალა მენშევიკებს! მაგრამ რატომ იმას არ უკვირდები, რომ ბოლშევიკებმა სისხლის ნიაღვრები ააჩქეფეს... შენ კი ერთი კილომეტრიდან მიღებით წყლის გაყვანა გიკვირს და გახარებს. ასიათასზე მეტი ქართველი მოსპეს წმენდებში და მეორე დიდ ომში სამასი ათასი ქართველი მიანყვიტეს“.

გიორგი ქვეყანას ხედავს – როგორიც არის.

თამარი – როგორი შეიძლებაოდა ყოფილიყო, რომ არა იდეოლოგიური და ძალისმიერი ჩარევა.

ქართველები ამერიკაში. XX საუკუნის 30-იანი წლები



სხვები – უზარმაზარ უფსკრულს ამ ორს შორის.

საუბრები ხშირად გაიმართება. ისევ გიორგი დაიხვეს უკან: „მე იმას კი არ გეუბნებით, სამოთხეა-მეთქი“. სამოთხედ არ ეგულება, მაგრამ ყველა იმ სიახლის არად ჩაგდება არ შეუძლია.

ათი წლის შემდეგ დაინერება წიგნი: „Home, and Home Again“. შთაბეჭდილებებს დაღვინება სჭირდებოდა. ამჯერად ამას ერთი ათეული წელი დასჭირდა. „ნიუ-იორკ ტაიმის“ ფურცლებზე ედუინ მაკდოველი საგანგებოდ გამოჰყოფდა ამ წიგნს და დიდ მნიშვნელობასაც ანიჭებდა. ეს იყო მწერლის ბოლო წიგნი. გამოიცა 1973 წელს, ნაცნობი გამომცემლობის Harper & Row-ს მიერ. 5 დოლარად და 95 ცენტად ერთბაშად გაყიდული 72 000 წიგნის ტირაჟი მართალია ვერ იმეორებდა ბესტსელერის შედეგს, მაგრამ შთაბეჭდავი და ძალიან პოპულარული ამერიკელ მკითხველებში უდავოდ იყო.

„Home, and Home Again“ („შინისკენ, კვლავ შინისკენ“) – ამ წიგნის ქართული თარგმანი საქალაქო დევეს და თავის გამომცემელს ელის. ნაწარმოები, რომელსაც უამრავი მკითხველი იცნობს, ქართველ მკითხველს მშობლიურ ენაზე ჯერ არ წაუკითხავს.

თბილისში დაათვალიერეს პირველი საშუალო სკოლა, პიონერთა სასახლე, უნივერსიტეტი, უცხო ენათა ინსტიტუტი; იყვნენ სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში, ხელოვნების მუზეუმში, დაათვალიერეს ბოტანიკური ბაღი, მიხეილ მამულაშვილის ბაღნარი მცხეთაში. მოგზაურობის ბოლო კვირას მათი საუკეთესო მეგობრები შეერთებული შტატებიდან – მიუილენბერგები შემოუერთდნენ. ამაყი გიორგი პაპაშვილი მეუღლესა და იმის თანამემამულეებს ათვალიერებინებდა ქვეყანას. ეჭვი არ შეგეპარება, იმდენად გულწრფელია და ბუნებრივი მწერალი, როცა იტყვის:

„– ნამდვილად ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სამშობლო მხარე ჩემს ამერიკელ მეუღლეს ვაჩვენე, აგრეთვე ჩვენს საუკეთესო მეგობრებს შეერთებული შტატებიდან... თქვენ ბევრი, ძალიან ბევრი დიდებული რამ გაგიკეთებიათ ამ ორმოცი წლის განმავლობაში... გაუმარჯოს ახალ საქართველოს, გაუმარჯოს საქართველოს შესანიშნავ შვილებს!“

ეს არაა პათეტიკა, არც ყალბი ალტაცება (20-იან წლებში წასულს 60-

იანი წლების ქვეყანა რასაკვირველია, სრულიად განსხვავებული დახვდა)... საქართველოში ჩამოსვლას კიდევ იმედოვნებდა; მაღლობას უხდოდა ყველას ასეთი დახვედრისთვის, ამგვარი დღეებისთვის, ამ სიხარულისთვის; ყველას, „ვინც... [მისი] ყოფნა საქართველოში... მოვლენად გადააქცია“. „მოვლენა“ მხოლოდ მისთვის არ იყო, არამედ საბჭოთა მკითხველისთვისაც და მისი აქ დარჩენილი ახლობლებისთვის... „მოვლენა“ კიდევ ერთი უჩვეულო, არაჩვეულებრივი თვალსაზრისითაც გახლდათ. მოქანდაკემ, რომლის ნამუშევრებიც არაერთ სახელმწიფო თუ კერძო კოლექციებს ამდიდრებდა (თუ ამშვენებდა), საქართველოს ხელოვნების მუზეუმს სამი ნამუშევარი („ცხენი“, „ჩიტი“ და „ჩიტი“) საჩუქრად გადასცა...

მოკლედ, ამ „მოვლენაზე“ – სტუმრობაზე ვილაპარაკოთ.

„პირველი ქართველი უცხოელი, რომელსაც თბილისში შეეხვდი“, – დაწერს მოგვიანებით ერთი ქართველი მწერალი. ქართველი უცხოელი?! მწერალთა კავშირში შეხვედრაზე კი მოულოდნელი არაფერი უნდა მომხდარიყო. მკაცრად იყო გათვალისწინებული, ვინ შეხვდებოდა. წინასწარ განსაზღვრეს – ოღონდ არა მწერლებმა. გამორიცხულია, თავი ორივე მხარეს არ დაეზღვია; არც კაპიტალისტური ქვეყნიდან საბჭოთა სამშობლოში ჩამოსული შეუდგებოდა იდეოლოგიური განსხვავებების შესახებ მსჯელობას. არა იმიტომ, რომ პოლიტიკური სიფრთხილე შეზღუდვადა, არა, თვითონ იყო რეალური გმირი იმ ქვეყნისა, სადაც „ყველაფერი შეიძლება მოხდეს!“ (ბესტსელერად ქცეული მისი წიგნიც ხომ ზუსტად ამგვარადაა დასათაურებული). პაპაშვილს ე. წ. ფასეულობათა სტანდარტი აქვს – არაფერს ცვლის ხელოვნურად. გულწრფელად ყვება, არაფერს დაუმატებს. შეხვედრაზე ასეთ ამბავსაც გაიხსენებს:

ერთ დღეს ამერიკაში უფულო თანამემამულეებთან ერთად სოფელ-სოფელ (თუ ქალაქ-ქალაქ) მოხეტიალენი ლუკმა-პურის და მცირეოდენი გასამრჯელოს მოლოდინში ერთი ქალაქის რესტორანში შესულან. ენის უცოდინარობა ხელს უშლიდათ, ოფიციალურისთვის გაეგებინებინათ – რამდენი დოლარი ჰქონდათ, რომ იმ თანხის ფარგლებში მოეთხოვათ; ე. ი. არ შექმნილიყო უხერხულობა – არც მეტი,

არც ნაკლები. ერთმანეთს ვერაფერი გააგებინეს. ოფიციალტმა რესტორნის პატრონთან გადაწყვიტა საკითხის გარკვევა. ამ უკანასკნელმა კი ჩათვალა, სტუმრებთან თავად მოეგვარებინა ურთიერთობა. როცა აყაყანებულ მაგიდის წევრებს მიაყურადა, ხელგაშლილი და გაღიმებული, ლამის ყვირილით გაემართა მათკენ:

– ქართველებო, გაგიმარჯოთ!

არა, ნუ აღტაცდებით, ქართველებს ერთმანეთი არ უპოვიათ. რესტორნის მეპატრონე წარმოშობით გერმანელი გახლდათ. მამამისს თბილისში უმუშავია და წლების განმავლობაში თავისი ოჯახით აქ უცხოვრია. აქ გაურბენია მის ბავშვობას და ახალგაზრდობასაც. ბუნებრივია, ახსოვდა აქაური სიტუაცია, ზნე-ჩვეულებები, ხმაურიც და, რასაკვირველია, სტუმარ-მასპინძლობის წესიც. მასპინძელი კი „აქ“ და ამჯერად თვითონაა და „ზღაპრული სუფრა გაგვიშალა, სიზმარშიც რო არ დაგველანდებოდა, ისეთი“.

მწერალთა კავშირში „გულახდილობა“ კიდევ უფრო მეტად დაშვებული რომ ყოფილიყო, რამდენად საინტერესო გამოვიდოდა მათი საუბრის სიღრმე, კულტურათა გზაჯვარედინზე აზრთა გაცვლა, სიხალეები ქართულ და მსოფლიო მხატვრულ სივრცეში. გიორგი პაპაშვილის ცხოვრებით დაინტერესება, ბუნებრივია, ყველაზე დიდ დროს დაიკავებდა, მაგრამ, ანკი სად ეჩქარებოდათ. მნიშვნელოვანი, ალბათ, დისკუსია იქნებოდა თარგმანების შესახებაც. იმხანად ცნობილ მოქანდაკესა და პოპულარულ მწერალზე ფილმებისაც იღებდნენ და გიორგი პაპაშვილი ქართველი თანამოქალაქეებისათვის ბევრი შტრიხით უნდა ყოფილიყო ანგარიშგასანევი. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთებში დეტალური არც რეპორტაჟი გამოქვეყნებულა და არც დაწვრილებითი ინფორმაცია. ისიც, რაც გავრცელდა, ძალიან მწირი იყო. მგონი, მაინც ტყუილი მოლოდინია პრესაში რაიმეს ძებნა. ვფიქრობ, არც იქ, მწერალთა კავშირში არაფერი ითქმოდა ზედმეტი, თუმცა, რაღაც ფრაგმენტულად მაინც გაკრთა. ერთი მოგონებებიდან:

„მთელი საუბრის მანძილზე გიორგი პაპაშვილს პოლიტიკაზე სიტყვა არ დაუძრავს. აღარ მახსოვს ვინ, თუ არ ვცდები, ალექსანდრე ქუთათელმა, რაღაც ჰკითხა პოლიტიკურ საკითხზე. გიორგიმ ორივე ხელი გაასავსავა და



აჭვიანი კითხვები


ერთხელ ჩემს ასაკოვან ახლობელს მოეჩვენა, რომ ძუძუს კიბო სჭირდა. საბედნიეროდ, განგაში ცრუ აღმოჩნდა. ბედნიერმა მითხრა, სიცოცხლეში პირველად გავიფიქრე, რომ მოვკვდებოდი. გამიკვირდა, რადგან სიკვდილზე იმ ასაკშიც მიფიქრია, როცა სიცოცხლისა ბევრი არაფერი გამეგებოდა. ჩემი სახლის აივნიდან გავცქეროდი კავკასიონის მთათა გრანის და საკუთარ თავს ვეკითხებოდი, რა არის იმის იქით. იმ ასაკში გახლდით, როცა სამყარო მხოლოდ ის მეგონა, რასაც ჩემი მზერა გადასწვდებოდა. მერე თვალსაწიერი გამოიფაროვდა, მივხვდი, რომ სამყარო უსასრულოა, დრო არასოდეს დაწყებულა და არასოდეს დამთავრდება. თითქოს ჩავიკარგე ამ უკიდევანობაში. უპასუხო კითხვები დამიგროვდა. ყველაზე მთავარი, ცხადია, ის იყო, რა იქნებოდა იმის შემდეგ, როცა ჩემი ბიოლოგიური არსებობა შეწყდებოდა. ნუთუ იმისთვის დავიბადე, რომ ოდესმე მოვკვდე? ვინ შემქმნა და თუ შემქმნა, რატომ გამაწირა? არის უფალი თუ ეს სამყარო უბრალოდ ნივთიერებათა გროვაა? რითი შემიძლია გადავრჩე?

კითხვები...კითხვები...ვინც ინსტინქტის დონეზე არსებობს, იმას მარტივი კითხვის დასმაც უჭირს. კითხვის დასმა თავისთავად ინტელექტუალური მუშაკობის შედეგია. ბუნებრივია, ცხოვრების კვალდაკვალ უამრავი კითხვა ჩნდება. ყოველ კითხვაზე პასუხი არათუ ერთ ადამიანს, კაცობრიობას არ გააჩნია. იქნებ კალამი სწორედ პასუხების ძიების სურვილმა ამაღებინა. ლიტერატურული ქმნილება არის ადამიანის სურვილი, შეერწყას დროის უსასრულო მდინარებას, თავისი „მე“ დააფიქსიროს მარადისობაში. თავისთავად ცხადია, რომ ეს მცდელობა აპრიორი მარცხისთვისაა განწირული. წიგნი, ტექსტი მხოლოდ მაშინ ცოცხლდება, თუ მავანის მესხიერებაში მოექცა. საბოლოოდ ადამიანი მოკვდავია, თვით ერებიც და კაცობრიობაც დროში შეწყვეტენ არსებობას, ეს სამყაროც

დასასრული 59-ე გვერდზე



მწერალთა კავშირის შენობა



გიორგი პაპაშვილის წიგნის
- „შინისკენ, კვლავ შინისაკენ“
გარეკანი

მკვეთრად წამოიძახა: „მე თქვენა ჩხუბში არ გამოგყვებით“ (თეიმურაზ ჯანგულაშვილი). საინტერესოა, რა ჰკითხეს?! არც ისაა ინტერესმოკლებული, სხვა მწერალი როგორ გაიხსენებდა იმ ეპიზოდს; ერთი დამატებითი ფრაზა და სურათი შეიცვლება!.. მაგრამ როცა მეტი არაფერი იცი, უსარგებლო და არასერიოზულია ვარაუდების დაშვება. თან, 1 აპრილი დასრულდა...

საინტერესოა, როცა სხვადასხვა თარიღის დადგენის დროს მოგონებები ერთმანეთს ეწინააღმდეგება და რთულდება სწორი დასკვნის მიღება; ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება ერთმნიშვნელოვნად დროისმიერი კონტექსტის გათვალისწინება: როდის, რა ვითარებაში იქნა ნაამბობი ესა თუ ის ამბავი. აქ არც სარედაქციო „ჩარევა“ გამორიცხული, რომელსაც საზოგადოდ, გასაგებ ენაზე „ცენზურა“ ჰქვია. მწერალთა კავშირში ყოფნის დროს გიორგი პაპაშვილს საკუთარი ბიოგრაფიიდან რამდენიმე ეპიზოდი გაუხსენებია. ერთ მათგანზე შევაჩერებ ყურადღებას. აქვე აღვნიშნავ, რომ მის ნაამბობს მწერალი თეიმურაზ ჯანგულაშვილი იგონებს. დიდი დროა გასული ამერიკელი მწერლის სტუმრობიდან, დროც ზუსტად აღარ ახსოვს: 1962 წელს ეგულება, არადა, 1961-იან; ხოლო თავად ამ მოგონების დაწერა გივი კობახიძის (ამერიკელი ქართველი ემიგრანტის) წერილების პუბლიკაციას გამოუწვევია. კაცმა რომ თქვას, ეს ლამის ერთადერთი მოგონებაა, იქ დამსწრე მწერლებიდან ვინც გამოაქვეყნა, რომელსაც მივაგენი, დანარჩენებმა...

„- პირველი მსოფლიო ომი ბობოქრობდა. ჯარში განწვევა ჯერ არ მიწვედა, მაგრამ რატომღაც ომში მიმინვედა გული. ავდექი და ქალაქში ჩამოვედი. კითხვის-კითხვით ვიპოვე ის ადგილი, სადაც საჯარე ბიჭებს იძახებდნენ. უფროსთან შევედი, მხრებზე ეპოლეტები რომ უზიმზიმებდა.

- რა გინდაო?
- ომში მინდა წავიდე-მეთქი.
- ცოტა ხანს მოიცადეო.

როცა სხვა იქ მყოფები ოთახიდან გავიდნენ და ჩვენ ორნი დავრჩით, ქართულად მკითხა: საიდან ჩამოხვედი და რა გინდაო. ვუთხარი საიდანაც ვიყავი და თხოვნაც გავუმეორე. წამოდგა, მომიახლოვდა, ერთი ალიყური მაჭამა და შუბლშეკრულმა მითხრა:

- ნიკოლოზის ომში თავი რათ უნდა მოიკლა, შე მამაძაღლო, შენაო. ის არა

კმარა, რაც იქ ქართველები იხოცებინაო. ახლა წადი და შენს სახლ-კარს მიხედე, ეცადე, შენს სამშობლოს გამოადგეო.

გაბუყებულ ლოყაზე ხელმიდებული გამოვედი, დაფვიქრდი და მივხვდი, რო ალალი იყო ის სილა ჩემთვის“.

მოზრდილი ამონარიდი მოვიტანე, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვნად შემდეგი წინადადება მიმაჩნია: „ბატონმა გიორგიმ გულიანი ღიმილით დაამთავრა იმ ეპიზოდის თხრობა და უცხოეთში გადახვეწის პირველი დღეები გაიხსენა“. შემდეგ, მოქმედება უკვე ამერიკაში გრძელდება... პირველი მსოფლიო ომი, ნიკოლოზ II, ამერიკა – თითქოს ბუნებრივად გადაება ერთმანეთს. ვერც მთხრობელს მოედავები, ყველაფერს თანამიმდევრობით აკი არც მოჰყვება. თუმცა საქართველოში ყოფნისას მუდმივად იმას უსვამს ხაზს, რომ სამშობლო „ორმოცი წლის მანძილზე არ მინახავს“ (გაზ. „კომუნისტი“ 134, 1961), ან „ამ ორმოცი წლის მანძილზე აქ ძალიან ბევრი რამ გამოცვლილა“ (გაზ. „კომუნისტი“ 81, 1961). ამერიკაში დაბრუნებული მოგზაურობის პირველი წუთებიდანვე აღდგენას რომ შეუდგა, დაწერა: „Now the airplane takes off, and at last, after forty years, I am going home“. უბრალო არითმეტიკაა: 1961-ს გამოვაკლოთ ეს 40!

მასალა, რომელიც საქართველოშია ხელმისაწვდომი, პაპაშვილის ბიოგრაფიის დაკავშირებას დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდთან თითქმის გამორიცხავს: სხვადასხვა მკვლევარის ვარაუდით, ეს პირველ მსოფლიო ომს უკავშირდება. განსხვავებულია უცხოეთში გავრცელებული ინფორმაცია.

ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ 60-იან წლებში წერდა, რომ პაპაშვილი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე „მეფის არმიამ გაიწვიეს... სპარსეთის ფრონტზე მოხვდა და ტყვედ ჩავარდა. დიდი წვალებით მოახერხა მან სტამბოლში გაქცევა, აქედან კი სამუშაოს საძებნელად ამერიკაში წავიდა“. ამ ვერსიას გაამყარებს გივი ნადარეიშვილის პუბლიკაცია „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე, სადაც ავტორი აღადგენს მწერლის ბიოგრაფიას და ამ წლებთან დაკავშირებით ისიც ამგვარსავე ცნობას გვანვდის, რომ 1914 წლის დასაწყისში ჯარში განწვეული გიორგი „სპარსეთისაკენ გაისტუმრეს. ის იყო და ის, ამ დღიდან

გიორგისა აღარაფერი ისმოდა“. ამი-
რან ცამცივილი წიგნში „უცხოეთში
მოღვაწე ქართველი ხელოვანი“ ზუს-
ტად იმავე ინფორმაციას იმეორებდა:
„იგი პირველი მსოფლიო ომის დროს
ტყვედ მოხვდა სპარსეთში, საიდანაც
სტამბოლში გაიქცა და მერე კი ამერი-
კაში წავიდა სამუშაოს საძებნელად“.

სრულიად განსხვავებულია უცხო-
ეთიდან, ამერიკიდან გივი კობახიძის
მიერ მოწოდებული ცნობა, რომლის
მიხედვითაც გიორგი პაპაშვილმა
საქართველო 1922 წელს დატოვა.
ძირითადად, ასევეა მითითებული სხ-
ვადასხვა ინტერნეტ საიტზეც – კერძო
პირთა, სამუზეუმო თუ საგამომცემლო
წარდგინებისას (რამდენიმეგზის 1920
წელიცაა მითითებული). რასაკვირვე-
ლია, ერთი შეხედვით, 7-8 წელიწადს
თითქოს ასეთი გადამწყვეტი მნიშ-
ვნელობა არ უნდა ჰქონდეს; არადა,
აქვს! ამ წლებში საქართველოში სახ-
ელმწიფოებრივი წყობა რამდენჯერმე
შეიცვალა: პირველ შემთხვევაში – რუ-
სეთის მეფის ხელისუფლება, მეორეში
– საბჭოთა წყობილება (ისიც რუსის
ხელშეწყობით დამყარებული); ამავე
დროისმიერ არეალში საქართველოს
დამოუკიდებლობის ხანაცაა, რო-
მელიც გიორგი პაპაშვილთან დაკავ-
შირებით საერთოდ არ განიხილება!

მნიშვნელოვანია, განისაზღვროს
ემიგრაციის ზუსტი პერიოდი: ესაა
პირველი მსოფლიო ომი, მენშევიკების
მმართველობის ხანა თუ ბოლშევიკები-
სა.

აქვე აღვნიშნავ, ვფიქრობ, ერთ საინ-
ტერესო ლიტერატურულ ფაქტს:

1956 წელს გამოიცა გიორგი პაპაშვი-
ლის წიგნი „მადლობა ნოეს“ – „Thanks
to Noah“. სწორედ სათაურს უკავშირდ-
ება იმავე გივი კობახიძის ღიმილიანი
განმარტება:

„– ძვირფასო, ნოე ჟორდანია არ
გეგონოთ, აქ ბიბლიური ნოე იგულისხ-
მება“.

ნათქვამი რაიმეს ხომ არ მიანიშნებს
მკვლევარს?! რატომ უნდა აგერიოს
რომელიმე ხელისუფლების პირველი
პირი და ბიბლიური ნოე ერთმანეთში?!

ერთი შეხედვით, მისი ეს „შენიშვნა“,
შესაძლოა, იუმორის თემიდანაც კი მივ-
იჩნით; ქართველი ემიგრანტისაგან
ამგვარი ქილიკი ანკი რა გასაკვირი
იქნებოდა. ჯერ კიდევ „იმ წლებში“
ამგვარი თანამიმდევრობით ჩამოთვ-
ლილი გვარები: **ნოე** რამიშვილი, **ნოე**
ჟორდანია, **ნოე** ხომერიკი, **ნოე** ცინცა-

ძე... გონებამავილ ქართველს სწორე-
დაც ამ კონტექსტში გაახსენდებოდა
და ხუმრობით შეარქმევდა კიდევ:
„ნოეს კიდობანი.“

შევხვდი მისი წიგნების მთარგმ-
ნელსაც – ბ-ნ ანდუყაფარ ჭეიშვილს,
რომელსაც ჰქონდა შესაძლებლობა,
60-იან წლებში საქართველოში ჩამო-
სულ მწერალს შეხვედროდა და გას-
აუბრებოდა. როგორც მისი მოგონები-
დან გაირკვა, თავად მწერალს უამბნია
მისთვის, რომ იგი სრულიად შემთხვე-
ვით აღმოჩენილა იმ გემზე, რომელსაც
დამოუკიდებელი საქართველოს
მთავრობა მიჰყავდა უცხოეთში. დახ-
მარების თხოვნის შემდეგ, ერთ-ერთ
წევრს მისთვის წასვლაც შეუთავაზე-
ბია...

ფრაგმენტი ამ დიალოგიდან:
**„– ბატონო ანდუყაფარ, საქა-
რთველოში ამგვარადაა ცნობილი,
უფრო კონკრეტულად, რამდენიმე
მკვლევარი იზიარებს აზრს, რომ იგი
1914 წელს პირველ მსოფლიო ომში
გაიწვიეს, სპარსეთის ფრონტზე
ტყვედ ჩავარდა... წავიდა და წავიდა...
არის მეორე ვერსია, რომ იგი ბოლშე-
ვიკების დროს – 1922 წელს წავიდა.
მინდა, დავაზუსტოთ, თქვენეული
ვერსიით, როდის დატოვა გიორგი პა-
პაშვილმა საქართველო?**

– ბოლშევიკების?
– დიახ, ბოლშევიკების, მენშე-
ვიკებისა თუ მართლაც, პირვე-
ლი მსოფლიო ომის დროს. ეჭვი
თითოეულ მათგანთან მიმართებაში
შეიძლება გაჩნდეს; ჩემთვის ძალიან
საინტერესოა, თქვენ როგორ მიიჩ-
ნევთ.

– იცით, როგორ იყო: მენშევიკებს
მოესწრო. ეს უკვე ის პერიოდი – დრო
იყო, როცა მენშევიკები გარბოდნენ.
რეალური, „ცოცხალი“ ამბავი თვითონ
მიამბო, როგორ იყო. თურმე მენშე-
ვიკების ბარგი მოიტანა მაგან. მუშა
იყო; მუშად მუშაობდა. ჩამოატანინა
ბათუმამდე. მანამდე თავისი ვინაობა
უთხრა: გვარ-სახელით გაეცნო. არა-
და, იმისი გვარი თვითონ გიორგიმ კი
მითხრა მაშინ, ჩემთან, თბილისურ შეხ-
ვედრაზე... ჰოდა, მან დამიძახაო თა-
ვისთან და ბარგზე მიმითითა:

– ჩაალაგე ეს გემშიო.
უკან რომ მობრუნდა და:
– გიორგი, შენ რომ მიდიხარ, იქიდან
ვინ გადმოგვაბარებს, ვინ გადმოგი-
ტანსო; წამოდი შენცაო. ავდექი და
წავედიო.



მოიღევა და გაჩნდებინა სხვა სა-
მყაროები. და მაინც, ჩვენ ვებლაუ-
ჭებით უკვდავების სურვილს ჩვენ
გვზარავს არასებობა, წიგნი კი ახ-
ანგრძლივებს ჩვენს არსებობას!

ამ დასკვნას მოჰყვება სხვა ეჭვი-
ანი კითხვები: რა არის ლიტერატუ-
რა? რისთვისაა ის საჭირო? შემო-
ქმედის ტვინში დაბადებული ფან-
ტასმაგორიები ხშირად რეალურზე
უფრო სახიფათოა. მხატვრული
ტექსტის მოგონილი პერსონაჟების
მოგონილი თავგადასავლები რე-
ალობის ისეთი შტრიხებითაა შემ-
კობილი, რომ მკითხველი მას სინამ-
დვილედ აღიქვამს.

ერთხელ ბატონმა რეზი თვარა-
ძემ მითხრა, შენი მზეჭაბუკ ბედია
რომ მიფრინავს, იმასაც ვხედავ,
მისი პერანგი როგორ ფარფატებსო,
თუმცა ტექსტში პერანგი, მგონი,
არცაა ნახსენები. მე ვიცი, რომ ჩემი
ტექსტები ჩემი სიზმრებია, მაგრამ
თვითონაც ამ სიზმრების ტყვეობაში
ვრჩები, მასში ვარსებობ. ჩემი პერ-
ანაჟები ჩემთვის უფრო ცოცხლე-
ბი არიან, ვიდრე რეალური ადამი-
ანები. ჩემი ტექსტები მორზეს ანბა-
ნით აწყობილი ტელეგრაფა მგონია,
რომელსაც მომავალში ვაგზავნი
– „მე აქ ვარ!“

ოღონდაც, არ ვიცი, იქ, მომ-
ვალში, ვინმე თუ ელოდება ამ ჩემს
გზავნილს.

ეს სიტყვები რომ დაგწერე, ისიც
გავიფიქრე, ღირებულ გზავნილს
მიმღები გამოუჩნდება-მეთქი, მაკუ-
ლატურა კი ბიბლიოთეკების სასა-
ფლაოზე დანაცრდება.

რეი ბრედერის აქვს ერთი პა-
ტარა მოთხრობა: პროვინციული
ამერიკის ერთ პატარა ქალაქში
ერთმანეთს ხვდებიან ჩარლზ დიკ-
ენსი და ემილი დიკინსონი. ბედ-
იერი წყვილი გატაცებით უკითხავს
ერთმანეთს თავიანთ ტექსტებს.
აღმოჩნდება, რომ არც ერთია დიკ-
ენსი და არც მეორე დიკინსონი.
ბედნიერები! სომ შეიძლება მავანმა
დაიჯეროს, რომ ის შექსპირია, ან
ჰომეროსი. იქნებ ჩემი ტექსტები სუ-
ლაც არაა ჩემი? – კითხვებს კი დავს-
ვამ, მაგრამ პასუხები არა მაქვს.

ჯავახიძე ქირია



გიორგი და ჰელენ პაპაშვილები

ასე მოხვდა.

– რუსუდან, თვითონ მაგის მონაყოლს გეუბნებით. მუშად წაიყვანეს – იქაც ხომ გვინდა ჩვენაო... – დაჯექი, დაჯექიო... ჰოდა, დაჯექი მეცაო და...

– არა, მე ეჭვი არ შემაქვს მის ნამბობში... ძალიან საინტერესოა... ეგებ, ხელისუფლებას მენშევიკების ხსენება არანაირ კონტექსტში არ უნდოდა. სხვა შემთხვევაში იქნებ ეთქვათ კიდევ: აი, მათი სახე! ისინი როგორ იზრუნებდნენ ხალხზე, მშრომელებზე, ცხრა მთას იქით მიდოდნენ და კიდევ იმაზე ფიქრობდნენ, ბარგის თრევა ჩვენ არ გვეკადრებაო; მაგრამ ეს იმდენად წარმატებული და გამორჩეული შემთხვევა იყო, რომ მათი არსებობა (თუნდაც უარყოფით კონტექსტში) არავის უნდა გახსენებოდა.

– ასეც შეიძლება, დაეუშვათ.“

მოგვიანებით, ბატონ ანდუყაფართან საუბრიდან კარგა ხნის შემდეგ, ჩემთვის საინტერესო ფაქტი გახდა ცნობილი, თანაც თავად გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილის ნათქვამი, უფრო ზუსტად, მისივე დანერლი:

„...In 1921 I arrived in New York City. I spoke no English.“

(1921 წელს ნიუ-იორკში ჩამოვედი. ერთი სიტყვაც არ ვიცოდი ინგლისურად...).

ცნობილი ქართველი მწერალი აკაკი ბელიაშვილი ნიუ-იორკში გიორგი პაპაშვილთან შეხვედრას რომ აღადგენს, ერთ მთავარ შეკითხვასაც გაიხსენებს, რომელიც მან სახელგანთქმულ ემიგრანტს დაუსვა:

„– ერთი ეს მითხარით გიორგი, ამერიკაში როგორ მოხვდი?“

– როგორა კაცო და ათას ცხრაას ოცდაერთში ჯარში ვმსახურობდი; ბათუმში რომ ჩავედით, გემზე ქონება ავზიდეთ და მენშევიკურ მთავრობას გაგვაცოლეს. იქ კიდენა სტამბოლში დაგვტოვეს. ოცდასამ წლამდე გაჭირვებით გავატარიეთ ცხოვრება. მერე იქ ერთი საშა ჯაყელი იყო, შავი ქვის მრეწველი. წერილი დამიწერა და მითხრა:

– ნიუ-იორკში ჩახვალ, ამ წერილს

ერთ ჩემს ნაცნობს მიუტან და იქ სამუშაოს მოგცემენო. გამიკეთეს ვიზა, წავედი გემით. ჯიბეში შაური არ გამაჩნდა. ჩამოვედი ნიუ-იორკში“.

არსებული მასალებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გიორგი პაპაშვილის ემიგრაცია სწორედ იმ პერიოდს ემთხვევა, როცა მენშევიკური ხელისუფლება საქართველოს ტოვებდა.

...60-იან წლებში დაბრუნებული, რასაკვირველია, დუშეთისაკენ მიმავალ გზასაც დაადგა. დედინაცვალი – მეორე დედა, ნინო პაპაშვილი ცოცხალი დახვდა. ამან იოლად დააბრუნა ადრეული ბავშვობის მოგონებებთან. ოჯახის წევრების – ძმების (დავითისა და ალექსანდრეს), დების (ლეილასა და მარიამის), სიყმანვილის მეგობრების და მეზობლების გარემოცვაში აღმოჩენილისთვის უცებ დაბრუნდა მამული (მისი განცდა ყოველთვის არსებობდა), დაბრუნდა ბიჭობა... და ბედნიერების განცდაც დაბრუნდა. ახლო ნათესავებიც მოინახულა: ოთხმოცს გადაცილებული ბიძა – გიორგი ოსეფაშვილი და ბიძაშვილიც – ალექსანდრე ვარძიაშვილიც ინახულა მუხრანში. ღვინის ჭიქაც არაერთხელ აინია და სტუმარ-მასპინძლის სადღეგრძელოც ითქვა. გიორგი სიამაყით აცნობდა მეუღლეს თავისი დიდი ოჯახის წევრებს. მშობლიური და ახლობელი გარემო თუ სივრცე გათბა, დაახლოვდა... ერთი ჯალაბობა, ერთი სახლეული, ერთი ქართული სოფელი და... სამშობლო?! საქართველოში თითქმის ერთ თვეს დარჩნენ... ახლობლებმა დამშვიდობებამდე ერთი პირი „დარჩენაც“ შესთავაზეს, მაგრამ მან სრულიად გარკვევით თქვა: „I cannot stay. My home, my work, my life is in the United States now“ (ვერ დავრჩები. ჩემი სახლი და სამსახური, ჩემი ცხოვრება ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებშია), – ეს იმ წიგნში გაიხსენა, ათი წელი რომ წერდა...

გიორგი პაპაშვილის ცხოვრების და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა მნიშვნელოვანი და საინტერესო ფურცელია ქართული და ამერიკული კულტურის ისტორიაში.

ორი ფინჯანი

„ვილაპარაკოთ სიყვარულზე“

კატო ჯავახიშვილს ესაუბრება მარიამ ნიკლაური

როგორ გაყინულხარ, სასწრაფოდ რამე ცხელი უნდა შემოგაშველო.

ყავას დავლევ, სხვათა შორის, შენთან კარგად მაქვს დაცდილი ყავის სმა და სტუმრობა, მერე მივდივარ და ვწერ ხოლმე. გნებავს ჩაი, უბრალოდ ცხელი, ლიმონიანი ჩაი ხომ მთელი რიტუალია. აი, ცხვირის წვერიდან რომ სითბოს ჟრუანტელი დაგივლის გათოშის. თან სინათლეა ხოლმე ლიმონიანი ჩაის ფინჯანში, მე კი მზე და სინათლე მიყვარს.

გამახსენდა, რომ ამბობდი, შენთან სტუმრობის შემდეგ ლექსები თავისით იბადებიანო. იქნებ დღევანდელმა საღამომაც გაამართლოს და აი, ამ არაფრით გამორჩეულ, სუსხიან საღამოს კიდევ ერთი ლამაზი ტექსტი შეემატოს... რას ნიშნავს შენთვის ზამთარი? აი, მე სულ სადღაც შებუდების სურვილი მიჩნდება დათვივით, სითბოში გამოზამთრების.

სანამ ზამთარზე ვისაუბრებთ, შენთან სტუმრობის გარდა, კარგ ლიტერატურაზეც ვთქვა მინდა. ჩემი შკალა იცი რაა? აი, თუ ლიტერატურა წერის სურვილს აღმიძრავს, „წერად ამძრავს“, ის არის კარგი ლიტერატურა! და სტუმრობებიც ასეა ეტყობა (იცინის).

ზამთარი ჩემთვის სიდუხჭირეს ნიშნავს: სიცივეს, უდენობას, სიბნელეს, გაყინულ გზას, ავადმყოფურად განვიცდი და ველოდები ხოლმე გაზაფხულის მოსვლას, ალბათ იმ წლებმა შემადილეს ზამთარი, როცა თვეობით არ იგრძნობოდა სიცოცხლე ოჯახებში. მხოლოდ ომი და საშინელება. არადა, რა პოეტურია თოვლიც, ზამთრის ნისლიც, ფანტელუბიანი დღეებიც – საწყალი ზამთარი, ომების ხელში ტყვედ აყვანილს რომ დავამსგავსეთ. რაც შეეხება წერის სურვილს, მე ძალიან მიყვარს მზე და სინათლე. იქ, სადაც ვწერ და როცა ვწერ, არის ბევრი მზე ან ინყება დილა. ნათლის დასაწყისი! თუმცა იყო სულ პირიქითაც და ბოლოს სინათლეს ჩავაქრობდი და მაინც ლამფას ვანთებდი, ჩვევაში გადამეზარდა უსინათლობაც... მაგრამ ეს წინაა. სახარებიდან გვახსოვს: ბნელი ვერ მოიცავს ნათელსო!!!

იმ წლებმა თაობებიც ჩაყლაპეს ზამთრებთან ერთად. მეც მიყვარს მზე და სითბო, მაგრამ შენგან განსხვავებით მაინც ბინდის ადამიანი ვარ. ის დრო მიყვარს, როცა ფერთა გამა იმდენად ბაცდება, გამჭვირვალობასა და ბნელს შორის ერთი ნაბიჯიღა რჩება. ზამთარი ჩემთვის ნაფეხურებია თოვლზე. ბოტებით. ჭრაჭუნს რომ გესმის და გზა არის არსაით.

შენგან იმდენი მოდის ეგ სინათლე. სხვებზე ზრუნვის, გადაფარების სურვილი. სულ მიკვირს ხოლმე, როგორ შეგიძლია ამდენი ადამიანის სახის, ფერის, განცდის დატევა.

ესაა თანაზიარობის სიხარული, ადამიანებთან თანაზიარობის! უფლის ანგელოზს, მგონია, რომ ასეთები უფრო ვუხარავართ. მე სულ ასეთი ადამიანები მყავს გარშემო: მშობლები, ბებო, ძმა, მეგობრები, უფროსი თაობის ადამიანებიც. განა ისინი არ ზრუნავენ ჩვენზე? მეუღლეც ასეთი შემხვდა, მზრუნველი. ამას ასე ჰქვია, კატო, „ადვილი ცხოვრება“. მე ეს წესი ავირჩიე, აბა, მარტო საკუთარ თავზე ფიქრით ხომ დაიღლება ადამიანი? თან მათგანაც ვგრძნობ სიყვარულს, ეს კი სასიცოცხლო ენერჯით მავსებს.

ჩემთვის ადამიანები სახლებივით არიან, ერთ ან მრავალსართულიანი სახლებივით. მათი სირთულეც და სიადვილეც ჩემთვის აქედან იზომება. თუმცა სართულებიც ისეთივე სისწრაფით ინგრევიან და შენდებიან, როგორც თავად ადამიანები. მეუღლეო, ახსენე. როგორია ის შენთვის, შენ მისთვის? ვერ ავუვლი ამ თემას გვერდს. ლექსში ხომ წერ, ვილაპარაკოთ სიყვარულზეო, ჰოდა მოდი და ვილაპარაკოთ.

იცი, როცა დავეკორწინდით, ერთ წელიწადში დაიწყო კიდევ ის კომპარი, ზამთრებზე რომ ვყვებოდი. ძალიან ბევრი საზოგადო და პირადი პრობლემა გაჩნდა. ისტერიულად ვწერდი იმ პერიოდში. არაფერს ვაქვეყნებდი, უბრალოდ ლამეებს ვათევდი, ლამფის შუქზე, გაყინვამდე.

ჩემი მეუღლე სულ ამბობდა, რომ



მე ხომ ისეთი ადამიანი ვარ. აი, რალაცნაირი. სხვანაირად ვერ ვახსიათებ ხოლმე საკუთარ თავს. უამრავი უარყოფითი თვისებით: ჯიუტი, ზედმეტად პრინციპული, ხან ძლიერი, ხან პირიქით – საშინლად სუსტი. არ მიყვარს, როცა სუსტს მხედავენ, ამიტომ ამ დროს ადამიანებს გავურბივარ და პატარა ბავშვივით დედის კალთას ვაფარებ თავს. ამ ადამიანში კი იმდენია ეს დედობრივი, თავისუფლად შეიძლებოდა მომხდარიყო ასე, თუ უკვე არ მოხდა:

ეზოში თამაშის დროს მუხლი გადამეყვლიფა, მტკენოდა, მივსულიყავი სლუკუნით, ჭრილობა მოებანა, საფენი დაედო, ნაწინები ემღერა, ჩამძინებოდა.

ის ჩემი სტუმარია. პოეტი მარიამ ნიკლაური. ადამიანი, რომელსაც სხვებზე ზრუნვაში ხშირად საკუთარი თავი ავინყდება. ადამიანი, რომელიც სულ ხუმრობს და ყველაზე დიდი სიამოვნებით საკუთარ თავს დასცინის. მაგრამ თუ თქვენ მისი „წინინები“ მაინც მოგისმენიათ, თუ თქვენ მისი დარდინი ლექსები ნაკითხავთ, მიხვდებით, რომ ყველაფერი არც ისე მარტივადაა, როგორც მასთან ურთიერთობაში შეიძლება მოგჩვენოთ.



ერთ მშვენიერ დღეს მე აუცილებლად გამიმართლებდა. არ ვიცი, რას გულისხმობდა ამაში. მაძლევდა დროს, მემუშავა, ვყოფილიყავი ჩემს თავთან მარტო, მეკითხა, მეფიქრა. ალბათ, მაინც მე მეტს მითმობდა იმ დროს, რომელსაც, ზოგი, თავისად მიითვლიდა, მაგრამ მეც ყველანაირად ვცდილობდი, როგორც ცოლს, დიასახლისს, დედას, მასპინძელს – ნესრიგიანად და რიგიანად მქონოდა ყველაფერი. პრინციპში, უსაქმო დრო არც გამაჩნია.

მე სულ მგონია, რომ წლები მაინც აფერმკრთალებენ ამ ურთიერთობას, იწირება გრძნობა, ხუნდება ფერებიც. ჩემთვის ცხოვრება სასწორია და ის დანაკარგები, რომლებიც ვერაფრით გადაინონა, ისეთივე საჭიროა, როგორც თავად ის გრძნობა, რიგ შემთხვევაში შემოქმედებითი კატალიზატორის როლს რომ თამაშობს. გამოცდილება, თვალსაწიერი, შეგრძნებები – ხსოვნის ფირია, სადაც ჩვენ ჩვენივე თავებს ვინახავთ, ხან გაქცევით, ხან დაბრუნებით. ხშირად ცოცხი გვეჭირდება ოთახის გამოსაგველად, ხან კი ნაგავი შუა ოთახში ყრია და სულაც არ გვანახებს. აი, დილა, ნელ-ნელა რომ მოდის და მტვრის ნაწილაკები რომ ბრჭყვიალებენ ოდნავ განათებულ ოთახში, ვერაფრით გამოლევ – არადა, არ ჩანან.

მწერალს და პოეტს მართლა ყველაფერი ერთად ქმნის: ცხოვრებაც, წარმოსახვაც, ურთიერთობებიც. მეცოცხე ამბობს, რომ არ არსებობს ცოცხი, რომელიც სრულ ჰერმეტიკულ სისუფთავეს უზრუნველყოფს. ცოცხი რაც უნდა ნელა მოუსვა, მზის სინათლეზე მაინც დაინახავ, რამდენი მტვრის ნაწილაკია ჰაერში. მე მათ კოსმიურ ყვავილებს ვეძახი. სულ ფრენენ, ვერც სიყვარულს მოსპობ ასე ჰერმეტიკულად, რადგან სიყვარულიც კოსმიურია. ზოგჯერ არც ჩანს და მზის სხივზე შეამჩნევ, რომ თავისთვის სადღაც ფრენს მტვრის ნაწილაკივით სუსტი, უსუსური, მაგრამ მარადი. ადამიანი თავისი მარადიული სიმარტოვის განცდას ცდილობს რაღაცით გაუმკლავდეს, და მე ვფიქრობ, რომ ამ სიმარტოვესთანა დაკავშირებული სიყვარულიც. ეს შეიძლება მოუხელთებელი ქიმერაცაა და მაინც ცდილობენ დაიჯერონ მისი მოხელთების რეალურობა.

სიცარიელის ამოსავსებად, მარტოობის დასათრგუნად. ხშირად კედელი გჭირდება ადამიანს, მიეყუდო,

იცოდე, არ ჩამოინგრევა, გაგიძლებს.

კედელი არა, კედელი იერიქონსაც ჰქონდა, მაგრამ ჩაჰყვირეს ბუკებს და ჩამოანგრის. არ არსებობს კედელი, რომელიც არ ინგრევა. იცი, რა გინდა? შენივე თავი, ოღონდ სხვაში აღმოჩენილი. სხვაში შენ!

ზუსტად მანდ ვარ. არ არსებობს კედელი, რომელიც არ ინგრევა. ან ამ კედელში უნდა ჩაშენდე და მასთან ერთად დაინგრე, ანდა, აგურ-აგურ ჩამოშლას რომ დაინყებ, გვერდზე გადგე, გაერიდო. იერიქონი შვიდი დღის განმავლობაში ინგრეოდა. არადა, რა ძნელია გვერდიდან ამის ყურება. მე უფრო ჩაშენების ადამიანი ვარ, მასთან ერთად ვინგრევი და მერე ისევე აგურ-აგურ ვინყებ შენებას. რა უსუსურია ეს ადამიანური განცდები ამხელა სამყაროსთან შედარებით, სადაც ხორბლის მარცვლისოდენაც კი არის ადამიანი, არადა სწორედ ამ განცდებზე ბრუნავს ყოფიერების საწყისი.

იცი, მე ხომ ქიმიური მაქვს დამთავრებული და ატომში პროტონ-ნეიტრონისა და ელექტრონის დონეზე მაქვს სამყარო „შესწავლილი“. კვანტურ ქიმიასაც კი გავდიოდით. ჰოდა, იმის თქმა მინდა, რომ მატერიალური სამყარო ყველგან, მაკრო თუ მიკრო კოსმოსში, ერთ თარგზე მეჩვენება მოჭრილი. ბუნება კარგად დაწერილი ნიგნია, რომელსაც ჩვენ ვერა და ვერ ვკითხულობთ, თორემ სულაც არ არის ადამიანი ხორბლის მარცვლისოდენა. არც ხორბლის მარცვლია ვინმეზე ან რამეზე პატარა. მეძვირფასება ადამიანი თავისი ადამიანური უბრალოებით, ღვთისმომშობით, სიყვარულით, სათნოებითა და სიკეთით. განა, ეს ცოტაა სამყაროსთვის?

პირიქით. ვიტყვოდი, რომ ბევრიც კია. ადამიანებზე დაკვირვება მიყვარს. ქუჩაში გამვლელებზე, გაჩერებაზე მდგომებზე, ლიტერატურულ საღამოებზე, ყველგან, სადაც ისინი არიან. სამყარო ალბათ ისეთებს გვხვდავს, როგორებიც შეიძლება ვყოფილიყავით, ან ვიყავით და დაგვაზინყდა. მე ასე მინდა მჯეროდეს. მე ასეთებს ვიღებ ადამიანებს. თავიანთი უამრავი სისუსტით, დაშვებული თუ დაუშვებელი შეცდომებით. აი, რას ვერ აპატიებ ადამიანს, რისი პატიება არ შეგიძლია?!

სიმშვიდე გამოელა ადამიანს თითქოს. დაძაბულია გარემო, სულ რაღაცის შიშში ხარ. გრძნობ, რომ მასიურად რაღაც შფოთს და ნერვულ ფორიაქს

მოუცავს სამყარო. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, პატიება ყველაფრის შემძლია. უბრალოდ არ ძალმიძს ურთიერთობა გავაგრძელო, თუ ვიცი, რომ მას შეუძლია უპატიებელი რამ ჩაიდინოს. მაინც ხომ მიეტყვება ადამიანს, იქიდან გამომდინარე, თავად სინანული რამხელაა მასში. აი, ეს პატიებაა ყველაზე მთავარი: შენივე სინანული.

იცი რა გამახსენდა? ოთარ ჭილაძის დაკრძალვიდან რომ გამოვბრუნდით, ცარიელები, მხრებჩამოყრილები. ფეხსაცმელმა რომ მომიჭირა და ფეხშიშველმა რომ ჩამოვიარე ამხელა დაღმართი, მაშინ შემპირდი ლექსს დაგინერო.

მთანმინდაზე რომ დაკრძალეს, სულ მახსენდებოდა ის ხმა-გუგუნი, რომელიც ანას დაკრძალვაზე მისულს მომესმა. შენ იყავი ანას დაკრძალვაზე? ჯერ ვიფიქრე, რომ ეს ქარი იყო, რომელიც კლდეს ეხეთქებოდა და ასეთ ხმას გამოსცემდა. მერე მივხვდი, იქითა სოფლის ხმა იყო, წინაპრების ხმა. ახლაც, რამდენჯერაც მთანმინდაზე ავალ, სულ იმ გუგუნის ხმა მაქვს ყურებში. და მაშინ, შენ რომ ფეხსაცმელები გაიხადე და მოდიოდი, გავიფიქრე, ალბათ ასე, ფეხშიშველები უნდა დავდიოდეთ ასეთ წმინდა გზებზე-მეთქი. ეჰ, იმდენი დროა წინ და იმდენი სანერი.

შენი ახალი წიგნი გადავფურცლე გუშინ – „თეთრი ხბორები“. უცნაური სათაური აქვს. ეს ლექსიც სადი ნიშნისაა რომ ეძღვნება, რაღაცნაირად გამორჩეული და სხვანაირია. როგორები არიან შენი ხბორები, ილუზიური წარმოსახვაა ეს თუ რეალური მოზაიკა?

კი, უცნაური სათაური აქვს ამ წიგნს, რიგით მეხუთე ლირიკულ კრებულს.

წელს განსაკუთრებულად გამიმართლა. ყველა ეძებდა, ვინ იყო სადი ნიშარი, რა თქმა უნდა, ვერავინ ვერსად მიაკვლია, მაგრამ ის არსებობს. ლექსი შეიქმნა თუ არა, მაშინვე გადავწყვიტე, ასე დამერქმია წიგნისთვისაც. რედაქტორმა ბევრნაირი სათაური შემომთავაზა, მაგრამ ვერაფერი მოვარგე და დავტოვე ჯიუტად ჩემი ვერსია. არადა, სახელი ბედისწერაა და ვნახოთ, რას მომიტანს ეს წიგნი. ალბათ რეალურია ეს ხბორებიც. საერთოდაც, ჩემთვის პოეზია რეალურია და იცი რატომ? მე თვითონ ვარ რეალური, ცხოვრებასაც რეალურად ვეხები და რეალურ ცხოვრებას კი იმდენი სიმბოლური და ღრმადდაფარული

შრე აქვს, სრულიად საკმარისია, რომ მათი ამოცნობის და ჩანვდომის გზებს მივწვდეთ. ანუ რეალურშიც ბევრია პოეზია და გამოგონება თითქოს აღარც გჭირდება ადამიანს.

მე ცოტა მიჭირს ამაზე კონცენტრირება, მაგრამ ვიცი, ბევრი ადამიანისათვის ეს ასეა. ჰო, აქ ყველაფერი საკმარისზე მეტია თითქოს: სევდაც, სიყვარულიც, ტკივილიც. იმდენად ბევრი, რომ გაქცევის სურვილს გიჩენს ადამიანს, სადმე გადაკარგვის, არდანახვის, დავინყების. მერე გამოგონებისაც. სიზმარივითაა ეს ყველაფერი. შენი თეთრი ხბორებივით...

სამყაროში ადამიანი ვერსად გაიქცევა. არ არსებობს „სხვა ადგილი“. ყველგან ჩვენ ვართ, ყველგან ღმერთია, ყველგან ისტორიაა. პოეზიაც სწორედ ეს გზაა, თავისებური რელიგია, სააზროვნო სისტემა და თერაპია. ერთმანეთზე ვართ მიბმულები ადამიანები, მიწა, მდინარეები, ცა, სტიქიები. ამხელა კოსმოსში, სადაც ეს ურთიერთმიჯაჭვულობის მკაცრი კანონი დამოკიდებულს გვხდის ერთმანეთზე ყველას, განსაკუთრებით ადამიანებს გვმართებს სიმშვიდე და ნონასწორობა. აი, ის 8 სანტიმეტრი, სწორედ ჩვენმა აშლილობამ გადახარა.

სიმშვიდე... აღარც კი მახსოვს ბოლოს როდის ვიყავი მშვიდად. ასეთი განცდა კარგახანია არ მქონია. ჩვენ მესხიერებას ვშლით, მარია, მთელი ძალით და მონდომებით, ამიტომ არის, რომ საკუთარი თავები ხშირად გვეკარგება სამყაროში. როგორც გაზაფხული არ შეიძლება იყოს მხოლოდ სიმწვანე, ისე სიმშვიდეც არ შეიძლება იყოს სტატიკური. მუდმივი მონაცვლეობაა ჩაძინებიდან ამოფრქვევამდე. და პოეზიაც ეს არის ჩემთვის – თვალი გზისკენ, გზაზე მგზავრი, მგზავრს ხიფათი და ზურგის ქარი.

გაზაფხული აუცილებლად მოვა. მოვა, რადგან სამყაროს, ჩვენგან განსხვავებით, არ ახასიათებს „ნერვიული აშლილობა“. ცვეტაევას ლექსიდან არის: „ჩვენ დრო გვაქვს მხოლოდ ერთი საათი, მარადისობა უერთმანეთოდ იწყება მერე“. და ვაი იმ პოეტს, ვინც არ გადაუხვევს საუბარში თუ არა, ცხოვრებაში მაინც, და იცი საით? მარადისობისაკენ! სულ იქით უჭირავს პოეტს თვალი!!!



მსხვერპლი კარგი წინაგნისათვის

ძალიან ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს, თუ რა გავლენას ახდენს ლიტერატურა ადამიანების ცხოვრებაზე, შეუძლია თუ არა კარგ წიგნს შეცვალოს ადამიანების ცხოვრება, ოდნავ უკეთესი მაინც გახადოს ისინი, თუ წიგნი (და საერთოდ, ხელოვნება) მხოლოდ ესთეტიკური ტკობის საშუალებაა მკითხველისათვის. ნამდვილად არ ვიცი, იმ მომენტში, როდესაც ადამიანი თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს იღებს, ახდენენ თუ არა მის არჩევანზე რაიმე გავლენას ნაკითხული ლიტერატურული ნაწარმოებები.

სამაგიეროდ, დანამდვილებით ვიცი, რომ მართლაც კარგი წიგნის დაწერა შეუძლებელია, თუ მისთვის საკუთარი თავის ნაწილი არ გაიღე. ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია ის შეხედულება, რომ ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა თამაშია და წიგნები ადამიანთა გასართობად იქმნება. პირიქით, მე მგონია, რომ ლიტერატურა ძალიან სერიოზული რამაა და ნამდვილი ნაწარმოებები მართლაც „გულის სისხლით“ უნდა იწერებოდეს და არა თამამ-თამაშით.

ირაკლი ქასრაშვილი

ახალი თარგმანები



დიდი არგენტინელი მწერლის ეს პატარა ესსე მხოლოდ წვეთია დანტეს უკვდავი ქმნილებისადმი მიძღვნილი ბრწყინვალე მონოგრაფიების, გამოკვლევებისა თუ კომენტარების უსასრულო სიმრავლეში, და მაინც ის თვალნათლივ გვიმონებებს, რომ ზღვის წვეთია და არა გუბისა.

ხორხე ლუის ბორხესი

ღვთაებრივი კომედია

პოლ კლოდელმა ერთხელ დანტეს ფრაზა, რომელიც მისი ლირის არ არის, – იმის შესახებ, რომ ხილვები, რომლებიც სიკვდილის შემდეგ მოგველიან, ნამდვილად არ ჰგვანან დანტეს მიერ წარმოსახულთ ჯოჯოხეთში, განსაზღვრულსა და სამოთხეში. კლოდელის ეს საგულისხმო დაკვირვება, ყველა სხვა მხრივ შესანიშნავ სტატიაში, შეიძლება ორგვარად იქნეს გაგებულ.

ჯერ ერთი, ამ შენიშვნაში ჩვენ ვხედავთ იმის დასტურს, რომ პოემის ნაკითხვის შემდეგ თუ მისი კითხვისას გვგონია, თითქოს დანტეს ზუსტად ისე წარმოედგინა საიქიო, როგორც გვიხატავს.

ჩვენ უცილობლად აღგვეძვრის აზრი, რომ დანტეს ეგონა, თითქოს სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდებოდა ჯოჯოხეთის დაპირქვავებულ მთასთან, ან განსაზღვრულ ტერასებსა თუ სამოთხის კონცენტრულ წრეთა შორის. ეგონა, თითქოს იქ შეხვდებოდა აჩრდილებს (კლასიკური ანტიკურობის აჩრდილებს) და ზოგიერთი მათგანი იტალიური ტერცინებით გაუბამდა საუბარს.

ეს აშკარა უაზრობაა. კლოდელი იმას კი არ გულისხმობდა, რაც ეჩვენება მკითხველებს (რადგანაც დაფიქრების შემდეგ ისინი იცნობიერებენ ამ შენიშვნის აბსურდულობას), არამედ – იმას, რასაც ისინი გრძნობენ და რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს კითხვით მოგვრილ ჭეშმარიტი სიამოვნებით ტკობაში.

ამას მრავალი რამ გვიდასტურებს. ერთი მათგანი დანტეს ვაჟს ეკუთვნის. ის ამბობს, რომ მამამისს სურდა დაეხატა ცოდვილთა ყოფა – ჯოჯოხეთის, მონანულთა ყოფა – განსაზღვრულისა და მართალთა ყოფა – სამოთხის სახით. მას სიტყვასიტყვით როდი ესმოდა ეს. ეგეც არ იყოს, არსებობს თვით დანტეს მტკიცება კან გრანდე დელა სკალასადმი მიწერილ წერილში. მართალია, წერილი აპოკრიფადაა მიჩნეული, მაგრამ ასეა თუ ისე, შეუძლებელია ის დანტერილი ყოფილიყო დანტეს სიკვდილიდან დიდი ხნის შემდეგ და ეპოქის ჭეშმარიტ მონმედ გვევლინება. ის გვიმტკიცებს, რომ „კომედია“ შეიძლება ოთხნაირად იქნეს ნაკითხული. ერთი მათგანია სიტყვასიტყვით, მეორე – ალგორითული. უკანასკნელის მიხედვით, დანტე ადამიანის სიმბოლოა, ბეატრიჩე – რწმენის, ვერგილიუსი კი – გონებისა.

ტექსტის იდეა, მრავალნაირი ნაკითხვის საშუალებას რომ იძლევა, ნიშნეულია წინააღმდეგობრივი და რთული შუა საუკუნეობისთვის, რომლებმაც დაგვიტოვეს გოთური არქიტექტურა, ისლანდიური საგები და სქოლასტიკური ფილოსოფია, სადაც ყველაფერი დავის საგნად იყო ქცეული. მათ, გარდა ამისა, მოგვცეს „კომედია“, რომელსაც განუწყვეტილად ვკითხულობთ და რომელიც კვლავინდებურად ინვესს ჩვენს გაოგნებას. მისი ვრცეულობა ჩვენს სიცოცხლეზე, ყველა ჩვენგანის სიცოცხლეზე უმეტესია, და მკითხველთა ყველა თაობისათვის ის სულ უფრო და უფრო მდიდარი ხდება.

აქ შეიძლება გავიხსენოთ იოანე სკოტუს ერიუგენა, რომელიც ამბობდა, რომ „საღმრთო წერილი“ უსასრულოდ მრავალი აზრის შემცველია და ის შეიძლება შევადაროთ ფარშევანგის გაშლილი კუდის ათასგვარად მოციმციმე ფერების ლივლივს.

ებრაელი კაბალისტები ამტკიცებდნენ, რომ საღმრთო წერილი თვითუწილი მართლმორწმუნისათვის არის შექმნილი; ამას შეიძლება დავეთანხმოთ, თუ გავიხსენებთ, რომ ტექსტისა და მკითხველების შემოქმედი ერთი და იგივეა – ღმერთი. დანტესთვის აუცილებელი როდი იყო ეფიქრა, რომ მის მიერ წარმოსახული სურათები შეესაბამებიან მიცვალებულთა სამყაროს რეალურ ხატს. არა, დანტეს არ შეეძლო ასე ეფიქრა.

მაგრამ მიამიტური აზრი, თითქოს ჩვენ ვკითხულობთ სარწმუნო ამბავს, ხელს უწყობს იმას, რომ კითხვა

გვიტაცებს. მე ვიცი, რომ ჰედონისტ მკითხველად მთვლიან; წიგნების კითხვისას ესთეტიკურ სიამოვნებას განვიცდი და მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ ვაქცევ კომენტარებსა და კრიტიკას. როცა პირველად გავშალე „კომედია“, კითხვამ გამიტაცა. მე ვკითხულობდი მას, როგორც სხვა, ნაკლებად ცნობილ წიგნებს. მე მინდა გაიგებოთ, როგორც ჩემს მეგობრებს (ყველას კი არ მოგმართავთ, არამედ თვითუფლ თქვენგანს) „კომედიასთან“ ჩემი გაცნობის ისტორია.

ეს მოხდა დიქტატურამდე არცთუ ისე დიდი ხნის წინათ. მე ვმუშაობდი ბიბლიოთეკაში, ალმაგროს კვარტალში, ცხოვრებით კი ლას ერას ი პუერიგოდონზე ვცხოვრობდი, ასე რომ, კარგა ხანს მიწევდა მგზავრობა ზოზილა და ნახევრად ცარიელი ტრამვაებით, ვიდრე ამ ჩრდილო კვარტალიდან ავენიდა დე ლას პლატაზე მდებარე ბიბლიოთეკას მივალწვედი. შემთხვევით (თუმცა, შესაძლოა, არცთუ შემთხვევით; იქნებ ის, რასაც შემთხვევითობად ვსახავთ, აიხსნება მიზეზობრიობის მექანიზმის ჩვენი არცოდნით), მიტჩელის წიგნის მაღაზიაში, რომელიც დღეს უკვე აღარ არსებობს და რომელზედაც ამდენი მოგონება შემომრჩა, შევიძინე სამი პატარა ტომი.


ეს სამი ტომი (მე მმართვედა დღეს ავგაროზად ნამომელო ერთი მათგანი) იყო ჯოჯოხეთის, განსაზღვრული და სამოთხის სამი წიგნი, ინგლისურ ენაზე ბნკარედულად თარგმნილი კარლეილის, მაგრამ არა თომას კარლეილის მიერ, რომელზედაც ქვემოთ ვილაპარაკებთ. დენტის მიერ გამოცემული სამივე წიგნი იოლად მოსახმარი იყო. თითო წიგნი თავისუფლად ეტეოდა ჯიბეში. ერთ გვერდზე იტალიური ტექსტი იყო დაბეჭდილი, მეორეზე – ბნკარედული ინგლისური თარგმანი. მე ასეთი ხერხი ვარჩიე: ჯერ ვკითხულობდი სტროფის (ტერცინის) ინგლისურ თარგმანს, შემდეგ კი იმავე ტერცინას – იტალიურად. ამ დროის მანძილზე მივხვდი, რომ თარგმანის ვერასდიდებით ვერ შეცვლის დედანს. თარგმანი, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება იყოს საშუალება ან მიზანი, რათა მკითხველი მიუახლოვოს დედანს. ყოველ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ესპანურს. მე მგონია, სერვანტესი „დონ კიხოტის“ ერთ ადგილას ამ-

ბობს, რომ ტოსკანურის ორი ოქტავით შეიძლება გაიგო არიოსტო.

ტოსკანური კილოკავის ეს ორი ოქტავა მე მომეცა იტალიურისა და ესპანურის ნათესაური სიახლოვის წყალობით. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ ლექსები, მით უმეტეს, დანტეს დიადი ლექსები შეიცავენ არა მარტო აზრს, არამედ ბევრ სხვა რამესაც. ლექსი, გარდა ყოველივე დანარჩენისა, ინტონაციაა, რაღაცის გამოხატულება, თარგმანს რომ არ ექვემდებარება. ეს იმთავითვე შევნიშნე, როცა უკაცრიელ სამოთხეს, სამოთხის მწვერვალს მივალწვი, სადაც ვერგილიუსი ტოვებს დანტეს, ეს უკანასკნელი კი, მარტოდმარტო შეთენილი, კვლავ უხმობს მას. სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ შემიძლია ვიკითხო იტალიური ტექსტი და მხოლოდ ხანდახან ვიხედებოდე ინგლისურ თარგმანში. ასე ნავიკითხე ეს სამი ტომი ტრამვაით ზანტი მოგზაურობისას. შემდეგ სხვა გამოცემებსაც ვკითხულობდი.

მრავალჯერ გადამიკითხავს „კომედია“. სინამდვილეში კი მე არ ვიცი იტალიური, სხვა იტალიური, გარდა იმისა, რომელიც მასწავლა დანტემ, შემდეგ კი – არიოსტომ, როცა „როლანდო“ ნავიკითხე. ხოლო მას შემდეგ, რა თქმა უნდა, კროჩეს მსუბუქი ენა. მე ნავიკითხე კროჩეს ყველა წიგნი, და, რასაკვირველია, ყველაფერში როდი ვეთანხმები მას, თუმცა კი ვგრძნობ მის მომწესხველ ხიბლს. მომხიბვლელობა, სტივენსონის თქმით, ერთი იმ ძირითად თვისებათაგანია, რომლებსაც უნდა ფლობდეს მწერალი. მომხიბვლელობის გარეშე ყოველივე დანარჩენი უაზროა. მრავალგზის გადამიკითხავს „კომედიის“ სხვადასხვა გამოცემა და შემიძლია დავტკბე კომენტარებით, რომელთაგანაც ჩემთვის განსაკუთრებით ღირსსახსოვარია მომილიანოსა და გრაბერის, ისევე, როგორც შტაინერის ნამუშევრები.

მე ვკითხულობდი ყველა გამოცემას, რაც ხელში მომხვდებოდა და ვტკბებოდი ამ ურთულესი ნანარმოების ნაირგვარი კომენტარებით და მრავალრიცხოვანი ინტერპრეტაციებით. შევნიშნე, რომ ძველ გამოცემებში ჭარბობდა თეოლოგიური კომენტარები, XIX საუკუნისაში – ისტორიული, ახლანდელში კი – ესთეტიკური, რაც საშუალებას გვაძლევს აღვიქვათ ყო-



დანტეს „ღვთაებრივი კომედია“. ხელნაწერის დეტალი



დანტე ალიგიერი.
სერგო ქობულაძის ნახატი

ველი ლექსის ინტონაცია – დანტეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ღირსება. არსებობს ჩვეულება – ერთმანეთს შეუდარონ მილტონი და დანტე, მაგრამ მილტონმა იცის მხოლოდ ერთი მელოდია, ეგრეთწოდებული „მაღალი სტილი“. ეს მელოდია ყოველთვის ერთი და იგივეა, მის პერსონაჟთა გრძნობების მიუხედავად. დანტეს, ისევე, როგორც შექსპირის ქმნილებებში კი მელოდია გრძნობებს მიჰყვება. ინტონაცია და ემფაზა – აი, რა არის ყველაზე მთავარი; ფრაზიდან ფრაზამდე ხმამაღლა უნდა იკითხო. კარგი ლექსი ჩუმიად კითხვის ნებას არ გაძლევს. თუ ლექსს შეიძლება ასე კითხულობდე, მას ჩალის ფასი აქვს. ლექსი ხმამაღლა კითხვაა. ლექსს ყოველთვის ახსოვს, რომ ვიდრე წერილობით ხელოვნებად იქცეოდა, ზეპირი ხელოვნება იყო; ახსოვს, რომ ის იმღერებოდა.

ამ აზრს ადასტურებს ორი ფრაზა. ერთი მათგანი ეკუთვნის ჰომეროსს, ან იმ ბერძნებს, რომლებსაც ჰომეროსს ვუნოდებთ. „ოღისეაში“ ნათქვამია: ღმერთები მოკვდავთ თავს ატეხენ ფათერაკს, რათა მათ ჰქონდეთ სამღერი თემა მომავალი თაობებისთვის. მეორე, გაცილებით უფრო გვიანდელი, მალარმეს ეკუთვნის და ჰომეროსის ნათქვამს იმეორებს, თუმცა არც ისე ლამაზად: “Tout aboutit en un livre”, – „ყველაფერი წიგნში გადადის“. სხვაობა აშკარაა: ბერძნები ლაპარაკობენ თაობებზე, რომლებიც მღერიან, მაღარმე კი – საგანზე, ნივთზე ნივთთა შორის: წიგნზე, თუმცაღა აზრი იგივეა. ჩვენ შექმნილი ვართ ხელოვნებისთვის, ხსოვნისთვის, პოეზიისთვის, ან, შესაძლოა, დავიწყებისთვის, მაგრამ რაღაცა რჩება, და ეს რაღაცა – ისტორიაა, ან პოეზია, ასე რომ ჰგვანან ერთმანეთს.

კარლიელი და სხვა კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ დანტეს პოეზიის ნიშანდობლივი თვისებაა დაძაბულობა. და თუ ჩვენ გავიხსენებთ პოემის ას სიმღერას, სასწაულად მოგვეჩვენება, რომ ეს დაძაბულობა არ კლებულობს, თუმცა „სამოთხის“ ზოგიერთ ადგილას ის, რაც პოეტისთვის სინათლეა, ჩვენ ჩრდილად წარმოგვიჩნდება. ვერცერთი სხვა პოეტის ქმნილებაში მე ვერ ვპოულობ მსგავს მაგალითს, შესაძლოა, შექსპირის ტრაგედიის – „მაკბეტის“ გარდა, სამი ალქაჯის ან სამი

პარკას თუ სამი საბედისწერო დის გამოსვლით რომ იწყება და მისი დაძაბულობა წამითაც კი არ კლებულობს.

მე მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა დანტეს დახვეწილობაზეც. ჩვენ ყოველთვის წარმოდგენილია მკაცრი და მორალისტი ფლორენციელი პოეტი, მაგრამ გვაინყვება, რომ მთელი მისი პოემა ხიბლით, ნეტარებით, სინაზითაა სავსე. ეს სინაზე ფაბულის შემადგენელ ნაწილად გვევლინება. ასე მაგალითად, გეომეტრიის ერთ-ერთ წიგნში დანტეს ნაუკითხავს, რომ კუბი ყველაზე მკვრივი სხეულია. ამ ჩვეულებრივ შენიშვნაში არაფერია პოეტური, მაგრამ დანტე ადამიანის მეტაფორად იყენებს მას, ადამიანისა, რომელმაც უნდა გაუძლოს ბედისწერის დარტყმებს: “Buon tetragono ai colpi di fortuna” „დიდებული კუბი ბედისწერის დარტყმებზე“). „ადამიანი – დიდებული კუბი“ – მართლაც რომ იშვიათი განსაზღვრებაა.

მახსენდება ისრის საინტერესო მეტაფორაც. დანტეს სურს გვაგრძობინოს მშვილდიდან გატყორცნილი და მიზნისკენ მფრინავი ისრის სისწრაფე. ის ამბობს, რომ მიზანს დაერჭო მშვილდიდან გაფრენილი და ლამბს მონყვეტილი; დანტე ადგილს უცვლის დასაწყისს და დასასრულს, რათა გვიჩვენოს, რარიგ სწრაფად სრულდება მოქმედება.

ერთი მეტაფორა სამუდამოდ ჩამრჩა ხსოვნაში. ესაა განსაზღვრული პირველი სიმღერის სტრიქონი, რომელიც ეხება დილას, წამოუდგენელ დილას განსაზღვრული თავზე, სამხრეთ პოლუსზე; დანტე, ჯოჯოხეთის სიბილწე, მწუხარება და საშინელება რომ დაუტევა, ამბობს: “Dolce color d’oriental zaffiro”. ლექსი უნდა ნაიკითხო ნელა. უნდა წარმოსთქვა: orientāl:

“Dolce color d’oriental zaffiro

Che s’accolglieva nel sereno aspetto

del mezzo puro infino al primo giro”¹

მე მინდოდა შევჩერებულიყავი ლექსის ერთ საინტერესო მექანიზმზე, თუმცა სიტყვა „მექანიკა“ ძალზე მძიმეა იმისათვის, რისი თქმაც მსურს. დანტე იძლევა ცის აღმოსავლური მხრის სურათს, ალგვიწერს მზის ამოსვლას და განთიადის ფერს საფირონს ადარებს, რომელსაც აღმოსავლურს, აღმოსავლეთის საფირონს უწოდებს. “Dolce color d’oriental zaffiro” სარკეების

თამაშს ქმნის, რაკილა აღმოსავლური ცის ფერი საფირონადაა სახელდებულ-ლი, თვით საფირონი კი – აღმოსავლურად, ესე იგი, საფირონი გამდიდრებულია სიტყვა „აღმოსავლურის“ მრავალმნიშვნელოვნებით და აღსავსე, ვთქვათ, „1001 ლამის“ ისტორიებით, რომლებსაც დანტე არ იცნობდა, მაგრამ უკვე კი არსებობდნენ.

მე მახსენდება აგრეთვე „ჯოჯოხეთის“ მეხუთე სიმღერის სახელგანთქმული დასკვნითი ლექსი: „e caddi come corpo morto cade“.² რატომ იწვევს დაცემა ამნაირ გრუხუნს? სიტყვა „დაცემის“ გამეორებით.

„კომედია“ სავსეა ამნაირი მიგნებებით და თხრობაზე როდია დაფუძნებული. ჩემი ახალგაზრდობისას თხრობით ჟანრს ამრეზით უყურებდნენ, „ანეკდოტად“ მიაჩნდათ და აღარ ახსოვდათ, რომ პოეზია თხრობით იწყება და მას ეპოსში აქვს ფესვი გადგმული. ეპოსი კი ძირითადად პოეტური თხრობითი ჟანრია. ეპოსში არის დრო, ეპოსში არის „უნინ“, „ახლა“ და „შემდეგ“.

მე ვურჩევდი მკითხველებს დავეინყებინათ გველფებისა და გიბელინების ქიშპი, დავეინყებინათ სქოლასტიკა, უყურადღებოდ მიეტოვებინათ მითოლოგიური ალუზიები და ვერგილიუსის ლექსები, ისეთივე დიდებულნი, როგორც ლათინურ დედანში; ლექსები, რომლებსაც დანტე იმეორებს და ზოგჯერ კიდევაც აუკეთესებს მათ. ყოველ შემთხვევაში, უპირველესად უნდა მივსდით თხრობას. ვფიქრობ, ვერავინ თვალს ვერ მოსწყვეტს მას.


ამრიგად, ჩვენ ვრჩებით თხრობის ნიაღში, და ვრჩებით თითქმის ჯადოქრულად. რადგანაც ახლა, როცა ზებუნებრივ სამყაროზე მოგვითხრობენ, ურწმუნო მწერალი იძულებულია მიმართავდეს ურწმუნო მკითხველთ და ამ ზებუნებრივის აღსაქმელად ამზადებდეს მათ. დანტეს არავითარი ამდაგვარი არ სჭირდება: „Nel mezzo del cammin di nostra vita mi ritrovai par una salva oscura“, ანუ ოცდათხუთმეტი წლისამ „ნახევარი ცხოვრების გზა რომ განვლიე, მე აღმოვჩნდი უსიერ ტვერში“, რაც შეიძლება ალევორია იყოს, მაგრამ ჩვენ პირდაპირი მნიშვნელობით აღვიქვამთ მას: ოცდათხუთმეტი წლისა, რადგანაც ბიბლია მართლმორწმუნის ცხოვრებას სამოცდათი წლით განსაზღვრავს. მიიჩნე-

ვა, რომ მთელი დანარჩენი სიცოცხლე უდაბნოა, უდაბურება – „bleak“ ინგლისურად, – პირქუში და უსიხარულო. ყოველ შემთხვევაში, როცა დანტე წერს: „Nel mezzo del cammin di nostra vita“ – ეს ფუჭი რიტორიკა როდია: ის გვიდასტურებს თავისი ხილვის ზუსტ თარიღს: ოცდათხუთმეტი წელს.


მე არა მგონია, დანტე ვიზიონერი ყოფილიყო, ხილვა მოკლეა; „კომედიის“ სიგრძის ხილვა – შეუძლებელია. ხილვა ჟინიანია: ჩვენ უნდა დავყვეთ მის ნებას და პოეტური რწმენით ვიკითხოთ. კოლრიჯს მიაჩნდა, რომ პოეტური რწმენა წარმოუდგენელში დანთქმას ნიშნავს. როცა თეატრალურ წარმოდგენას ვუყურებთ, ვიცით, რომ სცენაზე გადაცემული ადამიანები დგანან, შექსპირის, იბსენისა თუ პირანდელოს სიტყვებს რომ იმეორებენ. მაგრამ სასცენო სამოსში გამოსვლილ ადამიანებს ჩვენ გადაცმულებად როდი აღვიქვამთ. აუჩქარებლად მოსაუბრე და შუასაუკუნეობრივი ტანსაცმლით მოსილ ადამიანში ჩვენ მართლაც დანიელ პრინცს – ჰამლეტსა ვხედავთ. კინემატოგრაფი კიდევ უფრო საინტერესო მოვლენას გვთავაზობს, რადგანაც ჩვენ გადაცმულ ადამიანებს კი არა, მათ გამოსახულებებს ვუყურებთ. მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის იმაში, რომ გვწამდეს ისინი, ვიდრე სეანსი გრძელდება.

დანტეს შემთხვევაში ყველაფერი ისე ცოცხალია, რომ გვეგონია მას სწამდა საიქიო სამყარო, როგორც შეიძლება გწამდეს გეოცენტრული გეოგრაფია ან გეოცენტრული (და არა რომელიმე სხვა) ასტრონომია.

ჩვენ კარგად ვიცნობთ დანტეს, პოლ გრუსაკის მიერ შენიშნული მოვლენის ნყალობით: „კომედია“ პირველ პირშია დანერლი. ეს პირნიშნადად გრამატიკული მოვლენა როდია, ან მხოლოდ „ვხედავ“ ზმნის ფორმის ნაცვლად ხმაურება ფორმისა – „ვიხილეთ“. არა, ეს რალაც უფრო მეტს ნიშნავ, კერძოდ, იმას, რომ დანტე „კომედიის“ ერთ-ერთი პერსონაჟია. ჩვენ ვიცით, რომ დანტემდე წმიდა ავგუსტინემ³ დანერა „აღსარებანი“, მაგრამ ბრწყინვალე მჭევრმეტყველებით გამორჩეული ეს ნიგნი ისე ახლობელი როდია ჩვენთვის, როგორც დანტეს ქმნილება, რამდენადაც აფრიკელის განსაცვიფრებელი ლექსიკური სიმდიდრე ერთმა-



დანტეს „ღვთაებრივი კომედია“. პირველი გამოცემა



პომპროსი



უილიამ შექსპირი



ჯონ მილტონი

ნეთს აშორებს იმას, რისი თქმაც სურს ავტორს, და იმას, რაც ჩვენ გვესმის.

წინააღმდეგობადად ქვეყნული მჭევრმეტყველება, სამწერლობო, იშვიათი როდია. ის, თავისთავად, უნდა წარმოადგენდეს საშუალებას, სვლას, მაგრამ ზოგჯერ ზღუდედ და ხერგილად იქცევა. ეს შეინიშნება ისეთ სხვადასხვა მწერლებში, როგორცაა სენეკა, კევედო, მილტონი ან ლუგონესი. სიტყვები მათ ყოფენ ჩვენგან.

დანტეს ჩვენ უფრო ახლოს ვიცნობთ, ვიდრე მისი თანამედროვენი. კინალამ ვთქვი, ისე ვიცნობთ, როგორც ვერგილიუსი-მეთქი, რომელიც მას ესიზმრებოდა. ყველაზე უკეთ, უეჭველია, დანტე უნდა სცნობოდა ბეატრიჩე პორტინარის. დანტე თხრობის რკალში რთავს თავის თავს და მოვლენათა ცენტრშია მოქცეული. ის არა მარტო ხედავს, რაც ხდება, არამედ მონაწილეობს კიდევაც მასში. ეს მონაწილეობა ყოველთვის როდი შეესაბამება იმას, რასაც ის აღწერს.

ჩვენ ვხედავთ დანტეს, ჯოჯოხეთით თავზარდაცემულს, მაგრამ სიმბოლოს გამო კი არ ძრწის, არამედ იმით, რომ ელდა აუცილებელია, რათა ვირწმუნოთ ჯოჯოხეთი. ელდანაცემი და დაზაფრული გვიამბობს მის მიერ ხილულს. ხოლო ჩვენ მისი სიტყვების მიხედვით კი არ ვგებულობთ ამას, არამედ სტრიქონებითა და ინტონაციით.

აი, მეორე პერსონაჟი: „კომედიაში“ სამი გმირია. მე ახლა მეორეზე ვმსჯელობ. ესაა ვერგილიუსი. დანტემ მიაღწია იმას, რომ ჩვენ ჩამოგვიყალიბდა ვერგილიუსის ორი სახე: ერთი – „ენეიდითა“ და „გეორგიკებით“, მეორე კი, უფრო ახლობელი, – პოეზიით, დანტეს საღვთისმოსაო პოეზიით შექმნილი. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა როგორც მწერლობაშიც, ისე პოეზიაშიც, – მეგობრობაა. მე ვიტყვოდი, რომ მეგობრობა – ჩვენი არგენტინული ვნებაა. მწერლობაში მეგობრობის უამრავი აღწერა გვხვდება, ის მთლიანად განწონილია ამით. მე შემოძლია გავიხსენო რამდენიმე ნიმუში. როგორ არ დავასახელო დონ კიხოტი და სანჩო, ან, უფრო სწორად, ალონსო კიხანო და სანჩო, რადგან სანჩოსთვის ალონსო კიხანო მხოლოდ ბოლოს ხდება დონ კიხოტი. როგორ არ გავიხსენოთ ფიერო და კრუსა, საზღვარზე დაღუპული ჩვენი ორი გაუჩო? როგორ

არ გავიხსენოთ ბებერი მწყემსი და ფაბიო კასერესა? მეგობრობა ფართოდ გავრცელებული თემაა, მაგრამ მწერლები უმეტესწილად ცდილობენ ხაზი გაუსვან განსხვავებას მეგობრებს შორის. დამავიწყდა – აი, კიდევ ორი ურთიერთსაპირისპირო მეგობარი – კიმი და ლამა.

დანტესთან რაღაც უფრო ნატიფი ხდება. აქ არ არის უშუალო კონტრასტი, შვილური მონივნება, – დანტე შეიძლება ვერგილიუსის შვილი ყოფილიყო. იმავდროულად კი ის ვერგილიუსზე მალა დგას, რადგანაც ხსნილად მიაჩნია თავი. ის ფიქრობს, რომ მიაღწევს მიტევებას, ან უკვე მიაღწია, რადგანაც მას ეჩვენა ხილვა. ამის საპირისპიროდ, „ჯოჯოხეთის“ დასაწყისშივე ცნობილი ხდება, რომ ვერგილიუსი გზაბნეული სულია, ცოდვილი სული, როცა ის ეუბნება დანტეს, რომ არ შეუძლია განსაზღვრდეს მიღმაც ეახლოს მას, ნათელი ხდება, რომ რომელიც განწირულია სამუდამოდ სამინელი nobile castello-ს ბინადრად დარჩეს, სადაც თავი მოუყრიათ ანტიკურობის დიად აჩრდილებს, რომლებსთვისაც უცხო დარჩა ქრისტეს მოძღვრება. სწორედ ამ მომენტში დანტე ამბობს: “Tu duca, tu, signore, tu, maestro” („შენ ხარ მბრძანებელი, შენ ხარ ბატონი, შენ ხარ მოძღვარი“). ეს ნამი რომ მოავარაყოს, დანტე მაღალი სიტყვით ესაღმება მეგობრს და ლაპარაკობს თავის ხანგრძლივ შეგირდობასა და ენით უთქმელ სიყვარულზე, რომლებსაც შეაძლებინეს ჩასწვდომოდა ვერგილიუსის მნიშვნელობას; ლაპარაკობს იმაზეც, რომ ეს ურთიერთობა სამუდამოდ დარჩება მათ შორის. მწუხარება ვერგილიუსის იერი, რომელიც გრძნობს, რომ სამუდამოდ nobile castello-ს ტყვედ უნდა დარჩეს, სადაც არ სუფევს ღმერთი. დანტეს კი, პირიქით, ნება ეძლევა ღმერთის ხილვისა, ნება ეძლევა შეიცნოს სამყარო.

აი, ეს ორი გმირი. მათ გარდა არსებობს ასობით და ათასობით სხვა პერსონაჟიც, რომელთაც, ჩვეულებრივ, ეპიზოდურ პერსონაჟებად სახავენ. მე მარადიულად ვუნოდებ მათ.

თანამედროვე რომანი ორმოცდაათ თუ სამოც გვერდზე გვაცნობს მოქმედ პირებს, თუკი ამ გაცნობამ გაამართლა. დანტესთვის საამისოდ წამიც საკმარისია. ამ წამით პერსონაჟი

სამუდამოდ განისაზღვრება. დანტე ქვეცნობიერად ირჩევს უმთავრეს მომენტს. მე ვცადე იგივე გამემეორებინა არა ერთსა თუ ორ მოთხრობაში და გაოგნებული დავრჩი დანტეს აღმოჩენით. დანტეს ქმნილებაში პერსონაჟთა სიცოცხლე რამდენიმე ტერცინაში თავსდება, მაგრამ ეს მარადიული სიცოცხლეა. ისინი ცხოვრობენ ერთ სიტყვაში, ერთ მოქმედებაში. ეს სიმღერის ნაწილია, მაგრამ წარუვალს. ისინი განაგრძობენ სიცოცხლეს და კვლავ და კვლავ ამოიზიდებიან მკითხველთა წარმოსახვაში.

კარლეილის მიხედვით, არსებობს დანტეს ორი სპეციფიკური ნიშანი. ანუ, რა თქმა უნდა, მეტი, მაგრამ არსებითია ორი: სინაზე და სიმკაცრე (თუმცა არა წინააღმდეგობრივი). ერთის მხრივ, ესაა დანტეს ადამიანური სინაზე, ის, რასაც შექსპირი უწოდებდა “the milk of human kindness” – „ადამიანური სიკეთის რძე“. მეორეს მხრივ კი, ცოდნა იმისა, რომ ჩვენ მკაცრი სამყაროს ბინადარნი ვართ, და რომ არსებობს წესრიგი. ეს წესრიგი ეთანაფარდება სხვას, მესამე თანამოსაუბრეს.


ავიღოთ ერთი მაგალითი. მივუბრუნდეთ ჯოჯოხეთის ყველაზე ცნობილ ეპიზოდს მეხუთე სიმღერიდან, პაოლოსა და ფრანჩესკას სიყვარულს. მე არ ვაპირებ დანტეს ტერცინების პროზად გარდათქმას; ჩემის მხრივ, თავხედობა იქნებოდა სხვა სიტყვებით გადმომეცა ერთხელ და სამუდამოდ იტალიურად ნათქვამი, – მე მხოლოდ მსურს შეგახსენოთ გარემოება.

დანტე და ვერგილიუსი ჩადიან (თუ ზუსტად მახსოვს) მეორე გარსში და ხედავენ სულელების ორომტრიალს, გრძნობენ ცოდვის სიმყრალეს, სასჯელის სიმყრალეს. გარემოცვა უსიხარულოა. მაგალითად, მინოსი, სპირალივით რომ შეუგრანია კუდი, რათა უჩვენოს ყველას, რომელ გარსში მოხვდებიან განწირულნი. ეს განზრახ ამაზრუნია და ამკარა ხდება, რომ ჯოჯოხეთში შეუძლებელია არსებობდეს რაიმე მშვენიერი. ამ გარსში, სადაც სასჯელს იხდიან ავხორცნი, ჩვენ ვხედავთ დიად სახელებს. მე ვამბობ „დიად სახელებს“-მეთქი, რადგანაც დანტეს, ამ სიმღერის დასაწყისისას, ჯერ კიდევ არ მიუღწევია სრულქმნილებისათვის – მათ სახელებზე უფრო დიდად წარმოეჩინა თავისი გმირები, მაგრამ

დანტეს ოსტატობა უკვე ვლინდება nobile castello-ს ეპიზოდში. ჩვენ ვხედავთ ანტიკურობის დიდ პოეტებს. მათ შორისაა ჰომეროსი, მახვილით ხელში. ისინი ერთმანეთს მიმართავენ სიტყვებით, რომლებიც არ უნდა გავიმეოროთ. აქ საჭიროა დუმილი. ყველაფერი შეესაბამება „ლიმბოს“ ბინადართა უსასოო უბრალოებას, რომელთაც არ უნერიათ იხილონ ღვთის სახე. მეხუთე სიმღერაში დანტე მიდის თავის დიდებულ აღმოჩენამდე: ესაა დიალოგის შესაძლებლობა მიცვალებულთა და პირადად მას შორის; ის თანაუგრძნობს და თავისებურად კიდევაც სჯის მათ. თუმცა არა, დასჯით როდი სჯის: მან იცის, რომ მსაჯული თვითონ კი არა, ვიღაც სხვაა, მესამე თანამოსაუბრე, ღმერთი.

ამრიგად, აქ ვხედავთ ჰომეროსს, პლატონს და სხვა დიდ ადამიანთა აჩრდილებსაც. მაგრამ დანტეს მზერა მიპყრობილია მისი ორი, თანამედროვეთათვის არცთუ დიდად ცნობილი პირის – პაოლოსა და ფრანჩესკასაკენ. მან იცის, როგორ დაილუპნენ მიჯნურნი, უხმობს მათ და ისინიც ევლინებიან: “Quali colombe dal disico chiamate” („როგორც სიყვარულის მიერ ხმობილი მტრედები“). დანტესა და ვერგილიუსის წინაშეა ორი ცოდვილი, რომელთაც დანტე სურვილით ატაცებულ ორ მტრედს ადარებს, რადგანაც ამ სცენაში მთავარია ვნება. ისინი ახლოვდებიან, და ფრანჩესკა (ლაპარაკით მხოლოდ ის ლაპარაკობს; პაოლოს ხმის ამოღება არ შეუძლია) მაღლობას უხდის დანტეს იმისთვის, რომ ისინი იხმო, და ამ გულისშემძვრელ სიტყვებს წარმოსთქვამს: “Se fosse amico il Re dell’ universo, noi pregheremmo lui per la tua pace” – „სამყაროს მეუფე ჩემი მეგობარი რომ ყოფილიყო (ის ამბობს „სამყაროს მეუფე“, რადგანაც არ შეუძლია თქვას „ღმერთი“: ამ სახელის ხსენება აკრძალულია ჯოჯოხეთსა და განსაწმენდელში) ჩვენ ვითხოვდით მშვიდობას შენთვის, რადგანაც სიბრალულს განიცდი ჩვენი უბედურების მიმართ“.

ფრანჩესკა ყვება თავის ამბავს. ყველა ორჯერ. ჯერ თავდაჭერილად, მაგრამ დაჟინებით იმეორებს, რომ კვლავინდებურად უყვარს პაოლო. სინაული აკრძალულია ჯოჯოხეთში. მან იცის, რომ ცოდვილია და ცოდვის



„კოცნა“ – პაოლო და ფრანჩესკა. როდენის ქანდაკება.



დანტეს „ღვთაებრივი კომედია“. გუსტავ დორეს ილუსტრაცია.

ერთგული რჩება, რაც სიდიადეს ანიჭებს მას. საშინელება იქნებოდა, რომ მონანები და სიბრაღელები შეეპყრო იმის გამო, რაც მოხდა. ფრანჩესკამ იცის, რომ სასჯელი სამართლიანია, უდრტივინველად იღებს მას და კვლავინდებურად უყვარს პაოლო.

დანტეს გაგება სურს. „Amor condusse noi ad una morte“ („სიყვარულმა მიგვგვარა სიკვდილს“). პაოლო და ფრანჩესკა ერთად მოკლეს. დანტეს არ აინტერესებს მათი კავშირი; არც ის, თუ როგორ ამხილეს და დახოცეს კიდეც. მას აინტერესებს ის, რაც უფრო იდუმალა: როგორ გაიგეს რომ ერთმანეთი უყვართ, როგორ შეიყვარეს ერთიმეორე, და როგორ დადგა მათთვის უზენაეს ოხვრათა დრო. ის კითხვას სვამს.

მინდა თავი ვარიდო ამას და შეგახსენოთ ლეოპოლდო ლუგონესის სტროფი, შესაძლოა, ყველაზე უკეთესი და უთუოდ „ჯოჯოხეთის“ მეხუთე სიმღერით შთაგონებული. ეს პირველი ოთხბუნკარედია 1922 წელს გამოქვეყნებული სონეტების კრებულის ერთ-ერთი სონეტისა „Alma virtuasa“ („სათნო სული“):

Al promedior la tarde aquel dia
Cuondo iba mi habitual adios a darte
Fue una voga congoja de dejarte
Lo que me hizo saber que te queria.⁵

გარდასულ ეპოქათა პოეტები ამბობდნენ, რომ ადამიანს ღრმა სევდა იპყრობს საყვარელ ქალთან დამშვიდობებისას, და ლექსებს თხზავდნენ იშვიათ პაემანთა შესახებ. აქ კი, პირიქით, „როცა მოაწია დრომ, შენთვის ჩვეულებრივ მეთქვა მშვიდობით“, – სტრიქონი უგერგილოა, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან, „ჩვეულებრივ მეთქვა „მშვიდობით“ იმას გვიმონმებს, რომ ისინი ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, – და შემდეგ „ბუნდოვანმა სევდამ მაგრძობინა, რომ შენ მიყვარხარ“.

თემა, არსებითად, იგივეა, რაც მეხუთე სიმღერაში: ორი ადამიანი მიხვდა, რომ ერთმანეთი უყვართ, თუმცაღა უწინ ვერ ხვდებოდნენ ამას. სწორედ ამის გაგება სურს დანტეს. ფრანჩესკა უამბობს, როგორ კითხულობდნენ იმ დღეს ლანსელოტის ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ იტანჯებოდა ის სიყვარულით. ისინი მარტო იყვნენ და ეჭვიც არაფრის ჰქონდათ. მაინც რისი ეჭვი

უნდა ჰქონოდათ? იმისი, რომ შეყვარებული იყვნენ. ისინი კითხულობდნენ წიგნს. ბრიტანელთა მიერ შეთხზულს, საფრანგეთში საქსონთა შემოსევის შემდეგ, წიგნს, შესულილობამდე რომ მიიყვანა ალონსო კიხანო და ცოდვილი ვნება აღუძრათ ფრანჩესკასა და პაოლოს. და, აი, ფრანჩესკა უხსნის პოეტს, რომ ზოგჯერ ისინი წითლდებოდნენ, და ერთხელ, „quando legemmo il disiato riso“ – „როცა ვკითხულობდით სანატრელი სიცილის ამბავს“, როგორ დაცხრა მიჯნური სატრფოს სასურველ ბავსს, მან, ვისაც არასდროს გაემორდები, მაკოცა „tutto tremante“ („მთლად აცახცახებულმა“).

არსებობს რაღაც, რაზედაც დანტე დუმს. მაგრამ გრძნობით კი იგრძნობა მთელი ეპიზოდის მანძილზე, და, შესაძლოა, ფასეულს ხდის მას. დანტე უსაზღვრო თანაგრძნობით გადმოგვცემს მიჯნურთა ამბავს, და ჩვენ ვხვდებით, რომ შურს მათი ბედი. პაოლო და ფრანჩესკა ჯოჯოხეთში არიან, მას კი ხსნა ელის, მაგრამ მათ ერთმანეთი უყვართ, თვითონ კი ვერ ეღიროს ბეატრიჩეს სიყვარულს. მათ სიყვარულში დანტე გამონვევას ხედავს, და ის ძრწის, ისე უსასრულო მანძილი ყოფს ბეატრიჩესგან. ეს ორი ცოდვილი კი განუყრელია, უსიტყვოდ დაჰქრიან შავბნელი გრიგალის მძვინვარებით ატაცებულნი, და დანტე იმედის სხივსაც არ გვიტოვებს, რომ მათ ტანჯვას ოდესმე მაინც მოელება ბოლო. ისინი განუყრელნი არიან სამუდამოდ, ერთად არის ჯოჯოხეთში. დანტესთვის კი ეს სამოთხის მკვიდრთა ხვედრია.

ჩვენ ვგრძნობთ, რომ ის ენით უთქმელად ლელავს, და მკვდარივით ეცემად ძირს.

ყოველი ჩვენგანი სამუდამოდ განსაზღვრულია თავისი ცხოვრების ერთი, ერთადერთი წამით, როცა ადამიანი საბოლოოდ ხვდება საკუთარ თავს. ჰგონიათ, რომ დანტე გმობს ფრანჩესკას, სასტიკია მასთან მიმართებით. ასე ფიქრობდე – ნიშნავს იფიქვებდე მესამე გმირს. ღვთის განაჩენი ყოველთვის როდი ემთხვევა დანტეს გრძნობებს. ისინი, ვისაც არ ესმის „კომედია“, მიიჩნევენ, რომ დანტემ ის დანერა, რათა ანგარიში გაეწნორებინა მტრებისთვის და მიაღერებოდა მეგობრებს. არაფერია უფრო მცდაური. ნიცმე აფთარს უწოდებდა დანტეს,

საფლავებს შორის რომ თხზავდა ლექსებს. ლექსების მთხველი აფთარი ბრიყვული სახეა; და თანაც, დანტე არ ტკბება ტკივილით. მან იცის, რომ არსებობს მომაკვდინებელი ცოდვა, რომელსაც ვერ გამოისყიდო. ის თვითულისთვის ირჩევს ამ ცოდვის ჩამდენ ადამიანს, თუნდაც ყველა სხვა მხრივ შესანიშნავს და ღირსეულს. ფრანჩესკა და პაოლო ავხორცნი არიან. მათ არა აქვთ სხვა ცოდვა. მაგრამ მათ განსასჯელად ერთიც საკმარისია.

ღმერთი ნებისმიერი ადამიანის მსჯავრზე უზენაესია, და ამის გაგებაში რომ შეგვენიოს, მას მოაქვს ორი უჩვეულო მაგალითი – ვეშაპისა და სპილოსი. ის ირჩევს მათ, რათა გვიჩვენოს, რომ ისინი არანაკლებ საზარელნი არიან, ვიდრე ლევიანთანი და ბეჰემოტი (რომლის სახელიც მრავლობით რიცხვში დგას და ებრაულად ნიშნავს – „ყველა ცხოველი“). ღმერთი ადამიანურ მსჯავრზე მაღლა დგას. ამას ის გვიჩვენებს „იობის წიგნით“. და ადამიანები ქედს იდრეკენ მის წინაშე, რადგანაც გაბედეს განესაჯათ ან გაემართლებინათ იგი. ეს საჭირო არ არის. ღმერთი, როგორც იტყოდა ნიცშე, სიკეთისა და ბოროტების მიღმა დგას. ეს სხვა კატეგორიაა.

დანტე რომ ყოველთვის ემთხვეოდეს წარმოსახულ ღმერთს, გასაგები იქნებოდა, რომ ეს ცრუ ღმერთია, მხოლოდ დანტეს ასლი. პირიქით, დანტემ უნდა მიიღოს ეს ღმერთი, ისევე, როგორც ის, რომ ბეატრიჩეს არ უყვარს იგი; რომ ფლორენცია უღირსია; რომ მან უნდა მიიღოს თავისი განდევნა და სიკვდილი ჰპოვოს რავენაში. მან უნდა მიიღოს სამყაროს ბოროტება, ისევე, როგორც ის იხრება ღმერთის წინაშე, რომლის წვდომაც მის უნარს აღემატება.

არის გმირი, რომელიც არ ფიგურირებს „კომედიაში“ და არც შეიძლება ფიგურირებდეს, რადგანაც ის მეტისმეტად ადამიანურია. ეს გმირი იესოა, ის არ გვევლინება „კომედიაში“, როგორც გვევლინება სახარებებში: ადამიანური, ევანგელური იესო შეუძლებელია მეორე იესოს სამებაში, როგორც ის არსებობს „კომედიაში“.


და ბოლოს, მე მინდა გადავიდე მეორე ეპიზოდზე, რომელიც „კომედის“ მწვერვალად მესახება. ის ოცდამეექვსე სიმღერაშია. ეს ეპიზოდი ული-

სეს ეხება. ოდესღაც დაწვნიერ სტატია – „ულისეს გამოცანა“. გამოვაქვეყნე კიდეც, მაგრამ შემდეგ დამეკარგა და ახლა მის აღდგენას ვცდილობ. ჩემი აზრით, ეს „კომედის“ ყველაზე ენიგმური ეპიზოდია და, შესაძლოა, ყველაზე დაძაბულიც. თუმცა მწვერვალზე საუბრისას ძნელი გასარჩევია, რომელი აღემატება დანარჩენს. „კომედია“ მწვერვალებითაა სავსე.


პირველი ლექციისათვის მე სწორედ „კომედია“ შევარჩიე, რადგანაც ლიტერატორი ვარ და, ვფიქრობ, რომ ლიტერატორისა და ლიტერატურების გვირგვინი სწორედ „კომედიაა“. ეს არ ნიშნავს მის დამთხვევას თეოლოგიასთან და არც თანხმობას მითოლოგიის მიმართ. ჩვენ ქრისტიანული მითოლოგია და წარმართული დომხალი გვაქვს. საქმე ამას კი არა, იმას ეხება, რომ არცერთ წიგნს არ მოუნიჭებია ჩემთვის ესოდენ ძლიერი ესთეტიკური ტკბობა. ვიმეორებ, მე ჰედონისტი მკითხველი ვარ და წიგნებში სიამოვნებას ვეძებ.

„კომედია“ ის წიგნია, რომელიც ყველა ჩვენგანმა უნდა წაიკითხოს. მისი წაუკითხაობა ნიშნავს უარყო ლიტერატურის მიერ შემოთავაზებული ყველაზე ძვირფასი ძღვენი და საშინელ ასკეტიზმში ჩარჩე. რად უნდა მოაკლო შენს თავს „კომედის“ კითხვით მონიჭებული ბედნიერება? თანაც, ის ადვილი საკითხავია. ძნელია ის, რაც კითხვას მოსდევს. მისი მთავარი გმირი დანტეა, შესაძლოა, ყველაზე ცოცხალი პერსონაჟი ლიტერატურაში. არიან სხვა შესანიშნავი სახეებიც. მაგრამ მივუბრუნდეთ ულისეს ეპიზოდს.

დანტე და ვერგილიუსი უახლოვდებიან ჯურღმულს, როგორც ჩანს, მერვეს, სადაც სასჯელს იხდიან ცრუპენტელები. თავი იწყება ვენეციის⁶ მხილებით, რომელზედაც დანტე ამბობს, რომ ის ფრთებს უფართქუნებს მინასაც და ცასაც, და მისი სახელი განთქმულია ჯოჯოხეთში. შემდეგ ისინი თავზევით ხედავენ უამრავ კოცონს, სადაც ცეცხლის ალში მიჩქმალულან თაღლითები; მიჩქმალულან, რადგან მალულად მოქმედებდნენ. ალი ლაპლაპებს და დანტე ლამის ჯურღმულში ვარდება. მას აკავებს ვერგილიუსი, ვერგილიუსის სიტყვა. ის ლაპარაკობს მათზე, ვინც ცეცხლში იხრუკება და ასახელებს ორ ცნობილ სახელს – ულისეს (ოდისევსს) და დიო-



დანტეს „ღვთაებრივი კომედია“. გუსტავ დორეს ილუსტრაცია.



მედესს, რომლებიც აქ არიან იმიტომ, რომ ტროას ცხენის ხრიკი მოიგონეს, რამაც შეაძლებინა ბერძნებს აელოთ ალყაშემორტყმული ქალაქი.

დიახ, აქ არიან ულისე და დიომედესი, და დანტეს სურს გაიცნოს ისინი. თავის სურვილს გაანდობს ვერგილიუსს: ანტიკურობის ამ ორ დიდებულ გმირთან შეხვედრა მსურსო. ვერგილიუსი თანახმაა თხოვნა შეუსრულოს, მაგრამ იმ პირობით, რომ დანტემ მას მიანდოს ლაპარაკი, რადგანაც საქმე ეხება ორ ქედმაღალ ბერძენს. ალბათ, ჯობს კიდევ რომ დანტე არ ლაპარაკობს. ეს ორგვარად აიხსნება. ტორკვატო ტასო ფიქრობდა, რომ ვერგილიუსს სურდა ჰომეროსად გაესაღებინა თავი. სრულიად უგუნური და უღირსი ვარაუდი, რადგან ვერგილიუსმა ულისესაც უმღერა და დიომედესსაც, და თუ დანტე იცნობდა მათ, მხოლოდ ვერგილიუსის წყალობით. ჩვენ შეგვიძლია უარყოფთ ჰიპოთეზა იმის შესახებ, თითქოს ბერძნებს უნდა სძულეობდათ დანტე, იმის გამო, რომ ენეასის შთამომავალი იყო, ან იმიტომაც, რომ ბარბაროსი⁷ გახლდათ. ვერგილიუსი, ისევე, როგორც დიომედესი და ულისე, დანტეს გამოგონილია. დანტემ გამოიგონა ისინი, მაგრამ ისეთი ძალით, იმდენად ცოცხლად, რომ ეს გამოგონილი გმირები (რომლებსაც არა აქვთ სხვა ხმა, გარდა იმისა, რაც მათ უბოძა დანტემ, და არც იმისგან განსხვავებული იერი, რომლითაც მან ისინი წარმოაჩინა) შეიძლება ზიზლით უყურებდნენ დანტეს, რადგანაც ის ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, ჯერ კიდევ არ დაუწერია თავისი „კომედია“.

დანტე ჩვენსავით ერთვება თამაშში: ისიც მონუსხულია „კომედიაში“. ის ფიქრობს: ესენი ანტიკურობის ნათელი გმირები არიან, მე კი განდევნილი ვარ. რას შეიძლება ნიშნავდეს ჩემი თხოვნა მათ მიმართ? მაშინ ვერგილიუსი სთხოვს მათ, თავიანთი სიკვდილის ამბავი უამბონ. და ამ დროს გაისმის უხილავი ულისეს ხმა; თავად ულისე არა ჩანს, ის ალითაა გარემოცული.

აქ ჩვენ ვანყდებით გამაოგნებელ ლეგენდას, შექმნილს დანტეს მიერ. ლეგენდას, რომელიც აღემატება იმას, რასაც ვხვდებით „ოდისეასა“ და „ენეადაში“, და იმასაც, რომელიც ასრულებს მეორე ნიგნს, სადაც ულისე სინდბად-ზღვაოსნის სახელით გვევლინება,

– „ათას ერთ ლამეს“.

ლეგენდა იქმნება დანტეს მიერ, სხვადასხვა გარემოების მიხედვით. აქაა, უწინარეს ყოვლისა, იმისი რწმენა, რომ ლისაბონს საფუძველი ჩაუყარა ულისემ, და რომ „ნეტართა კუნძულები“ ატლანტის ოკეანეში მდებარეობენ. კელტები ფიქრობდნენ, რომ ატლანტის ოკეანეშივე მდებარეობდნენ ფანტასტიური ქვეყნები: თევზებით სავსე წყალუხვი მდინარით დასერილი კუნძული, გარს რომ უვლიან ხომალდები, მაგრამ არასოდეს შედიან ნავსადგურებში; ციბრუტივით მბრუნავი ცეცხლოვანი კუნძული, სადაც ბრინჯაოს მწვერებით ნადირობენ ვერცხლის ირმებზე. ამას უნდა მიეპყრო დანტეს ყურადღება, და მან კეთილშობილება შესძინა ამ ლეგენდებს.

ულისე ტოვებს პენელოპეს, მეგობრებს უხმობს და ეუბნება, რომ მათ, დაღლილ-დაქანცულებმა და უკვე ხანდაზმულებმა ათასნაირი საფრთხე გადალახეს. ის მათ სთავაზობს კეთილშობილურ ამოცანას – გასცდნენ ჰერკულესის სვეტებს, გადასერონ ზღვა და გამოიკვლიონ სამხრეთ ნახევარსფერო, რომელიც, როგორც მაშინ ფიქრობდნენ, მხოლოდ წყლისაგან შედგებოდა: უცნობი იყო, არის თუ არა იქ სხვა რამე, წყლის გარდა. ულისე მათ უწოდებს ვაჟკაცებს და ამბობს, რომ ისინი ცხოველური ხვედრისათვის კი არა, სიმამაცისა და ცოდნისათვის არიან შობილნი; რომ იმისთვის დაიბადნენ, რათა იცოდნენ და ესმოდეთ. ისინი კვალდაკვალ მისდევენ და „ფრთოსნებად აქცევენ ნიჩბებს“.

საინტერესოა, რომ ეს მეტაფორა „ოდისეაშიც“ გვხვდება, რაც შეუძლებელია სცოდნოდა დანტეს. ისინი მიცურავენ და უკან იტოვებენ სეუტას და სევილიას, გაშლილ ზღვაში გადიან და მარცხნივ უხვევენ. განსანმენდელში მოსახვედრად საჭიროა მარჯვნივ იარონ, „ჯოჯოხეთში“ მოსახვედრად კი – მარცხნივ. ესე იგი, სიტყვას „siniestro“ ორი სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს.⁸ შემდეგ ნათქვამია: „ღამით ვიხილე მეორე ნახევარსფეროს ყველა ვარსკვლავი“. იგულისხმება ვარსკვლავებით მოჭედილი ჩვენი ნახევარსფერო. დიდი ირლანდიელი პოეტი იეიტსი წერს: „starladen sky“ – „ვარსკვლავებით სავსე ცა“. ეს

¹ „აღმოსავლური საფირონის ნაზი ფერი შუაგულიდან რომ განფენილიყო თვით პირველ წრემდე“. – მთარგმნ.

² „და დავეცი, როგორც ეცემა მკვდარი სხეული“. – მთარგმნ.

³ ავგუსტინე კათოლიკური ეკლესიის მიერ წმიდანადაა შერაცხილი, მართლმადიდებლურის მიერ – ნეტარად. – მთარგმნ.

⁴ კეთილშობილური ციხე-სიმაგრე.

არასწორია ჩრდილო ნახევარსფეროს მიმართ, სადაც ჩვენს ნახევარსფეროსთან შედარებით ვარსკვლავები ცოტაა.

ისინი მიცურავენ ხუთი თვის განმავლობაში და ბოლოს ხედავენ ხმელეთს. შორს პირქუში მთა ჩანს, ყველაზე მაღალი, რაც კი ოდესმე უხილავს კაცის თვალს. ულისე ამბობს, სიცილი ტირილად იქცაო, როცა ანაზდეულად ამოვარდნილი გრიგალი ნაფოტებად აქცევს ხომალდს. ესაა განსანმუნდლის მთა, როგორც ირკვევა შემდეგი სიმღერიდან. დანტეს სწამს (ყოველ შემთხვევაში, პოეტური მიზნით, თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს სწამს), რომ ეს ქალაქ იერუსალიმის ანტიპოდია.

და, აი ჩვენ ვუახლოვდებით ამ საშინელ ეპიზოდს და თავს ვეკითხებით, რისთვის ისჯება ულისე. ცხადია, არა ტროას ცხენის გამოგონებისთვის, რაკილა თავისი ცხოვრების უარსებითეს მომენტში დანტეს და ჩვენ სულ სხვას გვიამბობს: მისი კეთილშობილური და შეუპოვარი მოგზაურობის, ისევე, როგორც აკრძალულისა და შეუძლებლის შეცნობის სურვილისათვის. ჩვენ ვეკითხებით საკუთარ თავს, რატომ გამოირჩევა ეს სიმღერა ასეთი ძალით? ვიდრე პასუხს გავცემდეთ, მინდა გავიხსენოთ კიდევ ერთი მოვლენა, რომელიც დღემდე არ შეუნიშნავთ, რამდენადაც ცნობილია ჩემთვის.

არსებობს კიდევ ერთი დიადი წიგნი, ჩვენი დროის კიდევ ერთი დიდი პოემა, – „მოზი დიკი“ ჰერმან მელვილისა, რომელსაც უთუოდ უნდა სცოდნოდა ლონგფელოს მიერ თარგმნილი „კომედია“. ესაა დასახიჩრებული კაპიტნის – აქაბის მიერ თეთრი ვეშაპის დევნა, რომელსაც სანაცვლო უნდა მიაგოს. ბოლოს ისინი ხვდებიან ერთმანეთს, და ვეშაპი სძირავს მას. ასე რომ, რომანი ზუსტად ისე მთავრდება, როგორც დანტეს სიმღერა: ზღვამ შთანთქა ისინი. ამ მომენტში მელვილს უნდა გახსენებოდა „კომედია“, თუმცა მე უფრო მეტად მომზონს ვიფიქრო, თითქოს ის კითხულობდა და ისე აითვისა დანტეს პოემა, რომ შეედლო პირწმინდად დაევიწყებინა იგი; „კომედია“ მის ნაწილად უნდა ქცეულიყო, შემდეგ კი აღმოეჩინა, რომ დიდი ხნის წინათ უნდა წაეკითხა ის. მაგრამ ისტორია ერთი და

იგივეა. მართალია, აქაბს კეთილშობილური იმპულსი კი არ ამოდრავებს, არამედ ბოროტების სურვილი, ულისე კი ისე იქცევა, როგორც უკეთილშობილესი ადამიანი. ეგეც არ იყოს, ის ასახელებს თავისი სასჯელის ჭეშმარიტ მიზეზს, გონებას რომ უკავშირდება.

რაში მდგომარეობს ამ ეპიზოდის ტრაგიზმი? მე მგონია ამას მოეძებნება ერთადერთი ღირებული დასკვნა, და ის შემდეგში მდგომარეობს: დანტე გრძნობს, რომ ულისე, გარკვეულწილად, თვითონვეა. „კომედიის“ ერთ-ერთ ტერცინაში ნათქვამია, რომ არავის არა აქვს უფლება იცოდეს განგების მსჯავრი. ჩვენ არ შეგვიძლია წინ ვუსწრებდეთ მას, ვიცოდეთ, ვის უწერია ხსნა, და ვის – სასჯელი. დანტემ გაბედა დაესწრო (პოეტურად) ამ მსჯავრისათვის. ის ჩვენ გვიჩვენებს განწირულთაც და რჩეულთაც. მას უნდა სცოდნოდა, რომ ეს სახიფათოა; შეუძლებელია შეგნებული არ ჰქონოდა, რომ ღვთის გონებაში უწვდომელი მსჯავრის ანტიციპაციას ახდენს.

სწორედ ამითაა ულისეს სახე ასე ძლიერი. ულისე დანტეს ანარეკლია. დანტე გრძნობდა, რომ თითქმის დაიმსახურა ამნაირი სასჯელი. დანერა პოემა, მაგრამ ასე თუ ისე დაარღვია განუჭვრეტელი უკუნის, ღმერთის, ღვთაებრიობის კანონი.

მე ვამთავრებ. მხოლოდ მინდოდა გამემეორებინა, რომ არავის არა აქვს უფლება თავის თავს მოაკლოს ეს ბედნიერება – „კომედიის“ წაკითხვა. შემდეგ მოიჯრებიან კომენტარები, იმის გაგების სურვილი, თუ რას ნიშნავს ესა თუ ის ქარაგმა, ან როგორ ეპყრობა დანტე ვერგილიუსის დიად სტრიქონებს, რომლებსაც თარგმნის და ლამის აუმჯობესებს კიდევ. უწინარეს ყოვლისა, ჩვენ უნდა ნავიკითხოთ წიგნი ბავშვური რწმენით, მივენდოთ მას, შემდეგ კი ის აღარ მიგვატოვებს უკანასკნელ დღემდე. ის განუყრელია ჩემგან ამდენი წლის მანძილზე, მაგრამ მე ვიცი, რომ თუ მას გადავშლი ხვალ, დავინახავ იმას, რასაც აქამდე ვერ ვხედავდი. მე ვიცი, რომ ეს წიგნი მეტია ჩემს დაკვირვებებზე და მეტია ჩვენზე.

ესპანურიდან თარგმნა
ბაჩანა ბრეგვაძემ



⁵ „იმ სალამოს, განშორებისას, როცა მოანია დრომ შენთვის ჩვეულებრივ მეთქვა „მშვიდობით“, ბუნდოვანმა სევდამ მაიძულა მეგრძნო, რომ შენ მიყვარხარ“ (ესპ.).

⁶ „ღვთაებრივ კომედიაში“ ვენეცია კი არა, ფლორენციაა: – „Godi Firenze“... Inf.XXVI, 1 – მთარგმნ.

⁷ ძველი ბერძენები „ბარბაროსს“ უწოდებდნენ ყველა არაბერძენს. – მთარგმნ.

⁸ ეს მნიშვნელობებია – 1. მარცხენა; 2. საბედისწერო. შდრ. ჩვენი „მარცხენა“ და „მარცხი“. – მთარგმნ.



ჰექტორ ჰიუ მუნრო (საკი)

ლუიზა

– ჩაი უკვე გაცივდებოდა, ჯობდა ხელახლა დაგერეკა – თქვა ბინფორდის ქვრივმა.

ლედი სუზან ბინფორდი ჯანლონით სავსე მოხუცი ქალბატონი გახლდათ, ცხოვრების დიდი ნაწილი თავისივე გამოგონილ სუსტ ჯანმრთელობაზე ნუნუნში გაატარა. კლოვის სანგრელი არცთუ ზრდილობიანად აღნიშნავდა, რომ ქალბატონი ჯერ კიდევ დედოფალ ვიქტორიას კურთხევის ცერემონიაზე გაცივდა და მას მერე გაცივება მასთან განშორების უფლებას აღარ აძლევდა. ლედი სუზანზე რამდენიმე წლით უმცროსი და, ჯეინ ტროპლენსტანსი, კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, მიდელექსესში გულმავინყობით განთქმული ქალი იყო.

– მთელი შუადღე უჩვეულოდ ჭკვიანი ვიყავი – ჩაის მოსატანად რეკვისას მხიარულად აღნიშნა მან, – ყველას დაუფრეკე, ვისთან დარეკვაც მინდოდა და ყველაფერი ვიყიდე, რის ყიდვასაც ვაპირებდი. ისიც კი გამახსენდა, „ჰეროლდში“ შენთვის ის აბრეშუმი რომ უნდა შემერჩია, მაგრამ აი ნიმუშის წამოღება კი დამავინწყდა. ასე რომ, ამაოდ გავისარჯე. დარწმუნებული ვარ, ეს ერთადერთი მნიშვნელოვანი რამ იყო, რაც დღეს დამავინწყდა. საკმაო მიღწევაა ჩემთვის, არა?

– ლუიზა რა უყავი? – შეეკითხა და. – თან არ გახლდა? ხომ თქვი, რომ მის წაყვანას აპირებდი.

– ღმერთო დიდებულო! – წამოიძახა ჯეინმა – ლუიზა რა ვუყავი? მგონი სადღაც დავტოვე...

– მაგრამ სად?

– საქმეც ამაშია, სად უნდა დამეტოვებინა? ვეღარ ვიხსენებ... კერივუდები სახლში იყვნენ თუ მხოლოდ „მოსანვევი ბარათები“ დავტოვე? თუ სახლში დამხვდნენ, ლუიზა სავარაუდოდ იქ, ბრიჯის სათამაშოდ დავტოვე. ავდგები, ლორდ კერივუდს

დაუფრეკავ და ყველაფერს გავარკვევ.

– ლორდ კერივუდი ბრძანდებით? – იკითხა ქალბატონმა – ჯეინ ტროპლესტერი ვარ. მაინტერესდა, ლუიზა თქვენთან ხომ არაა?

– ლუიზა... – გაისმა პასუხად. – მისი ნახვის ბედნიერება სამჯერ მარგუნა ბედმა. უნდა ვაღიარო, რომ პირველად, დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, მაგრამ მერე და მერე მუსიკა ძლიერდება... თუმცა, ვფიქრობ, ახლა მის ხელახლა ხილვას მაინც არ ვისურვებდი. თქვენს ლოჟაში ადგილს ხომ არ მთავაზობთ?

– ოპერა „ლუიზა“ კი არა – ჩემი დისწული ლუიზა. ლუიზა ტროპლესტერი. ვიფიქრე, შესაძლოა თქვენთან დავტოვე.

– შუადღისას მოსანვევი ბარათები კი დატოვეთ, მაგრამ დისწული არ დაგიტოვებიათ. დარწმუნებული ვარ, ასე რომ ყოფილიყო, მოსამსახურე ამას უეჭველად ახსენებდა. არა მგონია დისწულების მოსანვევი ბარათებით სხვაგან დატოვება ახალი მოდა იყოს. ბერკლის სკვერის სახლებში ასეთი ჩვეულება წამდვილად არ არსებობს.

– კერივუდებთან არაა. თქვა ჯეინმა და ჩაის მიუბრუნდა. მოიცა, მგონი მახსენდება, შესაძლოა, სელფრიჯის აბრეშუმის სექციის დავტოვე. ალბათ ვუთხარი, ცოტა ხნით დამლოდებოდა, სანამ აბრეშუმს უფრო განათებულ ადგილზე დავათვალიერებდი. მერე კი, როცა აღმოვაჩინე, რომ შენი აბრეშუმის ნუმუშიც თან არ მქონდა, გოგონაც უბრალოდ გადამავინწყდა. თუ ასეა, მაშინ ახლაც იქ იქნება.. ლუიზა ინიციატივას არასოდეს იჩენს, თუ არ ეტყვიან, ფეხსაც არ მოიცვლის.

– შენ თქვი, რომ აბრეშუმს „ჰეროლდში“ ეძებდი – სიტყვა შეანყვებიან ქვრივმა.

– მართლა? შესაძლოა „ჰეროლდი“

ყოფილიყო. კარგად არ მახსოვს. ეს ერთ-ერთი იმ ადგილთაგანი იყო, სადაც ყველა იმდენად კეთილი, სიმპათიური და გულისხმიერი, რომ ასეთი სასიამოვნო გარემოცვიდან პატარა ბამბეულის ქსოვილის წამოდებაც კი დაგენანება.

– მგონი დროა წახვიდე და მოიყვანო. გაფიქრებაც კი არ მინდა, რომ ლუიზა იქ სულ მარტოდმარტოა უამრავ უცხო ხალხს შორის და ისიც კი არის შესაძლებელი, რომ ვინმე უზნეო გამოელაპარაკოს.

– შეუძლებელია. ლუიზა არავის დაელაპარაკება. ვერასოდეს მოვახერხებ საუბარში ამეყოლებინა, ნებისმიერ თემზე ერთი პასუხი აქვს: „ასე ფიქრობთ? მგონი მართალი ბრძნადებით“. ეს არის და ეს. მაშინაც, რიბოს სამინისტროს კრახთან დაკავშირებული მისი მდუმარე რეაქცია სასაცილოდ მეჩვენებოდა, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რა სიხშირით სტუმრობდა მისი ძვირფასი დედა პარიზს. ეს კარაქი და პური ძალზე თხლადაა დაჭრილი. პირთან მიტანამდე წამცეცებად იქცევა. ძალიან სასაცილოა, საკვებს ჰაერში ისე დაედევნო, როგორც კალმახი – მათის ხოჭოს.

– ცოტა არ იყოს გაოცებული ვარ – თქვა ქვრივმა – შენი საყვარელი დისნული შენივე გამოსობით სულ ახლახან დაიკარგა, შენ კი აქ ზიხარ და ჩაის მთელი გულით და სულით მიირთმევ.

– ისე ლაპარაკობ, თითქოს სამარადუამოდ დავკარგე და არა დროებით ავცდით ერთმანეთს. დარწმუნებული ვარ, ახლავე გავისხენებ სადაც დავტოვე.

– რომელიმე სატნოების სახლში ხომ არ შეგივლია? თუ ბავშვი ვესმისტერის, ან წმინდა პეტრეს სააბატოში ან სულაც იტონ-სკვერში ბედის ანაბარა დატოვე და ის იქ ყოფნის რაიმე დასაბუთებული მიზეზის ახსნას ვერ შეძლებს, „კატისა და თაგვის“ აქტის თანახმად რეჯინალდ მაკენასთან გააქანებენ.

– საკმაოდ უხერხული გამოვა, –

თქვა ჯეინმა და შუა ლაპარაკში სიფრიფანა კარაქნასმული პური მოკბიჩა, – მაკენასთან თითქმის არანაირი ნაცნობობა არ გაგვანია. ძალზე დამლელი იქნება უცხვირპირო მდივანს ტელეფონზე ვურეკო, ლუიზა აღვუწერო და სადილისთვის მისი სახლში გამოშვება ვთხოვო. საბედნიეროდ, არც ერთ სატნოების სახლში არ ვყოფილვარ, თუმცა ხსნის არმიის პროცესიას კი გადავეყარე. საინტერესო იყო მათი ასე ახლოს ნახვა; სრულიად განსხვავებულდნენ იმ პირველი წარმოდგენებისაგან, რომელიც მათზე ოთხმოციან წლებში შემექმნა. მაშინ პირდაუბანელები, არეულ-დარეულები მოაბიჯებდნენ, გეგონებოდათ მთელ სამყაროს დამცინავ ღიმილს უთვლიდნენ. დღეს კი პენიანები და უდარდელები, თვალმისაცემად მორთულ-მოკაზმულები, საკურთხევის მოსართავი ნემსინვერებით სავსე ლარნაკებს ჰგავდნენ. ამას წინათ ლაურა კეტლევეი მათ დოველ-სტრიტზე გადაეყარა, ყვებოდა რამდენ კეთილ საქმეს სჩადიან ისინი და რა დიდი დანაკლისი იქნებოდა ამქვეყნად რომ არ ეარსებათ. „მათ რომ არ ეარსებათ“ – მივუგე მე, – „გრანვილ ბანკერი ზუსტად მათ მსგავსს უეჭველად გამოიგონებდა“. საკმარისია ასეთი რამ მეტროს სადგურში ხმამაღლა განაცხადოთ და თქვენი სიტყვები ეპიგრამებად გაჟღერდებიან.

– ვფიქრობ, ლუიზასთან დაკავშირებით რაღაც უნდა მოიმოქმედო. – თქვა ქვრივმა.

– ვცდილობ გავისხენო, თან მახლდა თუ არა ადა სპელვექსს რომ შევუარე. იქ კარგად გავერთე. ადა როგორც ყოველთვის ცდილობდა, ის ოდიოზური ქალბატონი კორიატოვსკი ჩემთვის თავს მოეხვია. არადა გადასარევად იცის, როგორ მეჯავრება, მერე კი დაუფიქრებლად წამორიშა: „იგი ამჟამინდელ საცხოვრებელს სტოვებს და სეიმურისტრიტზე გადადის“-ო. „გავებდავ და ვიტყვი, ასეც იქნება, თუ იქ დიდხანს დარჩენას აპირებმეთქი“ – მივუგე მე. დაახლოებით სამი წუთი ადას არაფერი უთქვამს, შემდეგ





კი განსაკუთრებულად უხეში გახდა. არა, დარწმუნებული ვარ ლუიზა იქ არ დამიტოვებია.

– იქნებ მოახერხო და გაიხსენო, სად დატოვე ბავშვი, ეს უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ვიდრე ჩემი დარწმუნების უაზრო მცდელობები – თქვა ლედი ბინფორდმა. – ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცით, რომ ლუიზა არც კარიგუდებთან არის, არც ადა სპელვექსიტთან, და არც ვესტმისტერის სააბატოში.

– ეს საქმეს ცოტათი გვიიოლებს – თქვა ჯეინმა იმედიანად. – მგონია, მორნებთან შევლისას თან მახლდა. მორნებთან ნადვილად ვიყავი, რადგან კარგად მახსოვს იმ არაჩვეულებრივ მაღკომს, სახელი დამავინწყდა, ხომ იცი ვისზეც ვამბობ, იქ შევხვდი. უჩვეულო სახელები ადამიანებს დიდ უპირატესობას ანიჭებს. გვარის დამახსოვრება აღარ გჭირდება. რა თქმა უნდა ერთ-ორ სხვა მაღკომსაც ვიცნობ, მაგრამ არც ერთი არაჩვეულებრივი არ არის. სლოან სკვერის „მხიარული კვირადღის საღამოების“ ორი ბილეთი გადმომცა. ალბათ ისინიც მორნებთან დამრჩა. მიუხედავად ამისა, მისი მხრიდან ეს უკიდურესად კარგი საქციელი იყო.

– როგორ ფიქრობ ლუიზა იქ დატოვე?

– შემძლია დავურეკო და ვკითხო. ოჰ, რობერტ, ვიდრე ჩაის სერვის ალაგებდე იქნებ რეჯერ სტრიტზე მორნებთან დაგერეკა და გეკითხა, მათ მალაზიაში, ნაშუადღევს თეატრის

ორი ბილეთი და ერთი დისნული ხომ არ დამიტოვებია?

– დისნული მემ? – იკითხა მსახურმა.

– დიას, მის ლუიზა ჩემთან ერთად არ დაბრუნებულა და არ ვიცი სად დავტოვე.

– მის ლუიზა მთელი ნაშუადღევი ზემოთაა, მემ. მზარეულის თანაშემწეს, იმას, ნევრალგია რომ აწუხებს, ნიგნს უკითხავს. ხუთს რომ თხუთმეტი აკლდა, ჩაი ავუტანე.

– რა თქმა უნდა, რა სულელი ვარ. ახლა გამახსენდა, სანყალი ემასთვის „ფერიების დედოფლის“ ნაკითხვა ვთხოვე, ტკბილად რომ დასძინებოდა. ნევრალგიის შემოტევისას ყოველთვის ამ ზღაპრის ნაკითხვას ვთხოვ ხოლმე ვინმეს და როგორც წესი ტკბილად მაძინებს... როგორც ჩანს, ლუიზასთვის ეს ჯერი წარმატებული არ გამოდგა, მაგრამ იმასაც ვერავინ უსაყვედურებს, რომ ცდა დააკლო. მეგონა, რომ ერთი-ორი საათის შემდეგ მზარეულის თანაშემწე სიამოვნებით დარჩებოდა მარტო თავის ნევრალგიასთან, მაგრამ ლუიზას თუ არ ეტყვი, ადგილიდან ფეხს არ მოიცვლის. ასეა თუ ისე, შეგიძლია რობერტს დაურეკო და ჰკითხო, თეატრის ორი ბილეთი იქ ხომ არ დამიტოვებია. სუზან, შენი აბრეშუმის გარდა ბილეთები ერთადერთი რამაა, რაც მთელი შუადღის განმავლობაში დამავინწყდა. საოცარი მიღწევაა ჩემთვის!

ინგლისურიდან თარგმნეს
მაკა ალანიამ და ემხვარ კახაძემ

თეატრი

თამარ კიკნაველიძე

17 საფესტივალო დღე

ორწლიანი ისტორია და პარალელები


საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი 2009 წელს **თბილისის მერიის** ინიციატივითა და მხარდაჭერით დაფუძნდა. მისი მიზანია საქართველოს დედაქალაქის პოპულარიზაცია და საერთაშორისო კულტურულ მოვლენებში ინტეგრირება. ამ ორიდან პირველის შესრულება უფრო ადვილია, რამდენადაც ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსულ ხელოვანებს, მოწვეულ სტუმრებსა თუ უბრალო მაყურებელს სწორედ თბილისი მასპინძლობს და ჩვენი ქვეყნის უკეთ გაცნობის საშუალება ყველას ეძლევა. საორგანიზაციო საკითხების თვალსაზრისით, ფესტივალი ყოველწლიურად ძლიერდება და იძენს გამოცდილებას, რომელიც მომავალში მის იმიჯსა და სახელზე აუცილებლად იმოქმედებს. რაც შეეხება ქართული თეატრალური ხელოვნების საერთაშორისო კულტურულ სივრცეში ინტეგრირებას, ამ კუთხით სამუშაო ბევრი გვაქვს, რადგან მსოფლიოსთან ინტეგრირება მისთვის მხატვრული ხარისხით გამორჩეული პროდუქციის შეთავაზებასაც გულისხმობს. ამ მიმართულებით დღეს ძალიან გვიჭირს. ამის მაჩვენებელი იყო ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი ქართული სპექტაკლების პროგრამა, რომელმაც თანამედროვე ქართულ თეატრში არსებული პრობლემები კიდევ ერთხელ და ხაზგასმით წარმოაჩინა. მათ მოგვარებაზე ზრუნვა ფესტივალის მისია არ გახლავთ. ორგანიზატორებს მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ უმასპინძლონ და არენა დაუთმონ მათ, ვისაც საკუთარი პროდუქციის ფართო მაყურებლისთვის მიწოდება და მისით უცხოელების დაინტერესება სურს. ამისათვის აღარ უნდა განმეორდეს სპექტაკლების ე. წ. „გადაფარვა“ და მაყურებელმა თითოეულის ნახვა უნდა შეძლოს. ეს საკითხი იმედია მოგვარდება და 2011 წლის საფესტივალო პროგრამა ისე გადანიშნდება, რომ ქართული რეგიონული თეატრების პროდუქციის ნახვასაც მოვახერხებთ.

რადგან ქართული სპექტაკლების პროგრამაზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე გეტყვით, რომ 2010 წლის საფესტი-

ვალ პროგრამა სამი მიმართულები-სგან შედგებოდა. 29 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით გვაჩვენეს ქართული სპექტაკლები, ხოლო 3-დან 15 ოქტომბრამდე – უცხოური. ფესტივალის ფარგლებში მოეწყო სემინარები, გამოფენები და პრეზენტაციები. ამ უკანასკნელიდან აღსანიშნავი იყო პროფესიონალ კრიტიკოსთა სიმპოზიუმი, რომელიც პირველად ჩატარდა. მასში ქართველ კრიტიკოსებთან ერთად რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. 1 და 2 ოქტომბერს ორგანიზებული კულტურული ხიდის თემა იყო თეატრი-მაყურებელი-კრიტიკა – „ბერმუდის სამკუთხედი“ თუ „იდეალური სამეული“, რომლის ფარგლებშიც სიმპოზიუმის მონაწილეებმა ნაიკითხეს საკუთარი მოხსენებები, იმსჯელეს ქართული სპექტაკლების პროგრამაში ნანახ დადგმებზე, დასვეს შეკითხვები და თეატრმცოდნე **ვასილ კიკნაძისგან** ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების მოკლე ისტორიაც მოისმინეს. სიმპოზიუმის ქართველი მონაწილეებისგან თითოეული დარწმუნდა, რომ აუცილებელია მსგავსი შეხვედრების ორგანიზება, ინფორმაციის გაცვლა და კრიტიკულ შეკითხვებზე ობიექტური პასუხის გაცემა, ქართული თეატრის დაცვა კი არა, დარგში მიმდინარე პროცესების გაანალიზება, პრობლემის დასმა და მისი გადაჭრა.

ფესტივალის ფარგლებში ასევე გაიმართა: იტალიელი **ფერუჩო სოლერის** მასტერკლასი კომედია დელ'არტეს შესახებ და ორი წიგნის პრეზენტაცია. პირველი იყო **ტენესი უილიამსის** „კამინო რეალის“ ქართული თარგმანი (მთარგმნელი **მანანა ანთაძე**), ხოლო მეორე – **აკაკი ვასაძის** „მოგონებები, ფიქრები“ (პროექტის ავტორი **მაკა ვასაძე**).

პირველ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 14 უცხოური სპექტაკლი მსოფლიოს 10 ქვეყნიდან (ლიტვა, პოლონეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, საფრანგეთი, შვედეთი, სომხეთი, დიდი ბრიტანეთი, კორეა, გერმანია), ხოლო 27 ქართული



სცენა სპექტაკლიდან „ჰამლეტი“ (რეჟისორი ეიმუნტას ნეკროშიუსი)

გასული წლის კულტურულ ღონისძიებებს შორის თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი გამორჩეული იყო. რამ განსაზღვრა მისი განსაკუთრებულობა? უპირველესად მასშტაბმა, შემდეგ კი რამდენიმე უცხოური სპექტაკლის მხატვრულმა ხარისხმა.



სცენა სპექტაკლიდან „ჰამლეტი“
(რეჟისორი ოსკარას კორშუნოვასი)

სპექტაკლი თბილისის, რუსთავის, თელავის, ქუთაისის, სოხუმისა და ცხინვალის თეატრებიდან. რაც შეეხება 2010 წლის ფესტივალს, წინა წელთან შედარებით, ის ოდნავ ხანმოკლე იყო და პროგრამაც დატვირთული აღმოჩნდა. 2010 წელს შემოგვთავაზეს 11 ქვეყნის (ლიტვა, იტალია, გერმანია, სომხეთი, ესტონეთი, საფრანგეთი, ირანი, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, რუსეთი) 12 წარმოდგენა, ქართულ პროგრამაში კი 36 სპექტაკლი თბილისიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, თელავიდან, რუსთავიდან, ფოთიდან, გორიდან, ჭიათურაიდან და ოზურგეთიდან. საკუთარი ნამუშევრები თბილისში მოქმედმა სოხუმის, ცხინვალისა და აფხაზეთის თეატრებმაც აჩვენეს. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი ფესტივალის ფარგლებში თუ მხოლოდ ერთი პრემიერა (**რობერტ სტურუას** „ბიდერმანი და ცეცხლის წამკიდებელი“) გაიმართა, 2010 წელს 6 პრემიერა იგეგმებოდა, მაგრამ, საბოლოოდ, ექვსიდან მხოლოდ ორი გაიმართა (**თემურ ჩხეიძის** „ბრმა მხედველი“ და **დათა თავაძის** „მახინჯი“), ორი (**ლევან წულაძის** „დეკამერონი“ და **დავით დოიაშვილის** „სირანო დე ბერჟერაკი“) – გადაიდო, ხოლო დანარჩენი ორი (**მაკა ნაცვლიშვილის** „ქალი წარსულიდან“ და **ბესიკ კუპრეიშვილის** „ჩემი ჰამლეტი“) მაყურებელს დაუსრულებელი აჩვენეს. დაგეგმილი პრემიერების „ჩაგდება“ II საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ძირითადი პრობლემა აღმოჩნდა, დაუმთავრებელი დადგმების ნაცვლად კი წინა წელს ნანახი სპექტაკლები (ლევან წულაძის „ქალი ძაღლით“ და დავით დოიაშვილის „მაკბეტი“) შემოგვთავაზეს. ასეთი შემთხვევები რომ აღარ განმეორდეს, ვფიქრობ, აუცილებელია საფესტივალო სპექტაკლების სელექცია, რაზეც თეატრმცოდნეებისა და კრიტიკოსებისგან შემდგარი ჯგუფი იზრუნებს. ამით თეორეტიკოსებს რეგიონებში ჩასვლისა და რეგიონული თეატრების ნამუშევრების ნახვის საშუალებაც მიეცემა. ამ მიმართულებით ფესტივალის ორგანიზატორების მხრიდან, როგორც ვიცი, ნაბიჯები უკვე გადაიდგა. მარჯანიშვილის თეატრში შეკრებილი თეატრმცოდნეებმა და ჟურნალისტებმა სწორედ საფესტივალო საკითხებსა და პრობლემების მოგვარებაზე იმსჯელეს.

რამდენიმე საჩუქარი და სანახაობა

2010 წლისთვის შერჩეულ საფესტივალო სპექტაკლებს თბილისის 8 თეატრმა უმასპინძლა. ქართული წარმოდგენებიდან ყველაზე საინტერესო ისევ და ისევ წინა წლებში განხორციელებული **რეზო გაბრიადის** „სტალინგრადის ბრძოლა“ და **რობერტ სტურუას** „სტიქსი“ აღმოჩნდა. პროგრამის არასწორად გადანაწილების მიზეზით, საქართველოში სიმპოზიუმის ფარგლებში ჩამოსული კრიტიკოსები ისეთ სპექტაკლებს დაესწრნენ, რომ თანამედროვე ქართულ თეატრზე არასწორი შთაბეჭდილება შეექმნათ. „სტიქსისა“ და **გიორგი სიხარულიძის** „რომეო და ჯულიეტას“ ნახვის შემდეგ, მათ ჩათვალეს, რომ ექსპერიმენტები აქ არავერბალური თეატრის მიმართულებით ხორციელდება. არადა, სწორედ მოძრაობაზე დაფუძნებული წარმოდგენების ნაკლებობას განვიცდით. მათი ინტერესი კიდევ ერთმა სპექტაკლმა, ედინბურგის „ფრინჯის“ ფარგლებში ორგანიზებულ ფესტივალზე „საზღვრებს მიღმა“ გამარჯვებულმა და რამდენიმე ჯილდოსთან ერთად მთავარი პრიზის (რინგე ირსტ წარდ 2010) მფლობელმა მოიპოვა. „ვეგავართ ახლა ჩვენ ლტოლვილებს?!“ ინგლისელმა რეჟისორმა **ალეკი ბლაითმა** რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე განახორციელა. ვერბატიმის თეატრის პრინციპით გაცოცხლებულმა ისტორიებმა საქართველოს უახლოესი წარსულიდან მაყურებლის მოწონება დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ ფესტივალის ფარგლებში განხორციელდა გოეთეს ინსტიტუტის რეგიონალური პროექტი, რომელმაც ახალგაზრდა რეჟისორებს თანამედროვე გერმანულ დრამატურგიაზე მუშაობის საშუალება მისცა. ერთის ბოლომდე დასრულება, როგორც ზემოთ გითხარით, **მაკა ნაცვლიშვილმა** ვერ შეძლო, **დათა თავაძემ** კი **მარიუს ფონ მაინბურგის** „მახინჯი“ სამეფო უბნის თეატრში წარმოადგინა. სტუდენტებისგან დაკომპლექტებული ჯგუფი იქ 2008 წლიდან არსებობს და ძირითადად უცხოური და ქართული თანამედროვე დრამატურგიის ნიმუშების გაცოცხლებაზე მუშაობს. ქართული პროგრამის მრავალფეროვნება განსაზღვრა ისეთმა თეატრების ნამუშევრებმა, როგორებიცაა: ჩრდილების, თითების, მოძრაობის, პანტომიმისა და მარიონეტების თეატრები.

უცხოური სპექტაკლებიდან ნამდვილი საჩუქარი აღმოჩნდა **ჯორჯო სტრელერის** „არლეკინი, ორი ბატონის მსახური“, რომელშიც 81 წლის **ფერუჩო სოლერი** მონაწილეობდა. არლეკინის როლის საუკეთესო შემსრულებელმა სიცოცხლე შეუნარჩუნა წარმოდგენას, რომელიც საქვეყნოდ ცნობილმა რეჟისორმა 1947 წელს მილანის პიკოლო თეატრში დადგა. იტალიურ სპექტაკლზე დასასწრები ბილეთები სწრაფად გაიყიდა, უბილეთოდ ან სტუდენტულით დარბაზში შეღწევის მსურველი კი საკმარისზე მეტი აღმოჩნდა. წარმოდგენა ორჯერ გათამაშდა. მეორე დღეს „არლეკინი, ორი ბატონის მსახურის“ ნახვა იმდენმა ადამიანმა მოინდომა, რომ თეატრის ხელმძღვანელობამ (უსაფრთხოებისთვის) სამართალდამცავები გამოიძახა.

არაერთ პრემიასთან და ჯილდოსთან ერთად, ფერუჩო სოლერიმ გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში მოხვედრა დაიმსახურა: 1960 წლის 28 თებერვლიდან 2010 წლის 9 თებერვლის ჩათვლით, მსახიობმა **კარლო გოლდონის** პიესაში არლეკინის როლი მსოფლიოს 32 ქვეყნის სცენაზე 2064-ჯერ ითამაშა. მისმა საშემსრულებლო ხელოვნებამ პირადად ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. კომედია დელ'არტეს, როგორც კომედის იმპროვიზირებულ ფორმაში გაცოცხლებულმა არლეკინმა თავი ქართველ მაყურებელსაც შეაყვარა. სპექტაკლის ნახვისას დავრწმუნდი, რომ XVI საუკუნიდან ჩამოყალიბებულ ფორმაში, სადაც ყველაფერი მსახიობთა საშემსრულებლო ოსტატობასა და პლასტიკაზეა აგებული, იტალიელებზე უკეთ ვერავინ ითამაშებს. მათი საოცარი ტემპერამენტი და მუსიკალური ენა მოქცეულია ისეთ დინამიკაში, რომელიც სამი მოქმედების განმავლობაში არ ნელდება. ორი ბატონის მსახური არლეკინის თავგადასავალი იმდენად ოსტატურად არის დადგმული და გათამაშებული, რომ წარმოდგენისთვის განკუთვნილი 165 წუთი ერთ ამოსუნთქვაში გადის.


სტრელერის დადგმა ფეიერვერკია, რომელსაც შემოქმედებითი ჯგუფი, ერთი შეხედვით, ძალიან მარტივად აღწევს. თუმცა, მისი პროფესიული განხილვა და ანალიზი იოლი არ გახლავთ, რამდენადაც ვსაუბრობდი ხელოვნების ნიმუშზე, რომელიც დიდი ტრადიციითა და გამორჩეულ ხელოვანთა ძალისხმევით შეიქმნა. კომედია დელ'არტი, როგორც იმპროვიზაციაზე დაფუძნებული ფორმა, იტალიაში წარმოიშვა, მოგვი-

ანებით კი მთელი ევროპა მოიცვა. ის ახლებურად იტალიელმა დრამატურგმა კარლო გოლდონიმ (1707-1793) დაამუშავა, პერსონაჟთა ხასიათები გააღრმავა და დრამატურგიულად დამუშავებული ტექსტის გამოყენებით წარმოდგენას უფრო დახვეწილი სახე მოუძებნა. მისი „ორი ბატონის მსახური“ ბევრს ნაუკითხავს, დადგმულია არაერთ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც (მაგალითად, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრი, რეჟისორი **გიორგი თავაძე**). აღსანიშნავია, რომ პიესის სტრელერისეულ ვარიანტს სახელი შეცვლილი აქვს და მასთან აქცენტი კომედია დელ'არტეს მთავარ პერსონაჟზე – არლეკინზეა გაკეთებული. ფერუჩო სოლერის ნიჭიერება, ოსტატობა და ენერგიულობა ერთგვარი სტიმულია დასისთვის, რომელიც პროფესიონალები-სგან შედგება. მათი საშემსრულებლო ხელოვნება მიანიშნებს იმაზე, რომ სცენაზე ნამდვილი არტისტები დგანან. მთელი შემოქმედებითი ჯგუფის წარმატება კი დაკავშირებულია ისეთი რეჟისორის სახელთან, როგორც ჯორჯო სტრელერია. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობით დღემდე ვსაზრდობთ, რისი საუკეთესო მაგალითია სპექტაკლი, რომლის ნახვის საშუალება ქართველებსაც მოგვეცა.

თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში რამდენიმე სპექტაკლს განსაკუთრებით ველოდებოდი. ერთ-ერთ მათგანზე ზემოთ ძალიან მოკლედ გითხარით. პროგრამაში შედიოდა, მაგალითად ირანელების გახმაურებული „როსტამი და ზოჰრბაბი“, ისრაელის თანამედროვე ცეკვის კომპანია კიბუცის წარმოდგენა „ბნელ ბაღში“, საფრანგეთის სასცენო ხელოვნების კომპანიის მიერ **ლამა ბულაძის** პიესის მიხედვით დადგმული „ციცინო ანუ პოლიტიკური პიესა“, ასევე, **თემურ ჩხეიძის** სპექტაკლი „კოპენჰაგენი“, რომელიც ქართველმა რეჟისორმა რუსეთის გიორგი ტოვსტონოგოვის სახელობის დიდ დრამატულ თეატრში დადგა და ა. შ. ამ უკანასკნელმა მოლოდინი (რეჟისორის, საშემსრულებლო ხელოვნების, თემის გაანალიზებისა და სათქმელის ოსტატურად გადმოცემის თვალსაზრისით) ნამდვილად გაამართლა, რასაც ვერ ვიტყვი მარჯანიშვილის თეატრის სხვენში დადგმულ „ბრმა მხედველზე“ (**ბრაიან ფრილი**), რომელმაც პირადად ჩემზე დაუსრულებელი წარმოდგენის შთაბეჭდილება დატოვა.



სცენა სპექტაკლიდან „კოპენჰაგენი“ (რეჟისორი თემურ ჩხეიძე)



აფიშა სპექტაკლისა „სტალინგრადის ბრძოლა“



სცენა სპექტაკლიდან „არლეკინი, ორი ბატონის მსახური“ (რეჟისორი ჯორჯო სტრელერი)

როდესაც საფესტივალო ეიფორიამ ჩაიარა, მივხვდი, რომ 2009 წლის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული სიამოვნება მაინც ეიმუნტას ნეკროშიუსის დადგამს მომანიჭა. წინა ჯერზე ასეთი აღმონჩა „ოტელო“, შემდეგ „ფაუსტი“, ამჯერად კი „ჰამლეტი“. **შექსპირის** ყველაზე ცნობილი პიესის მიხედვით განხორციელებული სპექტაკლი თბილისში მეორე ლიტველმა რეჟისორმა **ოსკარას კორშუნოვას** ჩამოიტანა. თუმცა, მისი „რომეო და ჯულიეტასგან“ განსხვავებით, რეჟისორის მიერ ფორმაზე გაკეთებული აქცენტი ნაკლებად საინტერესო აღმონჩა და ისეთი შთაბეჭდილებაც კი დამიტოვა, რომ ფორმას შეენირა შინაარსი და სათქმელი, დაიკარგა აქცენტები... თუმცა, კორშუნოვასის „ჰამლეტის“ ჩამოტანისთვის წლებანდელი თეატრალური ფესტივალის ორგანიზატორებს ვემაღლიერები, რამდენადაც ახლა უკვე საკუთარი მოსაზრება მაქვს ნამუშევარზე, რომელმაც მსოფლიოში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.

ნეკროშიუსის დადგმას რაც შეეხება, როდესაც ფარდა გაიხსნა და გვერდებიდან დეკორაციით „ჩაკეტილი“ კომპოზიცია დავინახე, რეჟისორის აქამდე ნანახი სპექტაკლი გამახსენდა. ამის გარდა თვალშისაცემი აღარაფერი გამეორებულა. არადა, ნეკროშიუსის წარმოდგენები მეტაფორებითაა „სავსე“ და სულ არაფერი გაიმეორო, შეუძლებელია... თუმცა, მთავარი მაინც ის არის, რომ საქვეყნოდ ცნობილმა ლიტველმა რეჟისორმა ზუსტად იცის რა და როგორ უნდა გამოიყენოს იმისათვის, რომ სათქმელი გააგებინოს ყველას, ვინც აზროვნებს. ერთი ასეთი მეტაფორა „ჰამლეტშიც“ არ შორდება სცენას

და ყველასთვის შესამჩნევ ადგილას ეკიდა. ის თითოეულმა მაყურებელმა თავისებურად აღიქვა, ჩემთვის კი სცენის შუაგულში, ჭერში დაკიდებული სიმბოლო საათის მექანიზმის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, მეტალის კბილანებიან (გადიდებულ) ფირფიტას მაგონებდა. ეს კი იმაზეც მიანიშნებდა, რომ დროთა კავშირი დარღვეულია და ამ დროს აჩრდილის გამოჩენაც არ უნდა გაგვიკვირდეს.

ნეკროშიუსმა ქართველი მაყურებელი „ჰამლეტის“ შემთხვევაშიც ადვილად დააინტერესა. მის სპექტაკლზე მოსახვედრად უბილეთოებმა, მათ შორის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა, ბევრი „იბრძოლეს“ და მთელი პირველი მოქმედება ფეხზე იდგნენ, შემდეგ კი რამდენიმე იმათი ადგილი დაიკავა, ვისაც თეატრალური ხელოვნება, როგორც ჩანს, ნაკლებად უყვარს.

მასთან ჰამლეტის პროტესტი თავიდანვე გამოკვეთილია – პრინცი მეფის წინაშე შარვალჩახდილი დგას, თავანუელია და არ ინძრევა. როდესაც დედა აუნევს შარვალს, ჰამლეტი დაუმორჩილებელი, ჭირვეული ბავშვის შთაბეჭდილებას ტოვებს. სპექტაკლში მთავარ გმირს **ანდრიუს მამონტოვასი**, ცნობილი მუსიკოსი განასახიერებს. მისი სახით რეჟისორის არჩევანმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, საზოგადოებას გაუჩნდა შეკითხვები, რომლებსაც ნეკროშიუსი მოთმინებით პასუხობდა. ბეჭდური მედიის წარმომადგენლებისთვის მიცემულ ინტერვიუებში ჩანს, რომ რეჟისორი ეძებდა ადამიანს, რომელიც თავისუფალი იქნებოდა შტამპებისგან... ის უნდა ყოფილიყო უშუალო, ბოლომდე გულწრფელი და როგორც თავად აღნიშნავს, „გამორჩეული სახე ჩვენს კონსერვატორულ თეატრალურ სამყაროში“, როგორიც აღმოაჩინა კიდევც...

ნეკროშიუსთან ანსამბლურობა ყოველთვის იგრძნობა. ამასთან, ნათელია ისიც, რომ ყველაფერი რეჟისორის კონცეფციას ექვემდებარება და ხაზი, რომელიც დასაწყისში იკვეთება, სამივე მოქმედების განმავლობაში არ იკარგება და საინტერესოდ ვითარდება. კორშუნოვასის „ჰამლეტისგან“ განსხვავებით, ნეკროშიუსი ტრაგედიას გვთავაზობს. მასთან სიყვარული მსხვერპლია შურისძიების, რომელსაც ჰამლეტი იძულებით სჩადის. ამის მანიშნებელია სცენა, სადაც მთავარი გმირი ლაერტთან შელაპარაკების დროს მის ფეხს ყელზე საკუთარი ხელით იბჯნის. თუმცა, შურისძიებაზე მეტად სპექტაკლში წინა პლანზე სი-

ყვარული დგას. სიყვარული გმირები-სადმი, რომელსაც რეჟისორი ძერწავს და ჰამლეტის სიყვარული სხვებისადმი, ოფელია იქნება ეს თუ ჰერტრუდა... ამ უკანასკნელის სახე სპექტაკლში ნაკლებად გამოკვეთილია, მაგრამ არა იმიტომ, რომ მისი გამოძერწვა რეჟისორმა მსახიობ **დალია სტროიკ-ზიკუვიანეს** დახმარებით ვერ შეძლო. ნეკროშიუსს სჭირდებოდა მორჩილი, საკუთარ ბედს შეგუებული გმირი, რომელიც შეკითხვას – მირჩიე, რა ვქნა? – ჰამლეტს ისე დაუსვამდა, თითქოსდა დახმარებას შესთხოვდა... რომ არა პიესა, რომლის მთავარი ხაზიდანაც რეჟისორი არ უხვევს, ჰერტრუდას შვილისთვის იქნებ დაეჯერებინა კიდეც, მაგრამ სცენაზე ტრაგედია უნდა გათამაშდეს და შურისძიება გარდაუვალია. ამის მიუხედავად, რეჟისორი ცდილობს, ყველანაირ ხერხს მიმართოს იმისათვის, რომ შურისძიება, მკვლელობა და სისხლი მხოლოდ იგულისხმებოდეს. ამის საუკეთესო მაგალითია სცენა, რომელმაც ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. ასე ოსტატურად პოლონიუსს ნეკროშიუსზე უკეთ ვერავინ მოკლავდა: ჩემოდანში დამალული პოლონიუსი (**პოვილას ბუდრისი**) იმისათვის, რომ უჰაერობისგან არ გაიგუდოს, სასუნთქად ჩემოდნის მარჯვენა მხარეს გარჭობილ და ბოლოში მოღუნულ ლითონის მილს იყენებს. სცენაზე დედასთან ერთად გამოსული ჰამლეტი კი ჰერტრუდასთან ლაპარაკისას გამჭვირვალე ბოკალს წყლით ავსებს, დგამს სკამზე, რომელიც ჩემოდნის გვერდით დევს და მილის ბოლოს წყალში ყოფს. პოლონიუსი ვეღარ სუნთქავს და კვდება, თითქოსდა შემთხვევით...

სპექტაკლის დროს წყალი ბლომად „იდვრება“. ეს სტიქია სცენაზე ყინულის სახითაც ხშირად ჩნდება და მისი დახმარებით წარმოდგენაში რამდენიმე რიტუალი სრულდება. სწორედ მას უკავშირდება ჰამლეტისა და აჩრდილის პირველი შეხვედრა. თითქოსდა, აჩრდილს გამოყოფილი სტიქიის საწინააღმდეგოდ, პერსონაჟები ცეცხლს „ეთამაშებიან“. ამ ორ სტიქიას შორის გამოკიდებული ოფელია კი რეჟისორს ჰამლეტზე არანაკლებ ებრალება. მისდამი სიყვარულს ჰამლეტი მსხვერპლად შურისძიებას სწირავს, ოფელია კი მასთან მისაახლოებლად ყინულის ნატყეხებს უბეში იყრის, სურს როგორმე შეინარჩუნოს ის, ვისიც ყველაზე მეტად ესმის. გამომსახველია სცენა, როდესაც ჰამლეტი იძულეულია თავიდან მოიშოროს ოფელია,

მაგრამ ვერც იმეტებს და ვეღარც შურისძიებაზე ამბობს უარს, მას თავს არ აფერებინებს, მაგრამ ხელსაც ვერ უშვებს და ვერ ელევა... კლავდიუსისთვის, ჰერტრუდასთვის, ან გნებავთ, ჰამლეტისთვის დედოფლის, მეფის, პრინცის დაძახება მიჭირს, რამდენადაც მოქმედების ადგილი და დრო გამოკვეთილი არ არის. ნეკროშიუსის ამოცანას – დაიცვან პირობითობა და თავიდან აიცილონ ყველაფერი თვალისმოძრედი, იქნება ეს სიჭრელე თუ ფუფუნების მანიშნებელი ნივთი, საგანი, სამკაული ან სამოსი – შემოქმედებითი ჯგუფის წარმომადგენლები (**ნადეჟდა გულტიაევასი** – დეკორაციისა და კოსტიუმების ავტორი, **აუდრიუს იანკაუსკასი** – მხატვარ-გამნათებელი) პირნათლად ასრულებენ. ამ ყველაფრისგან შექმნილ განწყობას ზუსტად შეესაბამება მუსიკალური გაფორმება, რომელიც **ფაუსტას ლატენას** ეკუთვნის. მის მიერ შემოთავაზებული თემებიდან ერთ-ერთი **ვერდის** „ბედის ძალიდან“ არის აღებული. ამ თემას ფორტპიანოზე ხან ცოცხლად ასრულებენ, ხანაც ჩანანერის დახმარებით. „ძაღლების ვალსი“ ძირითადად მაშინ ისმის, როდესაც სცენაზე პიესის პერსონაჟი მსახიობები ჩნდებიან. „გონზაგოს მკვლელობის“ გასათამაშებლად ჰამლეტი გარდასახვაში მსახიობებს თვითონ ეხმარება და სცენაზე კიდეც ერთი რიტუალი სრულდება: სამივე მსახიობს სახეში თეთრ ქალაღზე საკუთარი ხელით დაყრილ მინას, გნებავთ – მინადქცეულ მტვერს, უბერავს. სპექტაკლში ოთხივე სტიქიაა გამოყენებული, მათ შორის რამდენიმეს რეჟისორი მომავდინებელ ძალას ანიჭებს, დარჩენილს კი გარდასახვისთვის იყენებს.

ასეთი ფორმატიც კი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ განვლილი ფესტივალი შეაჯამო და მის ფარგლებში წარმოდგენილ სპექტაკლებზე ამომწურავად ისაუბრო. თუმცა, მინიშნებით, ალბათ შევძელი მეტყვა ის, რითაც 2010 წლის მთავარი კულტურული ღონისძიება რამდენიმე მიმართულებით გამოირჩეოდა.

გია ყანჩელი და რობერტ სტურუა



წარწერიანი ეგზემპლარები

წარწერა, ამოწმის
 აქტი ბეგრალ პოქსეტი

მეგობარო
 ჩემი მამა და
 მამაჩემი და
 მამაჩემი და
 მამაჩემი და

ყოველივე
 მოქმედი
 ამოწმის
 მამაჩემი და

?

მიხეილ კოპალეიშვილი
 პოეტი – მოყვასი

ნაშუადღევის წაძინებისას სამოცდათხუთმეტი წლის ბერიკაცს მესიზმრა: მომცრო ოთახში კედელთან მიდგმულ მაგიდას სამი კაცი ვუსხედით. პატარა სინაზე დანყობილი ტკბილეული ისე გათავებულიყო, ვერც შევამჩნიე. წამოვდექი, სინი ავიღე და მოპირდაპირე მხარეს, კარადისკენ წავვიღე. გზად კი, სანაღზე, ძალიან მისუსტებული გივი ძნელაძე იწვა. მიხვდა, რისთვის მივდიოდი და მთხოვა, ერთი ფილა შოკოლადი მისთვისაც მიმეტანა. წამით შევყოყმანდი. ეს გივიმაც შევამჩნიე და ისეთი მუდარით სავეს თვალეზით შეხედა მის საფერხესთან მდგარ მუხრანს, მივხვდი, უარი არ გამივიდოდა. ავიღე და ყველაზე საუკეთესო ფილა მივანოდე. სინი მაგიდაზე დავდეთთუ არა, ჩვენებაც გაქრა...

მე ისინი ერთად გავიცანი ახალდაარსებული გაზეთის რედაქციაში შორეულ, 1960 წლის გაზაფხულზე. ერთად იყვნენ 92 წლის მარტშიც, როდესაც მუხრან მაჭავარიანი წამოდგა და ჭადრაკის სასახლეში გამართულ მწერალთა ყრილობაზე მისთვის ჩვეული მგზნებარებით, ხმამაღლა განაცხადა, რომ უკანონოდ მიიჩნევს ყრილობის მოწვევას და თანამოაზრეებს მოუწოდა პროტესტის ნიშნად დაეტოვებინათ იქაურობა. როგორც ჩანს, გივისთვის ეს მოულოდნელი იყო, რადგან მხოლოდ მაშინ ადგა, როდესაც მუხრანი გასასვლელისკენ გაემართა... გააფრთხულ ქალებს ეზოში წიგნების აუტოდაფე გაემართათ. ყურადღება არ მიუქცევია. მშვიდად წავიდა პარკის გასასვლელისაკენ.


იშვიათად შევხვედრივარ (მგონი, საერთოდაც არა) ასეთ დინჯ გურულს, შეიძლება, ეს კარგა ხნის წინათ გამომუშავებული ჩვევაც იყო:

თავდაჭერილად, წყნარ გულზე შეეფასებინა მდგომარეობა და შემდეგ მიელო გადაწყვეტილება. ხშირად შემომჩნევია: საერთოდ საუბრის დროს რაიმეზე აზრს რომ გამოთქვამდა, რომელიც სხვისას არ ემთხვეოდა და კამათს გამოიწვევდა, აღარ ჩაერეოდა, კოლეგას სიგარეტს გამოართმევდა, მოაკიდებინებდა და თითქოს, ერთგვარად, ნასიამოვნები კიდეც, გააბოლებდა.

შემდეგ ისეთი დრო ჩამოდგა, ვიღაც ახსოვდა ლექსი და მოყვასი თვისი.

მშვენიერი ესე მიუძღვნა გივის ნატყვი გემოვნებისა და სტილის მწერალმა, ლიტერატურათმცოდნე ოტია პაჭკორიამ. აქედან შემოგთავაზებთ ერთ ნაწყვეტს: „მან მკითხველიც მიჩაჩვია ჩუმად, უხმაუროდ მიიღოს მისი პოეზია. იგი არ დარდობს (იქნებ, დარდობს კიდეც) იმის გამო, რომ ყველას როდი შესწევს ძალა და აქვს დრო მის პიროვნებასა და რამდენადმე, ლექსსაც გარშემოებურულ ნისლს გააღწიოს და მიწვევს ცხოველმყოფელ სათავეს. ყოველ შემთხვევაში, მას მხოლოდ ლექსით შეუძლია გააცხადოს პოეტური თვითრწმენა და არსებობის მარადიულობის განცდა: „სულო – გატყობ მირონცხებას, აღზევებას, სრულობას... დამთავრებით დაიწყება შენი მოგზაურობა“, – სადღაც შეგნების სიღრმეში ჩაღეჭილი, მოულოდნელი პრეტენზია და იქნებ, სულის ამაღლების, განწმენდის მძაფრი შეგნება“.

გივი ძნელაძემ 1987 წელს გამოსცა ლექსების ორი კრებული, ორივე გულთბილი წარწერით მაჩუქა. ერთის თავფურცელზე კი მიაწერა ეს ლექსი, რომელიც აქედან არც ერთში არ არის შეტანილი.



პრეზენტაციები

„მარიამი მქვია სახელად...“

„აბა, რით ვერ დამიმახსოვრე?! მარიამი მქვია სახელად და აქვე ვცხოვრობ“ – ასე ახსენებს თავს პოეტი მარიამ ნიკლაური „ერთი კოცნით წინასწარ მკვდარ“ და „ერთი ღერი ყვავილისთვის ღმერთთან წასულ“ სიყვარულს. ძნელი სათქმელია ვის ან რის სიყვარულს უძღვნის პოეტი ამ სტრიქონებს, მაგრამ 25 დეკემბერს დარბაზი სავსე იყო ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა თეატრში მარიამის ახალი კრებულისთვის მისული სტუმრებით. როგორც ჩანს, ბევრმა დაიმახსოვრა პოეტის სახელი და მის მისამართსაც ადვილად მიაგნო – „თეთრი ხბორები“, მარიამის რიგით მეხუთე პოეტური კრებული. როცა გამოსაცემად ვამზადებდი წიგნს, მაშინ არ მიგრძენია და ახლა, როდესაც ვფურცლავ, შიგ ძალიან დიდ დარდასა და სევდას ვპოულობო, თქვა პოეტმა.


სალამო მწერალმა და გამომცემლობა „პეგასის“ მთავარმა რედაქტორმა თამრი ფხაკაძემ გახსნა. ისაუბრა გამომცემლობის ახალი სერიით – „ახალი ლიტერატურა“ – გამოცემულ კრებულზე „თეთრი ხბორები“ და მარიამ ნიკლაურზე: „მარიამი თავის თავში მოიცავს და ინახავს ქართული პოეტური, განსაკუთრებით მთის ფოლკლორის ტრადიციებს. მისი პოეზია ინახავს იმ ძველ პოეტურ ჩუქურთმებს, ნაქარგებს, რაც ისევე გადასარჩენია, როგორც ფშავ-ხევსურული ფარდაგები თუ ნაქსოვ-ნაქარგები. მარიამი წერს და არ იცის, რომ ამ წერის დროს ის რაღაცის გადარჩენისთვის იბრძვის. მას აქვს მისტიური, მაგრამ თან ძალიან ღრმად ქრისტიანული პოეზია“. თამრი ფხაკაძემ პოეტური კრებულების გარდა, მსმენელს მისი ათი საბავშვო წიგნიც გაახსენა და განსაკუთრებულად გამოყო ბოლო ორი – „ნანიები“ და „ნატერისთვალო მზისაო“, რომლებიც ასევე გამომცემლობა „პეგასმა“ გამოსცა.

„მარიამი ჩემთვის არის აღმოჩენა. მის ლექსებში ამ სამყაროს შესანიშნავი ქალური ჭვრეტაა“, – აღნიშნა თამაზ ტყემალაძემ და მადლობა გადაუხადა პოეტს იმისთვის,

რომ სწორედ ის აირჩია მისი წიგნის რედაქტორად.

პოეტს ახალი კრებულის დაბადება გამომცემლობა „პეგასის“ დირექტორმა მარინა ცხადიაშვილმა მიულოცა, ასევე ზაზა აბზიანიძემ: „ალბათ სიმბოლური იყო, რომ მარიამის პირველ პოეტურ წიგნს „შეხვედრა“ ერქვა, და ის შეხვედრა საბედნიერო აღმოჩნდა თვითონ ავტორისათვის, რადგან ის მართლაც ძალიან ფაქიზი, ბევრისმთქმელი, ძალიან ღრმა, ტკივილიანი ავტორი დადგა, და რალა თქმა უნდა, ძალიან ბედნიერი აღმოჩნდა ყველა ჩვენთაგანისათვის“. მზეო გოგოჭურმა გაიხსენა როგორ გაცენენ და როგორ მოიხილნენ პირველად ის და ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილი მარიამის შემოქმედებით. ნინო სადლობელაშვილი: „მარიამის შემოქმედება ჩემთვის არის რწმენის პოეზია. მისი მთელი შემოქმედება დედის ატკიებული გულის ლექსებივითაა, სამშობლოც აქედან სტკივა, სამყაროც აქედან სტკივა და შვილებიც“.

ავტორის გარდა, სალამოზე მარიამის ლექსები თამრი ფხაკაძემ და რობერტ მესხმაც წაიკითხეს. კითხულობდნენ როგორც მათთვის საყვარელ ლექსებს, ისე დარბაზში მსხდომი ადამიანების სურვილების გათვალისწინებით. და გასაკვირიც კი იქნებოდა მაყურებელს სიყვარულზე ლექსი რომ არ მოეთხოვა: „– ვილაპარაკოთ სიყვარულზე? – ვილაპარაკოთ! სანამ მოსულა, თორემ მერე რაღას მოვიცლით სიყვარულის მაიკობი“. და ეს სალამოც სხვა არაფერი იყო, თუ არა, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულზე საუბარი. სცენის დეკორაციები, განსაკუთრებით კი საქანელა სკამი, სწორედ ისეთი სიმყუდროვის განცდას ქმნიდა, ღმერთზე, ანუ სიყვარულზე, სიცოცხლესა თუ სიკვდილზე საუბარს რომ მოგანდომებს კაცს. გარეთ დეკემბრის სუსხი აჭერდა, მარიამს კი შემოდგომის ფოთლებისა და თაფლისფერი წიგნი ეჭირა ხელში და ჩუმად ეძახდა სიყვარულს: „მე მარიამი მქვია სახელად, მარიამი, დამიმახსოვრე!“



ბიორგი ზანგურის კიდევ ერთი პოეტური სალამო

ბარ „ბაითში“ ლიტერატურული სალამოები უკვე ტრადიციად იქცა. ბარი ყოველკვირეულად ახალგაზრდა პოეტებს და მათი შემოქმედების მოყვარულებს მასპინძლობს.

22 დეკემბერს ერთ-ერთი ასეთი ლიტერატურული სალამოს მთავარი გმირი პოეტი გიორგი ზანგური იყო. მყუდრო გარემოში შეკრებილ საზოგადოებას პოეტმა თავის ძველ ლექსებთან ერთად, ახალი, ჯერ კიდევ

გამოუქვეყნებელი ლექსები წაუკითხა, წაუკითხა ისე, როგორც პოეტს და თანაც მსახიობს შეეფერებოდა, ემოციურად და ოსტატურად. ასე რომ, პოეზიის სალამოზე შემთხვევით თუ წინასწარ განზრახვით მოხვედრილ მსმენელთაგან გულგრილი არავინ დარჩენილა. პოეტისვე სურვილით სალამოზე მხოლოდ ლექსები იკითხებოდა და არ ყოფილა საუბრები მის შემოქმედებაზე,



არც შექება და არც კრიტიკა, უბრალოდ ერთი პოეტური საღამო და ძალიან ბევრი ლექსი. ლექსებს კითხულობდა ყველა თემზე: ცოლზე და უძღვნიდა საკუთარ და ყველას ცოლებს; მიჯნურზე და უძღვნიდა საკუთარ და ყველას მიჯნურებს; დედაზე და უძღვნიდა საკუთარ და ყველას დედებს; ამ მიძღვნამ გაამართლა კიდევ, ბევრმა საკუთარი თავი აღმოაჩინა გიორგი ზანგურის ნაწერში და კითხვის დროს ზოგიერთი მათგანი თავის დაქნევით და ხმამაღალი კომენტართანაც კი უდასტურებდა, რომ თვითონაც მოქცეულა ასე, თვითონაც განუცდია მსგავსი.

როგორც პოეტმა თქვა, – ყველაზე მეტად რწმენაზე და სამშობლოზე მიჭირს საუბარი და ამ თემაზე ბევრი ლექსი არ მაქვსო, თუმცა ნაიკითხა ის, რაც ჰქონდა: „ყველა ერთად

ხანჯლის წვერზე შევდგეთ, საქართველოს დადგომია ჟამი...“

ყველაზე დიდი ოვაცია პოეტის ცნობილ და ყველასთვის საყვარელ ლექსებს მოჰყვა: „ზურჩილთ რამე?“, „ყვავილების გვირგვინი“, „ურეპციო ცოლი“, „ყოფნა ყველაფერში“, „შენსავით კაბას ვერავინ იხდენს“ და ა. შ. საღამო კი, მსმენელის დაჟინებული მოთხოვნით, გიორგის ასევე ცნობილ ლექსით – „უძრავი ქალაქი“ დასრულდა.

ბარ „ბაითში“ შექმნილ თბილ და მყუდრო პოეტურ გარემოს კიდევ უფრო ალაბაზებდა ჯგუფ „ისე“-ს მიერ შესრულებული ცოცხალი მუსიკა.

დასასრულ, გიორგი ზანგური დაპირდა მისი პოეზიის გულშემატკივრებს, რომ თებერვალში კიდევ ერთ პოეტურ კრებულს აჩუქებს.

„iratta.ru“ – მანი, რომელიც მოვიბატი



„ამ რომანის დანერა საქართველოს მოსახლეობის ერთ ნაწილში გამეფებულმა პესიმიზმმა გადაგვანყვეტინა. გადაგვანყვეტინა იმ მოსაზრებამ, თითქოსდა ძლიერ მტერთან ბრძოლას აზრი არ აქვს. ჩვენს მიერ შექმნილი რომანის სამყაროში შემოჭრილი მტრის წინააღმდეგ ერთ მუშტად შეკრული ხალხი და ჯარი დგას და ამას საოცარი შედეგი მოაქვს“, – ვკითხულობთ 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის თემაზე დაწერილი ახალი რომანის – „iratta.ru“-ს ყდის უკანა მხარეს. წიგნს ორი ავტორი ჰყავს – გურამ მეგრელიშვილი, უკვე კარგად ცნობილი ახალგაზრდა მწერალი და თამაზ დემეტრაშვილი, ყოფილი სამხედრო მისთვის ეს პირველი წიგნია.

რომანი ამერიკული გამოცემლობის შვილობილი კომპანიის – „ალიანსის“ დაკვეთით დაიწერა და ამავე გამოცემლობაში გამოიცა. დაგეგმილია „iratta.ru“-ს თარგმნა და ამერიკაში გამოცემა. საფინანსო ორგანიზაცია „ვან ინვესტიინგი“ კი ამ წიგნის მიხედვით კომპიუტერული თამაშის შექმნას აპირებს. გამოცემლობა „ალიანსის“ დირექტორი, გიორგი ჩაკვეტაძე: „გაგვიჩინდა იდეა, რომ გაგვეკეთებინა წიგნი, სადაც განვიხილავდით ალტერნატიულ ვარიანტს, ფანტასტიკური ჟანრის ნაწარმოებს, რომელიც რეალობასთან არ იქნებოდა კავშირში. შევხვდით გურამს, ერთი წელი ვმუშაობდით და დაიწერა წიგნი, სადაც ჩვენ ომი მოვიგეთ“.

თამაზ დემეტრაშვილმა, ერაყში ორჯერ ნამყოფმა ყოფილმა სამხედრომ, თუმცა არა სამხედრო ექსპერტმა, როგორც თავად აცხადებს, კარგად იცის ჯარისკაცების ფსიქოლოგია, რას გრძობენ და რას განიცდიან ისინი. მის მიერ შემუშავებული სტრატეგია წიგნში სამხედრო ჩანართების სახითაა მოცემული, რასაც გურამმა მხატვრული ტექსტი მოარგო და ორი ავტორის ნამუშევრის ერთ წიგნად შეკვრა ასე მოხ-

ერხდა.

რომანის წარდგინებას 26 დეკემბერს კაფე „ნიუ არტმა“ უმასპინძლა. საღამოზე გურამ მეგრელიშვილმა განაცხადა, რომ „ეს წიგნი არის იმის ჩვენება, თუ როგორ უნდა მოქცეულიყავით, რა უნდა გაგვეკეთებინა, რომ ასეთი შედეგი არ მიგველო“. წიგნის მეორე ავტორმა კი დასძინა, რომ „ომის დაუნერული კანონის მიხედვით, რაც უფრო მეტია მოწინააღმდეგე, მით უფრო ბევრი ტყვეა ხვდება მიზანს“.

წიგნში ვერ შეხვდებით რეალურ ადამიანებს, რაც წინასწარ იყო განზრახული, ერთადერთი, ვისთვის გვერდის ავლაც ავტორებმა ვერ მოახერხეს, ედუარდ კოკოი-თი იყო. ასე რომ, ის ერთადერთი ნაცნობი პერსონაჟია „iratta.ru“-ში.

საღამოს ტრადიციულად ლიტერატორები და ლიტერატურის მოყვარულები დაესწრნენ, მათ შორის ზოგიერთ მათგანს – ცირა ბარბაქაძეს, ბესო ხვედელიძეს, გაზეთ „24 საათის“ ჟურნალისტი ია ვეკუას, უკვე ნაკითხული ჰქონდათ რომანი და საკუთარი აზრით გამოთქვეს ახალ წიგნთან დაკავშირებით. ავტორებს წიგნის გამოცემა გივი ალხაიშვილმაც მიულოცა.

ბოლოსკენ კი ისევ „iratta.ru“-ს მოკლე ანოტაციას დავუბრუნდეთ: „ისტორიული რეალობა არ იცვლება. ჩვენ უბრალოდ შეგვიძლია სხვადასხვა ინტერპრეტაცია მივცეთ მომხდარს, მაგრამ ლიტერატურაში ყველაფერი ხდება, ყველაფერი დასაშვებია, მით უფრო, რომ შეგვიძლია ცივი გონებით შევხედოთ ჩავლილს და შევქმნათ ახალი წარსული, ახალი ანმყო და ახალი მომავალი“.

ლიტერატურისთვის ბევრი რამაა მართლაც შესაძლებელი. რამდენად შეძლებს ეს წიგნი, დაგვეხმაროს, რომ თუნდაც წარმოსახვაში მაინც შევქმნათ ახალი წარსული, ანმყო და მომავალი, ამას მხოლოდ მისი ნაკითხვის შემდეგ შევითვით.